

საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის
ქართული უნივერსიტეტი
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა და სამართლის სკოლა (ფაკულტეტი)

ფეხი ჩელები

დუზჯეს მხარეში (თურქეთის რესპუბლიკა) მცხოვრები
ქართველების მეტყველების თავისებურებანი

სადოქტორო პროგრამა „ქართველური ენათმეცნიერება“

სადისერტაციო ნაშრომი შესრულებულია ფილოლოგიის დოქტორის
აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ტარიელ ფუტკარაძე, ფილოლოგიის
მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

თბილისი

2018

შინაარსი

ანოტაცია	5
Annotation	7
წინასიტყვაობა	10
შესავალი	23
1.საკითხის შესწავლის ისტორია	23
2.დუზჯეში ჩამოსახლებული ქართველების ისტორია	29

I თავი

დუზჯეში მცხოვრებ ქართველთა მეტყველების თავისებურებანი	35
1.1. დუზჯეს ქართველთა მეტყველებაში გამოვლენილი ფონეტიკური თავისებურებანი	41
1.1.1 უმარცვლო ძ	41
1.1.2. უმარცვლო უ	42
1.1.3. ჰ თანხმოვანი სიტყვის თავკიდურ პოზიციებში	42
1.1.4. უკანაენისმიერი ლ	43
1.1.5. მეტათეზისი	43
1.1.6. სუბსტიტუცია	43
1.1.7. ბგერათა დაკარგვის შემთხვევები	45
1.1.8. ბგერათა ჩართვა	47
1.1.9. სრულხმოვნობა	47
1. 1. 10. ბგერათა ანალოგია	48
1.1.11. ასიმილაცია	48
1.1.12. დისიმილაცია	49
1.2. დუზჯეს ქართველთა მეტყველებაში გამოვლენილი მორფოლოგიური თავისებურებანი	49
1.2.1. ბრუნვის ნიშანთა დაკარგვა	50
1.2. 2. სიტყვათა გავრცობილი ფორმები	50
1.2. 3. მრავლობითი რიცხვის წარმოება	50
1.2.4 მისი, თავისი; ერთმანები	51

1.2. 5. -ში, -ზე, -თვის თანდებულები	51
1.2. 6. ზმნიზედები	51
1.2. 7. ზმნისწინები	52
1.2.8. დუზჯეს ქართველთა მეტყველებაში დადასტურებული ზოგი ზმნური ფორმის ანალიზი	53
1.2.9. დუზჯეს ქართველთა მეტყველებაში დადასტურებული ზოგი ზმნური ფორმის ლექსიკური ანალიზი	54
1.3. დუზჯეს ქართველთა მეტყველებაში გამოვლენილი სინტაქსური თავისებურებანი.....	61
1.4. ზოგიერთი სიტყვის სემანტიკისათვის დუზჯეს ქართველთა მეტყველებაში...	63
1.5. ლექსიკურ ერთეულთა სემანტიკური ჯგუფები	64
1.5.1. ნათესაობის აღმნიშვნელი ლექსიკა დუზჯეს ქართველთა მეტყველებაში ...	64
1. 5. 2. ქართული კერძების აღმნიშვნელი სახელები და მასთან დაკავშირებული ლექსიკა	67
1.5. 3. სხვადასხვა ნაგებობანი და ნივთები	73
1.5. 4. სხეულის ნაწილების აღმნიშვნელი ლექსიკა	74
1.5. 5. ბუნების მოვლენების აღმნიშვნელი ლექსიკა	74
1.5. 6. დროები, დღეები	74
1.5. 7. ფლორა და ფაუნა	75
1.5. 8. ხილი	75
1.5. 9. ადგილის სახელები	76
1.5. 10. „ვეფხისტყაოსანი“და გოლიაქას ქართული მეტყველებ	76

თავი II

ქართულ ანთროპონიმთა ვარიანტები	87
2.1. სახელები და მეტსახელები	87
2.2. გვარები	90

თავი III

ზეპირსიტყვიერების ნიმუშების ენა	100
3.1. შელოცვები	100
3.2. ანდაზები	118
3.3. ზღაპრები	122
3.4 ლექს-სიმღერები, შაირები	125
3.5. იდიომები	126

თავი IV

ქართველურ და თურქულ სამეტყველო კოდთა შერევის საკითხები	129
4.1. ქართველურ-თურქულ სამეტყველო კოდთა შერევის სახეობები	129
4.2. ქართველური სამეტყველო კოდების შერევა	143
4.3. დუზჯეს მკვიდრი ქართველების ქართული მეტყველების ადგილის საკითხი.....	150
ძირითადი დასკვნები	152
დამოწმებული ლიტერატურა	153
დ ა ნ ა რ თ ი	169

ანოტაცია

წინამდებარე სადისერტაციო ნაშრომი: **დუზჯეს მხარეში (თურქეთის რესპუბლიკა) მცხოვრები ქართველების მეტყველების თავისებურებანი** შედგება წინასიტყვაობის, შესავლის, ოთხი თავის, ძირითადი დასკვნებისა და დამოწმებული ლიტერატურის სიისაგან. ერთვის ასევე დანართი, რომელშიც წარმოდგენილია დოკუმენტური მასალა.

წინასიტყვაობაში წარმოდგენილია საკვლევი თემის აქტუალურობა, კვლევის მიზნები და ამოცანები, ძირითადი მეცნიერული სიახლე, ნაშრომის თეორიულ-პრაქტიკული ღირებულება, კვლევის შედეგები.

შესავალი იწყება საკითხის შესწავლის ისტორიით: დიდი ხნის განმავლობაში ქართველთა მუჰაჯირობის თემა ტაბუდადებული იყო და არსებული სიტუაცია არ იძლეოდა საკითხის საფუძვლიანი კვლევის საშუალებას. უპირველეს ყოვლისა, მიმოვიხილავთ XIX-XX სს. ჟურნალ-გაზეთებში გამოქვეყნებულ წერილებსა თუ კორესპონდენციებს, რომელთაც დღეს დოკუმენტის მნიშვნელობა აქვთ; ასევე - იმ მოგზაურებისა თუ მკვლევრების (მ. არიფის, ე. დ'ალესიოს, პ. მაგნარელას, ზ. ჭიჭინაძის, გ. ყაზბეგის, ი. რაჭველიშვილის, შ. ფუტკარაძის ...) ნაშრომებს, რომელთაც პირველებმა დაიწყეს ქართველ მუჰაჯირთა ყოფა-ცხოვრებისა თუ ენის აღწერა და მეცნიერულად კვლევა.

აქვეა საუბარი დუზჯეში ჩამოსახლებული ქართველთა ისტორიაზეც; მოთხრობილია, საქართველოს რომელი სოფლებიდან წამოსული მუჰაჯირები დასახლდნენ იქ, როგორ დააარსეს ახალი სოფლები ან დასახლებები ახალ ადგილას და ა.შ. უნდა აღინიშნოს, რომ ამ საკითხებთან დაკავშირებული ინფორმაცია მოძიებული გვაქვს საველე მუშაობის შედეგად - მუჰაჯირთა ხანდაზმული შთამომავლებისაგან.

პირველ თავში განხილულია დუზჯელ ქართველთა მეტყველების ძირითადი თავისებურებანი. რამდენადაც აქ დასახლებულ მუჰაჯირთა უმეტესობა აჭარიდან იყო, ცხადია, მათი ქართულიც ყველაზე მეტად თანამედროვე აჭარულ დიალექტს უახლოვდება. ეს მეტყველება მდიდარია როგორც არქაიზმებით, ისე ინოვაციებით. ამასთანავე, ბუნებრივია, მას განუცდია თურქული ენის დიდი გავლენაც (დუზჯელი

ქართველები, როგორც წესი, ორენოვანნი არიან - მშობლიური ენის გარდა, ფლობენ თურქულსაც, რომელიც ახალგაზრდა თაობისთვის თანდათან მშობლიური ხდება); შესაბამისად, ბევრი ის თავისებურება, რაც დუზჯეს ქართულს სალიტერატურო ქართულის ან სხვა ქართული დიალექტებისგან შესამჩნევად გამოარჩევს, სწორედ თურქულის გავლენას მიეწერება.

მეორე თავში განხილულია დუზჯეს რეგიონში დღემდე პოვნიერ ქართულ ანთროპონიმთა (სახელთა, მეტსახელთა ...) და პატრონიმთა (გვართა, მეტგვართა...) თავისებურებანი. იქიდან გამომდინარე, რომ დუზჯელ ქართველთა აბსოლუტური უმრავლესობა სუნიტი მუსლიმია, ოფიციალურად დღეს ისინი არაბული (და ასევე თურქული) ანთროპონიმიკით სარგებლობენ, თუმცაღა უნდა ითქვას, რომ თავად ამ მოგვიანებით შეთვისებულ ანთროპონიმებს დუზჯელი ქართველები ქართულ ყაიდაზე ასხვაფერებენ. რაც შეეხება მიკროანთროპონიმიკას (მეტსახელებს): ისევე, როგორც ადრე, დღესაც მუჰაჯირ ქართველთა შთამომავლები მთლიანად ქართულ მეტსახელებს იყენებენ. შემოუნახავთ, ასევე, წინაპართა ქართული გვარებისა და ოსმალური პერიოდის -**ოღლი** ფორმანტით გაფორმებული გვარების ხსოვნაც.

მესამე თავში მიმოვიხილავთ დუზჯელი ქართველების ზეპირსიტყვიერების ნიმუშების ენას. ისინი ჩაწერილია უშუალოდ ჩვენ მიერ, ქართული ენისა და ფოკლორის კარგად მცოდნე მხცოვან ქართველთაგან სხვადასხვა სოფლებში.

მეოთხე თავი შეეხება საკმაოდ საინტერესო და აქამდე ნაკლებად გამოკვლეულ საკითხს - დუზჯეს ქართულში ქართველურ-თურქულ სამეტყველო კოდთა, ასევე ქართველურ დიალექტურ კოდთა შერევას. განხილული გვაქვს სამეტყველო კოდთა შერევის ყველა ძირითადი სახეობა, რომელიც დავადასტურეთ დუზჯეში - ხნიერ, შუახნისა და ახალგაზრდა თაობის მეტყველებაში.

ძირითად დასკვნებად ჩამოყალიბებული დებულებებით სრულდება ჩვენი სადისერტაციო ნაშრომის კვლევითი ნაწილი.

დამოწმებული ლიტერატურის სრული სია ნაშრომს თან ერთვის.

დანართში წარმოვადგენთ ჩვენ მიერ მოძიებულ მასალას. კომპაქტისკების სახით - დუზჯეს სოფლების სურათებსა და ვიდეომასალას.

ANOTATION

Actuality of the Topic:

Muhajir is one of the hardest tragical phenomenons of not only for Georgia in the nineteenth century, but also, in the history of the Caucasus or the Black Sea. This process is important for the history of Ottoman and Turkish history; therefore, the theme of Muhajir is interesting as political, historical or ethnographic, also with linguistic point of view.

The term "Muhajir" is interpreted differently:

- "Exile, Emigration, Escape" (Dictionary, 2001);
- Any kind of migration (economic, social, political, religious, etc.) (Tsereteli, 1951, 271);
- "The indigenous population of the Caucasus, mainly forced to resettle in the Ottoman Empire in the XIX Century" (K., 1984, 234;
- Person who moved to another place for settlement (Turkish language dictionary);
- Saint the name given to those who moved to the Medina, along with Muhammad, or afterwards, (Sözlük, 2000: 2008).
- Muhajirs (Arab Muhajir - emigrated, immigrants) - emigrants in the Islamic countries are migrated, exiled. In Muslim tradition, the first Muhajirs were the followers of Prophet Muhammad (see, T. 7, 1984: 234).

The term "Muhajir" is unknown to the historians of the second half of the nineteenth and early twentieth century who refer to the forced resettlement of the Caucasian mountain peoples (Ad. Berzhe, S. Esadze, I. Kanukov, G. Dzagurov and others). The first one who used "Muhajir" to refer to the forced resettlement of Muslims in Georgian historiography was Zakaria Chichinadze, a researcher of literature and history.

The real history of the Kartvelian / Caucasian is as follows: In the 19th century, the Ottoman defeat in the war of Russia-Ottoman, Georgia / Caucasian population displaced the impending aggression of the Russian Empire. The Ottoman Empire settled the Muslim Georgians down in the middle of Turkey.

Muhajirs are divided into several periods by historians:

The main purpose and objectives of the research

The research of the dissertation thesis aims to find record and study the linguistic content of ethnic Georgians living in Düzce with a linguistic viewpoint. The object of our research is the Georgian speech of the descendants in 1877-1878, of the Muhajir of Georgians established in the Düzce region. It is very rare to find a Georgian in Düzce, who did not know the Turkish language in his childhood, accordingly, there is a few numbers of people who actively keep the mother- tongue of ancestors. Georgians of the middle Ages know Georgian and Turkish; the adults cannot speak Georgian; conformably, according the dialectology standpoints, it is very important to study the speech of all three generations. Ethnic Georgians living in Düzce, according to the knowledge of Georgian language, conditionally can be divided by:

- They know Georgian language (native dialect: Adjarian, Machakhluri, Imerekheuli ...) and speaks in Georgian in their families, as well as in places of gathering (tea houses ...); According to age, they are 50 and over 60 years old;

- Understand the Georgian language (native dialect: Adjarian, Machakhluri, Imerkheuli ...) but cannot speak;

- Understand the Georgian language but do not speak Georgian;

- They do not know Georgian language at all (children, as well as young and old age generation);

They do not know Georgian language at all, but try to learn. For this purpose, they will learn Georgian language at Georgian language courses at Georgian Association of Culture in Düzce. Overall, 25 students are enrolled in the language learning course. Among them, the junior is six, and the most senior is 72 years old.

At this stage, our research field covers only Georgians who keep the Georgian dialectic speech. It should be said that the language situation is changing day by day. The generation, whose language of communication was Georgian, is no longer exist. Only the old people exist who knows the Georgian language well. It is interesting to note the peculiarities of their speech and the Georgian material that remains in their memory - incantations, proverbs, fairy tales, and legends...The stories from the ancestors or the interesting news that heard, including the main thing, are the "Batumi news". Our primary task is to save, fix and diagnose this material. We think future generations and Georgia should know this material and those people who have saved it to us. It is also important to observe how time and space can affect the language phenomenon.

The main scientific work of the thesis

Within the framework of the dissertation, it is described the peculiarities revealed in the speech of Georgians living in the region of Düzce. The combination of linguistic, mixed samples of linguistic codes are identified, phonetic and morphological changes found in the study material, general regularities, Syntactic peculiarities. Vocabulary units are presented separately.

Research Methods

While working on the dissertation work, we used methods of comparative, comparative-contradictory and linguistic analysis. Together with the linguistic methods, we used complex methods for ethnographic and historiography research methods, too.

Theoretical value of the work

The work is interesting in terms of Kartvelian dialectology as well as Turkish dialectology, as for discussing the mixing of Georgian and Turkish speech codes. Dissertation work will serve the people interested in Georgian Muhajirs' language, history and culture. The material presented in the work is interesting from the historical-ethnographic point of view, too. The texts we have received reflected in what and how has changed and what has not changed; which side of the language is changing more easily and which are more solid.

What is the influence of Turkish vocabulary on Georgian material, and on the contrary, what Georgian influence occurs in Georgian speaking Turkish language etc?

Practical value of the work

Dissertation work will be of great assistance to both Bachelor and master students. The information presented in the work will be interesting both in language and in historical and ethnographic terms. The dissertation work will provide the reader with a history of Muhajirs, their lives, and how does it work on the linguistic phenomenon.

Structure and volume of the work

The dissertation work includes..... It consists of preface, introduction, chapters and conclusions. The work attached by texts, photo and video materials found on fieldwork; Map of the analytical region. List of the scientific literature, too.

Main content of the work

Introduction

In the introduction of the thesis will review the history of the study and the history of the people settled in Düzce. The fate of the Muhajirs - the Georgians' fate in foreign land always covered the interest of the Georgian society, was worried and interested in judging their compatriots, yet these issues are still not properly studied. The reason is obvious. For a long time the topic of Muhajir was taboo. The current situation did not provide a thorough study of the issue. The time has passed, and despite the great historical disturbances in Georgian history, still was not despaired, and hoped to keep in touch again and to share the pain accumulated for centuries. Despite the existing situation, still subsists – M. Aripshi, E. Dalejiod'alesio, P. Magnarela, Z. Chichinadze, G. Kazbegi, Sh. Putkaradze, I. Rachvelashvili and others - works, researches, scattered letters in the 19th and 20th Century Magazines and Newspapers - About Georgians Scattered in Turkey.

There are different data on the places inhabited by Georgians in Turkey. The exiled Georgians were trying to settle down in rich, forested and natural areas, which they remembered Georgia. One of these places is the Duzje province - the Black Sea region. Includes 8 districts. It is true that Düzce is the plain area and that confirmed by its Turkish name, but the villages, where the descendants of Muhajir are living, are mountainous and green areas, which are truly remarkably similar to their mother Adjara - Mother Georgia.

წინასიტყვაობა

თემის აქტუალურობა. მუჰაჯირობა, ერთ-ერთი უმძიმესი ტრაგიკული მოვლენა მეცხრამეტე საუკუნის საქართველოს ისტორიაში, ყოველთვის აქტუალური იყო ქართულ სივრცეში. მუჰაჯირობის თემა მრავალმხრივ არის საინტერესო - პოლიტიკური, ისტორიული, ეთნოგრაფიული თუ ენობრივი თვალსაზრისით. ამიტომაც, დროთა განმავლობაში ინტერესი აღნიშნული მოვლენისადმი უფრო და უფრო იზრდება. როგორც ცნობილია, მუჰაჯირობა არა მარტო ქართული, არამედ ზოგადკავკასიური ტრაგედია იყო. რას გულისხმობს მუჰაჯირობა? საანალიზო ტერმინი, ლექსიკონებში სხვადასხვაგვარადაა განმარტებული:

1. „გადასახლება, ემიგრაცია, გაქცევა“ (ლექსიკონი, 2001, 1002), ანუ ნებისმიერი სახის (ეკონომიკური, სოციალური, პოლიტიკური, რელიგიური და სხვ.) ემიგრაცია (წერეთელი, 1951, 271);
2. „კავკასიის მკვიდრი მოსახლეობის, ძირითადად იძულებით, გადასახლება ოსმალეთის იმპერიაში XIX საუკუნეში“ (ქსე, 1984, 234);
3. თურქული ენის ლექსიკონის მიხედვით, მუჰაჯირი (muhacir), არაბული წარმომავლობის სიტყვაა, რომლის მნიშვნელობებია: ა) დასახლების მიზნით სხვა ადგილზე გადასული პირი; ბ) [სარწმუნოებაში] წმ. მუჰამედთან ერთად, ან მის შემდეგ მექადან მედინაში თავის შეფარების მიზნით გადასულთათვის დარქმეული სახელი (Sözlük, 2000, 2008);
4. ქართული ენის საბჭოთა ენციკლოპედიაში "მუჰაჯირები" განმარტებულია შემდეგნაირად: **მუჰაჯირები** (არაბ. მუჰაჯირ - გადასახლებული, ემიგრანტი) - ისლამის ქვეყნებში აღნიშნავს ემიგრანტებს, გადასახლებულთ. მუსლიმანური ტრადიციით, პირველი მუჰაჯირები იყვნენ წინასწარმეტყველ მაჰმადის მიმდევრები (იხ. ქსე, ტ. 7; 1984. 234). მუჰაჯირობა - კავკასიის მკვიდრი მოსახლეობის ძირითადად იძულებით გადასახლება ოსმალეთის იმპერიაში XIX ს. (იხ. ქსე, იქვე).

პროფ. მ. ჩოხარაძე აღნიშნულ ტერმინზე მსჯელობისას შენიშნავს: „უნდა ვადიაროთ, რომ რელიგიურ-სარწმუნოებრივი მოტივი ქართველთა გადასახლებაშიც იგრძნობოდა ხოლმე და ზოგჯერ მეტისმეტად თვალსაჩინოდაც... ალბათ, ლოგიკური იქნება, თუ ვიტყვით, რომ საქართველოსა და საზოგადოდ, კავკასიაში მუჰაჯირობის ცნების უფრო კონკრეტული შინაარსი ეპოქის ისტორიული

მოვლენებით არის განპირობებული და უკავშირდება, უპირველესად, რუსეთ-ოსმალეთის ომების მომყოლ მასობრივ გადასახლებებს. XIX საუკუნეში ხსენებული იმპერიების ბრძოლის ასპარეზად საქართველოც იქცა“ (ჩოხარაძე, 2017).

საანალიზო ტერმინთან დაკავშირებით საყურადღებოა პროფ. ბ. ხორავას მსჯელობა: „კავკასიის ხალხთა იძულებით გადასახლების აღსანიშნავად ტერმინი მუჰაჯირობა, რომელიც რელიგიური მოტივით გადასახლებას აღნიშნავს, ზუსტი არ არის. იმამ შამილის სიძის აბდ არ-რახმან ლაზილუმუქელის განმარტებით, მუჰაჯირი არაბული სიტყვაა, რომელიც იმათ აღნიშნავს, ვინც „ომით მოცული მიწიდან“ (იმ მიწებიდან, სადაც მუსლიმანების წინააღმდეგ იბრძვიან) „ისლამის სამყოფელოში (იმ ტერიტორიაზე, რომელიც მუსლიმანთა მმართველობაშია) გადასახლდება. მისივე თქმით, პირველი მექადან მედინაში წინასწარმეტყველი მუჰამედი გასახლდა. ამის შემდეგ ასეთი გასახლება მუსლიმანთა თემებისათვის ჩვეულებრივი გახდა (ბაბიჩი, 2014, 33)“.

კავკასიის ხალხთა გადასახლებისას თითქოს რელიგიური ფაქტორი დომინირებდა, თუმცა ეს ასე არ იყო. მთავარი იყო პოლიტიკური ფაქტორი - რუსეთის კოლონიური პოლიტიკა, რომელიც მიზნად ისახავდა კავკასიის დაპყრობასა და იმპერიის შემადგენლობაში ამ მხარის შეყვანას ადგილობრივი მოსახლეობის განადგურებისა და განდევნის გზით (ხორავა, 2014, 18).

ტერმინი მუჰაჯირობა უცნობია მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევრისა და მეოცე საუკუნის დასაწყისის ისტორიკოსებისათვის (ად. ბერჟე, ს. ესაძე, ი. კანუკოვი, გ. მაგუროვი და სხვ.), რომლებიც კავკასიის მთიელთა იძულებით გადასახლებას ეხებიან. პირველი, ვინც ქართულ ისტორიოგრაფიაში მაჰმადიანთა იძულებით გადასახლების აღსანიშნავად ტერმინი მუჰაჯირობა გამოიყენა, იყო ლიტერატურისა და ისტორიის მკვლევარი ზაქარია ჭიჭინაძე. ზ. ჭიჭინაძე მუჰაჯირობას კონკრეტულ ისტორიულ მოვლენას უწოდებს, როგორც ეს დღესაა მიღებული, თუმცა ამ ტერმინს უფრო ფართო - ემიგრაციის მნიშვნელობითაც იყენებს. მასალაზე დაკვირვებით, ბ. ხორავა საბოლოოდ ასკვნის, რომ ტერმინი მუჰაჯირობა, რომელიც რელიგიური მიზეზით გადასახლებას აღნიშნავდა, კავკასიის ისტორიაში ადგილობრივ მკვიდრთა იძულებით გადასახლების აღმნიშვნელად დამკვიდრდა. მუჰაჯირები იყვნენ კავკასიელი მთიელები, აფხაზებიც და ქართველებიც (იქვე).

შეგნიშნავთ, რომ საანალიზო ლექსემები - **მუჰაჯირი** თუ **მაჰაჯირობა** - დღეისათვის მუჰაჯირთა ცოცხალ მეტყველებაში იმდენად აქტიური აღარაა. თუმცა, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ზაქარია ჭიჭინაძის ჩანაწერებში ეს სიტყვა მუჰაჯირი დაფიქსირებულია: „... სადაც კი ქართველ მაჰმადიანს შეხვდებოდი და ჰკითხავდი რამეს, ყველა ამას ამბობდა: „წავიდეთ, წავიდეთ ჩვენი აქ დგომა აღარ იქნება, ანუ მუჰაჯირა გეთი, მუჰაჯირა გეთი“ (ჭიჭინაძე, 1912, 96). აღნიშნულ მონაკვეთში მოქმელი ამბობს - მუჰაჯირად წავედითო. ამრიგად, ტერმინები „მუჰაჯირი“ და „მუჰაჯირობა“ 1878 წელს უკვე არსებობდა ოსმალეთში იძულებით გადასახლებულის აღსანიშნავად (ხორავა, 2014, 21).

თურქეთში მცხოვრები ქართველები ერთმანეთს **გურჯებს**, ან კიდევ **ჩვენებურებს** ეძახიან. ძველი თაობისთვის ასევე უცხოა სიტყვა „ქართველი“.

ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის მიხედვით, **გურჯი**-ი (გურჯისა) ქართველის სახელწოდებაა მაჰმადიანების (თურქების, სპარსელებისა და სხვ.) ენებზე (ქეგლ, II, 1951, 1530). ხოლო **გურჯისტანი**-ი (გურჯისტანისა) - ქართველთა ქვეყანა, - საქართველო (ქართველთა მეზობელ მაჰმადიანთა ენაზე) (ქეგლ).

ამ საკითხთან დაკავშირებით საყურადღებოა ი. აბულაძის სტატია: „ტერმინი **„გურჯის“** ეტიმოლოგიისათვის“. როგორც მკვლევარი აღნიშნავს, არაბები და სპარსელები საქართველოსა და ქართველებს უწოდებენ „გურჯი“ - ს (Gurd-i) და საქართველოს - გურჯისტანს (Gurdistan). სპარსული სუფიქსით **ستان** (stan), რომელიც უდრის ადგილის აღმნიშვნელ ქართულ სუფიქსს „-ეთ“-ს. უძველეს მატიანეში და მის სომხურ თარგმანებში, მეტისმეტად წმინდად არის დაცული ეპითეტი „გორგასალი“, (სომხ. Գորգասալ), რომელიც არის იგივე სპარსული „გორგასარი“, რაც ნიშნავს მგელთავას, ვინაიდან გურგასარები მგელთავიანები და საგსარები ძალთავიანები ძველსპარსულ ლეგენდებში და შაჰნამეში ირანელთა ფანტასტიურ მტრებად ითვლებიან და არიან, მაშასადამე, თურანელთა აღმნიშვნელი ეპითეტები, — იმ თურანელებისა, რომელთაც სპარსელები მთელს თავის ისტორიულ წარსულში თავიანთ მოსისხლე მტრებად სახავდნენ. ი. აბულაძის აზრით, აღნიშნული სპარსული წყაროდან გამომდინარეობს ეს ქართველის აღმნიშვნელი სპარსულ-არაბული სახელწოდება „გურჯიც“, რომელიც აშკარად იგივეა, რაც ვახტანგის ეპითეტის „გორგასარის“ პირველი ნაწილი „გორგ“, არაბიზ. „გურგ“ — მგელი

(ვრცლად იხ. მარქსისტული ენათმეცნიერებისათვის, 1934, 293-300). ტ. ფუტკარაძე გურჯ- ფუძისათვის ამოსავალი ფორმის ტრანსფორმაციის ასეთ გზას გვთავაზობს: *ჰპერ- (სპერი, ისპირი) > *ჰპერ- > *ვერ- (>ვირქ სომხ.) > ვარ-უ-ჩან (სპარს.) > გურჩან- /გურგან > გურჯ- (ტ. ფუტკარაძე, 2005, 106-107).

ჩვენებური, რომლის მნიშვნელობები არის **ჩვენიანი**, **ჩვენნაირი** - მთქმელთა ახსნით, ერთგვარი მინიშნება, კოდი იყო უცხო მიწაზე გაფანტული ქართველებისთვის. ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის მიხედვით, **ჩვენებური** ნიშნავს: ჩვენი მხრისა, ჩვენი ქვეყნისა (ქეგლ, VIII, 1964, 497-498).

ეს სიტყვა ახლაც აქტუალურია მათ მეტყველებაში: **ჩვენებური ხარ თუ?** - პირველი კითხვა მათი ასეთია, თუ იფიქრეს თანამოსაუბრე ქართველია. **ჩვენებურად დაგვაბიწყდა** - ამ შემთხვევაში კი ენას გულისხმობენ... დღეისათვის სარეკლამო აბრეზზეც ხშირად შევხვდებით წარწერას - „ჩვენებური“. წარწერა, რა თქმა უნდა, თურქული (ლათინური) ასო-ნიშნებითაა შესრულებული. მთავარი ისაა, რომ ამ ფორმით ინახავს მეპატრონე იდენტობას; ამ მინიშნებით პოულობენ, იძენენ ნაცნობებს თუ დაკარგულ ნათესავებსაც კი. ტერმინ **ჩვენებურზე** მსჯელობისას მნიშვნელოვანია ვახსენოთ, ასევე, კულტურულ-საგანმანათლებლო ჟურნალი „ჩვენებური“, რომელიც დიდი პოპულარობით სარგებლობდა თურქეთის ქართველებში, იმ მნიშვნელოვანი მასალის გამო, რომელიც მასში იბეჭდებოდა (ჟურნალ „ჩვენებურის“ თაობაზე უფრო დაწვრილებით ქვემოთ მოგახსენებთ).

მუჰაჯირობას პირობითად ყოფენ რამდენიმე პერიოდად:

პირველი პერიოდი - 1828 წელს რუსეთის საიმპერიო ჯარებმა აიღეს ახალციხე; გააუქმეს ახალციხის საფაშო და მაჰმადიანური მოსახლეობის დიდი ნაწილი, 1000 ოჯახი, თურქეთში გადაასახლეს, ხოლო მათ ნაცვლად რუსეთის ხელისუფლებამ, რომლის გეგმასაც სამცხე-ჯავახეთში გენერალი პასკევიჩი ახორციელებდა, 1830 წელს თურქეთიდან 30 ათასამდე სომეხი ჩამოასახლა; აღნიშნულ ადგილებში ჩამოასახლეს ასევე ბერძნებიც.

მეორე პერიოდად ითვლება მეცხრამეტე საუკუნის 60-იანი წლები, როდესაც რუსეთმა შემზარავი სისასტიკე გამოიჩინა შავიზღვისპირეთისა და მთის კავკასიის მოსახლეობის მიმართ. ეს ის პერიოდია, როდესაც 1867 წელს, აფხაზ მუჰაჯირთა პირველმა ნაკადმა თურქეთს მიაშურა.

მესამე - 1877-1878 წლებში მიმდინარე რუსეთ-თურქეთის ომის დროს აფხაზთა გასახლების მორიგი ტალღა...

მეოთხე - აჭარიდან ქობულეთელების გადასახლება თურქეთში, პირველი მსოფლიო ომი ...

მეხუთე - პირველი „საბჭოური“ დეპორტაცია (1944-1945 წწ.); სამცხე-ჯავახეთში ისლამის მიმდევარი მოსახლეობის დეპორტაცია; გადასახლებულთა შორის დიდ უმრავლესობას წარმოადგენდნენ მაჰმადიანი ქართველები.

მეექვსე - მეორე „საბჭოური“ დეპორტაცია. 1949 წელს აფხაზეთიდან გადასახლეს ლაზები. ისინი, ძირითადად, სოხუმისა და ოჩამჩირის რაიონის სოფლებში ცხოვრობდნენ; რეაბილიტაციის შემდეგ მათი დიდი უმრავლესობა თურქეთში გადავიდა საცხოვრებლად (<http://muhajiroba-deportatsia-dakarguli-khalkhi>).

ჩვენი კვლევის საგანია 1877-1878 წლებში დუზჯეში დასახლებულ მუჰაჯირ ქართველთა შთამომავლების მეტყველება.

1877-1878 წწ. რუსეთ-ოსმალეთის ომის შედეგად, აჭარა და ლივანა მურღულითურთ რუსეთის იმპერიას ერგო. იმპერიის საზღვრებში მოექცა ლაზეთის მცირე ნაწილიც - ჩხალისა და ბელღევანის ხეობები. რუსებმა მთელი ეს ტერიტორია ბათუმის ოლქში გააერთიანეს. 1878 წლის ბოლოდან ახლად შემოერთებულ ქართულ მხარეებში, მათ შორის - მურღულის ხეობაშიც, დაიწყო **მუჰაჯირობა**.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, გადასახლების სხვადასხვა მიზეზებს ასახელებენ. ვფიქრობთ, მთავარი მიზეზი მაინც რუსული პოლიტიკა იყო, რომელსაც ხელს უწყობდა აგიტაციები ოსმალეთის მხრიდან. მოსახლეობაში გაჩნდა შიში იმისა, რომ რუსები მუსლიმან ქართველებს შეავიწროებდნენ, რჯულს შეუცვლიდნენ. ეკონომიკურად დაუძლურებულ მოსახლეობას იმითაც აქეზებდნენ, რომ ოსმალეთში მათ უკეთესი პირობები დახვდებოდათ. ამ ყველაფრის შედეგად, ძირძველმა ქართველებმა დატოვეს ადგილ-მამული (ხულოში, შუახევში, ქედაში, ქობულეთში, ბათუმში) და ოსმალეთისკენ დაადგნენ გზას, უკეთესი ბედის საძიებლად. ისინი იდგნენ გემების მოლოდინში ... იხოცებოდნენ შიმშილით; გაუსაძლის მდგომარეობაში იყვნენ: ბევრი გემის მოლოდინში დაიღუპა, ბევრი - გზაში; არც იმათთვის აღმოჩნდა ბედი სახარბიელო, ვინც ადგილამდე ჩააღწია: „დედამიწას, ხეებს, სახლებს, ყველაფერს - სულიერსა თუ უსულოს, რასაც კი

სტოვებენ, ცხარე ცრემლის ღვრით, გულდამწვავ ტირილით ეთხოვებიან და ისე მიდიან. იქაც უკეთესი ბედი არ მოელოთ, იქაც შიმშილი ხვდებათ, უპატრონობა, ადგილს არ აძლევენ, რასაც ჰპირდებოდნენ; მოტყუებულნი რჩებიან და ამნაირად, რამდენიმე თვის განმავლობაში, უცხო ქვეყანაში ხეტიალისა და წვალების შემდეგ, ზოგიერთები ისევ თავის ქვეყანაში ბრუნდებიან, მაგრამ ბრუნდება ორში ერთი, დანარჩენი კი გაჭირვებისა და შიმშილის გამო იხოცება“ (მესხი, 2000, 35).

ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ ამ მოვლენით შეწუხებული იყო ქართული ინტელიგენცია. ქართველი საზოგადო მოღვაწეები: ილია ჭავჭავაძე, იაკობ გოგებაშვილი, სერგეი მესხი, გიორგი გურიელი, გიორგი წერეთელი, გიორგი ყაზბეგი, ზაქარია ჭიჭინაძე - გამოდიოდნენ მუჰაჯირობის წინააღმდეგ და ყველა ღონეს ხმარობდნენ ამ პროცესის შესაჩერებლად.

1880 წლის ბოლოს ოსმალეთში ბათუმის ოლქიდან გაგზავნეს დელეგაცია ლომან-ეფენდი ქარცივადის მეთაურობით, რათა შეემოწმებინათ, თუ რამდენად სანდო იყო ოსმალთა ემისრების დაპირებები. ლომან-ეფენდი იმ დროს ცნობილი საზოგადო მოღვაწე გახლდათ, პატრიოტი იყო და მოსახლეობაშიც ავტორიტეტით სარგებლობდა. მან ჯერ კიდევ სტამბოლში ყოფნისას, საქართველოში გამოგზავნა დაშიფრული წერილი, რომელშიც მუსლიმან ქართველებს მოუწოდებდა, არ წასულიყვნენ ოსმალეთში.

ბათუმის ოლქში დაბრუნებულმა ლომან-ეფენდიმ მოლების თანხლებით ინახულა ბათუმის გუბერნატორი, გენერალი კომაროვი და განუცხადა, რომ მას სურდა ყოფილი ხელმწიფის ერთგული ყოფილიყო და შემოერთებული მიწების მოსახლეობა წაეყვანა თურქეთში, თუმცა, ახლა ხალხის იქ წაყვანა მათი განადგურების ტოლფასი იქნებოდა. ლომან ეფენდიმ ჯერ ერთგულება აღუთქვა რუსეთის იმპერატორს და მერე გუბერნატორს წარუდგინა ხალხის თხოვნა. მასში ჩამოყალიბებული იყო ის საკითხები, რომელთა შესრულებაზეც იყო დამოკიდებული გასახლების სრული შეწყვეტა: ხალხი ითხოვდა, რომ რუსებს სამოქალაქო და სისხლის სამართლის საქმეები გაერჩიათ ყურანისა და შარიათის საფუძველზე, არ მოეთხოვათ იმაზე მეტი გადასახადები, ვიდრე თურქეთის მთავრობის დროს იყო, არ მოესპოთ მეჩეთებთან არსებული სკოლები და იძულებული არ გაეხადათ ბავშვები, რუსულ სკოლებში ესწავლათ. არ გაეწვიათ

მუსლიმანი მოსახლეობა რუსულ ჯარში, მოხელეები ხალხს მოპყრობოდნენ ჰუმანურად და ა.შ. (მეგრელიძე, 1964, 12).

1880 წ. 5 აგვისტოს გუბერნატორმა გამოსცა საგანგებო ბრძანება. მასში ნათქვამი იყო, რომ ისლამის აღიარება დაშვებული იყო, მაგრამ მკაცრად იკრძალებოდა სისხლის აღება; შეურაცხყოფისა და ჩხუბის შემთხვევაში, მოსახლეობა ვალდებული იყო, მიემართა სასამართლოსთვის, სადაც დამნაშავენი დაისჯებოდნენ. რუსული მთავრობა მუსლიმან ქალებს ჩადრის ტარების ნებას რთავდა, გადასახადებიც იგივე რჩებოდა, რაც ოსმალთა ბატონობის დროს იყო, მაგრამ ნატურალური გადასახადი იცვლებოდა ფულადით და ამასთან - ღარიბი გლეხობა მთლიანად თავისუფლდებოდა გადასახადებისგან. რუსეთის მთავრობა არ ითხოვდა ჯარისკაცებს, მხოლოდ მხარის დასაცავად უნდა შექმნილიყო მილიცია, რომელშიც სამსახურისთვის ადგილობრივი მოსახლეობა ხელფასს მიიღებდა; მეჩეთებთან გაიხსნებოდა მედრესეები. იქნებოდა რუსული სკოლებიც, მაგრამ იქ სწავლა სავალდებულო არ იქნებოდა და სხვ.

გუბერნატორის ეს ბრძანება გამოცხადდა მურღულის ხეობაშიც. მას დიდი ინტერესით გაეცნო მოსახლეობა, გაჩნდა იმედი, რომ ხალხი დამშვიდდებოდა და უარს იტყოდა გადასახლებაზე. მართლაც 1880 წ. სექტემბრის დასაწყისისთვის მუჰაჯირობა ფაქტობრივად შეწყდა. შეიქმნა მილიცია, რომელსაც ევალებოდა ოლქში წესრიგის დაცვა. მოსახლეობამ გადაიხადა მიწის გადასახადიც - კომლზე საშუალოდ 2 მანეთი.

1878-1880 წწ. მუჰაჯირობის დროს ბევრი სოფელი საერთოდაც დაიცალა მოსახლეობისგან - მათი მცხოვრებნი ერთიანად გადასახლდნენ ოსმალეთში. 1882 წლის 3 თებერვალს, გადასახლების ოფიციალური ვადა საბოლოოდ ამოიწურა. რუსეთის მთავრობამ გასცა განკარგულება, ხელი არ შეეშალათ ბათუმის ოლქიდან გასახლებულთა ძველ საცხოვრებელ ადგილას დაბრუნებაზე, თუ ვინმეს ასეთი სურვილი ექნებოდა. მურღულიდან წასული მუჰაჯირების უმრავლესობამ ისარგებლა ამ შეღავათით და უკან დაბრუნდა. ოსმალეთში დარჩენილები კი სულთნის კარმა, ძირითადად, სტამბოლისა და იზმითის შემოგარენში დაასახლა.

ქართველი მოღვაწენი ამ უბედურების შინაურ მიზეზებზედაც მსჯელობდნენ და ამხელდნენ ადგილობრივებსაც, ადანაშაულებდნენ რა მათ პროცესისადმი

გულგრილ დამოკიდებულებაში: „თითქმის არც ერთი ფაქტით, არც ერთი სახსრით და ჩვენი მოქმედებით, ჯერ არ დაგვიმტკიცებია ამ ხალხისთვის, რომ ჩვენ ამათთვის ბედნიერება და სიკეთე გვსურს, რომ ჩვენ ნამდვილ ძმებად მიგვაჩნია ისინი და ვზრუნავთ მათთვის, და ამის შემდეგ რად უნდა გვიკვირდეს, რომ ისინი მიდიან ოსმალეთში, სადაც საქმით თუ ვერ უსრულებენ, სიტყვით ჰპირდებიან გაჭირვებულ მდგომარეობაში ხელის გამართვას და დახმარებას. ამაზე ყველა ქართველმა უნდა იფიქროს, რომ ნაპოვნი ძმა ხელახლა არ დაგვეკარგოს“ - წერდა სერგეი მესხი.

საგულისხმოა დიდი ილიას სიტყვები: „ახლად შემოერთებული აჭარელი მოსახლეობის მიმართ, რომელიც ასე ჟღერს „აბა, ქართველობავ, შენ იცი, როგორ დაანახვებ თავს შენს ახლად შემოერთებულ ძმებსა! ეხლა შენ იცი, როგორ დაუმტკიცებ ქვეყანას მამა-პაპათა ანდერძს: „ძმა ძმისთვისა და შავ დღისთვისაო!“ ეხლა გამოჩნდება, ეს ანდერძი შენთვის ცარიელი სიტყვაა თუ სავსე საქმე!“ (ჭავჭავაძე, 1955, 32).

ასევე, „სარწმუნოების სხვადასხვაობა ჩვენ არ გვაშინებს, ქართველმა თავისი სარწმუნოებისთვის ჯვარცმულმა, იცის პატივი სხვის სარწმუნოებისაც. ამიტომაც ჩვენს ისტორიაში არ არის მაგალითი, რომ ქართველს სურვებიყოს ოდესმე სხვისა სარწმუნოების დაჩაგვრა და დევნა. სომეხნი, ებრაელები, თვით მაჰმადიანნიცა, ჩვენ შორის მცხოვრებნი, ამაში ჩვენ ვერაფერს ვერ წაგვაყვედრებენ. სხვა ქვეყანაში სარწმუნოებისათვის დევნილნი და ჩაგრულნი - აქ ჩვენში ჰპოულობდნენ მშვიდობის მყოფელს სავანესა და სინდისის თავისუფლებას. არ გვაშინებს მეთქი ჩვენ ის გარემოება, რომ ჩვენ ძმებს, ოსმალს საქართველოში მცხოვრებთა, დღეს მაჰმადიანის სარწმუნოება უჭირავთ, ოღონდ მოვიდეს კვლავ ის ბედნიერი დღე, რომ ჩვენ ერთმანეთს კიდევ შევუერთდეთ, ერთმანეთი ვიძმოთ, და ქართველი, ჩვენდა სასიქადულოდ, კვლავ დაუმტკიცებს ქვეყანას, რომ იგი არ ერჩის ადამიანის სინდისს, და დიდი ხნის განშორებულს ძმას ძმურადვე შეითვისებს...“ („ოსმალს საქართველო“).

ქართველთა შრომისმოყვარეობამ, თავდაუზოგავმა ბრძოლამ ბედთან თუ ცხოვრებასთან, ის შედეგი გამოიღო რომ „ამჟამინდელი საცხოვრებელი მიწა, რომელიც ერთ დროს ტყეებით იყო დაფარული და გარეული ცხოველების სამყარო იყო, იყიდეს, ყოველი მხარე კეთილ მოაწყვეს და ისეთი ადგილებიც კი

გამოაცოცხლეს და ნოყიერი გახადეს, რომლებიც მიწათმოქმედებისათვის სრულიად გამოუსადეგარი იყო. ხუთი, ათი სულისგან შემდგარმა ოჯახმა, რომლებიც გაჭირვებით მოვიდა, მოკლე დროის განმავლობაში სული მოითქვა... და ისეთ კეთილდღეობას მიაღწია, რომ ადგილობრივმა მოსახლეობამ, რომლებიც აქ ადგილობრივ მინდვრებსა და მთებში საუკუნეებიდან მოყოლებული წლების მანძილზე მუშაობს, მხოლოდ ერთი-ორი მინდვრის მფლობელი მუჰაჯირი ქართველებისაგან სესხება დაიწყო. გარჯა და შრომა რას არ აკეთებს, რას“.

დღეისათვის მუჰაჯირთა შთამომავლები თურქეთის სხვადასხვა პროვინციებში ცხოვრობენ. მათ შემლეს, მეტნაკლებად მაგრამ მაინც, შემოენახათ ქართული კულტურა, ტრადიცია, ენა; მათი ცხოვრების გზის, მათ მეხსიერებასა თუ ყოფაში შემორჩენილი ქართული ელემენტების დაფიქსირება და შესწავლა, ვფიქრობთ, მნიშვნელოვანი მოვლენაა.

კვლევის მიზნები და ამოცანები. კვლევის მიზანია დუზჯეში მცხოვრები ეთნიკური ქართველების ენობრივი მასალის მოძიება, ჩაწერა და მისი შესწავლა ენობრივი თვალსაზრისით. ცნობილი ფაქტია, რომ ენა არის ცოცხალი ორგანიზმი, რომელიც დროის განმავლობაში იცვლება, იზრდება, ვითარდება... იცვლება ენის ლექსიკური ფონდი. ენაში შემოდის ახალი სიტყვები - ნეოლოგიზმები; გაურკვეველი ნაწილი კი, პირიქით, ხმარებიდან გადის; ამ ფენას არქაიზმებს ეძახიან. ენაში „უკანონოდ“ შემოდის და დამკვიდრებას ცდილობს ბარბარიზმები. ენის ლექსიკაზე მსჯელობისას აუცილებლად უნდა შევეხოთ დიალექტურ ფორმებსაც. ქართული ენა მდიდარია დიალექტური ფორმებით. დიალექტების ზომიერად გამოყენება უფრო საინტერესოს და მრავალფეროვანს ხდის ენას. ამის რამდენიმე ნიმუში გვაქვს სალიტერატურო ქართულში. ზემოთ აღნიშნული თვალსაზრისით მუჰაჯირთა მეტყველების ნიმუშები მეტად საინტერესო სურათს იძლევა.

საყურადღებოა ის ფაქტი, რომ ხანდაზმულ მთქმელთა ახსნით, ქართული მათი დედაენაა; რადგანაც დედა მათ ამ ენაზე ელაპარაკებოდა, ქართული ენით აიდგეს ენა... მათივე ახსნით, სკოლაში წასვლამდე ბევრმა მათგანმა თურქული არც იცოდა, რადგანაც ადრე ქართულ ოჯახებში საკომუნიკაციო ენა მხოლოდ ქართული იყო. სკოლაში იწყებდნენ ისინი სხვა ენის - თურქულის სწავლას. ბევრს დაწყებით

კლასებში საერთოდ არ ესმოდა მასწავლებლის თუ არაქართულენოვანი თანატოლების; ამის გამო, ხშირად შენიშვნებს, საყვედურებს იღებდნენ მათი მშობლები. თუმცა ფაქტია, რომ ისინი მაინც ახერხებდნენ თურქული ენის დაუფლებას, წარმატებით ამთავრებდნენ სკოლებს, უმაღლეს სასწავლებლებს, იქმნიდნენ კარიერას... ნიჭიერი და წარმატებული ქართველები ინიშნებოდნენ სხვადასხვა საპასუხისმგებლო თანამდებობებზე. ცხოვრებასთან ჭიდილში, ამ წარმატების სხვადასხვა ეტაპზე, ბუნებრივია, მათ უწევდათ ოჯახის, მშობლებისა და ქართული გარემოს დატოვება, დიდ ქალაქებში გადასვლა. მათ მეხსიერებაში ნელ-ნელა იბინდებოდა და, სამწუხაროდ, იკარგებოდა კიდევ ქართული ენა. მის ადგილს თურქული იჭერდა. რა თქმა უნდა, იყო კატეგორია, რომელმაც იმ დიდ თანამდებობებზეც მოახერხა ენის შენარჩუნება, მაგრამ ვერ ვიტყვით, რომ მათი რიცხვი დღეისათვის მაღალია.

და დღეს დუზჯეში მცხოვრები ეთნიკური ქართველები ქართული ენის ცოდნის მიხედვით, პირობითად შეიძლება ასე დავყოთ:

1. იციან ქართული ენა და ლაპარაკობენ ქართულად;
2. იციან, ესმით, მაგრამ ვერ ლაპარაკობენ;
3. ესმით, მაგრამ არ ლაპარაკობენ;
4. საერთოდ არ იციან (ბავშვები, ასევე, ახალგაზრდა და საშუალო ასაკის თაობა).

ამ ჯგუფებს შეიძლება დავამატოთ კიდევ ერთი, ყველაზე საინტერესო და მნიშვნელოვანი ჯგუფი ადამიანებისა, რომლებმაც არ იციან ქართული ენა, მაგრამ ბოლო წლებში არსებული თურქულ-ქართული კეთილმეგობრული ურთიერთობის გამო, აქვთ სურვილი ენას დაეუფლონ. ამ მიზნით, ისინი დუზჯეს ქართული კულტურის ასოციაციასთან არსებულ ქართული ენის კურსებზე ეუფლებიან ქართულ ენას (ამაზე უფრო დაწვრილებითაც მოგახსენებთ). მათი ასაკი შერეულია. ენის შემსწავლელ კურსზე ირიცხება 25 მსმენელი. ამათგან ყველაზე პატარა არის 6 წლის; ყველაზე უფროსი - 72 წლის; არიან ახალგაზრდებიც.

სარფის სასაზღვრო ჭიშკრის გახსნისა და საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ, როდესაც თურქულ-ქართული ურთიერთობის ახალი ხანა დაიწყო, მუჰაჯირთა შთამომავლებმა შეძლეს დაკავშირება საქართველოსთან; ეს მათ ცხოვრებაში მნიშვნელოვანი მოვლენა იყო. ბევრმა მათგანმა აისრულა ნანატრი

ოცნება და უფრო კი აასრულეს წინაპართა - დედის, მამის თუ ბებია-ბაბუის წმიდა თხოვნა, მუდარა-სურვილი, რომ სხვა თუ არაფერი, ისე მაინც ენახათ სამშობლო, შეეგრძნოთ საქართველოს ცისა და მიწის სურნელი... იმ წინაპართა ნაცვლადაც მოჰფერებოდნენ ოცნებაში ჩარჩენილ მემლექეთს. ასე მგონია, ჩვენებს, ჩვენებურ ქართველებს არასოდეს გაუწყვეტიათ ყველაზე ძლიერი - ფიქრითი, გონებითი კავშირები საქართველოსთან. მათ, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ქართულის გარდა, სხვა ენა არც იცოდნენ. ამის მიზეზი ის იყო, რომ აღარ მიუწვდებოდათ ხელი სწავლა-განათლებაზე და ოჯახურ გარემოში, ენაც უფრო სიცოცხლისუნარიანი იყო. ისინი სიზმრებსაც ქართულად ნახულობდნენ, ქართულად ქმნიდნენ ზეპირსიტყვიერების ნიმუშებს, ცეკვავდნენ, მღეროდნენ ქართულად, ქართულ ზნე-ჩვეულებებს, ტრადიციებს იცავდნენ; თუმცა, დრომ მაინც თავისი გაიტანა. და მაინც, დღევანდელი მდგომარეობა, აღდგენილი ფიზიკური კავშირები სამშობლოსთან, თავის ნაყოფს მოისხამს.

დუზჯეს საამაყოდ და თურქულ-ქართული ურთიერთობის საკეთილდღეოდ უნდა ითქვას, რომ 2013-2014 სასწავლო წლებში დუზჯეს უნივერსიტეტში გაიხსნა კავკასიური ენებისა და კულტურის განყოფილება, სადაც ჩერქეზული ენისა და ლიტერატურის გვერდით, ფუნქციონირებს ქართული ენისა და ლიტერატურის მიმართულებაც. საბაკალავრო საფეხურს 2016-2017 საწავლო წელს დაემატა მაგისტრატურაც. აღნიშნულ სპეციალობაზე ყოველ წელს იზრდება სტუდენტთა რაოდენობა, რაც იმაზე მეტყველებს, რომ ეს სპეციალობა თურქეთში მოთხოვნადი გახდა. დუზჯეს უნივერსიტეტში სასწავლო წლის განმავლობაში, ხშირად იმართება სამეცნიერო და შემეცნებითი ხასიათის ქართული ღონისძიებები - პოეზიის საღამოები, ქართული ენის სტუდენტთა კონფერენციები, შეხვედრები; ქართული ენისა და კულტურის პოპულარიზაციის კუთხით, მეტად ფასეულია „ქართული კალიგრაფიის კონკურსი“, რომელიც ყოველწლიურად ტარდება. ასევე, მნიშვნელოვანი აღმოჩნდა, უნივერსიტეტის ხელმძღვანელობით, 2017 წლის მაისში ჩატარებული სიმპოზიუმი, რომელიც მიემდგვნა შოთა რუსთაველის 800 წლის იუბილეს. დუზჯეს უნივერსიტეტმა, სხვა რამდენიმე ორგანიზაციის თანადგომით, სიმპოზიუმის მასალების ამსახველი კრებულებიც გამოსცა. ამას ყველაფერს ხაზგასმით

მხოლოდ იმიტომ აღვნიშნავთ, რომ მსგავსი კულტურული ურთიერთობები საზოგადოებაში თავის კვალს ტოვებს.

თურქულ-ქართული კეთილმეგობრული ურთიერთობის თვალსაზრისით, ასევე მნიშვნელოვანია დუზჯეს ქართული კულტურის ასოციაციის ღვაწლი. ასოციაციის მეოხებით ფუნქციონირებს ქართული ხალხური სიმღერისა და ცეკვის წრეები. ქართული კულტურის ასოციაცია დუზჯეში არის ქართველებისა და ქართული კულტურით დაინტერესებულ პირთა თავშეყრის ადგილი, სადაც ბევრი საჭირო და მნიშვნელოვანი ღონისძიება იმართება.

უნდა ითქვას, რომ ენობრივი სიტუაცია დღითიდღე იცვლება: ის თაობა, რომელთა საკომუნიკაციო ერთადერთი ენა ქართული იყო, უკვე აღარ არის. ქართული ენის კარგად მცოდნენი მოხუცებიღა არიან, რომელთა რიცხვიც მცირეა. მათ, რა თქმა უნდა, თურქულიც იციან, ორივე ენაზე თავისუფლად მეტყველებენ, თუმცა, მათ თურქულ საუბარში ქართული აქცენტი აშკარად შეინიშნება. საინტერესოა მათი მეტყველების თავისებურებანი და ის ქართული მასალაც, რაც მათ მეხსიერებას შემორჩა - შელოცვები, ანდაზები, ზღაპრები, ლეგენდები ... წინაპართაგან მონათხრობი თუ თავად მოსმენილი საინტერესო ამბები, რომელთა შორის მთავარი მაინც „ბათუმური ამბებია“.

ჩვენი კვლევის მიზანიც ამ მასალის გადარჩენა, დაფიქსირება და შესწავლაა, რამდენადაც, საანალიზო მასალა მეტად მრავალფეროვანია და ასევე მრავალმხრივ საინტერესო. მასში ინახება საქართველოს ერთ-ერთი ყველაზე მტკივნეული ეპოქის ისტორია, აჭარული დიალექტის უიშვიათესი ფორმები და ისეთი ძირძველი ქართული ლექსიკა, რომელიც ამჟამად არც სალიტერატურო ქართულში ჩანს, მისი მნიშვნელობა აჭარულ დიალექტშიც გაბუნდოვანებულია და ლექსემა მივიწყების პირასაა. ვფიქრობთ, მომავალი თაობა და საქართველო უნდა იცნობდეს ამ მასალას და იმ ხალხსაც, ვინც ის შემოგვინახა. უმნიშვნელოვანესია ასევე, დაკვირვება იმაზე, თუ დრო და სივრცე როგორ მოქმედებს ენის ფენომენზე.

ნაშრომი ენათმეცნიერული ხასიათისაა. თემის აქტუალურობიდან გამომდინარე, ჩვენ უპირველესად დავამუშავეთ მუჰაჯირობის ისტორიასთან დაკავშირებული სამეცნიერო ნაშრომები. გავეცანით ბევრ ლიტერატურას, რომელთა უმრავლესობა ბოლო პერიოდშია შექმნილი. რაც შეეხება თურქეთში გამოცემულ ჟურნალებს,

ყველასთვის ცნობილ „ჩვენებურებს“ და „მამულს“, ამ გამოცემებთან თავადაც ვთანამშრომლობდით. აღნიშნული ჟურნალების სხვადასხვა ნომერში ჩვენი სტატიები და იმდროინდელი მოძიებული მასალაა გამოქვეყნებული. საინტერესო აღმოჩნდა ადრე მოძიებული მასალის შედარება დღევანდელთან (მათ შორის შუალედი 20-25 წელია). წარმოდგენილი ნაშრომში გაანალიზებული მასალა ძირითადად ჩვენ მიერაა მოპოვებული. თურქეთის ქართულ ოჯახში, სოფელში, ქართულ გარემოში გაზრდილს, თავად მომისმენია საკუთარ ოჯახსა და ახლობლებში ბევრი საინტერესო მასალა თუ სიტყვა-ფორმა. მნიშვნელოვანია ის ფოტომასალაც, რომელიც ჩვენ მოვიძიეთ.

ნაშრომის თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობა. ნაშრომს აქვს დიდი თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობა. ის საინტერესო იქნება, უპირველესად, მეცნიერთა და ზოგადად კი მუჰაჯირ ქართველთა ენით, ისტორიით, კულტურით დაინტერესებულ პირთათვის. ნაშრომი დიდ დახმარებას გაუწევს როგორც ბაკალავრიატის, ასევე მაგისტრატურის სტუდენტებსაც. ნაშრომში წარმოდგენილი მასალა საინტერესოა ისტორიულ-ეთნოგრაფიული თვალსაზრისითაც.

კვლევის შედეგები. ნაშრომი წარმოადგენს დუზჯეს რეგიონში მცხოვრები ქართველების მეტყველების ანალიზს. კვლევის თვალსაზრისით, ქართული სამეცნიერო ლიტერატურა კიდევ ერთი მნიშვნელოვანი და საინტერესო ნაშრომით გაიზრდება. მეტად ფასეულია ის მასალა, რომელიც დანართის სახით ერთვის ნაშრომს. მასში მოცემული ინფორმაცია საინტერესო იქნება როგორც ენობრივი, ისე ისტორიულ-ეთნოგრაფიული თვალსაზრისითაც; იგი წარმოადგენს შეუქმნის მკითხველს მუჰაჯირთა ისტორიაზე, მათ ყოფაზე და იმაზეც, თუ როგორ მოქმედებს ეს ყველაფერი ენობრივ ფენომენზე; რა და როგორ შეიცვალა, თუ პირიქით, არ შეიცვალა მათი მეტყველება; რა ფაქტორი გახდა უფრო მნიშვნელოვანი ცვლილების დროს; ენის რომელი მხარე იცვლება უფრო მარტივად და რომელი ხდება უფრო მყარი; რა გავლენას ახდენს თურქული ლექსიკა ქართულ მასალაზე და პირიქით, რა ქართული გავლენა იჩენს თავს ქართულენოვანთა თურქულად მეტყველების დროს?

შესავალი

1. საკითხის შესწავლის ისტორია

მუჰაჯირთა ბედი - ქართველთა ხვედრი უცხო მიწაზე ყოველთვის წარმოადგენდა ქართველი საზოგადოების ინტერესს. აწუხებდა და აინტერესებდა საკუთარი სისხლ-ხორცის განაჩენი ქართველობას და მაინც, ეს საკითხები დღემდე არაა სათანადოდ შესწავლილი. ამის მიზეზიც ნათელია. დიდი ხნის განმავლობაში მუჰაჯირობის თემა ტაბუდადებული იყო. არსებული სიტუაცია არ იძლეოდა საკითხის საფუძვლიანად შესწავლის საშუალებას. დრო გადიოდა და მიუხედავად დიდი ისტორიული ქარტეხილებისა, ქართველი მაინც არ კარგავდა რწმენას, იმედს კვლავ შეყრისა და საუკუნეებით დაგროვილი ტკივილის გაზიარებისა. მიუხედავად არსებული სიტუაციისა, მაინც არსებობს - მ. არიფის, ე. დალეჯიო დ'ალესიოს, პ. მაგნარელას, ზ. ჭიჭინაძის, გ. ყაზბეგის, შ. ფუტკარაძის, ი. რაჭველიშვილის და სხვათა - ნაშრომები, კვლევები, IXX-XX საუკუნეთა ჟურნალ-გაზეთებში გაფანტული წერილები - თურქეთში მიმობნეულ ქართველთა შესახებ.

ერთ-ერთი ცნობა თურქეთში მცხოვრები ქართველების შესახებ, მეცხრამეტე საუკუნის 90-იანი წლებისაა და ეკუთვნის თურქ ავტორს - მეჰმედ არიფს, რომლის ბიოგრაფიული ცნობები არაა შემონახული. „ქართული სოფლები“ - ასე ჰქვია მის ნაშრომს. ავტორს უმოგზაურია შავი ზღვის სანაპიროზე მდებარე ქართულ სოფლებში და გამოკითხვისა თუ დაკვირვებების გზით აღუწერია ქართველთა ყოფაცხოვრება, ადათ-წესები. აღნიშნული მასალა ოსმალურიდან თურქულ ენაზე თარგმნა და გამოსცა ფაჰრეთინ ჩილოღლუმ (ჩილოღლუ, 2002); ხოლო მასალაზე დაყრდნობით ვრცელი კვლევა ეკუთვნის მ. სვანიძეს (სვანიძე, 1996).

მეჰმედ არიფი თავის ჩანაწერებში ეხება შავიზღვისპირეთში დასახლებული მუჰაჯირი ქართველების ენობრივ სიტუაციასაც. ავტორის თქმით, „ქართული ენა მეტად ტკბილია. ამ სოფლებში არსებული ქართული ენის მდგომარეობის შესახებ, ჩემ მიერ ჩატარებული გამოკითხვის შედეგად შევიტყვე, რომ იგი მდიდარია ... ამბობენ, რომ დამწერლობა აქვთ, მაგრამ სოფლებში მშობლიურ ენაზე წერა არავინ არ იცის. როგორც მითხრეს, თავიანთი ენა კარგად იციან - წერენ და კითხულობენ ქობულეთელები (სვანიძე, 1996, 112).

საანალიზო თემასთან დაკავშირებით ნაშრომი ეკუთვნის იტალიელ მოგზაურს ევგენი დალექიო დ'ალესიოს „ქართველები კონსტანტინოპოლში და სპარსეთში“ (1921 წელი). მოგზაური ფლობს ქართულ ენას და ინტერესდება თურქეთში გადახვეწილი ქართველებით. „ეროვნული შეგნება ქართველ მუსლიმანებში საერთოდ არ არის განვითარებული, რადგან სჯულის ფანატიზმს მარადის დაუქვეითებია იგი. თუმცა სისტემატურად თურქიზმი სპობს მას, მაგრამ პრაქტიკულად კი, ეროვნული გრძნობა დღესაც ძალზე ცოცხალია მათში. საერთოდ, ყველანი ამყობენ, რომ გურჯები ქართველები არიან და თუ სადმე, ან თავიანთში ქრისტიან ქართველს შეხვდნენ, საზოგადოდ, გარეგნულად მაინც პატივს სცემენ და შეგნებულნი კი, ყოველნაირ დახმარებასაც აღმოუჩენენ თუ შესაძლებელია“ (დ'ალესიო, 1991, 14). ნაშრომში განსაკუთრებით საინტერესოა ის ადგილი, სადაც ავტორი ეხება კონსტანტინოპოლში მცხოვრები ქართველების ენობრივ სიტუაციას: „ქართველთ სამშობლო ენა მაინც დღემდის შემონახული აქვთ, თუმცა ოსმალეთის მთავრობა იმათ გათურქებას ძალიან ცდილობს. ქართველ მუსლიმანთა სოფლებში ყველა ოჯახის ენა ქართულია, რადგან ქალი საზოგადოებაში ვერ გადის და ასე თუ ისე თურქებთან დიდი მიმოსვლა არა აქვს. სამშობლო ენა დღემდის დაცულია; მხოლოდ დღეს ქართულ ენასაც დიდი განსაცდელი მოელის“ (დ'ალესიო, 1991, 14).

„ნარკვევები ჩურუქ-სუზე და ბათუმზე“ ეკუთვნის ფრენკელს. ნაშრომში არის მასალა ქართული მოსახლეობის გადასახლების შესახებ (ფრენკელი, 2012, 189).

მრავალმხრივ საინტერესოა მ. ილდიზთაშის ნაშრომი „ქართველები ოსმალურ საარქივო დოკუმენტებში“ (ილდიზთაში, 2012).

მუჰაჯირობის საკითხების კვლევისას, განსაკუთრებით აღსანიშნავია ზაქარია ჭიჭინაძის ღვაწლი (რომელსაც სადისერტაციო ნაშრომი მიუძღვნა ე. ბუბულაშვილმა; 1987); მისი დამსახურებაა მუსლიმი ქართველების დედასამშობლოსთან ინტეგრაცია თუ აჭარის კულტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობაში ჩართვა (ე. ბუბულაშვილი, 1987).

მეტად მნიშვნელოვანია ზაქარია ჭიჭინაძის „ქართველ მაჰმადიანთა დიდი გადასახლება ოსმალეთში. მუჰაჯირი - ემიგრაცია“ (ჭიჭინაძე, 1912). ავტორი ვრცლად მსჯელობს, თუ რა უბედურება დაატეხა თავს მუჰაჯირობამ ქართველ ეთნოსს, როგორ დაიცალა ქართული სოფლები ... მეტად მნიშვნელოვანია

მუჰაჯირთა მიერ ოსმალეთიდან 1888-1890 წლებში გამოგზავნილი წერილები, რომელთაც ზაქარია ჭიჭინაძე აქვეყნებს. ავტორი ეხება სამცხე-ჯავახეთიდან, ფოცხოვიდან, შავშეთიდან, იმერხევიდან, ლაზეთ-ჭანეთიდან, ქობულეთიდან, მაჭახლიდან, მარადიდიდან, აჭარიდან გადასახლებულთა თაობაზე (ჭიჭინაძე, 1912, 65-73); ავტორის შენიშვნით, გადასახლებისას აგიტაციას ეწეოდნენ ქართველი მაჰმადიანები, ხოჯები, ბეგები (იქვე, 38-54); აქვე აქვეყნებს 1877 წელს შედგენილ მოწოდებას - „ქადაგებანი გადასახლების შესახებ“ (იქვე, გვ.: 177-182). ერთგან ვკითხულობთ: „გვაშინებდნენ, ადექით, წადით, თორემ გაგაქრისტიანებენო. ჩვენც დავიჯერეთ და გავიქეცით, განვლო დრომ. ყოველივე დაწყნარდა, არც არავინ გააქრისტიანეს, არც არავის ამისთვის ძალა დაატანეს, ჩვენ კი დავიღუპებით ჩვენის ქვეყნიდან, ჩვენის ოჯახიდან“ (ჭიჭინაძე, 1912, 55).

ზაქარია ჭიჭინაძის ნაშრომები მუჰაჯირობაზე შესწავლილი აქვს ბ. ხორავას (ხორავა, 2014, 20). მისივე შენიშვნით, ზაქარია ჭიჭინაძემ ფეხით შემოიარა ჭოროხისა და მტკვრის აუზის ისტორიული ქართული პროვინციები და ქართველ მაჰმადიანთა ოსმალეთის იმპერიაში გადასახლების შესახებ დიდძალი მასალა შეაგროვა. მკვლევარი შეეცადა, დაედგინა გადასახლების მიზეზები, გადასახლებულთა რაოდენობა, შეაგროვა ცნობები მათი ყოფა-ცხოვრების შესახებ. ზაქარია ჭიჭინაძის ნაშრომი ძალიან საინტერესოა მასში დაცული ფაქტობრივი მასალის გამო (ხორავა, 2014, 27). ასევე მნიშვნელოვანია ზ. ჭიჭინაძის ცნობები იმ ქართველ მოღვაწეთა შესახებ, ვინც წინ აღუდგა გადასახლებას; მათ შორის არიან: მუფთი ახმედ ეფენდი ხალიფაშვილი, შერიფ-ბეგ ხიმსიაშვილი, თუფანბეგ შარვაშიძე, ქორ-ჰუსეინ ბეგი, ახმედ ეფენდი ხალვაში, გულო-ალა კაიკაციშვილი, დედე-ალა ნიჟარაძე, აბდულ ეფენდი მიქელაძე, ჰასან ციციშვილი, ნური ეფენდი ბერიძე და სხვანი. ცნობილია, რომ გადასახლებულთა სამშობლოში დასაბრუნებლად დიდი მუშაობა ჩაატარეს ქართველმა მოღვაწეებმა; ქართულმა პრესამ ფართო კამპანია გააჩაღა მუჰაჯირობის წინააღმდეგ. ამის შედეგად გადასახლების პროცესი შენედა და მუჰაჯირთა ნაწილი სამშობლოში დაბრუნდა. ზ. ჭიჭინაძე ვრცლად ეხება ქართველ მამულიშვილთა - გრიგოლ გურიელის, გიორგი წერეთლის, სერგეი მესხის, ილია ალხაზიშვილის, პეტრე უმიკაშვილის, ახალციხელი კათოლიკე მიხეილ მეფისოვის, სოლომონ ასლანოვის (ბავრელი), ნიკო ნიკოლაძის, ილია ჭავჭავაძის, ალექსანდრე

ციფშიძის, იონა მეუნარგიას (ლელი), თედო სახოკიას, იაკობ ფანცხავას, სიმონ იოსელიანის, ლუკა ანდლულაძის, ლევან მჭედლიშვილის (კრაზანა), პავლე მჭედლისვილის, ივანე ჯაიანაის, ნიკოლოზ მესხიევიოსა და სხვათა ღვაწლს. ზაქარია ჭიჭინაძემ მათ „ქართველ მაჰმადიანთა მოსარჩლენი“ უწოდა. ამ მოღვაწეთა სიას ზ. ჭიჭინაძის სახელიც უნდა დაემატოს (ხორავა, 2014, 27).

მუჰაჯირობის საკითხებს ეხება ს. მესხის „წერილები აჭარაზე“. მასში ავტორი მთქმელებზე დაყრდნობით გვაწვდის ინფორმაციას მუჰაჯირობის პროცესზე, მიზეზებზე. აღნიშნული ჩანაწერები მნიშვნელოვანი წყაროა მუჰაჯირობით დაინტერესებულ მკვლევართათვის (მესხი, 2000).

მუჰაჯირობის საკითხებია განხილული შ. მეგრელიძის ნაშრომებში „აჭარის განთავისუფლება თურქთა ბატონობისაგან“ (მეგრელიძე, 1956) და „აჭარის წარსულიდან, მუჰაჯირობა 1878-1882 წწ.“ (მეგრელიძე, 1964), სადაც ავტორი მსჯელობს გადასახლების მიზეზებზე, ხელშემწყობ ფაქტორებზე, გადასახლებულთა რაოდენობასა და გადასახლების ცალკეულ საკითხებზე.

მუჰაჯირთა თემას ეხებიან: ემილ ეფენდი (იგივე ე. ნაკაშიძე. მოგზაური ინფორმაციას გვაწვდის (1909) ორდუს ქართველებზე), ვ. სიჭინავა წიგნში „ბათუმის ისტორიიდან“ (სიჭინავა, 1959), ი. სიხარულიძე (სიხარულიძე, 1959), ა. ბენდიანიშვილი (ბენდიანიშვილი, 1999).

მუჰაჯირთა შესახებ სამეცნიერო ნაშრომთა რაოდენობა განსაკუთრებით გაიზარდა მეოცე საუკუნის 90-იან წლებში, მას შემდეგ, რაც თურქეთ-საქართველოს შორის ურთიერთობა მნიშვნელოვნად შეიცვალა. ქართველი მეცნიერები, თუ მეცნიერთა ჯგუფები, აწყობენ ექსპედიციებს და სხვადასხვა მიმართულებით იკვლევენ მუჰაჯირ ქართველთა ისტორიასა თუ კულტურას. ამ მხრივ საყურადღებოა ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერთა ექსპედიციები თურქეთში. ამის შედეგია ის, რომ ბოლო პერიოდში საგრძნობლად იმატა მუჰაჯირობის თემაზე დაწერილმა სამეცნიერო ლიტერატურამ.

ამ მხრივ, ჩვენ გამოვყოფდით პროფ. შუშანა ფუტკარაძის ღვაწლს. ქალბატონმა შუშანა ფუტკარაძემ დიდი ამაგი დასდო თურქეთელი ქართველების ენისა თუ ყოფა-ცხოვრების შესწავლას. მან თავისი ღვაწლით თურქეთელი ქართველების დიდი

სიყვარული და პატივისცემა დაიმსახურა. თურქეთის ქართულ სოფლებში მოგზაურობის პერიოდში შუშანა ფუტკარაძემ შეკრიბა უმნიშვნელოვანესი მასალა და წიგნად გამოსცა სახელწოდებით - „ჩვენებურების ქართული“. მის მიერ თურქეთში მცხოვრები ქართველებისგან მოძიებულ სასაუბრო ტექსტებში, ზღაპრებში, ანდაზებში, შელოცვებში, ლეგენდებში ჩვენებურების სულიერი და მატერიალური ცხოვრების მრავალფეროვანი სურათი იშლება. წიგნი მრავალმხრივია საინტერესო, განსაკუთრებით კი ენათმეცნიერული თვალსაზრისით. საყურადღებოა, რომ აქ დაფიქსირებული ენობრივი ფორმები არ ჩანს ქართულ სალიტერატურო ენაში, უფრო მეტიც, ჟამთა სვლამ უკვე ის ქართულიც წაშალა ჩვენებურთა გონებაში და ამჟამად არც იქ არ ისმის ...

ისტორიულ-ეთნოგრაფიული თვალსაზრისით მეტად მნიშვნელოვანია, მუჰაჯირთა თემაზე შექმნილი როლანდ თოფჩიშვილის ფუნდამენტური ხასიათის ნაშრომები, მათ შორის - „ისტორიულ-ეთნოგრაფიული სამხრეთ საქართველო და ქართველები თურქეთში“ (თოფჩიშვილი, 2017).

მეტად ფასეულია ავთანდილ ნიკოლეიშვილის ნაშრომები: „ქართულენოვანი ზეპირსიტყვიერება და მწერლობა თურქეთში“ (ნიკოლეიშვილი, 2015); „თურქეთის შავიზღვისპირეთში - ქართველ მუჰაჯირთა შთამომავლებთან“ (2016); ჯუმბერ ვარდმანიძის „მუჰაჯირობა სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში“ (ვარდმანიძე, 2013); ნ. შოშიტაიშვილის „საქართველოს საძიებლად თურქეთში“ (შოშიტაიშვილი, 2017); მალხაზ ჩოხარაძის „ქართული ენის გეოგრაფია თურქეთში; მარმარილოს ზღვის რეგიონი“ (ჩოხარაძე, 2016); მამია ფაღავას „მუჰაჯირთა შთამომავლებთან“ (ფაღავა, 2016); ინგა ლუტიძის მონოგრაფია „ქართველები თურქეთში - ენობრივი ვითარება“ (ლუტიძე, 2016);.

მუჰაჯირობის თემას ეძღვნება სადისერტაციო ნაშრომები:

ნინო ოქროსცვარიძის „ოჯახი და საოჯახო ყოფა თურქეთელ ქართველებში (ინეგოლის რაიონის სოფელ ჰაირიეს მოსახლეობის მაგალითზე)“ (ოქროსცვარიძე, 2014); ნაშრომი წარმოადგენს ისტორიულ-ეთნოგრაფიული ხასიათის კვლევის მცდელობას თურქეთში, ინეგოლის სოფელ ჰაირიეს ეთნიკური ქართველების „ნათესავით ქართველთა“ ყოფის მაგალითზე.

ნანი ფუტკარაძის „ქართველი მუჰაჯირები თურქეთის შავიზღვისპირეთში“ (ფუტკარაძე, 2017).

აღსანიშნავია, თურქეთის ქართული დიასპორის ღვაწლი ქართული ენის და ზოგადად ქართული თვითმყოფადობის გადარჩენის საქმეში; ამის ნათელი ნიმუშია აჰმედ (ოზგან) მელაშვილი. აჰმედ მელაშვილმა წარუშლელი კვალი დატოვა ჩვენებურთა ეროვნული თვითშეგნების გამოღვიძების საქმეში, ამიტომაც მან საპატიო ადგილი დაიმკვიდრა საქართველოს ისტორიაში; „აჰმედ ოზგანმა მისაზამ სახელთან ერთად ისეთი დიდი შემოქმედებითი მონაპოვარი დაუტოვა შთამომავლობას, რომლის კვალს საუკუნეებიც კი ვერ წაშლის. მან თურქულ ენაზე დაწერა საქართველოს ისტორია, დაგვიტოვა მხატვრული ნაწარმოებების თარგმანები. მთელი სიცოცხლის მანძილზე აგროვებდა თურქეთში მცხოვრები ქართველების მუსიკალურ და ფოლკლორულ ნიმუშებს. თურქულად თარგმნა, შოთა რუსთაველის უკვდავი „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის დიდი ნაწილი. იგი მთელი არსებით იღვწოდა თურქი და ქართველი ხალხის კულტურული ურთიერთობების გაუმჯობესებისათვის. შემთხვევითი არაა, რომ მას დიდ ილია ჭავჭავაძეს ადარებენ. ილიას მსგავსად, აჰმედ მელაშვილი თავდაუზოგავად იღვწოდა მშობლიური ენისა და კულტურის გადასარჩენად. სამწუხაროდ, მისი ცხოვრების ბოლოც ილიასავით ტრაგიკული აღმოჩნდა (მალაყმაძე, 2010). აჰმედ მელაშვილის თანამედროვე და თანამებრძოლი იყო ვახტანგ მალაყმაძე, იგივე ჰაირი ჰაირიოღლუ, თურქეთში ქართველი მეცნიერი და საზოგადო მოღვაწე - აჭარელ მუჰაჯირთა შთამომავალი.

აღსანიშნავია მურათ ქასაფის ნაშრომი "Osmanlı Gürcüler", Murat Kasap, Istanbul, 2010 („ოსმალეთის ქართველები“).

ფაჰრეთინ ჩილოღლუმ (იგივე ფარნა ჩილაშვილი), თურქულ ენაზე თარგმნა და შემდგომ გამოსცა მეჰმედ არიფის ნაშრომი „ქართული სოფლები“; ასევე თარგმნა და წიგნად გამოსცა „წერილები ბორჩხიდან“ (2002), რომელიც რუსეთ-თურქეთის ომის დროს (1877-78), ჭოროხზე მყოფი რუსეთის ჯარის ოფიცრის ი. ჯაიანის მიერ „დროებასა“ და „ივერიაში“ გაგზავნილი წერილების ნაკრებია. ფაჰრეთინ ფარნა ჩილაშვილის რედაქტორობით გამოდიოდა, თურქულ-ქართული, ორენოვანი ჟურნალი „ფიროსმანი“. ფარნა ჩილაშვილი გარკვეული პერიოდი ხელმძღვანელობდა ჟურნალ „ჩვენებურს“, გამოსცა ჟურნალი „მამული“ (გამოვიდა

ხუთი ნომერი); ავტორია წიგნისა „ქართველი ერის ისტორია - ენა, რელიგია, ლიტერატურა, ხელოვნება“ (1993), თარგმნა დ. ლანგის „ქართველები“ ...

მუჰაჯირობის საკითხებით დაინტერესებულ პირთ დიდ დახმარებას უწევს, ასევე ქართული დიასპორის მიერ შექმნილი ორენოვანი (თურქულ-ქართულ) ინტერნეტ რესურსები: www.gurcu.org და www.cveneburi.net.

დრო გადის და ჟამთასვლას თავისი კანონები აქვს; მიდიან თაობები, რომლებმაც შვილებს, შვილიშვილებს ყველაზე ძვირფასი, „საღვთო რამ“ - დედაენა შემოუნახეს. ამ განძის დაცვა, მასალის დაფიქსირება კვლავაც საშური საქმეა; მიუხედავად ზემოთ თქმულისა, საკვლევი ძალიან ბევრია.

2. დუზჯეში ჩამოსახლებული ქართველების ისტორია

თურქეთში ქართველებით დასახლებული ადგილების შესახებ არსებობს სხვადასხვა მონაცემები. გადასახლებული ქართველები ცდილობდნენ ტყიან, წყლიან და ბუნებით მდიდარ ისეთ ადგილებზე დასახლებულიყვნენ, რომლებიც მათ საქართველოს მოაგონებდათ. ერთ-ერთი ასეთი ადგილი არის **დუზჯეს პროვინცია** - შავი ზღვის რეგიონი. ის მოიცავს 8 რაიონს. მართალია, დუზჯე ვაკე ადგილია (ამაზე მისი თურქული სახელწოდებაც მიგვანიშნებს), მაგრამ სოფლები სადაც მუჰაჯირ ქართველთა შთამომავლები ცხოვრობენ არის მაღლობი, მთიანი, მწვანეში ჩაფლული ადგილები, რომლებიც მართლაც საოცრად ჰგავს მშობლიურ აჭარას - დედასაქართველოს.

დუზჯეს რაიონებია: **აქჩაქოჯა, იდილჯა, ჯუმაიერი, ჩილიმლი, გოლიაქა, მუნჯურლუ, ქაინაშლი** და ცენტრალური რაიონი - **დუზჯე**.



ისტორიული დოკუმენტების მიხედვით, 1918 წელს დუზჯეს მოსახლეობის რაოდენობა ყოფილა 60200; ამათგან 24723 - თურქი, 9813 - ჩერქეზი, 6914 - აბაზა, 4891 - Rumeli თურქები (ტყვეები ?) 1242- თათრები (ყირიმელი),747- ქურთები, **3225 - ლაზები და გურჯები**, 6405 - ბოშა, 90 - ბოშნაკები, 705 - კოპტები.

როგორც ვხედავთ, საინტერესო სურათს ქმნიდა მოლაპარაკეთა ნაირგვარობა. როგორც შენიშნავენ, ყველა ჩამოთვლილი ეთნოსი საკუთარ ენაზე ლაპარაკობდა...

პროფ. ალი ერთუღრული ვრცლად მსჯელობს ისტორიულ იმ ცნობებზე, რომლებშიც დუზჯეს შესახებაა ინფორმაცია დაცული. ერთგან შენიშნულია, რომ ლაზ-გურჯები დუზჯეს ტერიტორიაზე, კერძოდ იილჯას სოფელში 1831 წლის აღწერის დოკუმენტებშიც არიან დაფიქსირებულნი. ამ დროის მოსულებად ივარაუდება „ქირიქ ქოს“ (იილჯას რ.) მოსახლეთა ის ჯგუფი, რომლებიც თავს გურჯებად თვლიან, ამბობენ რომ გურჯები არიან, მაგრამ უფროს თაობასაც აღარ ახსოვთ ქართული ენის მცოდნენი და არანაირი ქართული წეს-ჩვეულება მათში აღარ შემონახულა ... (ალი ერთუღრული, 2013)

დუზჯეში მცხოვრებ ქართველთა დიდი ნაწილი პირდაპირ ბათუმიდან თუ აჭარის სხვა კუთხიდან კი არ არიან მოსულები, არამედ ისინი ჯერ გირესუნში ან ორდუში გადმოსულან, შემდეგ იქიდან დუზჯეში და აქ დამკვიდრებულან.

1928 წლის დოკუმენტების მიხედვით, ქართული სოფლების ჩამონათვალი ასეთია: გურჯუ ჰუსეინ ალა ქოი (ჩილიმლი), ჰამამუსტუს გურჯულერ ქოიუ, ასარ გურჯუ ქოიუ, გურჯუ ჰიზარდერე, ქირაზლი ქოიუ....

დუზჯეს ცენტრში არის ერთი მაჰალე, რომელიც აღნიშნულ წლის საბუთებში დადასტურებულია სახელით **გურჯუ მაჰალესი**; ამ უბანში დღესაც ბევრი ქართული ოჯახი ცხოვრობს და ამ უბნის ძველი სახელიც ბევრმა იცის.

1890 წლის დოკუმენტების მიხედვით, აქჩაქოჯას სოფლებში (მესექოი და ლაჩნა) გურჯებთან ერთად ნახსენები არიან მეგრელები (და არა ლაზები), რომლებიც ბათუმიდან ჯერ ტრაპიზონში მოსულან და შემდეგ კი აქჩაქოჯაში...

დუზჯეს პროვინციაში 23 ქართული სოფელია (ჩოხარამე, 2016, 289). ამ სოფელთა დიდ ნაწილში, ძირითადად, აჭარისწყლის ხეობიდან (ხულოს, შუახევის და ქედის რაიონები) და ბათუმიდან გადასახლებულ მუჰაჯირთა შთამომავლები სახლობენ, მხოლოდ ორიოდე დასახლებაა მაჭახლელებისა და ნიგალელების. მათი ფუძე სოფლებია: ღორჯომი, ჭალა, ზემოხევი, ბრიალი, ახალდაბა, წონიარისი, გონიო, მირვეთი და სხვა (ჩოხარამე, 2016, 289).

ეთნიკურად ქართველებით დასახლებული სოფლებია:

დუზჯეს რაიონი: აიდიფინარი (აჭარა)“, ასარი (აჭარა), გოლორმანი (აჭარა), დოღანლი (აჭარა), იეშილჩამი (აჭარა), მუნჯურლუ (აჭარა - შუახევი, ხულო), მუსაბაბა (აჭარა - შუახევი), ფინდიქლიაქსუ (აჭარა), ჩაქირჰაჯიიბრაჰიმი (აჭარა), ჩიფთლიქოი (აჭარა - შუახევი, ხულო), შიმშირი (აჭარა).

აქჩაქოჯას რაიონი: დოღანჯილარი (აჭარა), ესმეჰანიმ (აჭარა), მელენაღაზი (აჭარა - ბათუმი), უღურლუ (აჭარა), ჩიჩეკფინარი (კლარჯეთი - ნიგალი).

ჩილიმლის რაიონი: იეშილ მაჰალესი (აჭარა - მაჭახელი), იეშილთეფე (აჭარა), მაჰირალა (აჭარა), ჰიზარდერე (აჭარა).

გოლიაქას რაიონი: ჰამამუსტი (აჭარა - ქედა), ჰაჯიიაქუფი (აჭარა).

ილილჯას რაიონი: ქირიქ (აჭარა).

**ფრჩხილებში მითითებულია ის ადგილები, საიდანაც, მთქმელთა განმარტების მიხედვით, ეს მოსახლეობა ჩამოსულა.

წმიდა აფხაზური ან წმიდა ქართული სოფელი, ანუ სოფელი სადაც ეთნიკურად მხოლოდ ქართული ან მხოლოდ აფხაზი მოსახლეობა იყოს, არ არის. „ქართულ სოფელს“ პირობითად ვამბობთ იმ შემთხვევაში, თუ აქ მოსახლეობის უმრავლესობა ეთნიკურად ქართული წარმომავლობისაა. თუმცა ზოგჯერ გურჯი მთქმელები ხაზგასმით მიუთითებენ, რომ „აქ პილველაი ჩვენი დეედები მოსულანო; სხვა არავინ იყვენ მარტვეი გურჯები ვიყავით, მემრე გევერიეთ კუდიანებსო...“. ერთ-ერთი ასეთი სოფელია გურჯუ ჩიფთლიქი.

გურჯუ ჩიფთლიქი - მდებარეობს ქალაქებს დუზჯესა და იაღლიჯას შორის. საქართველოდან წამოსულმა სოფლის მცხოვრებლებმა ახლად დაარსებულ სოფელს გურჯუ ჩიფთლიქი (ქართული სოფელი / მეურნეობა) უწოდეს. აი, როგორ აღწერს საქართველოდან, სოფელ ახოდან გადმოსახლებული 80 წლის სელიმ მაჰაჰიროღლუ გადმოსახლების ამბებს: „ჩვენ სტამბოლში გემით ჩავსულვართ. გემს დუზა ბათუმში 112 ერთი თვით ჩაუშვია და იქ გაჩერებულა. ვისაც სურდა წამოვიდა, ვისაც არა - საქართველოში, სოფელ ახოში დარჩა. სახელმწიფომ ჩვენ ადგილი ადანაში გამოგვიყო. ჩვენ ის ადგილები მივატოვეთ და ჩვენი ხარჯებით დუზჯესთან დავსახლდით. ეს ადგილები მამაჩემს 60 ოქროდ შეუსყიდია. ზოგიერთი ჩვენი ნათესავი იზმითში და სხვა სოფლებში დასახლებულან. მათთან მიმოსვლა და ურთიერთობა ახლაც გვაქვს“ (ჩელები, 2003).

მუნჯურლუ - სოფელში მოსახლეობის 40% ქართველია. სოფელ მუნჯურლუს შემადგენლობაში შედის 5 უბანი (მაჰალე). ესენია: ბესნი, შაფსი, იშიქ მაჰალესი, ელმალიქ მაჰალესი, ესას მერქეზ მაჰალესი. მუნჯურლუს ქართველობა ღორჯომიდან, შუახევიდან და ჭვანიდან მოსულთა შთამომავლები არიან.

ჩიფთლიქი - აჭარლების სოფელია: შუახევი, ახალდაბა, ქედა, ჩვანა (ჭვანა), ქობულეთი. აქ ცხოვრობენ: მაკარაძე (მაკარაშვილები), ბერიძე, კობალაძე, კირხველა (კირხველი/კირჩხელი?). სოფელ მშირში მაჰმუდ მერჯანი/კობალაძის გადმოცემით: „ორმოცი სახლია ქართველების: შირინოღლი, ჯემტეროღლი, ხილაძე, კოკოლოღლი (ქარცივაძე), ასტანოღლი, კობალაძე, კარაბდოღლი“ (ფაღავა, 2016, 427-428).

იეშილთეფე - დუზჯედან 15 კილომეტრშია. თახსინ ბირინჯის გადმოცემით, სოფელში ცხოვრობენ: ბირინჯოღლი, სეიდოღლი, ქაზანჯოღლი, ქარაქოშანოღლი, ქოშანოღლი, შავშეთლი. „აგინი ლაყაბებია, იქიდან მოსული ლაყაბები. სოფელში

იუზალთი (106) ოჯახია, აჭარლები ვართ. დედეი იქიდან მოვდა“ (ფაღავა, 2016, 430). ჩამოთვლილი სახელები, რა თქმა უნდა, გვარები არაა. ასეთ შერქმეულ სახელებშიც მათი წარმომავლობის სახელებია მეტსახელად ქცეული და თითოეულ მეტსახელს კი თავისი წარსული „ისტორია“ აქვს.

მახირაღა (დუზჯეს პროვინცია - ჩილიმლის უბანი) - სოფელში 70-მდე ოჯახია, აქედან 20% ქართული. ხუსეინ გელაძის (ქურთი) გადმოცემით: „ბათუმიდან წამოსულებს ამბობენ ჩვენზე, აჭარიდან. გელოღლი, ოდაბაშოღლი, ჯემტეროღლი, ჰელიმოღლი, ბაირაქი. მეტი არაა“.

ჩიჩეფინარი - სოფელი მდებარეობს დუზჯეს ილის აქოჯას ილჩეში - 80-მდე ოჯახია, ქართული არ იციან (ფაღავა, 2016, 431).

ეფთენი (გოლიაქას ილჩე) სოფელ ჰამამუსთუს და ჰაჯი იაქუფის შემოგარენს ჰქვია. ეფთენის ქართველების უმეტესობა აჭარისწყალზე მდებარე სოფელ წონიარისიდანაა წასული. ასევე იხსენებენ ზეგანს, ქედას, ზვარეს, ლოდას, გულებს, ვანს და ა. შ. ზუსტად არავინ იცის, ქართველებმა როდის აითვისეს ეფთენის მიწები. გადმოცემით იციან, რომ 1877-1878 წლების შემდეგ, წონიარისელები გადასახლდნენ ეფთენში. როგორც თვითონ ყვებიან, ისინი ჯერ სტამბოლში, შემდეგ კი აქაქოჯაში, სინოპში, სამსუნში, ორდუსა და გირესუნში ჩაიყვანეს. მიზანი მათი გაფანტვა კი არა, ბათუმთან დამაკავშირებელი პორტების განახლება იყო. როგორც იმ დროის ქართული პრესა („კავკაზი“, „დროება“, „ივერია,“) იუწყებოდა: „ადამიანებმა ჩალის ფასად გაყიდეს მიწა და ყველაფერი, რაც კი ხელთ ჰქონდათ. ჩავიდნენ პორტებში და თვეების განმავლობაში გემებს ელოდებოდნენ, ამ ლოდინში ბევრს ფული გაუთავდა და გამოუვალ მდგომარეობაში ჩავარდა“. წონიარისელების ერთი ნაწილი გემ „იავუზით“ გირესუნის პორტში ჩავიდა და ქემაფის ილჩეში დასასახლებელი ადგილის ძებნას შეუდგა“.

დუზჯეს პროვინციის სოფელ ეფთენში ცხოვრობენ: ჩელები - ჩელებიოღლები (ჩელებაძეები), იავუზები-საქალარი (ისმაილაძეები), ჩაქარები - ილდიზები (ქინძაშვილები), გოგიტიძეები, გულები - აქაბები (გულაშვილები - კვირხილაძეები), ქილიჩები (მოლააჰმედიძეები), მეზარჯიოღლები (დიასამიძეები) და ა. შ. მათ წინაპრებს შერჩეული ადგილი მოეწონათ და სოფელი დააფუძნეს. აქ 10-15 კმ-ში მათ დასახლებული ჩერქეზები და ადგილობრივი თურქები დახვდათ. აქვე მცხოვრებმა

რამდენიმე სომხურმა სოფელმა მალევე დატოვა რეგიონი. მართალია, დასაწყისში სხვა დამხვდურებთან შეუთავსებლობამაც იჩინა თავი, მაგრამ ეს მალევე დაიძლია და დროთა განმავლობაში მათთან და ორდუს, ტრაპიზონისა და გირესუნის მოსახლეობასთან ერთად დაიწყეს მშვიდობიანი თანაარსებობა (ჩელეზი, 1998, №5).

ბოლუს ილის ქართულ სოფლებში, ძირითადად, აჭარისწყლიდან, წონიარისიდან გადასახლებულთა შთამომავლები ცხოვრობენ.

ამჟამად, ჩვენ მიერ მოძიებული მასალის მიხედვით, დუზჯეს რეგიონში ქართველებით დასახლებული ადგილებია:

1. დუზჯეს გუბერნიის ცენტრი და ბეიქოის და ბოლაზიჩის მერიები;
2. დუზჯეს ცენტრალური სოფლები: ასარ, აიდინფინარ, ჩიფთლიქ, დოღანლი, გოლორმანი, ფინდიქლი აქსუ, მაჰირადა, მუნჯურლუ, მუსაბაბა, იეშილჩამ, უჩქოფრუ/ბალლარ (ლაზი), დუზქოი (ლაზი), იაქა (ლაზი), ქაბალაქ (ლაზი), ოსმანჯა (ლაზი), სანჯაქდერე (ლაზი), სუნჯუქ (ლაზი), შექერფინარ (ლაზი);
3. აქჩაქოჯას რაიონის ცენტრი;
4. აქჩაქოჯას რაიონის სოფლები: აჯარა (აჭარა), ჩიჩექფინარ (შიფირ), ქირაზლი, მეღენაღზი (მეღენიპირი). უღურლუ;
5. ჩილიმლის რაიონის ცენტრი;
6. ჩილიმლის რაიონის სოფლები: ჰიზარდერე;
7. გოლიაქას რაიონის ცენტრი (ეფთენი);
8. გოლიაქას რაიონის სოფლები: ჰაჯიიაქუფ (სარალთი), ჰამამუსთუ (ჰაჯი მემედალი ეფენდი), ზექერია (ლაზი);
9. ქაინაშლი რაიონის ცენტრი;
10. ქაინაშლი რაიონის სოფლები: შიმშირ;
11. ილილჯა რაიონის ცენტრი;
12. ილილჯა რაიონის სოფლები: ქირიქ, ჰასანლარ.

I თავი

დუზჯეში მცხოვრებ ქართველთა მეტყველების

თავისებურებანი

ენისა და ერის თანაარსებობის ფაქტი სრულყოფილად და ნათლად არის გადმოცემული ვ. ჰუმბოლდტის სიტყვებში: „ენა არის ერის სული და ერის სული არის მისი ენა“; ენის ენერგია ერის სულიერი ენერგიაა (გ. კვარაცხელია); „დედაენა არის დვრიტა ქართული ეროვნული სულისა. ყოველ ერს თავისი საკუთარი დვრიტა აქვს, საკუთარი დედა, რომელსაც შეუდებებია მისი წარსული, აწმყო და აწმყოშივე გაუმაგრებია მისი მომავალი. ქართველებისათვის ასეთი დვრიტა ქართული ენაა. „ქართველი ერის ნიშანთა შორის ყველაზე ძველი ნიშანი. ის მრავალი საუკუნით ადრე არსებობდა, ვიდრე ერთიანი ტერიტორია, ეკონომიკა და ფსიქოლოგიური წყობა ქართველი ერის ერთიანობას განსაზღვრავდა“ (არნ. ჩიქობავა). მან, როგორც შემოქმედმა ძალამ, ერი შეკრა და გააერთიანა, მისი სულიერი აგებულება დღემდე დაურღვევლად მოიტანა და ეროვნული ვინაობის გადარჩენის სიმძიმეც თავად იტვირთა“ (<https://semioticsjournal.wordpress.com/tag>).

ენისა და ერის ურთიერთმიმართების პრობლემა მეტად ძველია და აქტუალური. ეს საკითხი მეტად მტკივნეულია, როდესაც ვეხებით მშობლიური მიწა-წყლიდან მოწყვეტილი ქართველების ქართული მეტყველების საკითხებს. როგორ ესმით მათ და როგორ განიცდიან ამ პრობლემას, ამის ნათელსაყოფად ისევ მთქმელთა მოსაზრებებს მოვიშველიებთ. ამ შემთხვევაშიც ჩაწერილი მასალა, ანალიზის თვალსაზრისით, ორ პერიოდად შეიძლება დავყოთ. პირველი პერიოდი - ეს გახლავთ ადრინდელი, დაახლოებით 20-25 წლის წინანდელი ვითარების ამსახველი ტექსტები; ეს ის დროა, როცა დუზჯეს რაიონის ქართულ სოფლებში ჯერ კიდევ იყო ისეთი ქართული ოჯახები, რომლებშიც მხოლოდ ქართულად საუბრობდნენ. იქ სხვა ენას ვერც გაიგონებდით. ოჯახის უფროსებმა თურქული არ იცოდნენ, იგივე შეიძლება ითქვას სკოლამდელებზე, სკოლის ასაკის იმ ბავშვებზე, რომლებიც ახლად ეუფლებოდნენ თურქულს და ახალგაზრდებზე, რომლებმაც მეტნაკლებად იცოდნენ სასაუბრო თურქული, მაგრამ ოჯახში არ ლაპარაკობდნენ მასზე. ოჯახში ყველასთვის გასაგები, საკომუნიკაციო ენა ქართული იყო. უფრო მეტიც, ბებიები და ბაბუები გვიკრძალავდნენ სახლში თურქულად ლაპარაკს: ასე 6-7 წლის ვიქნებოდი, როდესაც ეზოში ლამაზი ქვა ვიპოვე და ბებიასთან მივირბინე, - ნახე, რა ლამაზი თაშია-მეთქი („ქვა“ თურქ. თაში <- Taş); ბებამ ნაწყენი კილოთი შემომხედა და

მითხრა ამას ჩემს ეზოში ქვა ჰქვიაო; მან გარკვევით წარმოსთქვა ეს სიტყვა - ქ ვ ა და მიმანიშნა რომ ბებიასთან, მის ქართულ კარ-მიდამოში ქართულად უნდა მელაპარაკა; რომ მის ეზოში ნაპოვნ ყველა საგანს ქართული სახელი ჰქონდა... გურჯები ვართ იტყოდნენ თამამად. ამაყად ჰყვებოდნენ თავიანთ მწარე ისტორიებს და ასე გადიოდა დრო-ჟამი. ისინი ძალიან მტკივნეულად განიცდიდნენ ქართველი ახალგაზრდების თურქულ საუბარს. მახსოვს, 115 წლის მეზობელმა კაცმა, რომელიც მოაზროვნე და დიდად ნაფიქრი იყო, ერთხელ ქუჩაში შეკრებილ ახალგაზრდებს გვითხრა - „არ გადაიქცეთ შვილებო!“ არ გადაიქცეთ, ანუ არ შეიცვალოთ, ქართველებად დარჩითო, ამას გულისხმობდა. მისი თვალეხი სევდით იყო სავსე და ამ სიტყვებში იყო თხოვნა, მუდარა.

მიუხედავად მოხუცის მუდარისა, დრომ მაინც თავისი გაიტანა. დრომ, მეტნაკლებად, მაგრამ მაინც იმოქმედა ყველაზე, ყველაფერზე და ბევრ ძირძველ ქართველს ენა გადაავიწყდა. ეს ვითარება ჩვენ მიერ ახალმოპოვებულ მასალაში კარგად ვლინდება. „მე გურჯი ვარ“ - კვლავ გვესმის ეს სიტყვები, ისევ ისე თამამად და ამაყად, მაგრამ, სამწუხაროდ, ასეთი ფაქტებიც გვხვდება ახალგაზრდების საუბარში: - მამაჩემი ქართველია, ბაბუა მყავდა ქართველი... თავად კი არ თვლის თავს ქართველად. რატომ? მიზეზი ერთია: ამ კატეგორიისთვის ქართველობა ქართული ენის ცოდნასთან ასოცირდება - თუ ქართული არ იცის, მაშინ ქართველი არაა (თუ ვერაა). მსგავსი დამოკიდებულება თურქეთის სხვა რეგიონებში მცხოვრებ ქართველებშიცაა დაფიქსირებული. ი. ლუტიძე თავის ნაშრომში „ქართველები თურქეთში - ენობრივი ვითარება“, შენიშნავს: „ნიჭიერი ქართველები ძალიან სწრაფად ითვისებდნენ თურქულს, რაზეც მათი ბებია-ბაბუები წუხდნენ და ამ ვითარებას ასე აფასებდნენ: ორი დღეა ოქულში (სკოლაში) წავიდა და თურქი გამხდარაო. ენის შეცვლა მათთვის ქართველობისგან მიქცევად აღიქმებოდა (ლუტიძე, 2016, 93). არის ასეთი შემთხვევებიც: **ბლაცვი გურჯია, ენა არ იცის, ვერ ლაპაიკობს. კაცი ენას დაკარგავ, დაიკარგვით.** თელი გურჯები ვართ, ამა გადაბრუნდა ჩვენი ენა. თქვენ ლამაზი ლაპაიკობთ ჩვენ იმფერ ვერ ვაფერებთ; გარეცხილი ქართველები ვართ, ამტონი დავრჩით“. და მაინც, „დედაენა ქართულია, გურჯები ვართ, თელი გურჯები, ჩვენი გურჯუჯე დედაენაა“; „თურქიე ჩვენი ვათანია, გურჯისტანი მემლექეთი. ჩვენ გურჯები ვართ, გურჯუჯე ჩვენი

ანადილია...“ ან კიდევ, „დედაენა დედას ენაა. დედა იმ ენაზე ლაპარაკობდა. დედა თუ გიყვარს, ენაც უნდა გიყვარდეს და არ დაკარგვო...“ ფაქტია, რომ ოჯახებში, სადაც დიასახლისი ქართველია, ანუ დედა თუა ქართველი, იქ მეტადაა ქართული ენა (და სხვა ქართული ტრადიციები) შემონახული. არის რამდენიმე ასეთი შემთხვევაც, თურქულ-ქართულ ოჯახებში: რძალი თურქია, მაგრამ ქართული იცის - ესმის და მეტყველებაშიც იყენებს; თან შენიშნავს, რომ „დედამთილმა მასწავლაო ... ჩვენებურაი ლაპარაკობდაო“.

ჩვენებურები, ისევე როგორც გურჯები, ქართველთა აღმნიშვნელი სახელია, **ჩვენებურა // ჩვენებურაი, გურჯუ // გურჯუჯე // გურჯუჯეი** იგივე ქართული ენაა. სიტყვა **ქართველი, ქართული** ძირითადად ახალგაზრდების მეტყველებაში გვხვდება. არის დიდი ნაწილი ეთნიკური ქართველებისა რომლებიც, მიუხედავად იმისა რომ ქართული არ იციან, თავს მაინც ქართველებად თვლიან. იმედის მომცემია მათი სურვილი და სწრაფვა ქართული ენის შესწავლისადმი. ამ მხრივ, მახსენდება ერთი ახალგაზრდის გულწრფელი სიტყვები: - ქართველები ვართ. გვიყვარს, გვიხარია ქართველობა. ნათესავები რომ შევიკრიბებით სულ საქართველოზე ვსაუბრობთ, მაგრამ ენა არც ერთმა არ ვიცით... ვიცით სოფელი, საიდანაც წამოსულან ჩვენი წინაპრები. გვინდა წავიდეთ, დარწმუნებული ვარ ნათესავებსაც ვიპოვით, მაგრამ რა ენაზე ველაპარაკო? მე ქართული არ ვიცი და იმან - თურქული... მინდა ცოტა სალაპარაკო ქართული ვისწავლო. ამ მიზნით, ეს ახალგაზრდა დუზჯეს ქართული კულტურის ასოციაციაში ქართული ენის კურსებზე ირიცხება და ცდილობს დაეუფლოს წინაპართა ენას. ამრიგად, ვითარება მრავალმხრივ საინტერესოა. ქართველებით კომპაქტურად დასახლებულ ადგილებში, რა თქმა უნდა, ქართული ენაც მეტადაა შემონახული. სხვაგან კი, სადაც თითო-ოროლა ოჯახი ცხოვრებს იქ ფაქტობრივად ენის მცოდნენი აღარ დარჩენილან.

როგორც აღვნიშნეთ, დრომ და გარემომ მოგვცა ის შედეგი რაც გვაქვს. „გავერიეთ კუდიანებში, კაბიანებში... დეილია ქართველობა. ენა გადაბრუნდა“. კუდიანებში თურქებს გულისხმობენ, კაბიანებში - ჩერქეზებს ... „ჩვენებური ჩვენებურს მოიყვანდა, ქალს სხვას არ მივცემდით. სუ კაი ის იყო. ახლა დეილია ყუელაფერი“... როგორც ზემოთ აღვნიშნე, ადრე იყო ქართული ოჯახები, სადაც თურქულს ვერც

გაიგონებდით. ამას საზოგადოებრივი პირობებიც უწყობდა ხელს. არ იღებდნენ სწავლა-განათლებას, ანუ არ მიდოდნენ თურქულ სკოლებში, შესაბამისად, არც სხვა ტიპის სასწავლებლებში; ქართველები მხოლოდ ქართველებთან ურთიერთობდნენ და საზოგადოება არ იყო ინტეგრირებული. დროთა განმავლობაში, მას მერე რაც სწავლა-განათლება აუცილებელი გახდა, დაჩქარდა ინტეგრაციის პროცესი. ფაქტია, რომ ქართულ ოჯახებში გაზრდილმა ბავშვებმა, სკოლის ასაკამდე არც იცოდნენ თურქული ენა. ამის გამო ბავშვებს ძალიან უჭირდათ სწავლა; მათი მშობლები საყვედურსაც კი იღებდნენ მასწავლებლებისგან. გაუცხოების პერიოდი დიდი ხანი არ გრძელდებოდა და ბავშვები თურქულს იოლად ითვისებდნენ; შემდგომში კი წარმატებული, ნიჭიერი ქართველები სწავლის გასაგრძელებლად მიდიოდნენ დიდ ქალაქებში, სადაც ქართული გარემო აღარ ხვდებოდათ და ასე ნელ-ნელა ქრებოდა მათში ქართული ენა, რომლის ადგილსაც თურქული იკავებდა.

ამ ყველაფრის შედეგად დღეს გვაქვს ისეთი ვითარება, რომლის მიხედვითც თურქეთის ქართველებში დედაენის მცოდნეთა რაოდენობა საგრძნობლად მცირეა; იგივე შეიძლება ვთქვათ დუზჯეს რეგიონზეც. ამ შედეგით გულდაწყვეტილი ძირძველი ქართველები სინანულით აღნიშნავენ: „**დაგვაბიწყდა ენა, დაგვაბიწყდა, გავირეცხეთ, გარეცხილი გურჯები ვართ... პაწია დავრჩით. დეილია, თლად დეილია გურჯობა**“; „**მოვიყრებით გურჯები და ვერ ვლაპაიკობთ**“. არსებული სიტუაციით გამოწვეული უსაზღვრო ტკივილი, სევდა, ჯავრი გადმოცემულია შემდეგი სიტყვებით: „**დეილია, დეთავდა, დეიკარგა... გახმა გურჯობა**“.

ქართული ენის შენარჩუნების თვალსაზრისით, მეტად მნიშვნელოვანია დუზჯეს უნივერსიტეტში კავკასიური ენებისა და კულტურის განყოფილების გახსნა (2013 წ.), სადაც, ჩერქეზულთან ერთად, ფუნქციონირებს ქართული ენისა და ლიტერატურის მიმართულება. აღსანიშნავია, რომ დუზჯეს შემორჩენილი ქართული ენის დიალექტური ფორმების მოძიება-შესწავლაში სტუდენტებიც არიან ჩართული. სტუდენტებისთვის, რომლებიც უნივერსიტეტში, ბუნებრივია, აკადემიურ სალიტერატურო ქართულს ეუფლებიან, მეტად საინტერესოა ის სიტყვაფორმები, რომლებსაც მთქმელებისგან ისმენენ. მაგალითად შეიძლება მოვიყვანოთ ასეთი ფაქტი: **რა იჯები?** ეკითხება ინფორმატორი სტუდენტს. სტუდენტისთვის, რომელიც ახლად ეუფლება, ქართულს, როგორც უცხო ენას, კითხვა არაა გასაგები; მან იცის -

რას შერები? რას აკეთებ? რას მოღვაწეობ? ინფორმატორი ამტკიცებს, რომ ჩვენი ქართული სუფთა ქართულია, „დაწურული ქართული, იქითა ქართული შეიცვალაო“. ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ **დუზჯეს ქართველთა მეტყველებაში შემორჩენილი ბევრი სიტყვაფორმა, მართლაც უძველესია და მრავალმხრივ საინტერესო. ეს ფორმები დღითიდღე იკარგება და მათი დაფიქსირება და შესწავლა საშური საქმეა.**

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ჩვენ მიერ მოძიებული მასალა, პირობითად, შეიძლება ორ ნაწილად დავყოთ. ერთი ნაწილი არის 90-იან წლებში ჩაწერილი და მეორე კი - ბოლო ერთი წლის განმავლობაში. მათი შედარება ძალიან საინტერესო სურათს იძლევა.

ადრინდელი მასალა ინფორმაციული თვალსაზრისით უფრო უხვია და ენობრივად უფრო დაწმენდილი უცხო ენის მინარევებისაგან. ადრინდელ; რესპონდენტებს არ უჭირთ გაბმული საუბარი ქართულად, თავისუფლად მეტყველებენ და აზრებს, შეხედულებებს საინტერესოდ გადმოგვცემენ. მოქმედები ენაწყლიანები, სიტყვაუხვები არიან. ბევრმა მათგანმა თურქული ენა არც იცოდა.

დღეს დუზჯეს რეგიონში მცხოვრებ ქართველებში აღარავინაა ისეთი, ვინც თურქული არ იცის. სიტუაცია რადიკალურადაა შეცვლილი; უკვე ძნელად ვპოულობთ ქართულის მცოდნეს და ისინი, ვისაც მეტნაკლებად, მაგრამ მაინც, შემორჩა ქართული ენის ცოდნა, ასე ჩივიან: **„წინ-წინ მეტი კარგი იყო, სახლიდან არ გვედოდენ, სახჩი გურჯუჯე ილაპაკობდენ“.**

საკვლევ რეგიონში, ქართული ენის მცოდნეთა ზოგადი სურათი შეიძლება ასე წარმოვიდგინოთ:

1. ქართული ენა იცის და ლაპარაკობს მოსახლეობის მცირე ნაწილმა; მათი ასაკი არის 70 წლის ზემოთ;
2. იციან, უფრო სწორად, მეტნაკლებად ესმით, მაგრამ ვერ ლაპარაკობენ;
3. სამწუხაროდ, არიან ისეთებიც, რომლებმაც, სავარაუდოდ, იციან ენა, მაგრამ არ ლაპარაკობენ;
4. ახალგაზრდებმა და ბავშვებმა ქართული ენა აღარ იციან.

ამ ჯგუფს უნდა დავამატოთ კიდევ ერთი ჯგუფი; ეს ის კატეგორიაა, რომლებმაც არ იციან ქართული, მაგრამ გამოთქვენ სურვილი დედა ენის დაუფლებისა და ამ

მიზნით, ისინი ქართული ენის კურსებს გადიან დუზჯეს ქართული კულტურის ასოციაციაში. ჯგუფში არის 26 მსურველი. ისინი სხვადასხვა ასაკისანი არიან; მათ შორის ყველაზე პატარა არის 6 წლის და ყველაზე უფროსი კი - 72 წლის. უმრავლესობა 6-12 წლის ბავშვები და ახალგაზრდები არიან. მოსწავლეთა რაოდენობა წინა წლებთან შედარებით, დიდია და ქართული ენის სწავლასაც მეტი მონდომებით და პასუხისმგებლობით ეკიდებიან. „დუზჯეს ქართული კულტურის ასოციაციაში“, გარდა ქართული ენის კურსებისა, ფუნქციონირებს ქართული ხალხური სიმღერებისა და ცეკვების შემსწავლელთა ჯგუფები. აქტიურად იმართება სხვადასხვა შემეცნებითი და კულტურული ხასიათის ღონისძიებები. ყველაფერი ეს გვიტოვებს იმედს, რომ დუზჯეში მცხოვრებ ახალგაზრდა თაობის ქართველებში კვლავ გაღვივდება ინტერესი დედაენისადმი. ჩვეულებრივად, ეს ინტერესი არის თითოეულ ქართველში, თუმცა, სამწუხაროდ, გარკვეული პერიოდში ის მიძინებულია და შუა ასაკის მერე, და უფრო გვიან ისევ იღვიძებს განცდა, ინტერესი იდენტობის შენარჩუნებისა, თვითგადარჩენისა. ვფიქრობთ, იმ პატარა გოგო-ბიჭების სულსა და გულში, რომლებიც ამჟამად ქართული ენის კურსებზე დადიან, არ მინავლდება ეს ინტერესი.

საანალიზო მასალაში გამოვყოფთ რამდენიმე ლექსიკურ ჯგუფს. ზოგადად, მასალა საინტერესოა ისტორიულ-ეთნოგრაფიული, ენობრივ-ლექსიკური, ფონეტიკურ-მორფოლოგიური და სინტაქსური თვალსაზრისით.

1.1. დუზჯეს ქართველთა მეტყველებაში გამოვლენილი ფონეტიკური თავისებურებანი

დუზჯეს ქართველთა მეტყველება ენობრივი თვალსაზრისით მეტად მრავალფეროვან და საინტერესო მასალას გვთავაზობს. ენობრივი თავისებურებები ვლინდება ფონეტიკური, მორფოლოგიური თუ სინტაქსური კუთხით, რომელსაც ცალ-ცალკე განვიხილავთ. უპირველესად გამოვყოფთ იმ ფონეტიკურ მახასიათებლებს, რომლებიც გამოვლინდა მასალის ანალიზისას; ესენია:

- 1) უმარცვლო **ფ**;
- 2) უმარცვლო **უ**;
- 3) **ჰ** თანხმოვანი სიტყვის თავკიდურ პოზიციაში;
- 4) უკანაენისმიერი **ლ**;
- 5) მეტათეზისი;
- 6) სუბსტიტუცია;
- 7) ბგერათა დაკარგვა;
- 8) ბგერის ჩართვა;
- 9) სრულხმოვნობა;
- 10) ბგერათი ანალოგია;
- 11) ასიმილაცია;
- 12) დისიმილაცია.

1.1.1. უმარცვლო **ფ**

დუზჯეს ქართველთა მეტყველებაში დადასტურებულია უმარცვლო **ფ**-ს გამოყენების შემთხვევები: ან**ფ**, ბაბ**აფ**, ნენ**ეფ**, პაწ**აფ**... გაბმულ მეტყველებაში - წიინ-წინ რაფ**ეფ** იქნებოდა? ჰა**ფ**დამ მოსულა? შენას მო**ფ**, ჩვენებურ**აფ** ვილაპარიკოთ. რაფ**ეფ** (რაფეი - **ი** <- რაფერ - **ი**), რომ აქ მოსულან რაფეფყოფილა? ჰა**ფ**დამ (<- ჰაი**ფ**დამ), მო**ფ** (<- მო**ი** <- მო**დი**); ...წყალში ჩავარდა და დე**ფ**რჩო (დე**ი**ხრჩო <- და**ი**ხრჩო). აღნიშნულ სიტყვებში უმარცვლო **ფ**, როგორც ჩანს, ხან სიტყვის ბოლოს დასტურდება ხმოვანფუძიანი სახელების მომდევნოდ, ხან ფუძეში თანხმოვნის დაკარგვის შედეგად ხმოვნის მომდევნო პოზიციაში დარჩენილი **ი** გადადის **ფ**-ში. უმარცვლო **ფ**

დამახასიათებელია ძველი ქართულისთვის და შემორჩენილია ქართული ენის დიალექტებში (ჯავახურში, მესხურში...), მათ შორის აჭარულშიც (ნიჟარაძე 1957, 7). შესაბამისად, უმარცვლო **ღ** არც დუზჯეს ქართველთა მეტყველებისთვისაა მოულოდნელი.

შ. ფუტკარაძე ჩვენებურთა მეტყველებაში მსგავს პოზიციებში გამოვლენილ ბგერას სრულ /ი/-დ მიიჩნევს. ის თვლის, რომ /ღ/ ალოფონი ქართულ სიტყვაფორმებში არ დასტურდება და მხოლოდ უცხო წარმოშობის სიტყვებში გვხვდება (შ. ფუტკარაძე, 2016, 328).

1.1.2. უმარცვლო უ/w

ისე, როგორც ქართული სალიტერატურო ენის სხვა კილოებში, დუზჯეს ქართველთა მეტყველებაში დადასტურებული უმარცვლო უ არ არის დამოუკიდებელი ფონემა. იგი ხან უ ხმოვნის ვარიანტია, ხანაც - კბილბაგისმიერი ვ სპირანტისა:

თუ არა > თაარა: თაარ წამოხვალ, მე წავალ!

მოკადა <- მოკკდა: დედემენი როის მოკუდა?

ვთქა < - ვთქვა: თქუა თუ? 'ვთქვა'?

ჩაენ <- ჩვენ, ზღა <- ზღვა: ლაზები ზოლას იტყვიან ჩუნ ზღუა ვებნევით...

1.1.3. ჰ თანხმოვანი სიტყვის თავკიდურ პოზიციაში

საყურადღებოა, ჰ თანხმოვნის პოზიცია სიტყვის თავში, რომელიც რიგ შემთხვევაში ვლინდება ს თანხმოვნის ნაცვლად:

ჰა(დ) < - სა(დ): 'ჰა(დ) მიხვალ?'

ჰაიდამ < - საიდამ: 'ჰაიდამ მოხვალ?'

ჰადნა < - სად უნდა: ჰადნა იყოსნა? 'სად უნდა იყოს?'

ჰადაა < - სადაა: ჰადაა ი კაცი? 'სადაა ის კაცი?'

ჰ თანხმოვანი ხშირად დასტურდება კითხვით ფორმებში.

ჰა, რა იქნა? - ჰა მოცემულ შემთხვევაში შორისდებულია.

1.1.4. უკანაენისმიერი ლ

დუზჯეს ქართველთა მეტყველებაში რიგ პოზიციებში ისმის დარბილებული, უკანაენისმიერი ლ თანხმოვანი. რბილი ლ ბგერა დამახასიათებელია თურქული ენისთვის და შესაძლებელია ეს ფაქტიც თურქულის გავლენით იყოს გამოწვეული.

1.1.5. მეტათეზისი

მეტათეზისი, ანუ ბგერათა გადასმა, ძირითადად სონორ თანხმოვნებს ახასიათებს.

ღმერა < - მღერა; იღმერებდით <- იმღერებდით: ღმერა იცი თუ? იღმერებდით? დედეჩემი ღმერელი (მომღერალი - ფ. ჩ.).

ზრმატლი იყო წინ-წინ. ზრმატლი <- ზმარტლი* <- ზღმარტლი.

ნავხო <- ვნახო: ჩემი აქრაბაია აქ, ამ სოფელში, უნდა ნავხო 'ჩემი ნათესავია (თურქ. Akraha „ნათესავი“) აქ, ამ სოფელში, უნდა ვნახო'.

შალვარი < - შარვალი: ჩვენ იქით შალვარი არა, აქანაი დევნახე შალვარი მე... სიტყვა შალვარი მეგრულშიც გამოიყენება, იგი დასტურდება ა. ქობალიას „მეგრულ ლექსიკონშიც“ - შალვარ - შარვალ (ქობალია, 2010, 658).

დასტურდება ხს -> სხ პროცესი: გასხომს <- გახსოვს? არ გასხომს? 'არ გახსოვს?' მუჰაჯირთა მეტყველებაში ხს -> სხ პროცესი, დაფიქსირებულია შ. ფუტყარაძის მიერაც: ფერდიები დავსხენ; რატომ სკოლა არნა გიგ*ისხნან; ტელეფონი გასხნა (ფუტყარაძე, 2016, 339).

1.1.6. სუბსტიტუცია

სუბსტიტუცია, ანუ სპონტანური ბგერათმონაცვლეობა ერთ-ერთი გავრცელებული მოვლენაა ქართული ენის დიალექტებში (ახვლედიანი, 1956, 179). ცნობილია როგორც ხმოვანთმონაცვლეობის, ისე თანხმოვანთმონაცვლეობის შემთხვევები. საანალიზო მასალა ასეთია:

ხმოვანთმონაცვლეობა:

ა // ო:

ლობიო -> ლობია: ლობია, ლობიო, ლობიე აინეა (თურქ. Ayne 'იგივე, ერთი და იგივე') ...

ე // ო:

ამდონი <- ამდენი: ამდონი იყო თუთუნს ვაკეთებდი ...

რამდონი <- რამდენი: რამდონი სოფელში არიან გურჯები? ...

აჭმოვდით <- აჭმევდით: ძროხას სად აჭმოვდით? ...

ბოვრი <- ბევრი: ბოვრი არიან ქობოლლები ...

ო // ა:

ჩვენებური -> ჩვენებურა: ჩვენებურა იცი თუ? შდრ.: მოი ვილაპარაკოთ
ჩვენებურაი ...

თანხმოვანთმონაცვლეობა:

ღ // გ: ბელელი // ბეგელი (დასტურდება ორივე ვარიანტი) ...

ვ // მ: აამსო <- აავსო: ეს შენ უნდა აამსონა 'უნდა აავსო'...

გახსომს <- გახსოვს: არ გახსომს? 'არ გახსოვს?' ...

ნ // მ: საიდამ - > საიდან: საიდამ მოი? 'საიდან მოხვედი?' ...

ნ // ლ: სინორი,სილორი: 'სეჭმელია, ორივეს ვიტყვით' ...

ჭ // ჩ: სეჭმელები ბოვრი ვისოდით. სეჭმელი//სეჩმელი პარალელურად
გამოიყენება ...

ც // ს: ვიცი // ვისი. მე ასე ვისი, სხუა ვერ გეგვონე ...

ძ // ზ: ძალვან // ზალვან (უფრო მეტად ზალვან ფორმაა დადასტურებული);
ყურზენი ფაფა ვაკეთებდით ...

ბ // პ: ხობო // ხოპო 'ხბო'; ორივე ფორმაა დადასტურებული ...

ფ // ბ: თხილი მოკრება რაფეი იყო? 'თხილის მოკრეფა როგორ იყო?' ...

კ // გ: გაგაი // კაკალი // კაკაი: ჩვენ გაგაი ვებნევით. კაკალი ლაზებმა იციან ...

მ // ზ: ბრუდე ვიტყვით, დაღვანჩული რასხა იქნება. ბრუდე <- მრუდე.
დაბავიწყდა და რა უნდა ვქნა? დაბავიწყდა <- დამავიწყდა ...

ვ // ზ: საბარცხელი არის, თმა იბარცხნით. საბარცხელი <- სავარცხელი ...

ღ // ტ: იმტონი იქნებიან თუ? იმტონი <- იმდონი // იმდენი ...

წ // ტ: იმის დედა თურქია, იმან ვერ დეისტავლა (დეისტავლა <- დეისწავლა <-
დაისწავლა) ...

ს // ჰ: ჰა მივალ? ჰა // ჰად 'სად'; ჰაიდან მოხვალ? 'საიდან მოდიხარ?' არ მახსოვს იქედან (საქართველოდან - ფ. ჩ.) ჰა მოსულან. ჰა <- ჰად ...

სიტყვის ბოლოს ყრუვდება ბოლოკიდური დ და ვიღებთ თ ვარიანტს (დ -> თ): თლათ დეილია გურჯობა; სხუა მილეთი არაა, ამ სოფელში თლად ქართულია...

პარალელური ვარიანტები ხშირად ერთი და იმავე მთქმელის მეტყველებაში დასტურდება. ამ ტიპისაა:

გ // ქ: კარქი იყო წინ-წინ, უმფო კარგი იყო ...

ძალიან ხშირია შ-ს აფრიკატიზაციის შემთხვევები: სახჩი რა გაქონდათ? 'სახლში რა გქონდათ?' ...

ასევე დასტურდება საწინააღმდეგო პროცესიც, დეზაფრიკატიზაცია: საბზელი ქონდა 'საბძელი გვექონდა'; ემია შვილი ჟდარს ისთამბულ 'ზიძამვილი ცხოვრობს (ჯდარს) სტამბულში' (ჟდარს <- ჯდარს) ...

1.1.7. ბგერათა დაკარგვის შემთხვევები

საანალიზო მასალაში ხშირია ბგერათდაკარგვის შემთხვევები. იკარგება როგორც ხმოვანი ისე თანხმოვანი; შეიძლება დაიკარგოს ბგერათკომპლექსიც კი.

ა) მ ბგერის დაკარგვა თავკიდურ პოზიციაში:

ჟავე <- მჟავე: ჩემი ნენეიმ ჟავე იცოდა. მემრე ჟავეს კეთება ისტავლეს ჩვენმა ქალებმა.

გელი <- მგელი: ტყეში გელი იყო ... შდრ.: მეგრული გერი.

სხალი <- მსხალი: სხალი იყო ნალიაში. ჩვენ სხალი ვიტყვით, ასე უძახით ...

თლად <- მთლად: თლად დეილია გურჯობა; არა დავრჩით არა ...

თელი <- მთელი: თელი გურჯი ვარ. ნენე-ბაბაი ბათომიდან გამოსულან ...

ბ) რ ბგერის დაკარგვა:

ცხვენია < - რცხვენია: იცის ამა ცხვენია 'იცის მაგრამ რცხვენია' (თურქ. Ama 'მაგრამ'); აა ცხვენია 'არ მრცხვენია' ...

ჩვენებუი <- ჩვენებური: ჩვენებუი (ენა - ფ. ჩ.) გათურქებულია ...

ა ლაპაიკობენ <- არ ლაპარიკობენ <- არ ლაპარაკობენ: ა ლაპაიკობენ ბაღვები. არ იციან. ვერ მიხთებიან... ზოგი ეგრეა მიხთება მარა, არ ილაკაიბებს ...

ვილაპააკე <- ვილაპარაკე: მე არ ვილაპააკე, დამაბიწყდა ...

უმფო <- უფრო: ასე უმფო კაია. უმფო კაი მაშვინ იყო, ქალსა ჩვენებურასა მივცემდით. სხვას არ გავატანდით ...

ნახევა* < - ნახევაი < - ნახევარი: მე დედა თურქი მყავ, ნახევაი გურჯი ვარ ...

გემიელა <- გემრიელა: ჩუენ მოგვწონდა, გემიელა ...

გ) ვ ან ვს ბგერათა დაკარგვა:

გაქ <- გაქს <- გაქვს: ნენე გაქ თუ? დედა გაქვს? (გყავს ზმნის ადგილას ხშირად გაქვს ზმნა გამოიყენება) ...

მოა <- მოვა: შენ თქვი, მაშინ მოა თავში ...

გელი < - გველი: ამოვყევი შავი ქონი, გავაყევი შავი გელი ...

კნესა <- კვნესა: დედამისმა დეიწყო ტირილი და კნესა ...

დ) დ ბგერის დაკარგვა:

მოი <- მოდი: ჰა, მიხვალ, ჭო? მოი აქ! მოი ვილაპარაკოთ ჩვენებურაი...

კარგა იყავ <- კარგად: კარგა იყავ, ანე; ღმერთმა აგაფრინოსნა!

როის <- როდის: როის მიხვალ ბათუმში? მეც მინდებია ამა ვერ წაველი...

ე) იკარგება მე-3 სუბიექტური პირის მრავლობითობის -ნენ ნიშნის -ნ თანხმოვნითი ნაწილი:

აკეთებდენ <- აკეთებდნენ: ძველ დღეობაში რას აკეთებდენ? ...

ჭამდენ <- ჭამდნენ: რას ჭამდნენ? ...

სამობდენ <- სამობდნენ, იცოდენ <- იცოდნენ: სამობდენ, ცეკვა იცოდენ? ...

ღმერობდენ <- ღმერობდნენ* <- ღმეროდნენ* <- მღეროდნენ: ქორწილებზე რას ღმერობდენ?

მოთხოვდენ <- მოითხოვდნენ: გოგოს რაფერ მოთხოვდენ? ...

მიცემდენ <- მისცემდნენ: რაფერ მიცემდენ? ...

გაატანდენ <- გაატანდნენ: გაატანდნენ თუ? ...

გააქცევენ < - გააქცევდნენ. ამ შემთხვევაში, ნ-სთან ერთად, დ თანხმოვანიცაა დაკარგული: წინ-წინ გოგო გააქცევენ ...

ვ) უ და ი ხმოვნების დაკარგვა:

სადარი (<- სადაური): სადარი ჰარ შენა? გურჯისტანდამ მოხველ თუ? ...

მოვდა <- მოვიდა: სამი კაცი მოვდა ...

გოგოებდან (<- გოგოებიდან): დაიჩემის გოგოებდან დევსტავლე ...

ზ) კაი <- კარგი: = კაი იქნა, სუ კაია ...

თ) მარცვლის დაკარგვის შემთხვევები:

მოიტა <- მოიტა-ნე: მოიტა აქა...

მიმართვის ფორმებში მოკვეცილია მარცვალი: როის მოალ, ჭო!

1.1.8. ბგერათა ჩართვა

ხშირად ვითარდება ვ ბგერა: ჩემი ჰალას გოგვებ ცნობილობ 'მამიდაჩემის გოგოებს იცნობ'. თურქ.: Hala 'მამიდა'. გოგვები <- გოგოვები* <- გოგოები ...

საინტერესოა აქავრები ფორმა. აქარლები ვართ აქავრები. საანალიზო ფორმის მიღების გზა ასეთია: აქაურები -> აქავურები -> აქავრები ...

ტყვილი: ტყვილი არია არ ვიტყვი; შეითან (თურქ. ეშმაკი) ატყვილებსო. ტყუილი -> ტყუვილი* -> ტყვილი.

მ ბგერის განვითარება:

ყველამფერი <- ყველაფერი: ყველამფერი მოიტანეს, მაჩუქეს - კაბა ...

დამძმანები - ვფიქრობ, საქმე გვაქვს კონტამინაციასთან: დამძანი + დამძები -> და-მ-ძმანები, სადაც მ სონორი ჩართულია ...

1.1.9. სრულხმოვნობა

სრულხმოვნობა ქართული ენის დასავლური დიალექტებისთვის დამახასიათებელი მოვლენაა. იგი უფრო მეტად მეგრულშია გავრცელებული. აქარულ დიალექტში დადასტურებულ სრულხმოვნობის საკითხებს ეხება ვ. თოფურიაც (თოფურია, 1946, 89). სრულხმოვნობის მაგალითები გვაქვს საანალიზო მასალაშიც:

ტკიბილი <- ტკბილი: ძალვან ტკიბილი იქნებოდა ...

ხობო <- ხბო: ორი ხობო გუაქ ...

ფილავი < - ფლავი: ფილავი გავაკეთებდით ...

სრულხმოვნობით აიხსნება ისიც, რომ კუმშვადი და კვეცადი სახელები მრავლობით რიცხვში წარმოდგენილია უკუმშველი და უკვეცელი ფორმით. ამ ტიპის მაგალითებია:

საჭმელები: საჭმელები ბოვრი ვიცით; გურჯუ საჩმელებ ...

სოფელები: გურჯუ სოფელები რამეთია? ...

რაღაცები: ქორწილის იქნებოდა რაღაცებს ისამებდენ ...

1.1.10. ბგერათა ანალოგია

ბგერათა ანალოგიით შეიძლება აიხსნას შემდეგი შემთხვევები:

ერთმანები: ერთმანები არ უნდებიან, არ ელაპაიკებიან. ერთმანები დადასტურებულია ერთმანეთის პარალელურად. აღნიშნული მოვლენა დამახასიათებელია აჭარული დიალექტისთვის. შ. ნიჟარაძის ახსნით, ერთმანები მიღებული უნდა იყოს ებ კომპლექსიანი სიტყვების ანალოგიით (ნიჟარაძე, 1971, 16).

ავტორი მსჯელობს **უმფროსი** სიტყვის შესახებაც. მისი ახსნით, უმფროსი მიღებულია **უმცროსის** ანალოგიით. **უმფროსი** ფორმა გვაქვს დუზჯეს ქართველთა მეტყველებაშიც. შევნიშნავთ, რომ მ თანხმოვანი გვაქვს შემდეგ სიტყვაშიც - **უმფო: უმფო მეტი, უმფო დიდი; უმფო უყვარს...** სადაც **უმფო** იგივეა, რაც **უფრო**.

ანალოგიის ნიმუშად შეიძლება ჩავთვალოთ **მოტაცნა** ფორმაც: გოგოს გაატანდენ თუ მოტაცნა იყო? **მოტაცნა** 'მოტაცება'. შდრ.: **გატანა**.

საინტერესოა **ბლარჭი** (< - **ლარჭი**) ' ბავშვი'. ბლარჭი ვიყავ მე. ჩვენი ვარაუდით, თავკიდური ბ- თანხმოვანი ბაღანა, ბავშვის ანალოგიითაა მიღებული.

1.1.11. ასიმილაცია

დუზჯეს ქართველთა მეტყველებაში საკმაოდ ხშირად გვხვდება ასიმილაციის მაგალითები:

დავინახე -> დევნახე: დევნახე და ვერ მიხთი 'დავინახე და ვერ ვიცანი'.

გაიზარდა -> გეიზარდა: გეიზარდა ბავი, საქმობს 'გაიზარდა ბავშვი, საქმიანობს, მუშაობს'.

გაივლის -> გეიარს; ვუკითხავ და გეიარს; პილველ უნდა დეიჯეროსნა 'ვუკითხავთ (იგივე შევულოცავთ) და გაივლის; პირველად უნდა დაიჯეროს' (გულისხმობს იმას, რომ უნდა ირწმუნოს) ...

ჩვენ ქაფშიე ვიტყვით, ლაზლარი ქაფშია იტყვიან. შდრ.: ქაფშიე//ქაფშია ...

ლობიო -> ლობიე : ლობია, ლობიო, ლობიე აინეა (თურქ. Ayne 'იგივე, ერთი და იგივე') ...

1.1.12. დისიმილაცია

ხშირად დასტურდება დისიმილაციის შემთხვევებიც:

აგენი < - ეგენი: ჩუენ ქინძი ვიცით აგენმა არ იციან. შდრ.: ეგენები ვინ არიან? ...

ლაპარიკობ < - ლაპარაკობ: რაი ლაპარიკობ? ...

ვილაპარიკობ <- ვილაპარაკობ: გურჯუჯე ვილაპარიკობ ...

პარალელურად დასტურდება მეზობელი // მოზობელი // მუზობელი. ფორმებიც; მეზობელი - > მოზობელი (სრული ასიმილაცია) -> მუზობელი (დისიმილაცია): საქმის კაცია ჩუენი მუზობელი ...

1.2. დუზჯეს ქართველთა მეტყველებაში გამოვლენილი

მორფოლოგიური თავისებურებანი

სალიტერატურო ენასთან შედარებით, დუზჯეს ქართული მეტყველებისთვის დამახასიათებელია გარკვეული თავისებურებები, რომლებიც მორფოლოგიური ხასიათისაა. ეს თავისებურებები ვლინდება სახელთა ბრუნების დროს. კერძოდ, ზოგი ხმოვანფუძიანი სახელი სახელობით ბრუნვაში დაირთავს **ჲ** ნიშანს. ამ რიგისაა: **ნენეჲ, ბაბაჲ, ანეჲ...** გვხვდება ადამიანის საკუთარ სახელებშიც ალიაჲ, აბდულაჲ (იხ. აქვე. თავი II. ქართულ ანთროპონიმთა ვარიანტები (სახელები და მეტსახელები). ვლინდება სიტყვათა გავრცობილი ფორმები; გარკვეული თავისებურებები იჩენს თავს ზმნიზედების, ზმნისწინების გამოყენების შემთხვევებში.

1.2.1. ბრუნვის ნიშანთა დაკარგვა

ბრუნვის ნიშნები არ ჩანს მოთხრობით და მიცემით ბრუნვებში (ასეა აჭარულ, მაჭახლურ, იმერხეულ... დიალექტებშიც; მსჯელობისათვის იხ. ტ. ფუტკარაძე, 1986):

თელ სოფელმა - თელ სოფელმა დეიწყო ტირილი 'მთელმა სოფელმა დაიწყო ტირილი';

თელ სოფელმა შეიყარა. 'მთელი სოფელი შეიყარა';

ჩემ გოგოს - გონჯი რაცხა ჩიესიზმრა ჩემ გოგოს ...

არაიშვიათად, სახელობითის ნიშანი ფუძესთანაა შეხორცებული და გადაყოლილია მიცემითის ფორმაში: „ერთ ღარიბი კაცს ერთი ცალი ხარი ყავდა“. მსგავსი ტიპისაა: მისი ქალსა და მისი გოგოს სახლში ძინავდენ (უნდა იყოს - მის ქალსა და მის გოგოს).

1.2.2. სიტყვაფორმათა გავრცობილი ფორმები

საკვლევნი მასალის მიხედვით, ადგილი აქვს სხვადასხვა მეტყველების ნაწილთა გავრცობის შემთხვევებს:

აქა ბევრიც არ ვართ ჩუნა;

... ჭამა დაიწყეს **ღამითა** (დასტურდება ჩვეულებრივი, გაბმული საუბრის დროს);

იმასა უნდებია ქი მალ-მალ იქნას 'იმას უნდა რომ მალე გაკეთდეს' ...

1.2.3. მრავლობითი რიცხვის წარმოება

ქართული ენის აჭარული კილოს მსგავსად, ე- ხმოვანფუძიანი სახელების ებ-იან მრავლობითში ეე ხმოვანთკომპლექსის დისიმილაციის შედეგად იე კომპლექსი წარმოიქმნება:

ხიები <- ხეები: ხიები რა იყვნენ?

ტყიები <- ტყეები: დაგაბერა, ტყიებში გასაქმა ...

საინტერესოა სიტყვაფორმა - **გურჯელები**: გურჯელები სად არიან?

გურჯ-ელ-ებ-ი მიღებული უნდა იყოს ქართვ-ელ-ებ-ის ანალოგიით.

რა ნაწილაკის ა ყოველთვის უცველი რჩება: **რაები** - ახორში ახორის ბალახი გვაქ. მოკოჭილი ბალახები, ბაები... გამხმარი ფხალები - რაები არ მაქუ, რაები?! ...

1.2.4. მისი და თავისი; ერთმანები

ნაცვალსახელი მისი გამოყენებულია თავისის მნიშვნელობით. მსგავსი შემთხვევები ხშირია. ცნობილია, რომ თავისი ნაცვალსახელის მაგივრად მისის ხმარება დასავლური კილოების ნიშანდობლივი თვისებაა (ჩიქობავა, 1938, 215), რომელიც თავის მხრივ ზანურ ნორმად ითვლება (მარტიროსოვი, 1984, 56-57). მსგავსი ტიპის მაგალითები ბევრია: იმან სარკეში მის თავს ხედავს და მის თავს ჩემს ამბობს 'ის სარკეში თავის თავს ხედავს და თავის თავი ჩემი ჰგონია (ანუ ჩემს სახეს ხედავს)' ...

საინტერესო ფორმაა ერთმანები (<- ერთმანეთი):

'სად არიან? ერთმანები არ იციან' ...

1.2.5. -ში, -ზე, -თვის, თანა თანდებულები

-ში თანდებული ზოგჯერ ისმის, როგორც -ჩი:

ბელელ-ჩი < - ბელელ-ში: ბელელჩი ვინახვიდით 'ბელელში ვინახავდით' ...

-ში თანდებულის ადგილას ზოგჯერ -ზე გვაქვს: მე მივალ ბაზარზე ...

-თვის თანდებულის პარალელურად გვაქვს -თვინ: ბაღნებისთვინ ვიჯები; ვიჯები ანუ ვირჯები, ვშრომობ. ბაღნებისთვის -> ბაღნებისთვინ ...

იმისთვინ <- იმისთვის: ფხალობიაი ვაკეთებთ გვიყვარან და იმისთვინ; კაპანი ადგილებიაო და იმისთვინ აქ დამყდარან ...

-თანა თანდებული მსგავსებას გამოხატავს:

მოიდა კაცმა ახალი, ცალი ხარით დაკლულისთანა; დაკლულისთანა 'დაკლულისნაირი'; ჩვენსასთანაჲ (<- ჩვენ-ის-თანას): მივალ და ვიყიდი ერთ ხარს ჩვენსასთანაჲ ...

1.2.6. ზმნიზედები

ზმნიზედებიდან საინტერესოდ გვეჩვენება: მასქან (< მას უკან = მას შემდეგ) ფორმა. ჯერ გირესუნსი ყოფილან, მასქან აქავრობას მოსულან ...

მასქან იგივეა, რაც 'მერე'. გვხვდება მასქან-მასქან - კომპოზიტიური ფორმითაც.

წინ-წინ 'წინათ, უწინ, ადრე': წინ-წინ ვაკეთებდით ახლა არ ვიქ (სემანტიკური თვალსაზრისით ეს ზმნისართი უფრო ხშირად დროის ფუნქციით გვხვდება).

რავარ // რაფერ 'როგორ': რავარ ხართ? ...

კაი (<- კარგად): კაი ხართ? ...

პილველაი 'პირველად': პილველაი აქ ა მოსულან ...

ძალვან // ზალვან <- ძალიან: ზალვან ვარ გაჭირვებული ...

მთქმელი ერთგან ამბობს: ზოოლ კაი ვარ. ზოოლ ფორმა ზალვან ფორმის ვარიანტი უნდა იყოს: ძალიან -> ძალვან -> ზალვან -> ზოოლ (?) ...

მისხან // მისხანში 'იმ დროს, მაშინ' ...

მასხან - ამ დროში ...

1.2.7. ზმნისწინები

ზმნისწინთა ცვლილებები აჭარულისა და სხვა სამხრეთ-დასავლური კილოების მსგავსად ხორციელდება (შ. ფუტკარაძე, 1993):

მუ <- მო: დრო მუუვიდა (< - მოუვიდა) ...

გე <- გა: ადრელი გევდა გარეთ; გეილვიძა ...

ზოგჯერ გა- ზმნისწინის ხმოვანი უცვლელადაა წარმოდგენილი: მე გავთხოვდი შახთან.

ჩე // ჩი <- და: რა ჩეგესიზმა? (<- დაგესიზმრა); გონჯი რამე ჩიესიზმრა ...

დე <- და: წყალში დეირჩო (დაიხრჩო); ჭამა დეიწყეს ...

დუ <- და: კაცმა დუუძახა ...

მე <- მო: ბერი მეიყვანეს; მეზობლებმა მეიყარეს; ბერმა წვერზე ხელი მეისვა ...

წე <- წა: გზიდან ვერ დააბრუნეს და წევდა. რომელ კუთხეში წევდა არ იცის ...

გადა - ზმნისწინის დართვა იწვევს ფუძის თავკიდური ხმოვნის დაკარგვას: უნდებიან რომ გადარჩინონ (ნაცვლად, გადა-ა-რჩინონ) ...

გამო- დედე იქიდან გამოსულა ...

1.2. 8. დუზჯეს ქართველთა მეტყველებაში დადასტურებული ზოგი ზმნური ფორმის ანალიზი

აჭარული კილოს მსგავსად, დუზჯელ ქართველთა მეტყველებაშიც მრავლობით რიცხვში ზმნის მესამე სუბიექტური პირის ნიშნად ჩვეულებრივია -ენ -ნენ ალომორფის ნაცვლად:

მივიდოდ-ენ <- მივიდოდ-ნენ, მიცემდ-ენ <- მისცემდ-ნენ: კიდეც ერთხელ მივიდოდ-ენ; ზოგჯერ არ მიცემდ-ენ ...

იქა მეიპარებდ-ენ, დედოფალის სახლიდან მეიპარებდენ <- მოიპარავდ-ნენ ...

გააქცევ-ენ < - გააქცევდ-ნენ: არ მოეწონებათ, კაი არაო იტყვის; გააქცევენ ისეც იქნებოდა ...

მოვდ-ენ < - მოვიდ-ნენ: ბათუმდან ჩვენმა დედეებმა მოვდენ ...

მივდოდენ <- მივიდოდ-ნენ: დიდვანები მივდოდენ გელენის ბაბა სახში ...

იცეკვებდ-ენ < - იცეკვებდ-ნენ: ქალ-ვაჟ ერთად იცეკვებდენ ...

სამობდ-ენ < - სამობდ-ნენ: ცეკვა იცოდენ, სამობდენ ...

მივდოდ-ენ < - მივდოდ-ნენ; მეითხოვ-ენ < - მეითხოვდ-ნენ: მივდოდენ და გოგოს მეითხოვენ ...

მოიყვანებ-ენ < - მოიყვად-ნენ: გოგოს მეორე დღეს მოიყვანებენ ...

ზოგჯერ, სხვა დასავლური კილოების მსგავსად, მრავლობით რიცხვში მესამე სუბიექტური პირის ნიშანი -ეს შეცვლილია -ენ ალომორფით:

გააკეთ-ენ < - გააკეთ-ეს: კაი სეჭმელი თქვენებმა გააკეთენ ...

ერთპირიან ზმნათა მრავლობითი რიცხვის ფორმები მყოფადში-ენ სუფიქსის ნაცვლად -ი+ან სუფიქსს ირთავენ:

მოვიდ-იან < -მოვლ-ენ: იქანა მოვიდიან ისამებენ ...

მოვლ-იან < - მოვლ-ენ: ქორწილი შაფათ იქნება, კვირა დღესას მოვლიან ... შუადღის მემრე ბიჭის თარაფა მოვლიან ...

-ი+ან სუფიქსი მრავლობითი რიცხვის გამოსახატავად დასტურდება მოსალოდნელი -თ სუფიქსის ნაცვლად:

ეცოდებიან < - ეცოდინება-თ: ჩვენ ქინძი ვიცით, ლაზებსაც ეცოდებიან ...

აჭარულის მსგავსადვე იკარგება მე-3 ობიექტური პირის ნიშანი ჰ-უკანაენისმიერ ფუძისეულ ქ-სთან:

სახლ ქონდენ, ნალია ქონდენ, მეტი რა ქონდენ? ...

საინტერესო სურათს აჩვენებს თემის ნიშანთა მონაცვლეობა:

ერთპირიანი ინიანი ვნებითებში შენარჩუნებულია ძველი ქართული ენის ვითარება. გვაქვს: იკარგვის, იხარშვის, მეილალვის, გაიყინვის ... მსგავსი ფორმები:

გურჯობა იკარგვის; წყალი ადუღდება, კორკოტი მეიხარშვის ...

თემის ნიშნად გვხვდება:

-ებ+ენ:

... დედოფალს შეიყვანებენ; დედოფალი წეიყვანებენ; კაცები ჩივანებენ: ჩვენ სოფრა მივეცი, ქალებს წყალი მიეცი ...

ავ//-ევ-ამ//ემ (ხმონამონაცვლეობა იხ.ზემოთ):

გოგოს ძმა იქნებოდა კართან.. ნაჭერს აართვამს.

ავ- თემის ნიშანს ენაცვლება -ებ:

ნაილონს ვახურებთ, წინ-წინაც ესრეთ იყო; რას ილოცავდით რომ ავად გახტებოდა ბიჭი. რავი ვილოცებდით...

სიარულის აღმნიშვნელ ზმნებში თითქმის არ ჩანს ხვედ ძირი:

თქვენ როდის ჩამოდით აქ? ახლა ჰაიდან მოდით? რომ აჭარადან ჩამოედით აქაც აჭარა დაარქვით; აჭარადან რომ ჩამოდით, პირველად ამ სოფელში თუ ჩამოდით თქვენ? სახლიდან რომ გამოდი, ვინ გახლავდა...

1.2.9. დუზჯეს ქართველთა მეტყველებაში დადასტურებული ზოგი ზმნური ფორმის ლექსიკური ანალიზი

საინტერესო თავისებურებებს ავლენენ დუზჯეს ქართველთა მეტყველებაში დადასტურებული შემდეგი ზმნური ფორმები: მაერსებს/მარესებს, გავბუსდი, წავყურდი, დავბეშტი, წევკინკლეთ ...

აჭარულისათვის ბუნებრივია მაერსებს (ჰერსი - არაბ. „ბრაზი“) ფორმა; დუზჯეს ქართველთა მეტყველებაში დასტურდება მარესებს 'მაბრაზებს' - გონჯი ქალია, სუ მარესებ ... ; შდრ.: მე მარესებს, შენ გარესებს, მას არესებს... მე გამარესა მან; მე ვარესებ მას ...

შეიძლება ვიფიქროთ, რომ აღნიშნული ზმნისთვის ამოსავალია რისხვა ფორმა; საბა: „რისხვა- ესე არს ვნება ურიდი და ურცხვინო; რისხვა უაღრესისათვის ითქმის".

იქვე მითითებულია - „ნ. განრისხება, გულისწყრომა, დარისხება, მრისხანე, მრისხანება“ (საბა, 1993, 11); გარისინება (გურ., ზ. იმერ.) გაბრაზება, გახელება (ლლონტი, 1984, 134); ალ. ნეიმანის მიხედვით, „განრისხება, გაშმაგება“ - სინონიმური ფორმებია (ნეიმანი, 1978, 88).

ვფიქრობთ, „მარესებს“ მომდინარე ჩანს არაბული ძირისაგან ნაწარმოები ფორმისაგან მეტათეზისით:

ჰერსი: მაჰერსებს > მაერსებს > მარესებს.

„მარესებს“ ფორმის პარარელურად საანალიზო მასალაში დასტურდება **მაბლაზებს, მაბლეზებს** ფორმებიც:

ზალვან **მაბლაზებს** ე კაცი;

დედამთილ **აბლაზებდა** და გარიგდა 'დედამთილს აბრაზებდა და ცალკე ოჯახად გავიდა' ...

აღნიშნული ფორმა დამახასიათებელია ქართული ენის დასავლური დიალექტებისთვის. აჭარულში დასტურდება **გაბლეზება** - გაბრაზება, გაჯავრება, განრისხება; გაბლეზებული - გაბრაზებული, განრისხებული „ამაზე გაბლეზებულმა მამამ გამოეკიდა შვილს გასალახავათ“ (ნიჟარაძე, 1971, 118); შდრ., **გაბლუზვა** (გურ.) გაჯავრება, მოლუშვა (ლლონტი, 1984, 105).

გაბუსდი 'გაჩუმდი' - შენ არ გეერიო, გაბუსდი და იყავი შენთვის. ერთხან ძალვან კაია, მემრე გაბუსდება და არის ... დიალექტების ჩვენება ასეთია: ქართლურსა და ზემო აჭარულში გვაქვს **გაბუცება** (ქართლ., ზ. აჭარ.) შეკრთომა; გაშტერება; გაჩერება, გაყურება, გაჩუმება, შეჩერება (ნიჟარაძე, 1971, 118; ლლონტი, 1984, 105); ლექსემა შეტანილია ქეგლ-ში: **გაბუსულ-ი** - იგივეა, რაც **გაბუსუნებული** (ქეგლ, II, 1951, 147); **გაბუსუნებული** (იმერ.) გაბუსული, მწყრალად გაჩუმებული.

წაყურდი იგივეა, რაც გაჩუმდი. **წაყურდი ჭო, იმფო არაა!** აჭარულში „წაყურება არის ლაპარაკის (ტირილის, ხმაურის...) შეწყვეტინება ან შეწყვეტა, გაჩუმება, გაკმენდა, დადუმება // დაწყნარება, დამსვიდება, ჩაჩუმება „ქამილავ, წაყურდი, ჭო! ნუ მიეფერები და მისით წეიყურებს მაი ბაღანა“ (ნიჟარაძე, 1971, 415). მართებულია საანალიზო ლექსემის დაკავშირება **წაყრუება** ფორმასთან (სალია, 2015, 315). მაგ.: წაიყრუა, ვითომ ვერ გაიგონა... აღნიშნულ ფორმასთან კავშირშია **დამიყურე** 'მომისმინე, ყური დამიგდე', ან კიდევ, **არ მეყურება** 'არ მესმის' - ამ მხარეს არ

მეყურება აქ დაჯექ; დავბერი კაცი არ **მეყურება** ... **მეყურება** ფორმა სხვა დასავლური კილოებისთვისაც არის დამახასიათებელი.

რაც შეეხება **დავბერი** ფორმას. აჭარული დიალექტში გავრცელებული **ბერი** და მისგან ნაწარმოები: გა-ბერ-დ-ა; შდრ.: **გაბერებული**.

დავბერ(დ)ი (და მისგან მიღებული **დავბემტი**) ხშირად გამოიყენება ღუზჯელ ქართველთა მეტყველებაშიც. სულხან-საბას მიხედვით, **ბერი** - გაშტერებული (საბა, 1991, 102); ამავე მნიშვნელობით ბერი, ბეცი ფორმებია შეტანილი ნ. ჩუბინაშვილის ლექსიკონში (ჩუბინაშვილი, 1961, 150).

შ. ნიჭარაძე სიტყვის თურქულ წარმომავლობას ვარაუდობს: „ბერი (თ. Berç?) შტერი, ყყყერი, რეგენი... **ბერ-ემშაკაი, ბერობს** (ნიჭარაძე, 1971, 107).

შ. ფუტყარაძის ნაშრომში „ჩვენებურების ქართული“, დადასტურებულია **ბერი** - უჭკუო, გონებასუსტი: მაქფერი ინსანი სახლში შამუშუშა, ბერი ხომ არ ვარ?! (ინეგოლი); **ბერი** მე ვარ, ზავალი, მაგას რომე ვუზლებ (იმერხევი).

შ. ფუტყარაძე ადასტურებს ფუძეს **ბეთი** ‘ცუდი, საძაგელი, ავი’: ეს დერმანი ვერ ვსვი წინწინა, **ბეთია** (სოფელი ხასანფაშა; ინეგოლის რ.); **ბეთ** გზევნარზე გეველით (ტაო). აქვე წარმოდგენილია ფუძეგაორკეცებული - **ბეთ-ბეთი** ‘ცუდ-ცუდი’: ბეთ-ბეთ პარკებ (აბრეშუმის) მოხარშევდენ და ამუახვევდენ (სოფელი ჰაირიე, ინეგოლის რ.). საანალიზო სიტყვათა განმარტებისას მითითებულია - სპ. Bed. შევნიშნავთ, ოდენ **ბედ** (ან **ბეთ**) სიტყვა არ დასტურდება თურქულ სალექსიკონო მასალაში. ის გვხვდება რამდენიმე კომპოზიტში: Beddua ‘წყევლა’, Bedbaht ‘უბედური’ ... (შ. ფუტყარაძე, 1996).

ვფიქრობთ, **ბერი//ბეთი** ფონეტიკურ-სემანტიკური ვარიანტებია. ჩვენებურთა მეტყველებაში დადასტურებული, **რაბეთი** სიტყვის ამოსავალიც ბერი (-> რა ბერი -> რაბეთი), უნდა იყოს.

ქართულ კილო-თქმათა ლექსიკონის მიხედვით, **ბერი** (გურ., ზ.აჭარ.) არის ლენჩი, მოსულელო, უჭკუო (ალ. ლლ., შ. ნიჭ.); შდრ.: საბა, ნ. ჩუბ., დ. ჩუბ., ქეგლ).

ღუზჯელ ქართველთა მეტყველებაში **დავბემტი//დავბექდი//დავბემთი** სიტყვაფორმები გაცემის მნიშვნელობით გამოიყენება: **დავბემტი** კასი ზალვან გამიკვირდეს.

საანალიზო **დავბეშტი//დავბეჭდი//დავბეშთი** ფორმები სემანტიკურად და ფონეტიკურად დაკავშირებული უნდა იყოს ზემოთ წარმოდგენილ **დავბეჩდი** ფორმასთან.

კინკლობენ ‘კინკლაობენ’ - დედამთილ და გელინ ერთად არ იქნებიან, რო **კინკლობენ**; ჰემენ (თურქ.: Nemen ‘უცებ, მალე’ - ფ. ჩ.) **წაიკინკლობენ ...**

შდრ.: **კინწლა, კინწლობა** (აჭარ.) ჩხუბი, კინკლაობა; საბას მიხედვით, კინკლაობა - მცირე ომი (საბა, 1991, 374). **კინკლიანი** (გურ.) მოკინკლავე, მოჩხუბარი, ინტრიგანი (ღლონტი, 1984, 292); **კინდლობა, კინწლობა** - წაჩხუბება, წაკინკლავება, წალაპარაკება, წაკიდება (ნიჟარაძე, 1971, 227).

დაპეჭება ‘დაპატიჟება’, **დაიპაჭეფს** ‘დაპატიჟებს’ - დუგუნი იქნება გოგო კუთხე, ბიჭი კუთხე ყველას **დაიპაჭეფს**; მღერავენ, ისამებენ ამფერ იქნებოდა. **დაპეჭება**. შდრ.: მეგრ.; **დაპეჯება//დაპეჟება** ‘დაპატიჟება’ (ქობალია, 2010, 234).

საწყისის ფორმებში ხშირია მეტათეზისი.

მაგ.: **მღერა** ‘სიმღერა’ - > **ღმერა** -> **ღმერელი** ‘მომღერალი’: **ღმერელი** კაცი იყო **მღერავენ** ‘მღერიან’...

ფრინავს ‘დაფრინავს’ - აღნიშნული ზმნა ხშირად უზმნისწინოდ გამოიყენება: ლამაზია ქართული სეკვა, აქ მოვიდნენ წინ-წინ საქართველოდან. ისამეს, **ფრინავდნენ**, გაგვიხარდა ...

იარება ‘დადის, დაიარება’ - მოზობელი ქალია, კაბიანია, წიწინოფს და **იარება**, საქმე არ აქ. მუშაობა არ უყვარს ...

წიწინოფს ‘დაწანწალებს’ - მივა, მოვა, **წიწინოფს**. „**წიწინი** -1. სწრაფად მოძრაობა, ტრიალი, ბრუნვა; 2. გადატ. მუშაობა, გარჯა, საქმიანობა, ფეხზე ტრიალი; **წიწინებს** - 1. ტრიალით მოძრაობს, ტრიალებს, ბრუნავს (ნიჟარაძე, 1971, 419); **წიწინი** (იმერ.) კობტად და მსუბუქად სიარული (ღლონტი, 1984, 707). შდრ.: მეგრული **წანწალი, წარწალი** ‘წანწალი, წრიალი’; **წანწალა//წარწალა** (მეგრ.) - ‘1. მაწანწალა, 2. მოუსვენარი’; გილეწარწალ//გილეწანწალ ‘დაწანწალებს’.

უშტურებს//უშტურეფს ‘უსტვენს’ - აჭარულში ცნობილია, **უშტვერს** „1. სტვენს, უსტვენს; 2. გად. უქრის, თავში უქრის, სულელია, ჭკუაზე მწყრალადაა“ (ნიჟარაძე, 1971, 237).

საანალიზო ფორმები, დუზჯეს ქართველთა მეტყველებაში, აჭარული დიალექტის მსგავსად, როგორც პირველადი, ასევე გადატანითი მნიშვნელობებით.

ჯდარს//ყდარს 'ცხოვრობს' - ჩემი ბაბაი გირესუნსი **ჯდარს**; ჩვენი დედებუები აჭარიდან გამოსულან და პილველ ორდუში **დამჯდარან**; მას უკან აქა მოსულან და აქა **დამყდარან** ...

დასახლდა 'დაოჯახდა' - ემიაშვილი **დასახლა** და მივალთ ისტამბულ, დიდი დუგუნი იქნოსნა; და-ძმანი **დასახლა** და თავათ დარჩა ...

როგორც ჩანს, საანალიზო ლექსემები დაოჯახების, დაქორწინების მნიშვნელობით გამოიყენება. სიტყვა **დაოჯახება** კი მათ მეტყველებაში არც ჩანს.

სამობს 'ცეკვავს', **ისამებდნენ** 'იცეკვებდნენ' - წინ-წინ ქალ-კაც მოიყრებოდნენ და **ისამებდნენ**;

სამა დუზჯეში ცეკვის აღმნიშვნელი ერთადერთი ტერმინია: სეკვა არ გავგონე მე **სამას** ვიტყვით;- რას **სამობდით?** - ჰორუმ **სამობდით**. შ. ნიჟარამის ლექსიკონის მიხედვით, აჭარულში - „სამა არის ცეკვა, როკვა“ (ნიჟარამე, 1971, 308); ავტორი მიუთითებს სიტყვის არაბულ წარმომავლობაზე. დასტურდება კომპოზიტური წარმოების - **სამა-სამით** „ცეკვა-ცეკვით“ (იქვე); ცეკვის სინონიმად სამა შეტანილია ალ. ნეიმანის ლექსიკონში (ნეიმანი, 1978, 353, 498); ალ. ღლონტის მიხედვით, სამა დასტურდება ქართული სალიტერატურო ენის ზ. აჭარულსა და იმერხეულში (ღლონტი, 1984, 467). ცნობილია, ქართული ეროვნული ცეკვის სახეობა „სამაია“ (მეგრელიძე, 1980, 6). **სამა** ლექსიკურ-სემანტიკურად დაკავშირებულია „ამო, საამო, სასიამოვნო“ ლექსემებთან (სალია, 2015, 315).

საყურადღებოა **ვალ-** // **ვედ-** ძირიან ზმნათა გამოყენების შემთხვევებიც: **ჰად მიხვალ, ჰო?** (და არა მიდიხარ); **მერკეზში მივალ** (და არა მივდივარ) **მემრე მოვალ**; **ბათუმში მიხვალ** (და არა მიდიხარ ან წახვალ) **თუ?**

პირველსა და მეორე პირის ფორმებში არ ჩანს **მივდივარ**, **მიდიხარ** ფორმები; მესამე პირში კი ასეა: **კაცმა მოიდა** (მოვიდა - ფ. ჩ.); **შაფათს მოვდიან** (მოდიან - ფ. ჩ.), **მოვდოდნენ** 'მოვიდოდნენ', **მოვდონა** - საქმე მაქ, ხვალე მოვდონა 'საქმე მაქვს, ხვალ უნდა მოვიდე'; ან კიდევ **მოვლიან** 'მოვლენ'.

მოვდონა (< მოვდე უნდა); **მოვდესნა** (< მოვიდეს უნდა). ამ ტიპის წარმოება ხშირია; მაგ.: **მთხოვოსნა** 'უნდა მთხოვოს', **მომწონდოსნა** 'უნდა მომეწონოს',

მევიაროთნა 'უნდა მოვიაროთ, გავისეირნოთ', გამარესოსნა 'უნდა რომ გამაბრაზოს', ვისამოთნა 'უნდა ვიცეკვოთ' ...

გავრიგდით 'გავეყარეთ, დავშორდით' - დილიდამ მასთან ვიყავ შუადღე გავრიგდით 'დილიდან ერთად ვიყავით, შუადღეს დავშორდით ერთმანეთს'; ქალს გარიგდა 'ცოლს გაეყარა'...

აჭარულ დიალექტში დასტურდება: გარიგება - გაყოფა, გაყრა; გარიგებული - გაყოფილი, განაწილებული, ცალკე დაოჯახებული (ნიჟარაძე, 1971, 134).

ვეწიკებით//ვეწიკავთ 'ვეზიდებით' ყანაი შორსა გვექონდა იქიდან ვეწიკებოდით სიმინდს. ჩალას ვეწიკავდით... დაეწიკე და მისით დაკაპუნდება. დაწიკება გაწევა მნიშვნელობასაც მოიცავს - გაწიე, გაუწიე. შდრ.: მეგრული წუკინი//წოუკინი 'გაწიე', წუმუკინი 'მოწიე' ...

მაჯიღინებს 'მაჯავრებს' - ბოვრი მაჯიღინა და მეს გავრესდი, გავრიგდია (აღარ - ფ. ჩ.) მინდა. აღნიშნული ზმნა დაკავშირებული უნდა იყოს, საკვლევ რეგიონში დადასტურებულ, აჯიადი სიტყვასთან, რომლის ანალიზი ასე წარმოგვიდგება:

მთქმელთა განმარტებით: 'ცუდს რომ დამართავ კაცს აჯიადს აიღებს; არ დაგარჩენს კაცი, ესაა აჯიადის აღება. აჯიადს ვიყრი... აჯიადზე მეუბნება. აჯიადი ქართული სიტყვაა. აჯიადს მარტო ჩვენ ვიტყვით, ქართველები'.

საანალიზო მასალაში, 'აჯიადს იყრის', 'აჯიადს აიღებს' იგივეა, რაც ჯავრს იყრის, შურს იძიებს.

აჯიადი სიტყვა შეტანილია ქართულ კილო-თქმათა ლექსიკონში და ასეა განმარტებული: „აჯიადი (მესხ.; აჭარ.) ჯავრი, მწუხარება; ჯიბრი, ჟინი, გუმანი. „მისი აჯიადი მკლავს“ (პ. ჯაჯანი.)“ (ღლონტი, 1984, 52).

საანალიზო ლექსემა ხომ არ არის დაკავშირებული ქართული სალიტერატურო ენის დიალექტებში დადასტურებულ შემდეგ ფორმებთან - აჯია, აჯიი (ქვ. იმერ.) ათხაჯელა, ალქაჯი (ღლონტი, 1984, 52); აჯინჯლილება (ფშ.) 'გაღვივება': ცეცხლი აჯინჯლილდება (ღლონტი, 1984, 52). საყურადღებოა, ალ. ნეიმანის „სინონიმთა ლექსიკონში“ წარმოდგენილი აჯილდა, რომელიც ერთ-ერთი მნიშვნელობით, იგივეა, რაც 'მოჩუბარი' (ნეიმანი, 1978, 88). საკითხი დამატებით კვლევას მოითხოვს.

დუზჯეს ქართველთა მეტყველებაში ხშირად გამოიყენება სიტყვა ჯადანი, ხუმრობა, გამოჯავრების მნიშვნელობით: რას მაჯადინებ? ნუ მაჯადინებ? 'რას

მაჯავრებ, რას მეხუმრები'. **ჯალინი** 'გამოჯავრება, ხუმრობა, დაცინვა' დადასტურებული აქვს შ. ფუტკარაძეს ინეგოლის ქართველთა მეტყველებაშიც: ნუ გიყვარს უშნო ჯალინი (ინეგ.) შდრ.: საბა: ჯალინი - მრისხანის უარესი (უდარესი), გინა ყბედი (ფუტკარაძე, 1993, 682). **ჯალანი//ჯალინი** ფონეტიკურ-სემანტიკური ვარიანტებია.

საყურადღებოა კიდევ ერთი სიტყვა, რომელიც აქტიურად გამოიყენება დღეის ქართველთა მეტყველებაში - **გვაჯი**: დაეგვაჯე თუ მაგარი ხარ! სწავლაში უნდა დაეგვაჯოთ ერთმანეთს; ნუ ებრძვი, ნუ ეგვაჯები.

მთქმელის ახსნით, **გვაჯი** არის გაჯიბრება ან მიბაძვა.

საანალიზო სიტყვა შეტანილია სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონში: **გუაჯი**, **გვაჯი** „შური და გვაჯი ჰგვანან და განიყოფ(ებ)იანცა; შური არს მწუხარება სხვისა კეთილსა ზედა, ხოლო გვაჯი არა მწუხარება, არამედ აღბაძებით, რათა უადრეს ქმნას მისგან. ჯავრით დაჟინება“ (საბა, 1991, 173).

ამრიგად, დავიწყებას მიცემული ბევრი ქართული ლექსემა მუჰაჯირ ქართველთა მეტყველებაშია შემონახული. ძირძველ ქართველებს ნათლად ახსოვთ მათი მნიშვნელობები და აქტიურადაც იყენებენ.

1.3. დუზჯეს ქართველთა მეტყველებაში გამოვლენილი სინტაქსური თავისებურებანი

მრავალფეროვან და მეტად საინტერესო დუზჯეს ქართველთა მეტყველებაში ცალკე გამოვყოფთ თავსებურებებს, რომლებიც სინტაქსური ხასიათისაა. ამათგან ყველაზე მეტად თვალშისაცემია მოთხრობითი ბრუნვის გამოყენების არეალის გაფართოების შემთხვევები:

იქიდან ჩამოსულან სამსუნ და დასახლებულან... ბაბამ ხუთი წლისამ მოსულა აქა; ახლა ჩვენებურებმა დეიფანტეს, დეიფანტეს; მაშინ ესეთი ფანთოლით ექვსი ბიჭმა გუვეში შევდით; ჩვენებურებმა ბევრი იყოს გეგიხარდებოდა? დედოფალმა სიძეს კართან მივიდა; ახლა ბიჭებმა მოუდა; ხალხმა მეიწამლა; აგენმა კაკალს იტყვიან, ჩვენებურმა - ნიგოზი; დოხტორზე წევდენ იმათ; ბევრია საქმე, დებერდა ქალმა ...

ერთი და იმავე მთქმელის მეტყველებაში პარალელურად დასტურდება ნომინატიური და ერგატიული კონსტრუქციები: ხისიმები მივიდა აღარ შეერიგა ... იმან მევდა არ შეერიგა, ამან მევდა ...

დუზჯეს ქართველთა მეტყველებაში ქვემდებარისა და შემასმენლის რიცხვში შეთანხმება იშვიათად ხდება; ასევე შემასმენელი ყოველთვის ვერ მართავს ქვემდებარეს ბრუნვაში და, პირიქით, ქვემდებარე ან პიდაპირი დამატება - შემასმენელს პირში:

ჩემმა ღარჭებმა გურჯუჯე ჰიჩ არ იცის ...

მაღახთო დიდვანებმა იცის ...

რზემ ჯამის იშტე დადვან დღეს ამოწურონ, დაასხამან, ხვალ ამოწურონ დაასხამან, ზეგ ამოწურონ დაასახამან... ტაროსის სიცხე-სიცივეს უყურებს...

ძროხას ჩალა ვაჭმოვდით. ბალახი, სიმინდი აჭამდენ ...

გვხვდება უსულო საგნის აღმნიშვნელი სუბიექტის შემასმენელთან მრავლობით რიცხვში შეთანხმების მაგალითები:

ხეები ტყეში არიან: წიფელა, მუხა, ცხრემლა...

სხვა რა ჯიშები არიან? ...

თუ ნაწილაკი:

საინტერესოა ნაწილაკი **თუ**, რომელიც წინადადებაში კითხვის გამოხატვის ფუნქციას ასრულებს:

ეს შენი შვილია **თუ** რომ საქმობს?

შენ ძმამ **თუ** გამოგიყვანა სახლიდამ?

ისინი სად არიან სამსუნ **თუ** არიან, თუ აქ არიან?

ახლა თქვენი გურჯუჯე და ჩილიმლ ხაზიდერეს გურჯუჯე ერთი გურჯუჯე **თუ** იყო?

იმ სოფლიდან მარტო დედშენი იყო **თუ**?

დედე მარტო მოვდა თუ ძმები ყოლია **თუ**?

-თქვენ რამდენი მოსახლე ხარ? - აქა **თუ**?

ზოგ შემთხვევაში ერთმანეთს ენაცვლება **მაქვს** და **მყავს** ზმნური ფორმები. მაგალითად: ცხვრები ბაბუას სახლში **გყვანდა**. 9 წლის ბაღვი ვიყავი, ციკნები **გვუყავდა**, თხები **გყავდა**, ჩემი ბაბუას ძოვრი უყვარდა...

მაგრამ: ორდექი **გყავდა**, მაგრამ არ ვიშენებთ ახლა... კამეჩი ჩუენ არ **გვექონდა**.

ვხვდებით როგორც პრეპოზიციული, ისე პოსტპოზიციური წყობის მსაზღვრელ-საზღვრულის შემთხვევებს:

დედეჩემი რომ ცოცხალი იყო მაშინ მოვდოდით და მივდოდით;

შაი **ისმაილ დედესთან** მოვდოდით ემიაშვილი იყო **ჩემ დედესი** ის;

თხილიანი აქსუ ქვია ამ სოფელს. თხილი აქვა და ამიტომ ქვია;

დაიჩემის გოგოებდან დევსტავლე ...

1.4. ზოგიერთი ლექსიკური ერთეულის სემანტიკისათვის დუზჯეს ქართველთა მეტყველებაში

დუზჯეს ქართველთა მეტყველებაში გვხვდება სიტყვაფორმები, რომელთა მნიშვნელობები სხვა ქართველურ ქვესისტემებთან მიმართებით ოდნავ შეცვლილია:

ვაგნებ - ვიგებ:

ჩვენებურად ვიცი მე და ახლა მეტი ვერ ვაგნებ 'ჩვენებურად (ლაპარაკი) კი ვიცი მე, მაგრამ ახლა ბევრს ვერ ვხვდები (ვიგონებ)'; მალ-მალ ლაპარაკობენ და ვერ ვაგნებ 'სწრაფად (ჩქარ-ჩქარა) ლაპარაკობენ და ვერ ვიგებ'.

იცნობ - გახსოვს:

დედეშენს იცნობ? - იცნობ აქ გახსოვს მნიშვნელობით არის გამოყენებული: 'ბაბუაშენი გახსოვს'?

- დედე არ ვიცი.

- მამაშენს?

- ბაბაი ვიცნობ. ემიაე ვიცნობ...დედეი არ ვიცი

- დიდ ნენეს იცნობ? რაფეი იყო ძველი დღეობა, რას ჭამდით, რას სვამდით?

- ესე იყო იმთე... ჩოლოა(?) არ იცოდა თურქე, გურჯუჯე ლაპარაკობდენ ... იაშილ...

ბერები ვერ აგნებდენ თურქე... ახალეზმა ...დედაბერებიც, ბერებიც ვერ აგნებდენ.

დალევა - დასრულება:

არ დეილია? - არ დამთავრდა?

ცნობა - მეობის (წარსულის) ცოდნა:

იკარგვის გურჯობა, ცნობაც იკარგვის.

გასხვავება - სხვანაირად ქცევა:

დუნია გასხვაგდა თლად 'გასხვაგდა ანუ სხვანაირი გახდა, შეიცვალა'.

გაქნევა - გადაგდება:

მე გავაკეთე, მარა ვერ ვჭამე; გევიქნიე! 'გადავაგდე, გადავყარე'.

დავდექი - დავრჩი (/ლამისთევით არ გავჩერდი):

მე პაწაი ბებოსთან არ დავდექი, ამან მიმიტაცა, წამემიყვანა. ო, ეს მოხთალო გამძვრალია 'არ დავდექი ანუ არ დავრჩი' ...

ჩივილი - მოყოლა:

რაცხას ჩივოდნენ დიდვანები 'ამბობდნენ, ყვებოდნენ' ...

დაფიქრება - გახსენება: დევიფიქრო 'გავიხსენო':

პაწაი მაცალე, დევიფიქრო, რაფერ იყო ...

სემანტიკის თვალსაზრისით, ჩვენს ყურადღებას იქცევს დროისა და სივრცის აღმნიშვნელი ზმნისართები - წინ და უკან.

როგორც სამეცნიერო ლიტერატურიდან არის ცნობილი, სივრცული ორიენტაციის სიტყვები (წყვილები) ყველა ენას აქვს და ისინი ფარდობითი ცნებებია (ჩიქობავა 1945, 492; ილია აბულაძე, 1989, 3-12). ცნობილია ისიც, რომ წინ და უკან სიტყვაფორმების პირველადი ფუნქცია არის სივრცის ასახვა. დუზჯეს მეტყველებში ის გვხვდება უმეტესად დროული ორიენტაციის გამოსახატავად; „წინ-წინაც ესრეთ იყო? წინ-წინ თხუთმეტი ენ პაწაი ზროხა ყავდა...(მდრ.: მეგრ.-ლაზ.: წოხლე-წოხლე // ოწოხლე-ოწოხლე.. „წინათ“) (ლომაია, 2004).

1.5. ლექსიკურ ერთეულთა სემანტიკური ჯგუფები

დუზჯეს ქართველთა მეტყველებაში მოძიებული ლექსიკური მასალა სხვადასხვა ჯგუფში გავაერთიანეთ:

1.5.1. ნათესაობის აღმნიშვნელი ლექსიკა დუზჯეს ქართველთა მეტყველებაში

დუზჯეს ქართველთა მეტყველებაში ნათესაობის აღმნიშვნელი ქართული ლექსიკა შენარჩუნებულია როგორც სტრუქტურული, ასევე სემანტიკური თვალსაზრისით, თუმცა მცირეოდენი თავისებურებები აქაც იჩენს თავს.

თვითონ სიტყვა ნათესავი დუზჯეს მეტყველებაში არ გვხვდება. მის შესატყვისად არაბული წარმომავლობის ხისიმი//ხისიმები გამოიყენება. გვაქვს ასევე აქრაბა. ერთ-ერთი რესპონდენტის განმარტებით: „აქრაბას ვიტყვით „სისხლიდან მოსულ“ ნათესავებზე, ხოლო ხისიმებს ცოლიდან მოსულ ახლობლებზე, ანუ ახალ მოყვრებზე“.

დასტურდება **სულაღე** ლექსემა: „აქ მარტო თქვენი **სულაღე** არის თუ სხვა სულაღეც არიან?“ არაბული წარმოშობის **სულაღე** ნიშნავს **გვარს**, წარმომავლობას.

ანე//ნენე - ასე ეძახიან დედას, **ბაბა//ბაბაი** - მამას.

მართალია **ანე** და **ბაბა** მიმართვის ფორმებში გვაქვს (შდრ., იმერხ. **ბაბო**), მაგრამ კომპოზიტებში **ანეჩემი**, **ბაბაჩემი**, **ანემისი**, **ბაბამისი** და სხვ. არ დასტურდება. ამას რესპონდენტები გადაჭრით აღნიშნავენ; ამ მნიშვნელობით მხოლოდ ქართველური **დედაჩემი**, **მამაჩემი**, **დედაშენი**, **მამაშენი**, **დედამისი**, **მამამისი** გამოიყენება.

ბაბა სიტყვის სტრუქტურის შესახებ სამეცნიერო ლიტერატურაში აზრთა სხვადასხვაობაა: სერგი ჯიქია **ბაბა** სიტყვას თურქულიდან შემოსულად მიიჩნევს. განსხვავებული მოსაზრება აქვს არნ. ჩიქობავას, რომელსაც ჩვენც ვიზიარებთ. არნ. ჩიქობავას თვალსაზრისით, **ბაბა** მეორეული მონაცემია **მამა//მუმა**სთან შედარებით. მეცნიერი აქვე ითვალისწინებს თურქულში ამავე მნიშვნელობით გამოყენებულ **ბაბა-**ს. მკვლევრის აზრით, თავისი აგებულებით ეს სიტყვა საბავშვო ლექსიკის კუთვნილებას წარმოადგენს და სავსებით შესაძლებელია მსგავსი აგებულების სიტყვა მივიღოთ სხვადასხვა ენაში სესხების გარეშე. იმის დასამტკიცებლად, რომ **ბაბა** არ არის თურქულიდან შემოსული, მას მოჰყავს აფხაზურში **ა-აბ** ძირის არსებობა, რომელიც ახლოს დგას **ბაბა**სთან. არგუმენტად მოჰყავს ისიც, რომ **ბაბა-**სგან ჭანურში, შესაბამისად თურქულში, ნაწარმოები ფუძეები აღარსად ჩანს, ჭანურში არის **ბაბა-ოცხე**; მეგრულში **მუმა-ყონერი**; ქართულში მამინაცვალი (ჩიქობავა, 2008, 35-36).

დუზჯეს ქართველთა მეტყველებაში მიმართვის ფორმებში ასევე არ გვხვდება ბებია და ბაბუა ლექსემები. ამ ლექსიკურ ერთეულებს აქ ჩაენაცვლება **ანი//ანე//ნენე//დინნე** ‘ბებია’ და **დედე** ‘ბაბუა’.

დინნე ფორმის პარალელურად ადრე გამოიყენებოდა (ახლაც გვხვდება) **დიდინენეშენი//დინნეშენი**. ცხადია, ამ უკანასკნელის ცვეთის შედეგად არის მიღებული **დინნე** ვარიანტი (შდრ.: იმერხ. **დიდანა**). შესაბამისად, გვაქვს **დედეშენი** **დედეჩემი** ‘პაპაჩემი’.

ამ ველში საინტერესოა **დედეუები//დიდვანები** ლექსიკური ერთეულების არსებობა დუზჯეს ქართველთა მეტყველებაში, რაც ნიშნავს უფროსებს, უფროს

გარდასულ თაობებს. პირველი სიტყვა **დედებუები**, ვფიქრობთ, თურქულ-ქართულ ფორმათა კონტამინაციით არის მიღებული **დედე+(ბა)ბუები**. რაც შეეხება, **დიდვანებ-ს**, სემანტიკა იგივეა, სტრუქტურა - **დიდი+ოვან+ებ+ი= დიდვანები**. სავარაუდოდ, **ვან ოვან** სადაურობის სუფიქსის ნაწილი უნდა იყოს, სადაც ფონეტიკურ ნიადაგზე დაკარგულია **ო** და **დიდი** სიტყვაში სახელობითის ნიშნისეული **ი** ხმოვანი.

ბიძა - ამ ფორმით ეს სიტყვაც კომპოზიტურ ფორმებში თუ დასტურდება, ცალკე არ გვხვდება. მას ენაცვლება თურქული **ამჯა//ამჯაი//ემიაი** (შდრ.: ემო იმერხ.) ლექსიკური პარალელებით. სემანტიკაც იგივე აქვს, რაც თურქულში - მამის ძმა. დედის ძმას კი აღნიშნავს სიტყვა **ტ(თ)ეაი** პარალელური ვარიანტებით **დაი//ტაი//თაი**.

და და ძმა-ც სემანტიკურად თურქულს მიჰყვება. უფროს დას ეძახიან **აბლა//აბლას** (შდრ.: იმერხ. **ბაჯი**), უფროს ძმას -**აბი-ს** (შდრ.: იმერხ. **ტადო**). უმცროსი და და ძმა ჩვეულებრივად და და ძმაა.

დეიდა - დედის და გვხვდება, მაგრამ ამავე მნიშვნელობით დასტურდება **ხალა // ალა** (თურქ. Halla). საინტერესოა ის ფაქტი, რომ თურქები ჰალას ეძახიან მამიდას, ხოლო ქართველები დუზუჯეში დეიდას. „პირველად მამიდა დაისტავლეს **ბიბითი**, მაგრამ იმის შემდეგ გაიგონეს **ხალა** და დაარქვეს დეიდას. თავიდან უფრო ხშირად ამბობდნენ დეიდას“ - ჰყვებიან რესპონდენტები. „ბოლო დროს ასეა: დედის დას გურჯები **ხალას** ეძახიან, მამისდას **ბიბის** - ადასტურებს ერთ-ერთი დუზუჯელი ქართველი. ე. ი. მამიდას ეძახიან **ბიბის**, ასევე **ბიბიას**, მოფერებით. პარალელურად დასტურდება ქართველური **მამიდა//მაიდა** სიტყვებიც. აღნიშნული ფორმებით ნაწარმოები შესაბამისი კომპოზიტებია **ტაიაშვილი//დაიშვილი//თაიაშვილი** - ბიძაშვილი დედის მხრიდან; **ემიაშვილი** - ბიძაშვილი მამის მხრიდან; **დეიდაშვილი // ხალაშვილი; მამიმდაშვილი // მაიდაშვილი // ბიბიშვილი**. დასტურდება სიტყვა **დედმამიშვილი // დედმამიშვილები**.

შვილები - შვილებზე იტყვიან **გოგო** და **ბიჭი** მყავს. არ იციან ვაჟი//ვაჟიშვილი, ქალი//ქალიშვილი, ასული: „მყავს შვილები: ერთი გოგო, ერთი ბიჭი. ძე და ასულს არ ვიტყვით“. არ იციან შვილიშვილი, გავრცელებულია **ბადიში**.

მოყვრები - თვით სიტყვა **მოყვრები** არ გვხვდება. ის ჩაანაცვლა სიტყვამ **დუნურები**.

ცოლი ცოლია, **ქმარი** - ქმარი - ასე ამბობენ დუზჯეში. თუმცა, ამავე მნიშვნელობით **კაცს** და **ქალსაც** იტყვიან ხოლმე, როგორც რესპონდენტები აღნიშნავენ. „დედაჩემი და ისინი რომ მეიყრებოდენ შინ **ცოლ** და **ქმარ** ლაპარაკობდენ, გარეთ **ქალ** და **კაც** ამბობდენ“. ესე იგი ოჯახში, სახლში ქართველური შინაარსით საუბრობდნენ, უცხოებთან - არა. ამჟამად, ცოცხალ მეტყველებაში უფრო ასეა: - ის ჩემი კაცია ანუ ჩემი ქმარია; ქალი ყავს თუ? ცოლი ჰყავს ...

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, **დაოჯახებულის** მნიშვნელობით აქ გამოიყენება - **დასახლებული**: პაწაი ზმაი ადრე დასახლდა 'პატარა (უმცროსი) ძმა ადრე დაოჯახდა'.

მაზლი - ცოლის ძმა, **მული** - ცოლის ან ქმრის და.

სიდერი, სიმამრი, დედამთილი, მამათილი - ეს ლექსიკური ერთულები ჩვეულებრივად გამოიყენება, სალიტერატურო ქართულის ვითარებას მიჰყვება.

სიძე არის როგორც შვილის ქმარი, ასევე დის ქმარი. მაგრამ ამ ფორმის განდევნას ცდილობს თურქული წარმომავლობის **ბაჯანალი//ზაჯანაქი** (თურქ. Bacanak 'ქვისლი').

დასტურდება **რძალი** ლექსემა: **დედოფალს//დოდოფალს** ახალმოყვანილზე ეძახიან, შემდეგ კი რძალი - ასე გვიხსნის რესპონდენტი. შვილის ცოლები ერთმანეთისთვის რძლებია, მაგრამ აქაც თურქული სიტყვა **ელითები** ჯიუტად ცდილობს დამკვიდრებას.

1.5.2. ქართული კერძების აღმნიშვნელი სახელები და მასთან დაკავშირებული ლექსიკა

ესა თუ ის საქმიანობა ასახვას პოულობს მისი შემსრულებელი ხალხის მეტყველებაში. დუზჯეში, და ზოგადად თურქეთის სხვადასხვა პროვინციებში, დასახლებული ქართველების ძირითადი საქმიანობა მიწათმოქმედება იყო. როგორც ბევრგან აღნიშნავენ, ისინი შეგნებულად ირჩევდნენ ისეთ ადგილებს, რომლებიც მათ საქართველოს, მშობლიურ მიწა-წყალს მოაგონებდა; სახლდებოდნენ, მიწას

ამუშავებდნენ და რაც მოჰყავდათ ეს იყო, უპირველესად, სიმინდი და ლობიო, ფხალი, სხვადასხვა ბოსტნეული. როგორც შენიშნავენ, მწვანილებიდან განსაკუთრებული იყო ქინძი: „ქინძი მარტვეი ჩვენ ვიცით (ქართველებმა - ფ. ჩ.), სხვებმა ქინძი არ უყვარან, არ იციან... ქართული საჭმელები ქინძით გაკეთდებოდა... ჩვენს ბაღეში ქინძი ყოველთვის იყო“ - შენიშნავს მთქმელი. დღემდე ასეა: დუზჯეს რეგიონში ქინძს მხოლოდ ქართულ ოჯახებში თუ შევხვდებით. ქართულ სამზარეულოში, ასევე, განსაკუთრებული ადგილი უჭირავს ფხალს: „სადაცა ბაღეში იყოს, ეზოში იყოს ფხალს დეინახავ, ის უმფო გურჯუ იქნება“ ... მართლაც, ქართულ ეზოებში ხშირია ფხალი, არამარტო ბოსტანში, არამედ სახლის წინ, თვალსაჩინო ადგილას. როგორც თავად აღნიშნავენ, ესეც ერთგვარი ნიშანი იყო სხვა ქვეყანაში გადმოხვეწილი ადამიანისთვის, რაღაც ერთგვარი ნიშანია ქართველობისა.

„ჩვენ ცარიერია მოვსულვართ; ჩუენ ქართული საჭმელები მოვიტანეთ, ქართული სიმღერები მოვიტანეთ, ვსამობდით, გურჯუჯე ვლაპარაკობდით“ ... - ასე გვიყვებიან და თვალწინ იშლება, თუ როგორ მკვიდრდებოდა უცხო მიწაზე ქართული კულტურა - ცეკვა-სიმღერა, სხვადასხვა ქართული ტრადიცია ...

მოძიებულ მასალაში ცალკე ჯგუფად გამოვყოფთ ქართული კერძების აღმნიშვნელ სახელებს.

მთქმელის ინფორმაციით: „ჩვენ **სეჭმელს** ვიტყვით, **სეჭმელს** ვამზადებთ, **სეჭმელს** ვაკეთებთ ... როცა **მემემშევა** ვჭამ. **საჭმელი** ია **საჩმელი** ერთია; **მომშევას** ვიტყვით. **მემეშია**“.

საჭმელი -> **სეჭმელი** მაწარმოებელ აფიქსში ა//ე ხმოვანთა მონაცვლეობა სალიტერატურო ქართულსა და დიალექტებში უცხო არ არის.

საანალიზო მასალაში საწყის ფორმად გვაქვს **მომშევა**, რომლის **ო** ხმოვანი ზმნაში გადასულია ე-ში: **მემემშია**.

საყურადღებოა ის ფაქტიც, რომ, ზოგ შემთხვევაში, მთქმელთა მეხსიერებაში შემორჩენილია ესა თუ ის სიტყვა, მაგრამ მნიშვნელობა გაბუნდოვანებულია: გვხვდება ასეთი შესიტყვებაც - **მომემშია მინდა**, სადაც **მომემშია** საჭმლის მნიშვნელობით არის გამოყენებული.

მთქმელი ვერ მეტყველებს ქართულად, მის მეხსიერებაში რამდენიმე ქართული სიტყვაა შემორჩენილი და მისგან ცდილობს წინადადების აგებას. განმარტებისას

ვხვდებით, რომ ზუსტად არ ახსოვს სიტყვის მნიშვნელობა, თუმცა იცის, რომ მომემშია საჭმელთან, ჭამასთან არის დაკავშირებული და ამ ფორმის წინადადებას ვაფიქსირებთ. შდრ.: მე მო-მ-ე-მშ-ი-ა, შენ მო-გ-ე-მშ-ი-ა, მას მო-ე-მშ-ი-ა (მე მემშევა, მე მომემშია).; მე მომემშია > მე მემემშია.

მთქმელთა განმარტებით, დილის საჭმელი არის **სადილი**; შუადღის საჭმელი - **ხევისი**, შდრ.: ხემსი „მცირედი რამე ჭამადი“ (საბა, 1993); საღამოსი - **ვახშამი** შდრ.: ვახშამი „მწუხრი საჭმელი გლეხური; საღამოს საჭმელი“ (საბა, 1991, 259).

ჩვენ მიერ მოძიებულ მასალაში ქართული კერძების აღმნიშვნელი შემდეგი ლექსემებია დადასტურებული:

ყურუთი - გაწურული მაწონი. ამავე მნიშვნელობით ყურუთი//ყურუტი დასტურდება ლაზურში (თანდილავა, 2013, 817); კურუთი - მჭადის ფქვილში შეზეილილი ნადული (გამხმარი) (იქვე, 389);

ნაკი// ნარეკაი - წყალში გახსნილი მაწონი. ამოსავალი რეკ- ძირი სემანტიკურად დაკავშირებულია რეკვა (იგივე ნჯღრევა) სახელზმნასთან. ნა- წინსართი ნამყო დროის მიმდევობის მაწარმოებელია. ნარეკი არის ის მასა, რომელიც წყლისა და მაწვნის დღვების შედეგად მიიღება. შდრ.: ნა-დული (სალია, 2014, 313). ჩვენი ვარაუდით, აღნიშნულ ფორმათა მიღების გზა ასეთია: რეკ- -> ნა-რეკ-ი -> ნარეკაი -> ნაკი.

დო - ‘დო იალის მერე დარჩება’. საბას მიხედვით, დო მაწვნის ნათქვეფია (საბა, 1991, 222); აღნიშნული სიტყვაფორმა გავრცელებულია საქართველოს სხვადასხვა კუთხეში - ქართლში, ქიზიყში, მთიულეთში, ხევსურეთში, რაჭაში და მისი მნიშვნელობაა - კარაქის ამოღების შემდეგ დარჩენილი სითხე; შედღვებილი მაწონი (ღლონტი, 1984, 209).

ნაღები - ‘არაჟანი’.

ჭიმური - ‘იალში მოვხრაკავთ ჭადის ყველის და ვჭამთ; ჭიმურის ვებნევით’; ‘სიმინდის ფქვილისა და ზროხის იალისგან ვაკეთებთ’ ... ჭიმური დადასტურებულია მესხურში „მშრალი საჭმელია, ერბოში მოხრაკული პურის ან ჭადის ნაფხვენი. ანდაზაა: არა მშურს მჭადი ჭიმურისათვისაო“ (ღლონტი, 1984, 722); ჭიმური (ქიზიყ., მოზ., ქსნის ხეობა) - ხავიწივით საჭმელია; ღორის ქონში

მოხალული სიმინდის ფქვილი... (იქვე). ლაზური **ჭიმბური** - საჭმელი (თანდილავა, 2013, 861).

ქალაჯო//ქალაჯი - ქალაჯო გურჯუ იემეკია; ჭადი და იალი უნდებია. **ქალადოში** - დოს კონჩოლი, განმარტავს სულხან-საბა ორბელიანი (საბა, 1991, 211); ქალაჯო (ზ. აქარ.) ქალანცხო, დოს შეჭამადია. იხ., ქალადოში (ღლონტი, 1984, 559).

სინორი//სილორი - ქართულ კერძს აღნიშნავსო ამბობს ინფორმატორი, 'წინ-წინ იცოდნენ, ახლა ვერ მიხდი'.

არჩევენ **ლობიო//ლობიეს** სხვადასხვა ჯიშს. მათი სახელებია: **თეთრი ლობიე, შავი ლობიე, წუანე ლობიო, ჭრელა ლობიო, ხეშერაის ლობიო ...**

ენაში შემორჩენილია ლობიოსგან დამზადებული ქართული კერძების აღმნიშვნელი სახელები:

ფხალობიო - ქართული კერძია, რომელიც თურქეთის ყველა ქართულ ოჯახში მზადდება და მისი სახელიც ყველამ იცის. ეს არის ფხალიანი ლობიო და კომპოზიტიც ფხალი და ლობიო სიტყვების შეერთებით არის მიღებული.

მალახტო//მალახთოც ერთ-ერთი პოპულარული, ყველა ქართველისთვის ცნობილი ქართული კერძია. **მალახტო** - ლობიოს შეჭამადი დადასტურებულია აქარულში (ნიჟარაძე 1971, 243; ღლონტი, 1984, 341). ტერმინი, რა თქმა უნდა, ქართულია, თუმცა მისი ეტიმოლოგია ჩვენთვის ნათელი არ არის. მა- წინსართით ნაწარმოები სხვა სიტყვებიც გვაქვს ქართულში; შდრ.: **მაწონი (მეგრ.: მარწვენი)** .

წოწოლა // წოწოლაი - 'მწნილი'; ზოგი ინფორმატორის განმარტებით, ჭარხლის ფოთლებისგან დამზადებული კერძია. **წოწონაი (ლ//წ მონაცვლეობით)** ზოგისთვის ტყემლის საწებელია.

ჟავე 'მჯავე' - ჩემა ნენეიმ იცოდა **ჟავე**. მ- სონორის დაკარგვა სიტყვის თავში ქართულისთვის დამახასიათებელი მოვლენაა.

ჯინჭარფხალი//ჭინჭარფხალი - ჭინჭრის ფხალია; სახელი გაკომპოზიტებულია. არც **ჯ//ჭ** თანხმოვანთმონაცვლეობაა უცხო ქართულისთვის.

კორკოტი - მთქმელები შენიშნავენ, რომ: „ჩვენები ბათომიდან რომ გამოსულან მათი პილველაი საჭმელი **კორკოტი** ყოფილან“. **კორკოტი** ლექსემა ქართული სალიტერატურო ენის დიალექტებშიცაა დადასტურებული: **კორკოტი** (ქართლ. ქიზიყ.) „პურის მსხვილი მარცვლისგან შემზადებული კერძი; კანგაცლილი

მარცვალი, მოხარშული რძეში ან წყალში; პურისპური, დარომილი ხორბლის შეჭამადი (ღლონტი, 1984, 303); **კორკოტი** (რაჭ.) - დანაყილი პურის მარცვალი შდრ.: საბა, ქეგლ (ღლონტი, 1984, 303); საყურადღებოა საანალიზო ლექსემის შემდეგი მნიშვნელობა, **კორკოტაი** (მოხ.) - მცენარეა. ნ. ბალბა, კორკოტინა; ქვ. იმერ. - **დონგის ფხალი**; რჭ. - **მოლოქა ფხალი** (მაყაშვილი, 1991, 15).

ლეფსი - ქათმის ხორცისგან დამზადებული წვნიანი კერძი: გაგაი (კაკალი - ფ. ჩ.) უნდა გემიელია, მოგვწონა ...

ჭადი - 'მჭადი'. დაკარგულია თავკიდური მ- თანხმოვანი. შდრ.: **ჟავე < - მჟავე; სხალი <- მსხალი**.

მოთრეველა - მთქმელთა ახსნით, მოთრეველა არის შემოდგომის მიწურულს აღებული ლობიო, რომელიც გახმობას ვერ ასწრებს, ზამთრის გამო. მათივე ახსნით, ეს არის ძალით, ძლივს მოყვანილი, „მოთრეული“ ლობიო. საანალიზო სიტყვა სემანტიკურად და მორფოლოგიურად დაკავშირებული უნდა იყოს **თრევა** (-> **მოთრევა** -> **წათრევა**) სახელთან.

შორვა//ჩორვა - წვნიანი შეჭამადი, 'სუპი'. ლექსემა თურქულიდანაა ნასესხები.

მჟავე სხალი < - მსხალი. შდრ., მეგრული: სხული 'მსხალი'. ზოგადად, თანხმოვანთა დაკარგვის შემთხვევები ხშირია დუზჯელ ქართველთა მეტყველებაში. სონორი თანხმოვნები იკარგება, როგორც სიტყვის თავკიდურ, ასევე სხვა პოზიციაშიც: **ლაპაიკობს <- ლაპარაკობს, მოიდა < - მოვიდა, გემიელი <- გემრიელი ...**

ფუნჩხოლია//ჩაფუნჩხული - მაწონში ჩაფშვნილი მჭადი. „მოგვწონა ეს თამ გურჯუ იემექია; გემიელია სუ ლამაზია“ - ასე გვიხსნის, თურქულ-ქართულად ქართველი დიასახლისი; ტერმინი **ფუნჩხოლია**, იგივე **ჩაფუნჩხული** ქართველურია და იგი ამავე მნიშვნელობით დასტურდება ქართული ენის დასავლურ კილოებსა (იმერ., გურ., აჭარ.) და მეგრულში: **ფუჩხოლია// ფურჩხოლია//ფუნჩხოლია** (რ//ნ სონორთა მონაცვლეობით). ამოსავალია **ფუჩხა** 'ნამცეცი' და დანარჩენი ფორმები (**ფუჩხოლია//ფურჩხოლია//ფუნჩხოლია**) მისგანაა მიღებული. ცნობილია მიმდებარე ფორმები: **ფუჩხოლი** (მეგრ.) 'დაფშვნა', **ფუჩხოლირი** (მეგრ.) 'დაფშვნილი', **ნაფუჩხოლა** 'ნაფშვნი'. **ფუჩხოლია// ფურჩხოლია//ფუნჩხოლია** ფორმებში ბოლოკიდური -ია კნინობითობის სუფიქსია.

ფაფა: ფაფის რამდენიმე სახეობას არჩევენ ენობრივად, „ერთი ყურზნის ფაფა, ფექმეზი და იქითანე პურის ფაფა, სიმინდის ფაფაც იყო“. მოქმელთა განმარტებით, ყურზნის ფაფა და მისი თურქული ვარიანტი ფექმეზი, იგივე საქართველოში ცნობილი თათარა, ამავე მნიშვნელობის ფელამუშია: „-ნენეი ყურზენ აადულეზდა და შეინახვიდა. ჩვენას ესე ვიქთ“. მარტივფუძიანი ფაფა, შესიტყვება ყურზნის ფაფა და თურქული ფექმეზი დუზჯელ ქართველთა მეტყველებაში თითქმის თანაბრად - პარალელურად გამოიყენება.

რაც შეეხება პურის ფაფას, მას დღემდე სარიტუალო დანიშნულება აქვს. კერძოდ, ოჯახში გოგოს დაბადებისას საგანგებოდ ამზადებენ ფაფას პურის ფქვილისგან და სტუმრებს, სხვა ქართულ კერძებთან ერთად, ფაფით უმასპინძლებიან. ფაფა ყველას უნდა ერგოს... ამ რიტუალს ფაფაია // ფაფობია // ფაფაბიას ეძახიან. ზოგი ამბობს, რომ ბიჭის დაბადებისას ბრინჯი უნდა მოიხარშოსო, ფაფა ბრინჯისგან უნდა დამზადდესო, ადრე ასე იყო. ამჟამად კი ახალდაბადებული გოგო იქნება თუ ბიჭი, პურის ფქვილის ფაფას ამზადებენ და ეს წესი დუზჯეს ქართულ ოჯახებში დღემდე მტკიცედაა შემონახული. უფრო მეტიც, თურქებმაც ისწავლეს ჩვენგან და ისინიც აწყობენ ფაფობიასო, - შენიშნავენ მოქმელები. ეს ტრადიცია დღემდე დაცულია მთიან აჭარაში. ბუნებრივია, დუზჯელ ქართველებსაც სწორედ იქიდან შემორჩათ. **ფაფა-ია, ფაფ-ობია, ფაფა-ობა** წარმოქმნილი სახელებია.

კორკმელი იცოდა... კორკმელი დაჰა თათლი დაჰა გემრიელი ...

პატრიჯანის ზედ ჟავეს დაადებდენ ...

კორაო//ყორაო ‘ტყემლის საწებელი’. „კორაოს ჩივოდნენ დიდვანები მე არ ვილაპააკე დამავიწყდა“ - ამბობს ერთი მოქმელი, რომელსაც ახსოვს ეს ლექსემა, მაგრამ ვერ იხსენებს მის მნიშვნელობას. მეორე დანამდვილებით ამბობს, რომ ეს ტყემლის საწებელია. ზემო აჭარულში დასტურდება **ყორავო//ყარაო** „ტყემლის საწებელი, კვაწარახი“ (ღლონტი, 1984, 613); **ყორაო** ამავე მნიშვნელობით გვაქვს ზემოიმერულში (იქვე) ...

იაღში შემწუარი კუერცხი: იაღში შემწუარი კუერცხი ვიცით; იაღი ერბოა. კუერცხსა მოვხარშავთ და ესე კიდო ჭამთ ...

ფილავი - ფილავ ვაკეთებთ, ფირინჯსა გაარჩევ, გარეცხავ, მოხარშავ. ბოვრი რამე ვიჯებით; გინდა მაწნიანი ჭამ გინდა სხუა ...

დუზჯეს ქართველთა მესხიერებას ასევე შემორჩა შემდეგი სახელები:

კარტოფაი ‘კარტოფილი’, რომლის პარალელურად ქართულ მეტყველებაში თურქული **ფოტატეზიც** გვხვდება;

მაკიდო ‘ოხრახუმი’. შდრ.: მაკიდო (აჭარ.), მაკინდოლი (მეგრ.);

კაკალი//კაკაი//გაგაი ‘კაკალი, ნიგოზი’;

ბაკლიჯანი ‘ბადრიჯანი’;

პომიდორი//დომათესი (თურქ.) ‘პომიდორი’;

პირპილაი//ზიბერაი ბალჩემია;

ლახანა//ლაჰანა დულარე წყალში ჩავდებთ ავადულავთ, მემრე ბიბერის ვუქნავთ...

კიტრი, ტყემაი, ხახვი, პრასა, ნიორი, რეჰანი, პიტნა - ამათგან საჭმელები ჩემით-ჩემითი (თურქ. Çeşitli „მრავალგვარი.“ ფ. ჩ.) იქნება;

თეთრი ფხალის დავრგავთ. შავი ფხალიც ვიცით. ვერ ვიგნავ ახლა;

ხაპი, თეთრი ხაპი, მიწახაპი. ენ წინ ვიჯებოდით უმფო ...

ფახლავა//ბაქლავა ყველას გვიყვარან, თათლია (თურქ. Tatlı „ტკბილი“ფ.ჩ.) გემიელია...

ხორცის შევწავთ, ხორცით ქოფთეც გაკეთდება. ქათამს შევწავთ ...

ჯაჯიკ გავაკეთავთ - კიტრი გავთალავთ, წვიტად დავჭრით, ნიორის დავაყარავთ, მარილი უნდა და ნანე უნდა ნანე - პიტნაი და მაწონში გუურევთ ...

ყველ ვაკეთებდით: აბაზაი ყველი იცოდნენ, ჩვენ ჩვენებურაი ყველ ვაკეთებდით: გობზე უნდა დაასხა რზემ, ჯამის იშტე დაადვან, დღეს ამოწურონ ... ტაროსის სიცხე-სიცხევს უყურებენ; მემრე ორ დღეს მემრე გააკეთებენ; ამისი ნენე აკეთებდა ყველი თოკივით გაგზელდებოდა ...

განხილული ლექსიკის დიდი ნაწილი აჭარულშიც დასტურდება და სხვა სამხრეთ-დასავლურ კილოებშიც.

1.5.3. სხვადასხვა ნაგებობანი და ნივთები

ახორი, საბძელი//საბძელი, ნალია, სანათორი, ყავარი, ჯორკო...

მთქმელთა მეტყველებიდან: საბზელი მეგაგონდა? ჰო საბძელი....იმას ახორი ქვია; ნალია დაანგრეთ? ... ადრე ყავარი იყო, კრამიტი გამევიდა მას შემდეგ ყავარი

დამთავრდა. ახორში ახორის ბალახი გვაქ. მოკოჭილი ბალახები, ბაეები... გამხმარი ფხალები.

სანათორი 'ახორის ფანჯარა'; შდრ.: სანათი, სანათური, ფანჯარა (ნეიმანი 1978, 356); ლეჩხუმურში სანათლისი არის ლამპარი (ღლონტი 1984, 471).

1.5.4. სხეულის ნაწილების აღმნიშვნელი ლექსიკა

თავი, თვალი, შუბლი, ცხირი, ყური, ლოყა, თვალკაკალი 'თვალის გუგა' (შდრ.: მეგრ.: თოლიშ კაკალი 'გუგა'), ფხარი, კლავი, ინდაყვი, ფჩხილი, კერდი, ზრუგი, კანჭი, ყაა - ყველის სუნი მოა და მემრე ყიაზე არ გადავა... ყურფარფალა, ჭაჭვი 'ხელის მტევანი', ჭლიკი 'ფეხის თითი', ბაგე//ტიტვირი 'ბაგე, ტუჩი'...

ყიყიტონი - სასულესთან რომ სეჭმელი მიდის იმის სახელია.

დუდი 'თხემი'; მთქმელთა მეტყველებაში არის თავდუდი - თავდუდში მოხდა, თავდუდი გამეყინა... შდრ.: დუდი - 1. ქათმის ბიბილო; 2. თხემი თავისა. დუდიანი მსხალი 'თავიანი მსხალი' დადასტურებულია გურულში, ზემო აჭარულსა და ფერეიდნულში (ღლონტი 1984, 2013). დუდი თავის აღმნიშვნელი სიტყვაა მეგრულში (სალია 2015, 314).

1.5.5. ბუნების მოვლენების აღმნიშვნელი ლექსიკა

ტაროზი, ქარი, ქარშხალი, თოვლი, ბუქი (შდრ.: ქარბუქი) - ქარი და თოვლი ერთად იქნება ბუქს ვიტყვით ...

წვიმა, მიწამძვრა 'მიწისძვრა' - დუზჯეში წინწინ დიდი მიწამძვრა იყო ...

ჭექა-ქუხილი, ხოშკაკალი 'სეტყვა' ...

1.5.6. დროები, დღეები

გაზაფხული, ზაფხული, ზამთარი, შემოდგომა //რთველი... თვეების სახელები იგივეა, რაც სალიტერატურო ქართულში; ერთგან გვხვდება დაგებისთვე - „დაგებისთვე მოვდოდა დავგავდით, დავთესავდით“; ასევე გვხვდება სიტყვაფორმა

ჩათესისთვე. სახელდება დაგებისთვე, ჩათესისთვე - პირობითია; გულისხმობს დარგვის, დათესვის თვეებს.

კვირის დღეების ათვლას იწყებენ შაბათით: შაფათი, ორშაფათი, სამშაფათი, ხუთშაფათი, ჯუმა. როგორც ჩანს, პარასკევის ნაცვლად დასტურდება ჯუმა ლექსემა.

შარშან, შარშას წინ...

1.5.7. ფლორა და ფაუნა

ფლორისა და ფაუნის აღმნიშვნელი ლექსიკური ერთეულების დიდი ნაწილი ქართულია:

„ხეები ტყეში არიან: წიფელა, მუხა, ცხრემლა ... კატარი არ დარჩა. შოჭი არი. სახლი ახლა კრამიტით დახურულია, ადრე იყო ყავარი ... მუხადან, შოჭიდან - აკეთებდენ ყავარს. ენ კაი სოჭი იყო. ტყეში სუ ყველაფერია: თილი, ზღმარტლი“; „ხიები: წიფელა, მუხა, ცხრემლა, კატარაი, შოჭი, თილი, ზღმარტლი“ ...

შინაური ცხოველები: ძაღლი, კატა, ცხვარი, ცხენი, ვირი, თხა, ციკანი, ძროხა, ღორი, ხობო, ფუჩაი 'ხბო' ...

„ერთი ლამაზი ფუჩაი გოგოი მივეცი“. შდრ.: ფუჩაი კნინ. ხბო, ქართლ.: ფუჩინა (ნიჟარაძე 1973, 350).

ფოხი 'ნაკელი' - იმის ფოხით ყანას ასუებდა ('ყანას ანოყიერებდა').

გარეული ცხოველები: მელი, გელი//გველი, მგელი//გელი, ტურა, დათვი, ხლიკი...

ფრინველები: ქათამი, მამალი, ორდექი (თურქ.) 'ბატი', ქუშქუშო 'ინდაური'; „ჩხიჩხინაკი ჩიტების არი. ჩიჩხინაკი ბევრი იყო ბაღნობაში“...

ასევე გვხვდება ლექსიკური ერთეულები: თევზი, ჟინჭველა, ბუზი, ბუზანკალა, ფუტკარი...

1.5.8. ხილი

ვაშლი - არის ჟავე ვაშლი, გემრიელი ვაშლი ...

სხალი - ბაღდათურაი, ბოღშვაი, პანტაი, ხეჭეჭურაი, სესელაი...

ტყემალი, ქილიავი, ყურძენი - თეთრი ყურძენი, შავი ყურძენი...

1.5.9. ადგილის სახელები

ყანაი, ტყე, თა, ბაღჩე, მინდორი, კაპანი, ეზო, სასიმინდე, დუბე 'გამლილი ადგილი, ვაკე'. „დუბე - დაბალი ადგილი შეტანილია სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონში. ალ. ნეიმანის მიხედვით, დუბე იგივეა რაც ვაკე (ნეიმანი 1978, 173); დუბე - დაბალი, ვაკე, ჩავარდნილი ადგილი დადასტურებულია აჭარულსა და ქართულში (დლონტი 1984, 206). აღნიშნულ სახელთანაა დაკავშირებული ტოპონიმი დიდუბე. შდრ.: დიცუ <- დიდი ცუ (ტოპ.). მეგრ. ცუ „თელა“ (სალია 2015, 315).

1.5.10. „ვეფხისტყაოსანი“ და გოლიაქას ქართული მეტყველება

ენა, როგორც ცოცხალი ორგანიზმი, ვითარდება, იცვლება; იცვლება მისი ლექსიკური ფონდი. შემოდის ახალი სიტყვები. ლექსიკის ნაწილი ძველდება და აქტიურად არ გამოიყენება, უფრო მეტიც, შეიძლება დაიკარგოს კიდევ. დროთა განმავლობაში სიტყვის მნიშვნელობა ფართოვდება ან პირიქით - ვიწროვდება. ამდაგვარი მიზეზებით აიხსნება ის, რომ „ვეფხისტყაოსნის“ ენა, მეთორმეტე საუკუნის ქართული, განსხვავებულია დღევანდელი სალიტერატურო ქართულისგან, რის გამოც საჭირო ხდება განმარტებითი ლექსიკონების გამოყენება. შოთა რუსთაველის უკვდავი პოემა „ვეფხისტყაოსანი“ მრავალმხრივ საინტერესო ძეგლია. ენათმეცნიერთა ყურადღებას იპყრობს, „ვეფხისტყაოსნის“ ეპოქის ფუძემდებლის საკითხი. არნ. ჩიქობავას მიხედვით, „არსებობს არაერთი გარემოება, რომლებიც გვაფიქრებინებს, რომ უნდა არსებულიყო სხვა დიალექტური წრე, რომლისგანაც ეს მოვლენები (დიალექტიზმები) შეითვისა სალიტერატურო ქართულმა. შეიძლება ეს კილო აჭარის სამხრეთით გვევარაუდებინა – ტაოსა და კლარჯეთში“ (ჩიქობავა 1938). ამ მხრივ, საყურადღებოა შ. ნიჭარაძის მოსაზრება - „ფონეტიკურ-გრამატიკული პროცესებით, და განსაკუთრებით – ლექსიკით, აჭარულს, კერძოდ, ზემო აჭარულს, ბევრი რამ აქვს საერთო მომიჯნავე მესხურ-ჯავახურთან. ამიტომაც აჭარული კილო ერთობ საყურადღებოა სამხრეთ საქართველოს მეტყველების პროფილის რესტავრირებისათვის. მკვლევრის

დასკვნით, შოთა რუსთაველის მშობლიური დიალექტი უნდა ვეძიოთ ისტორიულ „ზემო ქართლში“ – მესხეთ-ჯავახეთ-აჭარა-შავშეთ-კლარჯეთში (ნიჟარაძე, 1966).

ჩვენი ნაშრომიც ამ მოსაზრებებს უჭერს მხარს. ჩვენს ყურადღებას იქცევს არქაული თუ დიალექტური ლექსიკა, რომელიც პოემაში გვხვდება. ცნობილია, „ვეფხისტყაოსნის“ ლექსიკონები, სადაც პოემაში წარმოდგენილი სიტყვები თუ შესიტყვებებია განმარტებული. შევნიშნავთ, რომ „ვეფხისტყაოსანში“ წარმოდგენილი საანალიზო ფორმები, დღემდე აქტიურად გამოიყენება გოლიაქას ქართველთა მეტყველებაში. ამის დასტურია მასალა, რომელსაც ქვემოთ წარმოგიდგენთ.

არა ქმნილა - არაფერი მომხდარა. „თვარა აქა სამძიმარი მათი ყოლა არა ქმნილა“ (58)¹. შდრ.: **არქნილია (ქმნილია) ეს საქმე, არაქმნილა**. მთქმელთა ახსნით იგივეა, რაც არ მომხდარა.

არა უთხრა - არაფერი უთხრა. „მას მონასა არა უთხრა, არცა სიტყვა მოუსმინა“ (587). მსგავსი წარმოების ფორმები ხშირია გოლიაქას ქართველთა ცოცხალ მეტყველებაში: **არა უთხრა მას, არ იცოდეს**.

არ დაგარჩენს „არ გაცოცხლებს“. „თავი ფიცა ძმამან შენმან, არ დაგარჩენს, იცის ერმან“ (569). **არ დაგარჩენს მოგკლის; გოუქეცი, არ დაგარჩენს** - არაა უცხო გოლიაქას მეტყველებისთვის;

არ იახლებ - ახლოს არ იყოლიებ, არ იკარებ. „არას კაცსა არ იახლებ საუბრად და შემაქცევრად“ (269); **გეახლო** - შენთან ახლოს ვიყო, გახლდე. „და თუ გეახლო, ერთხელ ვა და რა მოგშორდე, ათასჯერ ვა“ (698); **გეახლოს** - ახლოს გყავდეს, შენთან იყოს. „იგი გეახლოს, ილხენდე მისითა შემეცნებითა“ (275);

იახლო - ახლოს იყოლიო. „და ვერ მიახლოს საახლოდ კრულმან პირითა კრულითა“ (1203).

აღნიშნული ლექსემები წარმოდგენილი მნიშვნელობებით დასტურდება ჩვენ მიერ მოძიებულ მასალაში: **რატომ იახლებ (იახლებ) იმას; გეახლო დაგცავ; გეახლოს მეგებმარება; უნდა იახლო ი ბიჭი**. ცნობილია, ხლება - გეახლები, გაახლებ, გახლავარ - თავაზიანი ფორმები. „იახლებ - რატომ იახლები მას“ - დღევანდელ მეტყველებაში, მნიშვნელობით - რატომ იკარებ - ვფიქრობთ, ისე ხშირად არ გამოიყენება, როგორც გოლიაქაში.

¹შოთა რუსთაველი, „ვეფხისტყაოსანი“; <http://www.nplg.gov.ge/saskolo/>

ამისთვის „ამაზე, ამის გამო“: „ჩვენ ამისთვის ესე მონა გამოვგზავნეთ თქვენსა წინა“ (1261). ამისთვის (ამისთვის) ესე დამემართა; ამისთვის მივალ, ამისთვის უთხარ - გვაქვს საანალიზო მასალაში.

აჩნდეს „ეტყობოდეს“: „არსით აჩნდეს მიჯნურობა, არასადა იფერებდეს“ (28). შდრ.: აჩნდეს სტორე (სწორე) რაცხა (რალაცა) თუ არის; თუ უყვარდეს ნუ აჩნდება.

აჰა ‘აი’: „აჰა, მკვდარი გამაცოცხლე, ამას იქით აღარ ვბნდები“ (375). ეს ფორმა გოლიაქას მეტყველებაშიც და სალიტერატურო ქართულშიც ხშირია; გაუგებარია მისი სალექსიკონო მასალაში შეტანა.

ბარგი ‘ტვირთი, ბანაკისთვის საჭირო ტვირთი’. „მოუკაზმნა ქარვანსრანი, დააყენა ბარგი მათი“ (1062). ბარგი არც თანამედროვე სალიტერატურო ქართულისთვისაა უცხო - ბარგი -> საბარგული... გოლიაქას მეტყველებაში ამ მნიშვნელობისაა თავად ბარგი ან აჭარული ჭვირთი (ჭვითი) ლექსემები. ტვირთი ფორმა საერთოდ არ ჩანს. ბარგისგან ნაწარმოები ზმნური ფორმებია - წევბარგე...

ბოლოდ ‘ბოლოს’: „და მით ვხედავ, ბოლოდ სოფელსა ოხრად ჩანს ყოვლი, სადარე“ (1201). შდრ.: ბოლოდ რას მეტყვიით? (ბოლოდ -> საბოლოოდ) ძველი ქართულის ფორმა შემონახულია გოლიაქას ქართველების მეტყველებაში.

ბაგე ‘ტუჩი’: „კვლა სხვასა მივე, მოვჰკიდე ხელი ნავისა ბაგესა“ (607). ქართულ ენაში ტუჩი და ბაგე სინონიმებია (ნეიმანი 1978), მაგრამ დღევანდელ სალიტერატურო ქართულში, უფრო ხშირად ‘ტუჩი’ გამოიყენება: ტუჩზე იკბინა, ტუჩი მტკივა... საინტერესოა, რომ გოლიაქას მეტყველებაში უფრო ხშირია ბაგე სიტყვის გამოყენების შემთხვევები.

ბერსა ‘მოხუცს’: „არა ბერსა, არა ყმასა მოყვარესა, არცა მტერსა...“ (1142). ჩვენი დაკვირვებით, გოლიაქას მეტყველებაში აღნიშნული მნიშვნელობით მხოლოდ ბერი გამოიყენება.

ბუქსა ‘თოვლნარევ ქარს’: „რომე ჰგვანდა სიუხვითა ბუქსა, ზეცით ნაბუქალსა“ (55). ბუქს ლექსემა თურქეთელ ქართველთა მეტყველებაში ისევე პროდუქტულია, როგორც თოვს, წვიმს. გარეთ ბუქს. ხვალ ბუქი უნდა იქნოსნა ...

გაალაგება ‘ალაგის დაჭერა, მოთავსება’: „ნავსა ჩავჯე, ზღვასა შევე, ზღვასა შიგან გავალაგდი“ (579). გაალაგება ამავე მნიშვნელობით გამოიყენება გოლიაქას ქართველთა მეტყველებაშიც: ეს ადგილი გავალაგოთ, ალაგ - ალაგ დარიგდ(ნ)ენ.

სიტყვა **ალაგი** სალიტერატურო ქართულისთვის უცხო არაა, **ალაგი** - ადგილი; **ალაგ-ალაგ** - აქა-იქ. ასევე **განლაგება**, **განლაგდა...** შდრ.: **ალაგი** „დასადგომი ანუ დასადებელი“ (საბა); მაგრამ ზმნური ფორმა **გაალაგება** ცოცხალ მეტყველებაში ამჟამად არ გამოიყენება.

გაგვიხოცია ‘გაგვიწმენდია’: „და თქვენი მრავალი მიწითა დასვრილი გაგვიხოცია“ (80). გასუფთავების, გაწმენდის მნიშვნელობით საანალიზო მასალაში დასტურდება **გახოცვა**: ძირი **გახოცე** ...

გაგაგონოს ‘გაგაგებინოს, გაგაგებინებს’: „და ამან წიგნმან გაგაგონოს, ჩემთვის ვის ცა უქნევია“ (368). **გაგაგონა გაგებინების** მნიშვნელობით გამოიყენება გოლიაქას მეტყველებაშიც: **მარტო შენ ვერ გაგონე; ვერ გეგონე** ფორმებში მთქმელი გულისხმობს გონს, შეგნებას, გაგებინებას ...

გამიზიარე ‘გამიყავ, გამინახევრე’: „მაშინ მოგეცა იმედი, ლხინი რად გამიზიარე“ (389); ან კიდევ: **გაუზიარა** ‘გაუყო, გაუნახევრა’: „მაგრა მის მზისა გაყრამან სიცოცხლე გაუზიარა“ (176). შდრ.: **გამიზიარე** ჭირი შენი; **გამიზიარე** პური შენი (და არა გამიყავი); კერძი **გუუზიარე** (და არა გაუყავი).

გარე ‘გარეთ, გარეშემო’: „დასხდეს მეფენი, მოადგა გარე სიმრავლე რაზმისა“ (1505). **ჰაიდე, გარე! გარე მოი** - ფორმები გვაქვს საანალიზო მასალაში. ჩვენი დაკვირვებით, ზეპირ მეტყველებაში ბოლოკიდური **თ** საერთოდ არ ისმის.

გალარიბდეს ‘უთვისტომო, უცხო მგზავრად იქცეს’: „და იგი სადმე გალარიბდეს, სამყოფთაგან იაბეზრო“ (175). შდრ.: ძმები მუუკდა და **გალარიბდა**, მარტვეი დარჩა და ესრე **გალარიბდა** ...

განა: თანამედროვე ქართულისაგან განსხვავებით, დადასტურებას გამოხატავს და არა კითხვას: „თულა ოდეს შე-ლა-გცოდო, მაშინ მომკალ მეცა განა“ (465). **განა** აღნიშნული მნიშვნელობით შემონახულია აჭარულ დიალექტში და შესაბამისად გვხვდება გოლიაქელ მუჰაჯირ ქართველთა მეტყველებაშიც: აჭარელი ვარ მე **განა**.

დაბნედა ‘გონების დაკარგვა, გულის წასვლა’: „დაბნედასა მიეწურა, ასმათ ასხა გულსა წყალი“ (316); **დაბნედილი** ‘გულწასული’: „და კვლა დავეცი დაბნედილი, გულსა სისხლი გარდმეთხია“ (343); **დაბნედილსა** ‘გულშემოყრილს’: „ავთანდილცა სულთქვნა მწარედ, დაბნედილსა შემოსჭვრიტნა“ (492). გოლიაქას ქართველთა მეტყველებაში დადასტურებული **ბნედ**- ძირიანი მასალა ასეთია: შეწუხებით

დაბნედა (3)ქონდა, **იბნიდვოდა** ზოგჯერაც. **დევბნიდე** 'გული წამივიდა'; **დაბნედილად** დევეცი ძირზე; **დაბნედილს** უნდა მოხმარება (დახმარება). შდრ.: **ბნედა** 'ანაზდად ცნობის მიღება'; **ბნედიანი**, **დაბნედა** 'ბნედის მოსვლა'; **დაბნედილი** 'ბნედით მდებარე' (საბა) ...

დასტური 'ნამდვილი, არმოჭორილი'; **დასტურ** 'ნამდვილად': „და თქვა: „ისმენდი, მაგრა ჩემი სიკვდილი სადღე დასტურ-ა“ (319); **დასტური** 'სწორი': „ვერა მეცნა ეგზომ გრძელად, ვერ ჭორი და ვერ დასტური“ (584); **დასტურია** 'ნამდვილია': „მერმე ჩემი მიჯნური ხარ, დასტურია, არნაჭორად (129). ჩვენ მიერ მოძიებულ მასალაში გვაქვს: ეს კაცი **დასტურს** ამბობს, **დასტურია** მისი გაკეთებულები; **დასტური** რაცხა თუ არის უნდა ის ვთქვათ; არ გატყვილებ, **დასტურია!** შდრ.: **დასტური** 'დაჯერებული, დასაჯერებელი' (საბა). დღეისათვის, ქართველთა მეტყველებაში მივიწყებული, ან იშვიათად გამოყენებული სიტყვები თუ შესიტყვებები შემონახულია გოლიაქას ქართველთა მეტყველებაში.

დაკოდილი 'დაჭრილი'; **კოდალი** 'არბალეტი': „თავსა იყო დაკოდილი, შეებნიდა სისხლსა გული“ (194). გოლიაქას მეტყველებაში გვაქვს ისრის სახეობის აღმნიშვნელი ლექსემა **კოდალი** - კოდალი ესროლეს. მნიშვნელოვანია ერთგვარი თამაშობის აღმნიშვნელი ლექსემა **კოდალა**. მთქმელთა ახსნით, „კოდალა არის დაჭირობანა. მშვილდს ვესვრით, ვინცხას მოხდება, ის დაიჭირება (იგივე დაიჭრება)“. **კოდ-** ძირიანი **კოდალი** > **კოდალ-ა** > **დაკოდილი** ფორმები აქტიურად გამოიყენება გოლიაქას ქართველთა მეტყველებაში. შდრ.: **კოდალი** იგივე **ყოდალი**; **კოდალა** (ფრინვ.) - **ხეკოდა** (საბა).

დამეხსენ 'თავი დამანებე, მომშორდი': „სიკვდილი მახლავს, დამეხსენ, ხან სალად ავ ჰყოფ მცირასა“ (874). **დამეხსენ** არც სალიტერატურო ქართულისთვისაა უცხო (მაგ.: „მუხავ ეხსენ რკოსა“...), ზეპირ მეტყველებაში კი, ამავე მნიშვნელობით უფრო ხშირია შესიტყვება - **თავი დამანებე**. გოლიაქაში **დამეხსენ** არის ერთადერთი ფორმა, რომელიც გამოიყენება ზემოთ წარმოდგენილი მნიშვნელობით: ნუ მომდევე **დამეხსენ**; **დამეხსენ**, შენით ავი არ მინდა...

დაფარული 'საიდუმლო': „ყმასა უთხრა: “მესწრაფების, მითხარ შენი დაფარული“ (281). შდრ.: ბევრი **დაფარული** საქმესა კეთებს; ეს საქმე **დაფარულია** ...

დაფახვა, დაწამწამება 'დახამხამება': „კაცმან ვერა სწრას თვალისა დაფახვა, დაწამწამება“ (292) შდრ.: დაფახვა - დახუჭვა (საბა). **თვალეზს აფახურებს** -შესიტყვება დადასტურებულია გოლიაქას მეტყველებაში.

ეზურა 'ეზვია, ეზურა': „ეზურა მოშლით პირ-ოქრო, მე მივეც რიდე რომელი“ (514). შდრ.: დეიზურე პირი, თავი დაიბურე (და არა შეიხვიე...). მოქმელთა განმარტებით, ლეჩაქი **დაბურული** ქალი ...

ეგონა 'უნდოდა, ფიქრობდა': „ეგონა ჭამა ხორცისა შემწვრისა, შეუქნელისა“ (265). 'უნდოდა, ფიქრობდას' მნიშვნელობით ხშირად **ეგონა** გამოიყენება გოლიაქას მეტყველებაშიც: რა **ეგონა** არ ვიცი; იგივეა რაც, რა უნდოდა არ ვიცი ...

ესეა 'ასეა': „ესეა ჩემი სიცოცხლე, ჩემი მომცემი ახისა“ (886). **ესეა** ხშირად ისმის გოლიაქელ ქართველთა მეტყველებაშიც.

ეტყოდა 'ეუბნებოდა': „ეტყოდა ვცანო ამბავი, შენ რომე გეამებოდა“ (1324). შდრ.: რას **ეტყვი** იგივეა რაც, რას ეუბნები?

ვდეგ 'ვიდექი': „მე გარე ვდეგ დამეფემან შევლო ფარდაგი კარისა“ (336). შდრ.: **იქა ვდექ** 'იქ ვიდექი' ...

ვერა იქმს „ვერას ვერა იქმს ნაყოფსა ვარდი უმზეოდ ჭნობილი“ (923). შდრ.: **ვერ იქმ მაგ საქმეს**; ის **ვერ იქს** - დასტურდება საანალიზო მასალაში.

ვიგონებდი 'ვიხსენებდი, მასზე ვფიქრობდი': „მას ვიგონებდი მღვიძარე, რა მიმეძინის ლულითა“(1203) და **იგონებდა** 'ფიქრობდა, სწონიდა': „და დღე და ღამე იგონებდა საყვარელსა მასვე მისსა“ (181). ამავე მნიშვნელობა ჩანს - **ვიგონებდი** წუხანდელს.

ვითამც 'ვითომ, თითქოს': „ამას ასრე მორჩილობდით, არს ვითამც ავთანდილი“ (167). შდრ.: **ვითამც** მომიკითხა, **ვითამც** ვუყვარ ...

ვეცდებოდი 'ვცდილობდი': „ვეცდებოდი, არა მცალდა სევდისაგან თავის კრძალვად“ (362). **ვეცდებოდი** გვაქვს ამავე მნიშვნელობით შემდეგ წინადადებაში: **ვეცდებოდი** გაკეთებაზე ამ საქმეს ...

ვზი 'ვზივარ': „დაგეცრუო, ღმერთმან მიწა მქმნას, ნუმცა ცხრითავე ვზი ცითა“ (406). აქა **ვზი**... **ვზი** ფორმა ბუნებრივია თურქეთელ ქართველთა მეტყველებისთვის. მეშველზმნიანი **ვზივარ**, ფაქტობრივად, არც დასტურდება.

ვუყვარ ‘ვუყვარვარ’: „მე გამიკვირდა, სით ვუყვარ, ანუ ვით მკადრებს თხრობასა“ (353). შდრ.: არ **ვუყვარ**, ვიცი ...

ვახსოვ ‘ვახსოვარ’: „და მე სიკვდილსა აღარ ვახსოვ, ვარ მისგან ცაგანწირული“ (281). შდრ.: **ვახსოვ** იმას, ვიცი ...

ვარგი ‘ვარგისი, ღირსეული’: „კვლა აქაცა ეამების, ვინცა ისმენს კაცი ვარგი“ (12). გოლიაქას მეტყველებაში აღნიშნული მნიშვნელობების გადმოსაცემად გამოიყენება ერთადერთი ფორმა **ვარგი**. ეს **ვარგია** ...

ზამთარ ‘ზამთრის, ზამთარში’: „ზამთარ და ზაფხულ სწორად გვაქვს ყვავილი ფერად ფერები“ (1054). შდრ.: **ზამთარ** არ ითოვლა. **ზაფხულ** მივალ ...

ზროხა ‘საერთო სახელია ხარისა და ფურისა’: „მისთა სპათაცა ნუ დაჰხოც, ზროხათა ვითა ვირთაო“ (536). **ზროხა** (<-ძროხა) გვაქვს გოლიაქურ მეტყველებაში.

თხრობა ‘თქმას’: „მე გამიკვირდა, «სით ვუყვარ, ანუ ვითმ კადრებს თხრობასა“ (353). შდრ.: თხრობა არ უნდა მაინც გააკეთებს (იგულისხმება თქმა არ უნდა...), მსგავსი შემთხვევები ხშირია ცოცხალ მეტყველებაში.

იარები ‘დადიხარ’: „მოახსენა: “მხეცთა თანა იარები მარტო ტევრად (269). შდრ.: **იარები** (იარები) და **ხარ** ცაძელათ (ცარიელად); რას იარები აქა-იქა? იარები ფორმა მეტად ხშირია თურქეთელ ქართველთა მეტყველებაში.

მივალ ‘მივდივარ’: „და მერმე წასლვა არა მწადდა, ამაღ მივალ არ-ფიცხელი“ (540). შდრ.: **სახლში მივალ**; **სა მიხვალ?** **მივა** - მიდის. „და მუნით უჭვრეტდა; იგი ყმა მივა ცრემლ-მინადენია“ (217). შდრ.: **სახლში მივა**.

იბარგა ‘დაიბანაკა’: „სანაპირო გაამაგრე, მტერმან ახლოს ვერ იბარგა“ (161). ბარგი და მისგან ნაწარმოები ზმნური ფორმები გადაბარგდა, აიბარგა - არის სალიტერატურო ქართულშიც, მაგრამ ვფიქრობთ, ისე ხშირად არ გამოიყენება, როგორც გოლიაქას ქართველთა ზეპირმეტყველებაში: მაგალითად, **იბარგებოდა და ვერ წეძბარგა (წაიბარგა)** - ამბობს ინფორმატორი; ამ აზრის გადმოსაცემად სალიტერატურო ქართულმა შეიძლება სხვა ლექსემები გამოიყენოს.

იქმნას ‘მოხდეს’: „დამიგდია სამსახური, მისი, იქმნას, რაცა გინდა“ (295). შდრ.: ამ საქმე **მიქმნას** ...

იცნა ‘იცნო’: „მაშინლა იცნა, აკოცა, მოეჭდო, მოეძმობილა“ (862); **იცნა** ფორმა ასევე დამახასიათებელია გოლიაქას მეტყველებისთვის: **იცნა** ის კაცი ...

კაპანი 'ვიწრო და კლდოვანი გზა': კაპანი 'აღმართი და დაღმართი': „და ერთობ ლაშქრითა აივსო მინდორი, კლდე, კაპანია“ (395) შდრ.: **იმ კაპანზე რატომ იხვალ?**

კიდობანი 'დიდიყუთი': „მათ კიდობანი მოჰქონდა, ეუბნე სარაჯებითა“ (573) შდრ.: **კიდობანში ფქვილი მაქვს ...**

მივა 'მიდის': „და მუნით უჭვრეტდა; იგი ყმა მივა ცრემლ-მინადენია“ (217). შევნიშნავთ, რომ მიდის ფორმის ადგილას, ჩვენ მიერ მოძიებულ მასალაში გვაქვს მივა. **სახლში მივა**. იგივე შეიძლება ითქვას **მივალ** ფორმაზეც: **მივალ** - მივდივარ. „და მერმე წასლვა არა მწადდა, ამად მივალ არ-ფიცხელი“ (540); ბათომში მივალ, სახლში მივალ ...

მისთანანი 'მასთან დაკავშირებული': „რომელსა ვემებ, ვერა ვცნნე ამბავნი მემისთანანი“ (185). შდრ.: **მისთანანი** ვინმე ვერ იპოვა ...

მისგან 'ამის გამო': „და მაშინ მისგან აღარა ხამს გარდასრულთა ჭირთა ხსოვნა:“ (208). შდრ.: **ამ საქმეს მისგან** ვერ აკეთებს...

მიღმა 'მიმართ, იქით': „მათ თურქთა მიღმა გამეგო მე არას არ შეწამება“ (292). შდრ.: **მიღმა** იჯდა ...

მური 'ჭვარტლი': „მერმე ავდეგ სევდიანი, მიღამებდა გულსა მური“ (584). **მური**, **გამურული** ლექსემები გვაქვს სალიტერატურო ქართულში, რომლის სინონიმური ფორმა არის **ჭვარტლი**, **გაჭვარტლული**. გოლიაქას მეტყველებაში მხოლოდ **მური** დასტურდება. შდრ.: **ტაფას მური** წემესვა ლოყაზე ...

მოახლე 'ახლოს მყოფი, ვინც თან ახლავს, დამსწრე': „ვაზირი სოგრატ, მოახლე მეფისა დასთა დასისა“ (44). ქართულ ენაში მოახლის მნიშვნელობებია - მოსამსახურე, მოჯამაგირე, დაქირავებული. გოლიაქას ქართველთა მეტყველებაში მისი მნიშვნელობაა - ახლოს მყოფი: ესენი იმ კაცის **მოახლეები** არიან; მის **მოახლეებს** ვერ ვენდობი ...

რა შეგეყარო 'რომ შეგხვდები': „და რა შეგეყარო, მაშინ სცნა კვლა ძღვნობა ამისთანისა“ (421). შდრ.: **რომ შეგეყრება**, მაშინ ეტყვი ...

რასა იქმს 'რას შვრება': „დანახეთ, თუ ოქრო რასა იქმს, კვერთხი ეშმაკთა ძირისა“ (1184). შდრ.: **რას იქს** ეს კაცი? ...

რომე 'რომ, ისე, რომ': „მით რომე შმაგობს მისისა ვერ-მიხვდომისა წყენითა“ (22); რომ კავშირის ადგილას გოლიაქას მეტყველებაში **რომე** გვაქვს: მითხრა, **რომე** ისე არ ყოფილა ...

სიმალე 'სისწრაფე, სიფიცხე': „და ტაიჭთა მათთა სიმალე, აბჯართა ხვარაზმულობა“ (396). შდრ.: **სიმალე** იცოდე, აჩქარდი ...

სულ-დაღებული 'გაჩუმებული, დაწყნარებული' - „დღისით და ღამით ვვაებდი, ვერვისგან სულ-დაღებული“ (328). ამ მხრივ საინტერესოა, **სულს ნუ ეიღებ (აიღებ)** რაც ნიშნავს, ხმას ნუ ამოიღებ ...

სულ კომპონენტის სხვა ფორმაც იქცევს ჩვენს ყურადღებას. ესაა:

სულთქმა 'ოხვრა': სულთქვამს ოხრავს; სულთქნა, სულთ-ითქვნა, ამოიოხრა. **სულთქმა** - სუნთქვა. „მაწყინე და გამარისხე, ვერ დავიღე დიდხანს სული“ (805). სულთქმა სუნთქვის მნიშვნელობით გვაქვს საანალიზო მასალაში:

სულთქმაში გამიჭირდა, **სულს ვერ ვიღებ; სულთქმაში** მესობა რაცხა (რაღაცა)

...

სწვრთის 'ასწავლის, არიგებს, ჰმოდღვრავს': „მეფე სწვრთის: „მამა ყოველი მისაგან ითავსებოდა“ (47). შდრ.: ისე **გამოწვართილია** სხვა რამეს ვერ მიახდენ. გამოწვრთნილი (სალიტ. ქართ.) ...

უნდეს 'უნდოდეს': „და აწ, ღმერთსა უნდეს, ვერ მიხვდე, ვის ესე დააშლევინე“ (571). შდრ.: **უნდეს** და იყოს ვინ მიცემს?!

შემეცნება 'გაცნობა'; **შეგემეცენ** 'გაგიცანი'; **ერთმანერთსა შეგამეცნე** 'ერთმანეთს გავაცნოთ': „იგი გეახლოს, ილხენდე მისითა შემეცნებითა“ (275). გავიცანი ზმნის ნაცვლად გოლიაქას ქართველები იტყვიან - **შევიცანი: შევცანი** ეს კაცი, შევხდით და **შევცანით** ერთმანები (ერთმანეთი) ...

შექცევა: შევიქეც 'დავბრუნდი'; შეიქეც 'დაბრუნდი' - „ამბავი ავთანდილისა არაბეთს შექცევისა“ (662). შდრ.: ნუ ექცევი აღმა-დაღმა; ექცევი და აგვანებ (აგვიანებ) ...

ჩემთვის „ჩემ შესახებ“ - „და რომე წელან მოგებვივნეს, იგი ჩემთვის არიდენო“ (488), შდრ.: **ჩემთვის (ჩემთვის)** ასე უთქმია ...

ცხო 'ცივების სენი; ციებ-ცხელება. თრთოლა, კანკალი'; **ცხო** 'მალარია': „მეტმან ზარმან გამაშმაგა, მომივიდა ცხო და თრთოლა“(577). შდრ.: **ცხო** დემემართა. **ცხოს** განაკანკალებდა ...

წვეკიდე 'წვეჩხუბე': „მომეგონა, ოდეს ჩემსა საყვარელსა წვეკიდე“ (901). შდრ.: **წამეკიდა** და ვცემე (დასტურდება წამეჩხუბას მნიშვნელობით) ...

წაღება 'წართმევა': წავულეთ ქალაქი - წავართვით ქალაქი; ჯოგი წავულოთ - ჯოგი წავართვათ. „ჯოგი წავულოთ, მოსრულნი ვესმით ჯოგისა წაღებად“ (1362). წართმევის მნიშვნელობა ჩანს შემდეგ წინადადებებშიც: **წუღეს (წაუღეს)** ხარები, **წუღეს (წაუღეს)** სახლი-კარი (გოლიაქა) შდრ.: მეგრული **მიღულეს** „წართვეს“ ...

წინწალი 'ნაპერწკალი' – „მისთა ნაკვესთა წინწალი დამეცა ხანგრძლად მწველია“ (332). შდრ.: ცეცხლი **წინწალს** იქნევდა; **წინწალივით** თვალები (ჰ)ქონდა (გოლიაქა).

ხელ-მანდილი 'ცხვირსახოცი': „ამოიღო ხელ-მანდილი, მოინასკვა იგი ყელსა“(1509). **ხელ-მანდილი** ცხვირსახოცის მნიშვნელობით დასტურდება გოლიაქას ქართველთა მეტყველებაშიც: **ხელმანდილი** მომე(ცი) ბიჭო; **ხელმანდილით** მეახოცე ცრემლები ...

ხვეწა 'ხვეწით გამოთლა (ჯამისა, ტაბაკისა, კოვზისა და სხვ); გადატანით: გაკეთება': „ქმნას მეფემან ყელ-მოტეხით შემოხვეწა, შემოკვდომა“ (538). შდრ.: ეს გობი ვინ მოხვეწა? (გოლიაქა) ...

ხმოზა 'მოწოდება დამახება მოწვევა': „და ხმოზა ბრძანა ვაზირისა, მიიყვანდეს შიშით მკრთალსა“ (804). შდრ.: **დუუხმე (დაუხმე) ხოზოს (ხზოს) და მოდეს** (გოლიაქა) ...

ჰგია 'დაგებულია': „მუნვე წვიმს წვიმა ბროლისა, ჰგია გიშრისა ღარისად“ (85). შდრ.: ძირზე გია ლოგინი და გდია (გაგდებულია) ბალიში ...

ჰკითხავს 'ეკითხება': „მეფე ჰკითხავს, იგი ჰკადრებს, რაცა ჰირი დაეთმინა“ (678). შდრ.: ეს კაცი რას კითხავს იმ ქალს? ეკითხება ფორმის ნაცვლად, ჩვენ მიერ მოძიებულ მასალაში ყველგან დასტურდება - კითხავს.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, აქ წარმოდგენილი საანალიზო მასალის ნაწილი, არც თანამედროვე სალიტერატურო ქართულსთვისაა უცხო, მაგრამ ფაქტია, რომ მისი გამოყენების შემთხვევები იმდენად მცირეა, რომ მკითხველისთვის ახსნა-განმარტებაა საჭირო; ლექსიკონებში ამა თუ იმ ლექსემის ასახსნელად სინონიმური ფორმებიცაა მითითებული. გოლიაქას მეტყველებისთვის კი ახლად მითითებული სინონიმური ფორმები უფრო უცხოა; ნაცნობი და გასაგები კი მხოლოდ ძველი, არქაული სიტყვებია.

თავი II

ქართულ ანთროპონიმთა ვარიანტები

2.1. სახელები და მეტსახელები

ანთროპონიმი ენის განუყოფელი ნაწილია და მის სიმდიდრეს გვიჩვენებს (ალ. ლლონტი). უცხო სიტყვათა ლექსიკონის მიხედვით, ანთროპონიმი - ადამიანის საკუთარი სახელია (<http://www.nplg.gov.ge>). ტერმინი ბერძნულია: ანთროპოს ნიშნავს „ადამიანს“. ანთროპონიმი არის ონიმის სახეობა, ადამიანის, ან ადამიანთა ჯგუფის საკუთარი სახელი, როგორცაა: პიროვნული სახელი, გვარსახელი, მეტსახელი, ზედწოდება, ფსევდონიმი, კრიპტონიმი, ფიქტონიმი და სხვ. (ცხადაია, 1988, 17).

მეცნიერთა აზრით, ანთროპონიმი გულისხმობს პირსახელსაც, გვარსახელსაც, მამისახელობასაც, ფსევდონიმსაც და ა. შ. შესაბამისად, ანთროპონიმთა ერთობლიობას ანთროპონიმია ეწოდება (ცხადაია, 88).

ანთროპონიმთა წარმოქმნის ერთ-ერთი გზა არის აპელატივის გადაქცევა ადამიანის საკუთარ სახელად, რასაც ანთროპონიმიზაცია ეწოდება. დროის ცვლილებას თან სდევს სახელების ფორმობრივი თუ შინაარსობრივი ცვლილება, რაც აისახება ზოგადად ონომასტიკონში და მის ქვედარგებში, მათ შორის ანთროპონიმიაში. ამდენად, ანთროპონიმია მუდმივ კვლევის ობიექტს წარმოადგენს (იხ. კეკუა, 2017).

საკუთარი სახელის შესწავლას დიდი ხნის ისტორია აქვს. მკვლევრები მას სწავლობენ სხვადასხვა ასპექტით. პირთა სახელების მიზეზი შეიძლება სხვადასხვაგვარი იყოს. ქართული ანთროპონიმის საკითხებზე მრავალი საინტერესო ნაშრომი არსებობს. ამ თავში მიმოვიხილავთ საკუთარ სახელებს, რომლებიც ქართული გაფორმებით გვხვდება დუზჯეს ქართველთა მეტყველებაში:

კაი ბაღნებია აჰმედაი, მაჰმედაი; დედეს ალიაი ქვიოდა; ჩემი პაწაი ძმას სეიჰანაი; ალია უმფოსი, მემრე არი სულთანაი; ფატმა და ხატიჯე თეიზეს გოგვები არიან; ჩემი ალიე ნაკითხია; ეს ზეინაბას ბადიშია; მე აბდულაის ძია ვარ ...

წარმოდგენილი პირსახელები ოფიციალურ სახელთა ვარიანტებია, ქართველთა მეტყველებაში. აფიქსები რითაც საკუთარი სახელებია გაფორმებული ქართულია, რომელიც სალიტერატურო ქართულსა და მის დიალექტებში საგნის მოფერებას ან კნინობითობას გამოხატავენ. წარმოდგენილ საკუთარ სახელთა მიღების გზა ასეთია:

აჰმედ -> აჰმედაი; მაჰმედ -> მაჰმედაი; ალი -> ალია // ალიაი // ალიე; სეიფან -> სეიჰანაი; სულთან -> სულთანაი; ზეინაბ -> ზეინაბა // ზეინაბაი; აბდულლაჰ -> აბდულაი ...

ამ ტიპის მაგალითების მოყვანა შეიძლება უსასრულოდ, რადგანაც დუზჯეს ქართველთა, განსაკუთრებით მოხუცი (სამოცდაათი წლის ზემოთ) მთქმელების მეტყველებაში თითქმის ყველა საკუთარი სახელი ზემოთ წარმოდგენილი ფორმების მსგავსადაა გაფორმებული:

ჰაჯერ -> ჰაჯერაი; ნურჯან -> ნურჯანაი; ოსმან -> ოსმანაი; იაშარ -> იაშარაი; ჯემილე -> ჯემილეი; ჰავა -> ჰავაი და ა. შ.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, სახელთა ბოლოკიდური -ა, -აი, -ე სუფიქსებია.

დუზჯეს ქართველთა ანთროპონიმებში, ქალის სახელებიდან სჭარბობს ხატიჯე, ფატმა და მერიემი. „გოგო დაიბადება ხატიჯე დაარქმევენ, მეორეს გოგო იქნება და, ფატმას დაარქმევენ“. სახელი ფატმა თურქულში Fatma ფორმით გვხვდება. როგორც ცნობილია, ქართულში არ გვაქვს კბილბაგისმიერი ყრუ F ფონემა. აღნიშნული ბგერის ადგილას ქართულში გვაქვს - ფ. დუზჯეში მცხოვრები ძველი თაობის ქართველები F - ბგერას ყოველთვის ფ-თი გადმოსცემდნენ. თ ფშვინვიერი თანხმოვანი ტ მკვეთრითაა ჩანაცვლებული. აღნიშნული ფონეტიკური პროცესების შედეგად დასტურდება ფატმა ფორმა. ფატმა არ არის Fatma - ს ერთადერთი ვარიანტი. ზეპირმეტყველებაში გვაქვს ფატუმე // ფატუმა // ფატუმაი//ფატკუმაი//ფატყუმა//ფატყუმაი ფორმებიც.

ყურადღებას იქცევს ჰათიჯე სახელი, რომელიც ქართველთა მეტყველებაში ხატიჯე//ხატუნეი//ხატუნაი//ხატუნია ფორმებითაც გვხვდება: „აქა ბათომიდან ბაღვები გამოვიდნენ ერთს ხატულიას ემახდნენ, ჩემი ანე გამახსენდა, ჩემი მამიდა, ჩემი დიდვანები... დავბუმტდი. ჩემი მამიდა ემახდა გოგოს ხატულიას. ჩვენს ხატულიას ვიტყოდით. ჩემს ჰათიჯეს ხატუნის ვებნევი. ასეა ჩვენებურა და იმიტომ“. მთქმელთა ახსნაშიც ჩანს, თუ როგორ ცდილობდნენ ქართველები

საკუთარი სახელებისთვის ქართული ელფერის მიცემას და ამ ფორმით ქართული სულის შენარჩუნებას. ესეც ქართული იდენტობის შენახვა-შენარჩუნების ერთ-ერთი გზა იყო მათთვის.

ცნობილია, რომ **ხატიჯე** არაა ქართველური სახელი, ისევე როგორც ზემოთ წარმოდგენილი სხვა სახელები, მაგრამ საგულისხმოა რომ დუზჯელი ქართველები ამ უცხოურ სახელებს ქართული აფიქსებით აფორმებდნენ. **ხატიჯე//ხატუნეი//ხატუნია//ხატუნაი** ფორმებისთვის ამოსავალი **ხატ**- ძირია (სალია 2015, 167). შდრ.: **ხატ-ი**, **ხატ-ია** (სახელი), **დახატული** (მიმღეობა) გადატანითი მნიშვნელობით, 'ძალიან ლამაზი'.

ქალის სახელებიდან კიდევ ერთი, გავრცელებული სახელია **დილა**. დილა, ოფიციალურ დოკუმენტებშიც ამავე ფორმით დასტურდება, რასაც ვერ ვიტყვით ზემოთ წარმოდგენილ სხვა სახელებზე.

მამაკაცთა სახელებიდან გავრცელებულია **ზექერი** და მისი ფონეტიკური ვარიანტები: **ზექერია//ზექერიე//ზაქარიე**. შდრ.: Zeker (თურქ.)

რელიგიური სახელები - **მერიემ**, ზეპირ მეტყველებაში - **მეირემ**, **მერიემა** და მამაკაცის სახელი - **დაუთ**, ასევე გაფორმებულია ქართული აფიქსებით: **დაუთაუ//დაუთაი**.

ანთროპონიმები მოიცავს მეტსახელებსაც. მეტსახელთა შერქმევის მიზეზი ზოგჯერ ნათელია, უფრო ხშირად კი გაბუნდოვანებული. ასეთი ფორმები დღეისთვისაა გაუგებარი, თორემ თავის დროზე თითოეულ მათგანს თავისი ახსნა ექნებოდა.

გოლიაქაში გავრცელებული მეტსახელები ასე გამოიყურება:

მამაკაცის მეტსახელები: **ტრინკა**, **ჩლატა**, **კიტკიტა**, **ხოტორი**, **კოდანი**, **თურქა**, **ჯაბა**, **ქეჩანი**, **აზმანი**, **აზმაალი**, **ქართველი**, **აზმანალი**, **ხოხო**, **ლაფერი**, **ქოჩორა**.

სახელების მიზეზი უცნობია. მთქმელები მხოლოდ რამდენიმეს ახსნას ახერხებენ:

ფუნდუკა - დასტურდება მამაკაცის მეტსახელად. მთქმელთა ახსნით, იგი **F** ბგერის ადგილას, ყოველთვის ამბობდა **ფ**-ს და ამიტომაც შეარქვეს ფუნდუკა. Findik (თურქ.) „თხილი“.

ქალი: ფაცაი - ფაცაი, ფაცია, ფაციაი დუზჯეს ქართულ მეტყველებაში, ისევე როგორც აჭარულში, ასაკით პატარა გოგოს აღნიშნავს; აღნიშნული საზოგადო სახელი მეტსახელადაც არის საანალიზო მასალაში. მეგრულში ფაცია საკუთარ სახელადაც დასტურდება და გვარსახელადაც. ს. კეკუას სადისერტაციო ნაშრომში ფაცია გვხვდება, როგორც გვარსახელი. მისი თქმით, სემანტიკურად ფაცია გამოხატავს ფუსფუსა, მოუსვენარ, საქმიან ადამიანს. შესაბამისად, ფაცია შეიძლება იყო ისეთი ადამიანის მეტსახელი, ვინც მუდამ ფაციფუცობს, შემდეგ კი იგი იქცა გვარსახელადაც. საყურადღებოა, რომ ფაცი და მისგან მომდინარე ფაც-ა მამაკაცის პირსახელებადაც რეალურად დასტურდება სვანეთის ისტორიულ საბუთებში (სწმ. II, 1988, 546; ინგოროყვა, 1941, 52 და 81; ლლონტი, 1986, 200). საქართველოს სხვადასხვა მხარეში ასევე რეალურად დასტურდება ამავე ძირის მამაკაცთა პირსახელები და მეტსახელები: ფაც-აც-ი < *ფაც-ფაც-ი, ფაც-იტ-ა, ფაც-იც-ა, ფაც-ო, ფაც-ურ-ა, ფაც-ურ-ია (ლლონტი, 1986, 200). ამავე წარმოშობისაა ქალთა სახელები და მეტსახელები: ფაც-ი, ფაც-ა, ფაც-აც-ო, ფაც-ია, ფაც-იკ-ო, ფაც-ო, ფაც-უ, ფაც-უნ-ი, ფაც-უნ-ი-ე, ფაც-ურ-ა, ფაც-უც-ა (ლლონტი, 1986, 301). შესაძლოა, ამავე ანთროპონიმებისაგან მომდინარებდნენ დღეს გავრცელებული გვარები: ფაცაცია, ფაციაშვილი, ფაცინაშვილი, ფაცულია, ფაცურიეშვილი, ფაცურია, რომლებშიც ძირი გაფორმებულია სხვადასხვა სიტყვათმარმოებელი აფიქსებით (იხ. კეკუა, 2017).

მეტსახელებად გვხვდება, ასევე, შემდეგი სიტყვაფორმები: **პაწაი, ცაცო** (შდრ.: ცაცუნა), **სოლადა, კოდინენეი, გაღმააბლაი ...**

ბავშვის კნინობითი თუ მოფერებითი სახელები შესაძლებელია დიდობაშიც შერჩეთ ადამიანებს, მეტსახელად.

2.2. გვარები

ზეპირსიტყვიერი მასალა ინახავს ამა თუ იმ ერის, ენის ისტორიას, კულტურას და დროთა განმავლობაში თავად ხდება ისტორიის ნაწილი. ამიტომაც ნებისმიერი ხასიათის მასალის მოძიება საშური საქმეა. მეტად მნიშვნელოვანია მუჰაჯირ ქართველთა შთამომავლების მიერ მოწოდებული ინფორმაცია. დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, თუ რა ახსოვთ, რა იციან, რა სჯერათ და როგორ წარმოუდგენიათ თავიანთი ისტორიული წარსული.

„გვარი ანუ გვარსახელი მემკვიდრეობითი სახელია, რომელიც თაობიდან თაობას გადაეცემა, რაც დიდი ხნის წინ წარმოიქმნა. ჩვენ ვართ იმ ხალხებს შორის (იტალიელები, ფრანგები, ინგლისელები, გერმანელები, ჩინელები, კორეელები...), რომლებშიც საზოგადოების ეს სოციალური ერთეული საუკუნეებს ითვლის.

როგორც ირკვევა, გვარსახელის წარმოქმნა განპირობებული იყო გარკვეული აუცილებლობით: ფეოდალებისათვის იგი საჭირო იყო მიწაზე შთამომავლობითი უფლების დოკუმენტური დადასტურებისათვის, ვაჭრებისათვის გვარსახელი ერთგვარ სავაჭრო ნიშანს წარმოადგენდა, მოქალაქეებს კი გვარსახელი სჭირდებოდათ, როგორც იურიდიული საბუთი. როგორც ირკვევა, XIII ს. დამლევს ქალაქ სტრასბურგში ყველა მოქალაქეს უკვე ჰქონდა გვარსახელი, თუმცა გერმანელ გლეხებში მისი დამკვიდრება ერთი საუკუნის შემდეგაც არ იყო დასრულებული. რუსეთში პროზვიშჩე-ს (მეტსახელი და ზედწოდება) გაგვარსახელება დაიწყო XIV ს-ში: კერძოდ, თავადთა გვარები არსებობენ XV საუკუნიდან, აზნაურთა გვარები წარმოიშვნენ XV-XVII საუკუნეებში, ვაჭართა უმეტესობამ გვარები დაიმკვიდრა XVIII ს-ში, გლეხობისათვის კი 1861 წლამდე, ე. ი. ბატონყმობის გადავარდნამდე, გვარსახელი აუცილებელი არც იყო (ცხადაია, 2000, 8).

სხვა მოსაზრებით, გვარი წარმოიქმნა უფრო შორეულ წარსულში. ჩვენს წელთაღრიცხვამდე 600 წელს რომში პიროვნება ჯერ კიდევ ოდენ სახელით აღინიშნებოდა, როგორც ეს საერთოდ დამახასიათებელი იყო ინდოევროპული ანთროპონიმული სისტემისათვის. შემდეგ კი რომაელთა ანთროპონიმული მოდელი (ეტრუსკელთა გავლენით) გახდა ორწევრიანი, მერე - სამწევრიანიც. ამ სამწევრიან მოდელში ძირითად წევრს ეწოდებოდა ნომენი (Nomen). სწორედ ის წარმოადგენდა საგვარეულო სახელს, რომელიც მემკვიდრეობით გადაეცემოდა. მას წინ უძლოდა პერსონალური სახელი, ანუ პრენომენი (Prenomen), ხოლო მოსდევდა კოგნომენი (Cognomen), ანუ მეტსახელი, ან ზედწოდება და იშვიათად, მეოთხე წევრიც - აგნომენი (Agnomen) (ცხადაია, 2000, 8; ცხადაია, 2005, 128).

ქეგლის მიხედვით, გვარი არის საოჯახო სახელწოდება, რომელიც გადაეცემა შვილს მამისაგან (ან დედისაგან), ან ცოლს ქმრისაგან (ქეგლ, II, 1951, 1433). „ქართული საბჭოთა ენციკლოპედია“ გვარის ასეთ განმარტებას გვთავაზობს: 1. სისხლით ნათესავთა ჯგუფი, რომლის წევრები თავიანთ წარმომავლობას დედის ან

მამის მხრიდან საერთო წინაპარს უკავშირებდნენ და საერთო სახელწოდება ჰქონდათ. გვარში დაცული იყო ეგზოგამია; 2. დაბადებით ან ქორწინებით მიღებული და შთამომავლობით გადამავალი გვარეობითი სახელწოდება, რომელიც ერთვის ადამიანის საკუთარ სახელს (ქსე, III, 1978, 134). პ. ცხადაიას „ონომასტიკურ ტერმინთა განმარტებითი ლექსიკონის“ მიხედვითაც, გვარი არის ოფიციალური და მემკვიდრეობითი საოჯახო სახელწოდება, რომელიც ერთვის პიროვნულ სახელს. მაგ.: ალექსანდრია, გაფრინდაშვილი, გურიელი, იოსელიანი (ცხადაია, 1988, 33). მოგვიანებით იგივე ავტორი აღნიშნავს, რომ გვარის ასეთი განმარტება ამომწურავია ევროპის ხალხებისათვის, მაგრამ არა ქართველთათვის, ვინაიდან საქართველოში გვარსახელს ფსიქოლოგიური, ზნეობრივი და საადათწესო დატვირთვა აქვს. გვარის შიგნით მტკიცედ არის დაცული ეგზოგამია - ქორწინების აკრძალვა (ცხადაია, 2000, 8-9).

როდის გაჩნდა პირველი ქართული გვარსახელი?

პ. კეკელიძე მიიჩნევს, რომ XI საუკუნეში ქართული გვარი ფეხმოკიდებული იყო. ამ საუკუნის დიდი ფილოსოფოსი ეფრემ მცირე იყო გვარად კარიჭისძე, შვილი ვაჩე კარაჭისძისა (კეკელიძე, 1951, 231).

ქართულ საისტორიო წყაროებში, საბუთებში არაერთი მაგალითი არსებობს, რომელთა მიხედვითაც აშკარაა, რომ ქართული მემკვიდრეობითი სახელები/გვარები ისტორიის სიღრმეშია წარმოქმნილი. მაგალითად, XII საუკუნის საბუთში „ჟინოვანი“ მოხსენიებული არიან „მიხითარაისძენი დავითის შვილნი ოქრაი და მახარაი, ბრაჭი და იოანე“. ამ საბუთში ოთხი ძმის - მახარეს, ბრაჭის, იოანეს და ოქრაის - მამის სახელია დავითი, ხოლო მიხითარაისძე გვარსახელია. ტოხაიდების გვარი პირველად მოხსენიებულია XI საუკუნის დასაწყისში, შემდეგ XII საუკუნის დასაწყისში (1260-1270 წლებში, 1579 წელს). XVIII საუკუნეში კი ტოხაისძეების გვარს სუფიქსი შეეცვლია: -ძე დაბოლოებას -შვილი დაბოლოება ჩანაცვლება (ტოხაშვილი).

რამდენიმე საუკუნის განმავლობაში უწყვეტად მოიხსენიება გვარსახელი **ქარმაული**. ამ გვარის წარმომადგენელი - „ქარმაული ჭაჭნიაშვილი გრიგოლ“ - პირველად 1297 წლის საბუთშია დასახელებული. წარმოდგენილ ანთროპონიმიულ მოდელში პირველი გვარია, მეორე - მამის სახელი და მესამე - პიროვნული სახელი.

აქედან მოყოლებული ჭარმაულები XVIII საუკუნის თითქმის ბოლომდე მოიხსენიებიან. 1779 წლის საბუთით კი ირკვევა, რომ ჭარმაულები ამოწყვეტილან. XIII საუკუნეში პირველად მოხსენიებული არიან **გარაყანიძეები**, 1412 წელს გვხვდებიან **დედაბრიშვილები**, 1472 წელს - მაღალაშვილთა წინაპარი **მაღალაძეები** და ა. შ.

ჩვენამდე მოღწეულ ყველაზე ძველ საბუთშიცაა გვარი მოხსენიებული. ესაა IX საუკუნის მეორე ნახევრით დათარიღებული „ფავნელის დაწერილი“. ამ საბუთში გვხვდება აზნაურ **ფავნელების** გვარი. აქვე დასახელებულია ორი გლეხური გვარსახელი: **შულიასძე** და **ტარიკასძე**. 1071-1080 წლებით დათარიღებულ დოკუმენტში ბევრი ქართული გვარის ამოკითხვაა შესაძლებელი, მხოლოდ რამდენიმეს ჩამოვთვლი: **ლიპარიტისძე**, **ჯინჭარაისძე**, **ჯიჯონიძე**, **კეპოისძე**, **ქველაძე**, **წორბელი**, **ნერჩელი**, **ხვიდილიანი**, **კოროფხიშვილი**, **სქელაეთი**, **შუბავთი...**

აი, ერთი ნაწყვეტი 1200 წლის საბუთიდან: „ესე დაწერილი დაგიწერეთ ჩუენ, ხარაისძეთა კუირიკე და ბასილმან შენ, გიორგი მუშერისძესა“. **ხარაისძეები** მიმართავენ **მუშერისძეებს**: „ან დღეისითგან წაღმართ არავინ იყოს ჩუენი საგუარისა, არცა ჩუენ, კუირიკე და ბასილი და არცა ჩუენნი შვილნი და მომავალნი სახლისანი“. X საუკუნის პირველ ნახევარში „ქართლის ცხოვრებაში“ დასახელებულნი არიან კახი აზნაურები: გოდერძი **მგდეური**, მამა **ყანჩელი**, დაჩი და ივანე **სხვილოსელნი**, ძმები სარა და გრიგოლ **ფხუენელნი**. IX საუკუნიდან საკმაოდ მომრავლებულია -ელ სუფიქსიანი გვარები: **ჩორჩანელი**, **ტბელი**, **საზუერელი**, **ყანჩაელი**, **კორინთელი**, **სხვილოსელი ...**

ახლა „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებაში“ ჩავიხედოთ: „ხოლო იყო ვინმე აზნაური დიდებული წინაშე აშოტ კურაპალატისა და ერქვა მას სახელი გაბრიელ **დაფანჩული**, და აწ ნათესავთა მისთა ჰრქვიან დაფანჩულნი“; შემდეგ: „ამისთვისაცა, მსგავსად აღთქმისა, ხანძთას შინა ელოცვების ყოველთა დაფანჩულთა ვიდრე დღევანდელად დღემდე“. აღნიშნული ნაწარმოების ავტორი გიორგი მერჩულე X საუკუნის მოღვაწე იყო, რომელიც აღწერდა VIII საუკუნის ბოლო პერიოდისა და IX საუკუნის პირველი ნახევრის მოღვაწის გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებას. ორი აზრი არ შეიძლება არსებობდეს იმის შესახებ, რომ დაფანჩული გვარსახელია. ზ.

ქუმბურიძის დაკვირვებითაც, „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებაში“ მოხსენიებული **დაფანჩული** (IX ს. დამდეგის პერიოდი) უკვე გვარსახელია, როგორც მემკვიდრეობითი სახელი, რომელსაც მისი შთამომავლები ატარებენ საუკუნუნახევრის შემდეგაც: „ერქვა მას სახელი გაბრიელ **დაფანჩული**, და აწ ნათესავთა მისთა ჰრქვიან **დაფანჩულნი**“ (იხ. თოფჩიშვილი, 1997, 45).

ალ. ლლონტის აზრით, გვაროვნული სახელი, როგორც ენობრივი და სოციალური ფენომენი, ქართველ ტომებში ადრინდელი ფეოდალიზმის ეპოქაში ჩასახულა და VII-VIII სს-ში მისი ჩამოყალიბების პროცესი თითქმის დასრულებული ჩანს (ლლონტი, 1986, 48).

სვანეთში გვარები XIII საუკუნიდან გვაქვს დაფიქსირებული. ამ საუკუნით თარიღდება სვანეთის „სულთა მატიაზე“. ამ ძეგლში მოხსენიებული გვარები დღესაც იმავე სოფლებში არიან განსახლებულნი. XII-XIII საუკუნეებში მაჭახელში მკვიდრმა გვარებმა ჩვენამდე მოაღწია. XI საუკუნის ილორის წმინდა გიორგის ეკლესიის წარწერაში მოხსენიებულია გიორგი **ქოჩოლავა**, აფხაზეთისავე ტერიტორიაზე წებელდაში XIII საუკუნის წარწერაში იკითხება ლუკა **მარტინავა**. ხევში **ღუღუშაურის** გვარი პირველად 1439 წლის „გერგეტის მატიაზეშია“ მოხსენიებული.

ქართული გვარსახელების სიმკვლეზე მიუთითებს აუარებელი ტოპონიმი, რომლებიც გვარის სახელს ატარებდა. ასეთი ტოპონიმები მთელ საქართველოში გვხვდება, განსაკუთრებით სამეგრელოში, მთიულეთში, აჭარაში.

ქართველ ხალხში მემკვიდრეობით სახელს ანუ გვარსახელს თავისი ფუნქცია ჰქონდა. ქართული ფეოდალური სისტემა მემკვიდრეობით სახელის არსებობას მოითხოვდა. ფეოდალს ყმა-გლეხი მამულზე მემკვიდრეობით ეჯდა. მიწაზე მჯდომი გლეხის მამული მემკვიდრეობით გადადიოდა, ამიტომ სოციალური ურთიერთობების გასაადვილებლად საჭირო იყო მემკვიდრეობითი სახელი. ეს ქართველ გლეხებს მკვეთრად უშლიდა ხელს ერთი ადგილიდან მეორეზე თავისუფლად გადანაცვლებულიყვნენ. ფეოდალური პერიოდის კანონმდებლობა იურიდიული პირის ზუსტ განსაზღვრას ითხოვდა. მიწაზე საკუთრებაც მემკვიდრეობით პრინციპს ემყარებოდა, რამაც ბევრად განსაზღვრა საკუთარ სახელთა სისტემა.

საქართველოში გვარის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ფუნქცია იყო საქორწინო ურთიერთობის მოწესრიგება: ჩვენში ერთი სისხლისანი, ნათესავები ერთმანეთზე არ ქორწინდებოდნენ. ამას კი გვარი აწესრიგებდა, რადგან ერთი გვარის მატარებელი ერთი წინაპრისაგან მომდინარეობდნენ. ამიტომაცაა, რომ ქართული გვარების თითქმის 90%-ს წინაპარი მამაკაცის სახელი უდევს საფუძვლად. ასე რომ, გვარის ანუ მემკვიდრეობითი სახელის აუცილებლობა საქართველოში ეგზოგამიურობითაც იყო განპირობებული.

როგორც ირკვევა, ადრინდელი ქართული გვარი VIII საუკუნით თარიღდება, თუმცა ქართული გვარი უფრო ადრეა წარმოქმნილი. უბრალოდ, ადრინდელმა წერილობითმა ძეგლებმა ჩვენამდე არ მოაღწია. ეთნოგრაფიული მასალების გააზრებას იმ დასკვნამდე მივყავართ, რომ საქართველოში მოხდა უწყვეტი გადასვლა პირველყოფილი გვარისა გვიანდელ გვარში და გვიანდელი გვარისა - გვარსახელში. ქართული ენა პირველყოფილ გვარსა და გვიანდელ გვარს ერთი ტერმინით („გვარი“, უფრო ადრე - „სახლი“) გამოხატავს.

საყოველთაოდ ცნობილია, რომ მრავალ გვარსახელს საფუძვლად უდევს მამაკაცის სახელი, ან მეტსახელი, ქალის სახელისაგან ნაწარმოები გვარსახელები კი, ქართულ სინამდვილეში საკმაოდ იშვიათია (ამ ტიპის გვარსახელებია: **ელისაბედაშვილი, მარიამიძე, მარიამული, ნათელაშვილი...**). გვარებად ხშირად გამოყენებულია ხელობის, თუ თანამდებობის აღმნიშვნელი სახელები, კუთხოვრივი, ეროვნული, თუ წარმომავლობა-სადაურობის სახელები, ადამიანის ფიზიკური მახასიათებლების, ქონების, ან სხვა რომელიმე ნიშნის ამსახველი სახელები. როგორც ზ. ჭუმბურიძე აღნიშნავს, უპირატესობა ენიჭება წინაპრის სახელს, ან მეტსახელს. წინაპართგან კი უპირატესობა ჰქონდა მამაკაცის სახელს, როგორც ოჯახის უფროსისა, გვარის მეთაურისა (ჭუმბურიძე, 1987, 295). თავდაპირველად ვინაობის დასაზუსტებლად პირსახელს უშუალოდ ემატებოდა მამის სახელი. ასე რომ, თაობიდან თაობაზე ერთი და იგივე გვარი კი არ გადადიოდა, არამედ იცვლებოდა მამის სახელის მიხედვით. გვარების ასეთი ცვლილება სიძნელეს და უხერხულობას ქმნიდა. ამიტომ ხალხთა უმრავლესობამ ირჩია, რომ ერთხელ შემუშავებული გვარი დამკვიდრდეს და გადაეცეს თაობიდან თაობას. როგორც აღნიშნავენ, ქართული გვარების ასეთი სისტემა დიდი ხნის დამკვიდრებულია, დღევანდელი გვარების უმეტესობა დაახლოებით XIV-XV

საუკუნიდან მოდის, მაგრამ ბევრია უფრო ადრინდელი გვარიც (ჭუმბურიძე, 1987, 295; კეკუა, 2017).

ცნობილია, რომ „ოსმალეთში გვარსახელი არ არსებობდა. მემკვიდრეობითი სახელები გენეალოგიას არ წარმოქმნიდა და მამის სახელი შვილიშვილის თაობაში მემკვიდრეობით სახელწოდებას კარგავდა" (რ. თოფჩიშვილი). არის ისეთი შემთხვევაც, როდესაც თურქულ ყაიდაზე გაფორმებული გვარსახელი თაობიდან თაობას გადაეცემა და ნათესავთა ფართო წრის საერთო სახელწოდებად ყალიბდება. თურქული გაფორმება კი ასეთია - სახელს ერთვის თურქული სიტყვა *oğlu* „შვილი“.

მართალია, დუზჯეს რეგიონში მუჰაჯირთა შთამომავლები ქართულ გვარებს ოფიციალურად არ ატარებენ, მაგრამ მათმა უმრავლესობამ იცის ქართული გვარი. ბევრ ოჯახში არის გვარის „გენეალოგიური ხე“, რომელიც თაობიდან თაობას გადაეცემა. ზოგმა დედის გვარი იცის, მამის - არა. დუზჯეს ქართველები დღემდე არიან თავიანთი ფესვების ძიების პროცესში. ეძებენ ახლობლებს, ნათესავებს, რომლებიც ისტორიულმა ბედისწერამ მიმოფანტა თურქეთის სხვადასხვა სოფლებში: „გემს მოუყვანიათ და დაუფანტავთ, მერე ვერ მოჭუჭულან ... დევიფანტეთ, დევიკარგეთ“ - ასე გადმოსცემს იმ ბედკრულ წარსულს ერთი ინფორმატორი. ჩვენს ხელთ არსებული ინფორმაცია დუზჯეს რეგიონში არსებული ქართული გვარების შესახებ, წარმოდგენილია ქვემოთ მოცემულ ცხრილში. ცხრილში არის დუზჯეს პროვინციის, გოლიაქას რაიონის სოფელ ეფთენში მცხოვრები ქართველების ქართული ანუ ძველი, ადრინდელი და თურქული ანუ შედარებით ახალი გვარები. ინფორმაცია საყურადღებოა იმიტაც, რომ აქ ქართული გვარები ორ სვეტად არის წარმოდგენილი. პირველ სვეტში, გვარი იმ ფორმით არის, რა ფორმითაც მას საქართველოში ატარებდნენ, მეორე სვეტში, აღნიშნული გვარები თურქულადაა „გაფორმებული“ და მასში ქართული სიტყვის კვალი მაინც შეინიშნება და, როგორც ჩანს, ამ კვალის საბოლოოდ წასაშლელად სრულიად უცხო გვარებია მინიჭებული ქართველებისთვის. ცხრილში წლების მიხედვით მითითებულია მუჰაჯირობის ადგილი, სოფლის სახელები, სადაც პირველად ჩამოვიდნენ და საბოლოოდ გოლიაქას რაიონის (დუზჯეს პროვინცია) სოფელ ეფთენში დამკვიდრების წელი.

	ძვ. გვარი (1)	ძვ. გვარი (2)	დღევ. გვარი	მუჰაჯირობის ადგილი და წელი	პირველი სოფელი და წელი	ეფთენში დასახლების წელი და სოფელი
1	კვირხილ აშვილი-გულაშვილი	კვირხილოდლი-გოლოშვილი-გულაშვილი	აბაქ-ურალ	ბათუმი წონიარისი 1881	გირესუნ(ამბ არალაა)/ამბ არალან 1881	(ჰაჯიმემედა ლიეფენდი)/ჰამამუსთუ 1895
2	გოგითიძე	გოგითიძე-მეზერცოლლი	მეზარჯი-თემიზ	ბათუმი წონიარისი 1894	ჩილიმლი ჰიზარდერე 1894	(სარალთი)/ჰაჯიდაქუფ 1938
3	?	თურანოლლი	აქჩად-აბან-თურან	ბათუმი წონიარისი 1881	გირესუნ (ამბარალაა) /ამბარალან 1881	(ჰაჯიმემედა ლიეფენდი)/ჰამამუსთუ 1905
4	?	ისმაილოდლი	საქალ-დავუზ	ბათუმი წონიარისი 1881	გირესუნ (ამბარალაა) /ამბარალან 1881	(ჰაჯიმემედა ლიეფენდი)/ჰამამუსთუ 1895
5	ყოფთაძე	ყოფთოლლი	არსლან-ბაშარ-ბაშერ	ბათუმი წონიარისი 1881	გირესუნ (ამბარალაა) /ამბარალან 1881	(ჰაჯიმემედა ლიეფენდი)/ჰამამუსთუ 1895
6	?	ყორჯოლლი	აქთაშ	ბათუმი წონიარისი 1881	გირესუნ (ამბარალაა) /ამბარალან 1881	(ჰაჯიმემედა ლიეფენდი)/ჰამამუსთუ 1895
7	?	მოლახმედოლლი	ქილიჩ	ბათუმი წონიარისი 1881	გირესუნ (ამბარალაა) /ამბარალან 1881	(ჰაჯიმემედა ლიეფენდი)/ჰამამუსთუ 1895
8	?	მუხაჯიროდლი-შენლიქოლლი	შენლიქოლლი	ბათუმი წონიარისი 1881	გირესუნ (ამბარალაა) /ამბარალან 1881	იმამლარ 1950

9	ომარაპე	ომეროლი	ჩელები- ოზდოლა ნ- ოზდემირ	ბათუმი წონიარისი 1881	გირესუნ (ამბარალა) /ამბარალან 1881	(სარალთი)/ ჰაჯიდაქუფ 1940
10	ქინზაშვი ლი	ქინზა- დაპოლი- ქინზაშვილი	ჩაქარ- ჩაქირ	ბათუმი წონიარისი 1881	გირესუნ (ამბარალა) /ამბარალან 1881	(ჰაჯიმემედა ლიეფენდი)/ ჰამამუსთუ 1914
11	?	ყანთაროლი- შაჰანალიოლი- ყანთარაპე	შაჰინ	ბათუმი წონიარისი 1881	გირესუნ (ამბარალა) /ამბარალან 1881	(ჰაჯიმემედა ლიეფენდი)/ ჰამამუსთუ 1905
12	ჩელებაპე	ჩელება- ჩელებოლი- ჩელებაპე	ჩელები- ჩელებიო ლლუ	ბათუმი წონიარისი 1881	გირესუნ (ამბარალა) /ამბარალან 1881	(ჰაჯიმემედა ლიეფენდი)/ ჰამამუსთუ 1895
13	წარბაპე	წარბოლი- წარბაპე	ადინოლ ლუ- მუთლუ- ზენგინ	ბათუმი წონიარისი 1881	გირესუნ (ამბარალა) /ამბარალან 1881	(ჰაჯიმემედა ლიეფენდი)/ ჰამამუსთუ 1895
14	ჭახილაპე	ჭახილოლი- ჭახილაპე	დასლი	ბათუმი წონიარისი 1881	გირესუნ (ამბარალა) /ამბარალან 1881	(სარალთი)/ ჰაჯიდაქუფ 1940
15	?	ბირალთაროლი- ბირალთარაპე	ბადრაქ	ბათუმი ?	ჩილიმლი ჰიზარდერე ?	(ჰაჯიმემედა ლიეფენდი)/ ჰამამუსთუ ?
16	?	ზეცაოლი- ზეცაპე	ჯენგიზ	ბათუმი 1878	ქარასუ ქოდეერი 1878	დემილ 1970
17	?	ბერბეროლი- ბერბერიშვილი	უფგუნ	ბათუმი 1878	ქარასუ ქოდეერი 1878	აჩმა 1960

18	?	?	ადაქ	ბათული ზეგანი ?	?	(პაჯიმეშედა ლიეფენდი)/ ჰამამუსთუ ?
19	?	?	ჩელები	ბათული ზეგანი ?	?	(პაჯიმეშედა ლიეფენდი)/ ჰამამუსთუ ?
20	?	ჰელიმოდლი- ჰელიმიშვილი	ჰალიმ	ბათუი	?	(პაჯიმეშედა ლიეფენდი)/ ჰამამუსთუ ?

თავი III

ზეპირსიტყვიერების ნიმუშების ენა

3.1. შელოცვები

ხალხური ზეპირსიტყვიერება სულიერი კულტურის მნიშვნელოვანი საგანძურია. ფოლკლორს ამა თუ იმ ერის ცხოვრებაში მეტად მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს. იგი იქმნება ხალხის წიაღში და ამ ხალხის ცხოვრებას ასახავს; ფოლკლორი ინახავს ენას, ტრადიციებს, ზნე-ჩვეულებებსა და უძველეს რწმენა-წარმოდგენებს. მასში ჩანს ერის სულიერი მისწრაფებები, სატკივარი და სიხარული. ფოლკლორი ერის სულიერი საუნჯეა, რომელსაც დიდი სამეცნიერო მნიშვნელობა აქვს. ამიტომაც ყველა დროში ხალხური ზეპირსიტყვიერი მასალის შეგროვება და შესწავლა, მისი პოპულარიზაცია მეტად საშური საქმეა.

ზეპირსიტყვიერი მასალა შეიძლება იყოს სხვადასხვა ჟანრის: მითი, ლეგენდა, ზღაპარი, თქმულება - პროზაული და პოეტური ტექსტები. ქართული ზეპირსიტყვიერება ერთ-ერთი უძველესი და უმდიდრესი ხალხური შემოქმედებაა. „ქართული ხალხური სიტყვიერება დაუმრეტელი ზღვა არის... მასში იხატება ჩვენი ხალხის უძველესი სიბრძნე, გონების სიმკვირცხლე, მსოფლიოს თვალსაზრისი“ (ე. თაყაიშვილი). საუკუნეებს გაუძლეს და ჩვენს დრომდე მოაღწიეს სხვადასხვა რწმენა-წარმოდგენებმა.

ქართული ზეპირსიტყვიერების ნიმუშებში ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი არის შელოცვები. როგორც ჩანს, სჯეროდათ მისი ძალის მაგიურობის; ტექსტები გადადიოდა თაობიდან თაობაში და ასე შემორჩა იგი დუზჯელ ქართველთა მეხსიერებასაც.

ზოგადად სიტყვის მნიშვნელობა, მისი ფუნქცია, ძალა ასეა წარმოდგენილი: „სიტყვა არის ბგერათმეერთება, რომელსაც ლექსიკური მნიშვნელობა აქვს. სიტყვა დამოუკიდებელი ენობრივი ერთეულია და ენაში მას ბგერის, ან მარცვლისაგან განსხვავებით (ერთი, ან რამდენიმე) დამოუკიდებელი მნიშვნელობა გააჩნია - ასეთია

სიტყვის განმარტება. „ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის“ (მე-4 ტომის (1960 წ.) მიხედვით, სიტყვას სხვა მნიშვნელობებიც აქვს: მეტყველება, ენა; ლაპარაკი, საუბარი; ნათქვამი, თქმული; სათქმელი; მოხსენება ... „სიტყვა“ რთული ფუძის მეორე შემადგენელი ნაწილიცაა: ბოლოსიტყვა, წინასიტყვა, ავსიტყვა. და ერთიც, ბიბლიაში ვკითხულობთ: „დასაბამიდან იყო სიტყვა, და სიტყვა იყო ღმერთთან და ღმერთი იყო სიტყვა. ის იყო დასაბამიდან ღმერთთან. ყველაფერი მის მიერ შეიქმნა, და უმისოდ არაფერი შექმნილა, რაც კი შეიქმნა... (იოანეს სახარება; თავი პირველი); სიტყვა მარადიულია და მას დიდი ძალა აქვს. კეთილი სიტყვა სიკეთისკენ მიემართება, ბოროტს კი ნაყოფიც შესაფერისი აქვს. სიტყვა ჩვენი სულის ნაწილია. ადამიანი, ცოცხალ არსებათა შორის ერთადერთია, რომელსაც ღმერთმა სიტყვის წარმოთქმის უნარი მიანიჭა. ჩვენ მიერ წარმოთქმული ყოველი სიტყვა მარადისობისკენ მიემართება - „სანამ სიტყვას იტყვი, შენ ხარ იმ სიტყვის პატრონი, მაგრამ სიტყვას რომ იტყვი, მერე უკვე ის სიტყვაა შენი პატრონი“. ჩვენი სხეული, სული (ემოციები, განწყობა, გონების მდგომარეობა, ფიზიკური ჯანმრთელობა), პირდაპირ არის დამოკიდებული ჩვენს სიტყვებზე. ჩვენ მიერ წარმოთქმულ თითოეულ სიტყვას გააჩნია უდიდესი ძალა, ისინი მართავენ ჩვენს აზროვნებას. ჩვენი აზროვნება კი, თავის მხრივ, მართავს ჩვენს გრძნობებს და მოქმედებებს; და აქედან გამომდინარე, ის, თუ რას და როგორ ვამბობთ საკუთარ თავზე, ჩვენს ცხოვრებაზე, გარშემო მყოფებზე – წარმოადგენს ძირითად ძალას, რომლის მეშვეობითაც ფორმირდება ჩვენი ცხოვრება და ის მოვლენები, რომლებიც ხდება ჩვენ გარშემო. შემთხვევით არაა, რომ სიტყვის ძალას ხშირად და წარმატებით იყენებენ მედიცინაში (ფსიქოთერაპია, ტრენინგები, ჰიპნოზი...). გამამხნეველი სიტყვებით მიმართავდნენ დიდი მხედარმთავრები ბრძოლის წინ მეომრებს და სწორედ სიტყვების ძალით აძლიერებდნენ მათში მხნეობას, სიმამაცესა და გამარჯვების რწმენას, ვინაიდან სწორედ სიტყვებში დევს უდიდესი ძალა.

ქართულ ენაში გვაქვს შემდეგი სიტყვები: **ლოცვა** და მისგან ნაწარმოები **შელოცვა** და **დალოცვა**. რა არის ლოცვა? **ლოცვა** არის რელიგიური პრაქტიკის სახე, რომლის დროსაც ინდივიდი ცდილობს **ღმერთთან** ან **სულთან** დაკავშირებას. ლოცვა შეიძლება იყოს ინდივიდუალური ან ჯგუფური, რომელიც შეიძლება მოხდეს საზოგადოებაში ან კერძოდ. ლოცვისათვის იყენებენ სიტყვებს ან სიმღერას. არსებობს

სხვადასხვა სახის ლოცვები - შუამდგომლობის, ვედრება, მადლიერების და დიდების. ლოცვა მიმართულია ღვთის, სულის ან თუნდაც რომელიმე პიროვნებისადმი. ადამიანები ბევრი განსხვავებული მიზეზების გამო ლოცულობენ. ლოცვა ზოგჯერ სიტყვებთან, მუსიკასთან ან ჰიმნთან ერთად ფიზიკურ პრაქტიკასაც შეიცავს. მეცნიერთა ნაწილი ფიქრობს, რომ ყველაზე მეტად ლოცვა ეფექტურია ავადმყოფი ან დაშავებული ადამიანებისთვის. ლოცვა გაწვდილი ხელია ღვთისკენ, მადლის მისაღებად.

უფრო ვრცლად შელოცვასა და შელოცვის ტექსტებზე, რომლებიც ერთგვარ რიტუალებთანაა დაკავშირებული:

შელოცვა ხალხური კულტურის შემადგენელი ნაწილია, რომელიც ეყრდნობა უძველეს რწმენა-წარმოდგენებს მაგიურ ძალებზე. ქართული ფოლკლორი მდიდარია შელოცვის ტექსტებით. რომლებსაც, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, სხვადასხვა რიტუალებიც ახლავს. ერთ-ერთი მოთხოვნა არის ის, რომ შელოცვები იკითხება ჩურჩულით ისე, რომ სხვას არც ესმის სიტყვები; მთქმელთა ახსნით, ხმამაღლა, მკაფიოდ წარმოთქმული ლოცვა კარგავს თავის მაგიურ ძალას, ამიტომაც ხშირად ჭირს ლოცვების დაფიქსირება. ლოცვის ტექსტს აქვს ლექსის წყობა, სადაც დაცულია რიტმი, რითმი. ამ მხრივ საინტერესოა შემდეგი მოსაზრება: „ვისაც შემლოცველის ჩურჩულით წარმოთქმული სიტყვები მოუსმენია, დაგვემოწმება, რომ ეს, უწინარეს ყოვლისა, პოეზიაა; პოეზიაა თავისი შინაგანი რიტმით, ექსპრესიით, კეთილხმოვანებით. შემლოცველს სჯეროდა, რომ მის სიტყვებს ავადმყოფის განკურნება შეეძლო, სიტყვით აქიმობა ძველთაძველი ტრადიციაა, სადღეისოდ მოშლილი და მივიწყებული" (ამ. არაბული.)

შელოცვის მეტად საინტერესო ტექსტები, რიტუალებით შემონახულია თურქეთელი ქართველების მეხსიერებაში, მათ ყოფაში. საანალიზო მასალა ეს არის უძველესი რწმენა-წარმოდგენები აჭარელი და ზოგადად ქართველი ხალხისა.

ხალხური შემოქმედების ეს ჟანრი შ. ფუტკარაძის ნაშრომში „ჩვენებურების ქართული" მოხსენიებულია, როგორც **„მემლექეთური ლოცვები“**, ჩვენებურების მეტყველებაში შელოცვის მნიშვნელობით დადასტურებულია „კითხვა“ ლექსემა („თელი ტკვილის კითხვა“); აქვე დასტურდება, **„დუა“**, რაც არაბულად მუსლიმანურ ლოცვას აღნიშნავს.

დადასტურებული შელოცვები არის სხვადასხვა დანიშნულების. უპირველესი არის სამკურნალო; მთქმელი დარწმუნებულია, რომ სიტყვას მაგიური ძალა აქვს და მას შეუძლია ადამიანის განკურნება, გათავისუფლება ნებისმიერი ტკივილისგან. შელოცვის ტექსტებს შორის არის „თელი ტკივილის კითხვა“, ანუ ყველანაირი ტკივილისთვის განკუთვნილი შელოცვა:

თელი ტკივილის კითხვა:

„იავ, თიავ, წარევ, ჭახევ

რაც ლიკვინობ გველსავეთ ...

რას გივანოფ ხარსავეთ ...

მოიარე, მეიარე

დასალაგდი ქვასავეთ“ (ფუტკარაძე 1993).

შელოცვის ეს ტექსტი, როგორც ჩანს, იწყება გაუგებარი სიტყვებით („იავ, თიავ...“); ეს არ არის მოულოდნელი შემთხვევა, რადგანაც შელოცვის ტექსტებში ხშირად გვხვდება უაზრო, გაუგებარი სიტყვები, რომელსაც სამეცნიერო ლიტერატურაში აბრაკადაბრას ეძახიან. **აბრაკადაბრა** ტერმინი ლათინურია და ნიშნავს უაზრო სიტყვას ან სიტყვათა ჯგუფს, რომელსაც მაგიური დანიშნულება აქვს. ცნობილია, რომ მორწმუნე ადამიანები აბრაკადაბრას აწერდნენ ამულეტზე და ყელზე იკიდებდნენ ავადმყოფობის, ავი თვალის ან რაიმე უბედურების თავიდან ასაცილებლად.

აბრაკადაბრას გარეშე შელოცვის ტექსტი წარმოუდგენელია, ხოლო ის ტექსტები, რომლებიც გამჭვირვალე შინაარსის მქონეა და სადაც ყველა სიტყვა გარკვეულია, ძლიერ ანუ „გამჭრელ“ შელოცვებად არ ჩაითვლება. შელოცვას აუცილებლად უნდა ახლდეს ბუნდოვანება და იდუმალეობა (ბარდაველიძე, 1979, 22). გამოთქმულია მოსაზრება, რომ ეს გაუგებარი სიტყვები შეიძლება წარმოადგენდნენ დიდი ხნის წინათ დავიწყებულ, ქართულ თუ ქართველთა წინაპარ ტომთა წარმართულ კერპთა სახელებს. ასეთი ალოგიკური სიტყვა-ფრაზები დამახასიათებელია ხალხური ლექს-სიმღერებისთვისაც (ბარდაველიძე, 1979, 35-37).

წარმოშობის მიხედვით აბრაკადაბრებს ილია გაგულაშვილი ორ ჯგუფად ყოფს. იგი წერს: „თავად აბრაკადაბრები განვითარების სხვადასხვა გზების შედეგს წარმოადგენს. პირველ რიგს უნდა მივაკუთვნოთ ის ტექსტები, რომლებიც ადრევე,

უძველეს ხანაშივე ატარებდნენ აბრაკადაბრების სახეს, ხოლო მეორე რიგში შევა ის ტექსტები, რომლებიც თავდაპირველად საკმაოდ გასაგებ სიტყვათა კომპლექსს მოიცავდნენ (ამ ჯგუფში შევა უცხო ენიდან შემოსული სიტყვების, გამოთქმების, ტექსტების ერთი ნაწილი), მაგრამ დროთა განმავლობაში, სხვადასხვა მიზეზის გამო, ზეპირ მიმოქცევაში დაკარგეს მნიშვნელობა, ტრანსფორმაციის პროცესი განიცადეს და დღეს გაუგებარ სიტყვათა ფრაზების რიგში დგანან” (გაგულაშვილი, 1986, 140-141).

ზურაბ კვიციანი აზრით, ბუნდოვანება შელოცვის კონსტიტუციური ელემენტია. წარმოშობისთანავე ის ასეთი იყო. არ არის მართებული, თითქოს შელოცვების თავის დროზე გასაგები ტექსტი დროთა განმავლობაში გაბუნდოვანდა (კვიციანი, 2008, 20). მისივე აზრით, შელოცვათა ენის ბუნდოვანების მიზეზიც ისევე და ისევე მაგიაში უნდა ვეძებოთ, რამდენადაც მაგიის ობიექტი ირაციონალური, არადამიანური ძალებია, მათთან სასაუბრო ენაც ირაციონალური, გაუგებარი უნდა იყოს. რაც უფრო ბუნდოვანია შელოცვის ტექსტი, მით უფრო ქმედითია იგი. და ერთიც, შელოცვის ტექსტში აბრაკადაბრას ერთი მყარი ადგილი არა აქვს - ის შეიძლება შეგვხვდეს:

- ა) შელოცვის დასაწყისში;
- ბ) შელოცვის შიგნით;
- გ) შელოცვის დასასრულს;
- დ) შელოცვა მხოლოდ გაუგებარ სიტყვათა კომბინაციაზეა აგებული.

საანალიზო შელოცვის მეორე ფრაზა - „წარევ, ჭახევ“ - ერთი შეხედვით გაუგებარი სიტყვებია, თუმცა კარგად თუ დავაკვირდებით, მივხვდებით, რომ აქ დაკარგულია სიტყვის თავკიდური „მ“ სონორი თანხმოვანი, უნდა იყოს - მწარევ, მჭახევ (შდრ.: მჭახე (აჭარ.) მკვახე, უმწიფარი). მწარევ, მჭახევ შელოცვაში ავადმყოფობის მეტაფორებია; მწარეა, მჭახეა ტკივილი... ამრიგად, ანგარიშგასაწევია ის მოსაზრებაც, რომლის მიხედვითაც შელოცვებში ბევრმა სიტყვამ დროთა განმავლობაში, სხვადასხვა მიზეზით დაკარგა თავისი მნიშვნელობა და ასე გაბუნდოვანდა.

შელოცვაში წარმოდგენილი არსებები **გველი, ხარი** ხშირად გვხვდება ქართულ ფოლკლორში. ასევე შელოცვებში ხშირად არის ნახსენები „ქვა“ - დასალაგდი ქვასავით, რაც ტკივილის შეჩერებას, გაქვავებას გულისხმობს.

საინტერესოა მასალა ენობრივი თვალსაზრისით. **მეიარე, დასალაგდი** - ქართული სალიტერატურო ენის დასვლური დიალექტისთვის დამახასიეთებელი ფორმებია. საინტერესოა ზმნური ფორმები: **ცლიკვინობ** (გველსავეთ); **გივანოფ** (ხარსავეთ). **ცლიკვინი**, გველის ხმიანობის გამომხატველი ზმნა უნდა იყოს, რომელიც ახლოს დგას იმერულ **წლუკუნ** ფორმასთან. **წლუკუნი** (იმერ.) ხმაჩაკმედილი ტირილი; უხმოდ ტირილი (ღლონტი, 1984). შდრ.: **წლოკვი** (ლექხ.) ძლოკვი, ქვეწარმავალი (იქვე). ბუნდოვანი ჩანს **გვანოფ** ფორმა: „**გვანოფ ხარსევით**“ (გვანობ - ჰგავხარ).

ერთგვარი რიტუალი ჩანს ქვემოთ მოყვანილ შელოცვის ტექსტში. აქვე ნახსენები სარიტუალო ატრიბუტები **ჩხირი, ნახშირი, კენჭი** (შდრ.: სხვაგან ნახსენებია ქვა), რომლებსაც ხშირად ვხვდებით საქართველოს სხვადასხვა კუთხის შელოცვებში. ხშირ შემთხვევაში მეორდება ტექსტი მცირედი განსხვავებით. განსხვავების ერთ-ერთი ნიშანი არის ის, რომ ტექსტში არის უცხო სიტყვები. კერძოდ, შელოცვის ტექსტებში ქართული ლექსემები ჩანაცვლებულია თურქული სიტყვებით ან მთქმელი თავად ავრცობს ტექსტს თურქული ლექსემებით. ქვემოთ მოცემულ ტექსტში ნახსენებია **შეითანი** (თურქ.), რაც ქართულად ნიშნავს ეშმაკს.

„თებერვალი დადგება, ხეში წყალი ჩადგება,

მარტის ცხრაზე არ გახვიდე კარზე.

ქადა სერამდე, ფაფა შორამდე.

თვალი ვინ გამოგთხარა? შენმა იანმა,

ჩხირი კედელში, კენჭი ყორეში,

კერას ნახშირი, კედელს ჩხირი.

შეითანის ფეხი რავა მოტეხე და მოხველ“.

არის რიგი შელოცვებისა, რომლებიც კონკრეტული ავადმყოფობისთვის არის განკუთვნილი. ასეთებია, მაგალითად:

თიაქარის ლოცვა:

„ზეიდან ძალი ჩამორბოდა, ფეხჩაქმანაი, ბაუშაი;

თიაქარო გეხუეწები, ჩემი ბაღვი გუუშვი“.

მუცელი ტკივილის დუა:

„იაგუ, თიაგუ,

ყვა ხევუ, ჯა ხევუ,

ნუ დგახარ ქვასავენ,
გეიარე ქარსავენ“.

სურდოს ლოცვა:

„სურდო მოიდა ამ დილას, რა მივართუა სადილად?
ანკალი, მანკალი, შუიდი თაგვის ბარკალი,
ავახტუნე, დავახტუნე, სურდო წყალში ჩავახტუნე“.

წარმოდგენილ ტექსტებში საყურადღებოა საკრალური, ანუ მაგიური ციფრი **შვიდი** - „შუიდი თაგვის ბარკალი“; (შდრ.: სამყაროს შექმნის **შვიდი დღე**: სინათლე, ზეცა, მიწა ზღვა და მცენარეები, მზე, მთვარე და ვარსკვლავები, ზღვის ცხოველები და ფრინველები, ხმელეთის ცხოველები და ადამიანები, დღე **მეშვიდე** - ღმერთმა დაისვენა; **შვიდი ცა** ისლამური კალენდრის მიხედვით: ვერცხლის, ოქროს, მარგალიტის, თეთრი ოქროს, ვერცხლის, ლალის და გრანიტის და ღვთიური სინათლის ცა.

შვიდი სასიკვდილო ცოდვა: გაუმადლობა, სიზარმაცე, ვნება, პატივმოყვარეობა, მრისხანება, შური და სიხარბე. ცისარტყელას **შვიდი ფერი**: სინათლე შედგება შვიდი ფერისაგან...

სურდოს დუა:

„სურდუმ, სურდუმ შევბორდიკე,
ძაღლის კუდზე გადავკიდე,
ხევ მადმისკენ გავასტუმე,
ძაღლის ცხვირში შევახტუმე“.

თავის ტკივილის ლოცვა:

„ალავკვეთე, მალავკვეთე. გადავტრიალდი ხე მოვკვეთე,
სათირისა ბოლოსა, სავარცხალი თმისა,
შიგილოცავ შალამებულსა, გიგიიარს დილასა ...“

ფეხის ტკივილის დუა:

“სისხლი ჩექსა, ქვა ქვეშა ერგებოდა,
და ქცენი გარგებოდა ჩემი კითხვა ერგებოდა“.

ქარის ლოცვა:

„ელელია, მელელია, ჩემი ხელი წამალია,
ციხის კარი გიმილია, გველვეშაპი შიმიგდია,
შენ ურჯულოთიო ქარო,
მიიარე, მეიარე, შენ სალათ დეთხარე“.

„ალელისა, მალელისა თვალი გეცა ქალებისა,
ავკვეცე, მაკვეცე, ხე მოკვეცე,
ხემ ნაპოტი გეიქნია,
ზღვას მიცა, წყალ მიცა“.

შეჭრეტილის ლოცვა:

“ეველისა თხილსა მალლაზე,
დავხედე თხილსა სოფელსა,
დედაშვილმა წამატირდა,
დედას სხნიდა, შვილი სხნიდა
ორბოზავა დეიშალა“.

ნახძვის ლოცვა:

„დეცა, დეკონა ნაძღვები შეკონა,
ადგა ეტკინა, დაჟდა ეშველა.
სამი დღისა მას, სამი წლისა მას
გუხთა კრავი, გეიხსნა ძარღვი.“

სიტყვა **ნახძვის** მიღებული უნდა იყოს, **ნაღრძობის** ფორმისგან, რომლისთვისაც ამოსავალია **ღრძობა** - სახსრის იოგების გაჭიმვა უხერხული მოძრაობის შედეგად. მასთან ფორმობრივად და შინაარსობრივად ახლოს დგას, ტექსტში მოცემული **ნაძღვები** („ნაძღვები შეკონა“).

ნახძვის ლოცვა:

„ეგერ მოვა შავი წყალი, მას მოჰქონდა შავი გველი,
დავარტყი ყავარჯინი, ამოვლე შავი გველი“.

საანალიზო მასალაში ხშირად არის ნახსენები **გველი**. გველს ქართულ და, ზოგადად, მსოფლიო ფოლკლორში დიდი ადგილი უჭირავს. შავი - უბედურების ფერია. სიკვდილი შავია. შავი სამგლოვიარო ფერია; შდრ.: შავი ბედი, შავი დღე... შავი ფერი ომისა და ბრძოლის ხერხადაც გამოიყენებოდა. საყურადღებოა, ის ფაქტიც, რომ გველის აღსანიშნავად მეგრულში გამოიყენება **უჩადართამი** - „შავჩოხიანი“.

ნახძვის ლოცვა:

„ძვალში თუ ხარ ბილში გამოი,
ბილში თუ ხარ გარში გამოი,
ეს სვი, ეს ჭამე,
ხორცწიბიდან გამოი“.

„თავი კისერს მიცემს, კისერი ფხარ მიცემს,
ფხარი წელს მიცემს, წელი მენჯ მიცემს,
მენჯი ბაღვ მიცემს, ბაღვი მუხლ მიცემს,
მუხლი წივს მიცემს, წივი კოჭ მიცემს,
კოჭი ფეხს მიცემს, ფეხი თით მიცემს,
თითი ფჩხილს მიცემს, ფრჩხილი ზღვას მიცემს,
აღვა ეიმღრევა გეიმღრევა, სეჭრეტელი სეჭნეტილო,
გეისხენი, გეისხენი კითხველი მე ვარ,
მარგობე ღმერთია“.

დათქმერილი:

„დეცა დეკონა, ნაძღვები შეკონა,
ძვალი ეწყობოდა, ბილი მთელდებოდა,
ნაძღვები შველებოდა“.

სადლოგელის დუა:

„შავი ძალი შავ ღელეში გუშვი,
მისი თვალციმელი გავფუშე და გუშვი“.

საინტერესოა ქვემოთ მოცემული შემთხვევა; სამკურნალოდ, საგანგებოდ დამზადებულ „მედიკამენტთან“ ერთად საჭირო ხდება შელოცვაც: „ხელები რომ

დასკდება, ეგზემა ებნევიან იმასა. იმისი წამლობა იცოდნენ: მეიტანებენ მუხის ფაქას დაასხამენ ცხელ წყალსა, წუუსმენ ხელზე და ლოცვილობენ, უკითხვენ:

„ეჯელიყო, მეჯელიყო,

სულეიმანას ბეჭედ იყო;

თეთრი ხარ, შავი ხარ,

მავი ხარ, რა და რა ფერი ხარ?

გამოი, გამიეხვიე მუხის ფაქაზე.

ღმერთია შენი მშველელი, ღმერთია შენი მშველელი,

ღმერთია შენი მშველელიო და... სამჯერ შუუბერავ“.

ტექსტში ნახსენები „სულეიმანის ბეჭედის“ შესახებ საინტერესო მსჯელობას ვხვდებით, მეჰმეთ ალი ქესქინის ნაშრომში, „კულტურული მეხსიერების საკითხები ჭოროხის აუზის ზეპირსიტყვიერებაში“ (მეჰმეთ ალი ქესქინი 2015): ბიბლიური სოლომონის ბეჭედი და მასთან დაკავშირებული სასწაულები კარგად იყო ცნობილი მსოფლიოს ყველა ხალხის ზეპირსიტყვიერებაში. მუსლიმანური რელიგიის აღმსარებელთა ზეპირსიტყვიერების თანახმად, სულთან სულეიმანი, იგივე სოლომონ ბრძენი, კულტურის სიბრძნის მფლობელიც იყო. ექვს ქიმიანი ვარსკვლავით, რომელიც სულეიმანის ბეჭედის („ხათიმ სულაიმან“) სიმბოლოა, იგი ბეჭდავდა თავის ბრძანებებს ჯინებისა და შეითნებისათვის. „სულეიმანის ბეჭედი“ ისლამურ სამყაროში ფართოდ გავრცელებული მაგიური ნიშანი და თილისმაა. მას ხშირად გამოსახავდნენ საყოფაცხოვრებო თუ საკულტო ნაგებობებზე, ჭურჭელზე, მონეტებზე და სხვა. სულეიმანის ბეჭედი, როგორც ბოროტი ძალების დათრგუნვისა და ავადმყოფისგან კურნების უტყუარობის სიმბოლო, ხშირად მოიხსენება სხვადასხვა სახის სამკურნალო შელოცვებში“. როგორც მკვლევარი შენიშნავს, „სულეიმანის ბეჭედი“ მრავალგან არის მოხსენიებული ჭოროხის აუზში მცხოვრებ ქართველთა შელოცვებში: მატავრის (საყმაწვილო სენის, ქუნთრუშას) შელოცვის შავშური ვარიანტების დასასრული ასეთია - „ ... ასეა, ასეა! **სულეიმანის ბეჭედი**!“; ან კიდევ: „ ... არსიან–ქალიან **სულეიმანი ბეჭედი**“.

ხალხური შემოქმედების ერთ-ერთი ნიშანი არის ვარიანტულობა. ეს ნიშანი ახასიათებს საკვლევ მასალასაც; აქ არის ერთი და იმავე შელოცვის რამდენიმე

მეტნაკლებად განსხვავებული ვარიანტი; მაგალითად, „სირსვილის ლოცვის“ რამდენიმე ვარიანტია წარმოდგენილი. მაგალითად:

ა) სირსვილის დუა:

„სირსვილი ყანას ხნებდა, ქვა ქვეშა,
რავლი ქი ქვამა ფეხ არ გეისხნავს,
ისეც სირსვილი ფესვ არ გეისხნავს“.

ბ) სირსვილისა ლოცვა:

„სირსვილი ხნიდა ყანასა, მიაპობდა ჭალასა,
ხარსა ტაბიკი გუუტყდეს, სირსვილსაც ძირი გუუხმეს“.
„იამარილის კენჭითა უკითხო, იანახშირით,
იალემსით, წუუსვანა მარილი, მოწერონა ზედა,
ჰემენ გუუარს, ჰემენ“.

გ) სირსვილის ლოცვა:

„სირსვილისა სივასა, როგორც ხარი თივასა,
გაუცვინდა წმინდა ქერქი, გამეპარა დილასა,
უფფფფ“

იანიქ დუა:

თურქული ლექსიკით ასათაურებს მთქმელი ამ შელოცვას. (Yanık თურქულად „დამწვრობას“ ნიშნავს). ტექსტში კი თავს იჩენს სიტყვა - **მომწვარი**.

„ელიე ლემთე, ბელიბე ლემთე,
ქვა დნებოდა, ქვა შრებოდა,
წითელი ხოჭო ჭიდა ირწებოდა.
ამნაირი მომწვარი ვის დაუნახია
სამ დღე შიშველებოდა.
უფფფფ ... “

თურქეთის ქართველებში ჩაწერილი შელოცვის ტექსტები ხშირად მთავრდება „უფფფფ...“ ბგერათკომპლექსით. შელოცვათა ასეთი დასასრული დამახასიათებელია ზოგადად ქართულისთვის. „უფფფ“, „ფუუუ“. „ფუი“ სულის შებერვით გამოწვეულ ხმაზე მიგვანიშნებს. შემლოცველი ტექსტის დასასრულს სულს შეუბერავს სწეულს და ამით ტკივილს - ეშმაკს, ბოროტ ძალას ფანტავს - ასეთია მისი ხედვა. ასეა

შელოცვის მეგრულ ტექსტებშიც, სადაც თავის ხედვას შემლოცველი სიტყვებითაც ადასტურებს: (მეგრ.) ფუი... ათაშ გაქარდი! „ფუი... ასე გაქრი!“

ვარიანტთა სიმრავლით გამოირჩევა მატავრის (საყმაწვილო სენის, ქუნთრუმას) ლოცვა.

მატავრის ლოცვა:

„ილი ხარ თუ, მატავრი ხარ? შენსა მიხვალ?

სისხლის სასმელად, ძვალის სახრელად,

შავო კაცო, თეთრო კაცო, წითელო კაცო,

თავ უკუღმართო, შუბლ უკუღმართო, წარბ უკუღმართო,

თვალ უკუღმართო, ცხვირ უკუღმართო, კბილ უკუღმართო,

ყურ უკუღმართო, პირ უკუღმართო, ხელ უკუღმართო,

ყოველ სილაჰით დაგჭრიან, დაგთიბვენ,

თსუ თსუ წყალს მიგცემენ, მიგარუნ-მოგარუნებენ,

მე ვარ მშველელი, შენ ხარ გამრიგებელი,

მე ვარ შიფა მომცემი, ტვინში, ცხვირში, ბუკში, კბილში, ყურში,

შიფა მიეცი იარაღანო, ღმერთო.

უფფფფფ ... “.

აღნიშნული ლოცვა, როგორც სხვა დანარჩენი, მრავალმხრივ საინტერესოა. საინტერესოა აქ მოხმობილი ფერთა სიმბოლიკა - შავი, თეთრი, წითელი. შავ ფერზე, როგორც უბედურების სიმბოლოზე, ზემოთ ვიმსჯელებთ. რაზე მეტყველებენ თეთრი და წითელი ფერები? ფერი ლოცვებში თვისებაა. მას საგნობრივი უნარი არ გააჩნია; ის არ გულისხმობს სიჭრელეს. თეთრი, როგორც ნათელი, ღვთაებასთან ასოცირდება, შავი კი მისი საპირისპირო თვისების მატარებელია; შავი, ანუ არა თეთრი, ეს კარგად ჩანს მეგრულში: ჩე „თეთრი“ და უ-ჩა „შავი“. რაც შეეხება წითელ ფერს. მას რამდენიმე გაგება აქვს: ის მზისფერია, სისხლის, სიმდიდრის, ჯანმრთელობის მაჩვენებელია. წითელი ფერი საფრთხის მომასწავებელიცაა (ბ. მოსია); სწორედ ეს უკანასკნელი ფუნქცია ჩანს საანალიზო ტექსტშიც. არც ისაა შემთხვევითი, რომ ტექსტში სამი ფერია მოხმობილი. სამი, რელიგიურ კულტთან და რიტუალთან დაკავშირებული ციფრია.

ა) მატავრი:

„შავ ღელიდან ერთი ქალი ერთი კაცი მოდიან,
თვალეფ მუფახუნებენ, კიბილებ მუამაძკანებენ,
კლავეფ მუაქნევენ...“

შენ ჰა მიხვალ კაცებიანთან, ხორცი საჭმელაი,
ძვალის სახრელაი, სისხლის სასმელაი,
არ მოგასვამ სისხლ, არ მოგართამ ბილ,
არ გახრევიებ ძვალ.

ჩემ შავტარიან დანით დაგჭრი, დაკუმეზხავ,
გადუღებ და გაფერმანეფ;
გიგიტან ერთ ქედზე ნიავს და ქარ მიქცემ.
სელის ჰაზრეთი, იიელის კუკული,
ჩახვევლი დუმა“.

ბ) მატავრი:

„ატავრო, მატავრო რასა ჩივი, რასა ტირი,
რაზე მოგდის თვალზე ძოლო?
ხარი დაკლეს არ მომართვეს,
ფური დაკლეს არ მომართვეს;
იმას ვჩივი, იმას ვტირი.
ხარ დაკლავ მოგართვამ,
ფურ დაკლავ მოგართვამ,
ნუ წამოგდის თვალზე ძოლო“.

გ) სამართვილოს:

„შენ სამართვილო ჰა მიხვალ?
სისხლი სასმელათ, ხორცი საჭრელათ,
არ გაგიშვეფ, დაგჭრი ჩემ ბასრი დანითა;
ჩაქვლი ჩემ ვალისა ქოთანში,
აგადუღეფ, აგაქაფქაფებ,
აგიტან მაღალ ქედზე
იქ მიქცემ ქარსა და ნიავსა“.

ყურადღებას იქცევს შელოცვათა სახელწოდებები, რომლებიც სათაურად უძღვის ტექსტს. ეს სათაურები შელოცვის დროს არც იკითხება. სახელდება ითხოვენ ჩამწერები, მოქმედები კი ამ ფორმით აფიქსირებენ. მაგ.: **ქარი აღრისინა დუა, იანიქ დუასი, Ayak İncinmesine Okunan Dua, Temre için Okunan Dua - ტემრეს ლოცვა, Nazar İçin Okunan Dualar - თვალის ეცემას ლოცვა და ა. შ.** მასალა, სათაურების მიხედვით, შეიძლება ასე დავყოთ:

1. მოქმედმა იცის წინაპრებისგან ნასწავლი შელოცვის ტექსტი, მაგრამ თურქულ ენაზე უხსნის ჩამწერს მის დანიშნულებას და ტექსტის სათაურადაც ეს თურქული ვარიანტია გამოტანილი - **Ayak İncinmesine Okunan Dua;**

2. პარალელური შემთხვევები - ქართული სათაური და თურქული თარგმანი: **Nazar İçin Okunan Dualar - თვალის ეცემას ლოცვა;**

3. სათაურში ზოგი სიტყვა თურქულია, ზოგი - ქართული: **ქარი აღრისინა დუა;**

4. ოდენ ქართული სახელწოდებები: **თუალცემულის ლოცვა, თუალის ლოცვა...**

ქარი აღრისინა დუა:

„წკიბინდა ბუკი დასვებულა,

ლეკეტა, ლეკეტა აკი ბორკვილი,

კიბილ ჯაჯვი შეითანი შეყუჯილი,

ძალლი მყავსა ბავლში“.

იანიქ დუასი:

„ელი ელონდან. მელი მელინდან, ზაკა კიკინობდა,

წითელი ხოჯა წითელი ხარებით ამუშავებდა.

ეს რავლი ყანა იყო, ქოშელი ჩალა იყო,

დამწვარი დალენებული, შვიდ დღემდან ემატვიდა,

შვიდ დღის უკან შველებოდა“.

ფეხის ტკივილის დუა:

„სამი დღისა არა, სამი თვისა არა,

გუდუხთა კრავმა, გეისხნა ძვალმა“.

თემრეს ლოცვა:

„სირსხვილამ ყანა მიიახნა,
მიწა მიიყრა, დილას გუქარა“.

ტემრეს ლოცვა 1.

„სირსხვილამ ყანას ხნიდა, მითესავდა ქოშესა;
ქვეში დნებოდა, სირსხვილამ ქარდებოდა“.

გათვალულის შელოცვა, ანუ, როგორც აქაურები ეძახიან, „თვალის დუა“. „თვალნაცემის“ მოსარჩენადაა გამიზნული. ასეთი შელოცვები ზოგადად ქართული სივრცისთვის არის დამახასიათებელი (მეჰმეთ ალი ქესქინი, 2015).

თვალს ქართულ რწმენა-წარმოდგენებში დიდი სულიერი დატვირთვა აქვს. ეს არის მხატვრული სახე სულისა. ის სულის სიმბოლოა. ავი თვალი ავი, ბოროტი სულია. ბოროტი სული ბოროტ ზრახვებსა და ფიქრებს შობს. ზოგადად ეს არის ბოროტი ძალა. ადამიანს ოდითგან სჯეროდა, რომ მათზე გამკლავება ლოცვებით, მაგიებით, ჯადოქრული, ყოვლისშემძლე სიტყვებით შეიძლებოდა. ამ რწმენა-წარმოდგენათა ანარეკლია ეს შელოცვებიც.

თვალის ეცემას ლოცვა:

„დავგი ხაპი, გამოვდა ხაპი,
გასქდეს გონჯათ შემხედნელი თვალები.
ფეხში ეკალი, თვალში ნაცარი,
გასდეს გონჯათ შემხედნელი თვალის კაკალი“.

თვალის დუა:

„ფუდუმ ფუდუმ გიცა, თვალში რაცხა გეცა,
სამიგვეი მეგონა, საწრიხელი გეცა.
ექ ჩაყლაფე სხვას მოგართამ“.

თუალცემულის ლოცვა:

„სახელითა ღთითა, მამითა, სულითა წმინდითა,
თუალცემულისა, შინავრისა, გარეველისა,
მოსულისა, წასულისა, დამხთურისა,,,
მოვდა ქალი ქაბნიანი, მოალო კარი,
მოარო თუალი, უუფსე თუალი, დუუფსე თუალი.
ცული პირის წანაჭარა, ცულსა ტარათ ერგებოდა,

დანის პირის წანაჭარა დანას ტარათ ერგებოდა;
ჩემი ლოცვა, ჩემი კითხვა (სახელინა თქუა გათუალულისა)
სასიკეთოთ ერგებოდა".

თვალისა:

„ალიოსა, მალიოსა, შიგილოცავთ თვალისასა,
შიგნისასა, გარესასა, წხრათი ბერი ქალისასა.
მოვდიოდა შავი წყალი, მას მოჰქონდა შავი გველი,
ამოვლევი შავი გველი, ჩავკევი ჩემი ყავარჯინაი;
ამოვლევი შავი ქონი, გუკიდე ღობესა,
ჰკნებოდა, ქარდებოდა, ვინცხამ ავი სულით
ავიანაცვით წვინდა გიორგი ლახთი ბოზანი
ჯაცვი ეკალი მას თვალეზში
გიეჯარა - გამიეჯარა,
შუბერე“.

მეტად მნიშვნელოვანი მეტაფორული სახეა „წყალი“. ნიშანდობლივია, შემდეგი ახსნაც: „ავანტყოფი წყალში რომ შახვალ ავანტყოფობა წყალს უუყვებაო“ - იტყოდენ ძუელეზი" (შ. ფუტკარაძე). ლოცვაში ნახსენებია - „წვინდა გიორგი“ იგივე „წმიდა გიორგი“ და „ლახთი ბოზანი“. **ბოზანი**, **ბოძალი** (გურ., გუდამაყრ.) ლახვარი, ორპირი ისარი); **ბორძალი** (გურ.) ფონეტიკურ-სემანტიკური ვარიანტებია. **ლახთი** იგივეა, რაც **ლახტი** (ფშ.) რკინის ჯოხი. შდრ.: **ლახტაობა** (კახ.) ბავშვთა თამაშობაა ქამრებით, ე. ი. ლახტებით (ღლონტი, 1984, 326).

ქართულ შელოცვებში წმინდა გიორგის ხსენება არაა იშვიათი და მოულოდნელი. წმინდა გიორგი ქრისტიანულ სამყაროში პოპულარული სახეა. ქართველი ხალხი ოდითგანვე წმინდა გიორგის მიიჩნევდა თავის მფარველად და შემწედ. თეთრ ცხენზე ამხედრებული წმინდა გიორგი შუბით ხელში, მებრძოლი ბოროტებასთან, სიმართლის და გამარჯვების სიმბოლოა. წმიდა გიორგის ხსენება ტექსტში, რა თქმა უნდა, ქრისტიანული ელემენტების დასტურია.

ჩვენ მიერ მოძიებულ მასალაში წარმოდგენილია შელოცვები, რომლებიც საქონლის ავადმყოფობისთვისაა განკუთვნილი. წერილობით წყაროებში დადასტურებული „ძაღლის ღუა“ შესაძლებელია, ცოფის საწინააღმდეგო შელოცვა იყოს; ტექსტში წარმოდგენილია უაზრო ბგერათკომპლექსი, სიტყვები, რომლის მნიშვნელობა გაბუნდოვანებულია და მათ შორის არის ასევე თურქული სიტყვა ინსანი „ადამიანი“.

ძაღლის ღუა:

„ლეყედ, ლეყედ, ინსნის ლეყედ,
ძაღლის ლეყედ, ყულჰუველ ლაჰუეხედ“.

კუს ლოცვა:

„კუ, კუკურკუმალო, პირ აღმართო, პირ ჩაღმართო,
ჩაგაგდეფ ქოთანში, გადუღეფ, დაგაქაფქაფებ, მიქცემ წყალსა
გაგაქროლაგ ქარსავით...“

მთქმელი მიუთითებს იმ აუცილებელ რიტუალზეც, რომელიც უნდა შესრულდეს შელოცვის დროს, ერთდროულად; „ ... უკითხონა, გაათფონა ტაფისძირი, შუუსგანა ბუბუზე, ჰემ ნა უკითხონა, ჰემ ნა უბერონა“.

კუ ქართული ენის აჭარულსა და გურულ დიალექტებში ძროხის ცურის ავადმყოფობის აღმნიშვნელი სახელია.

შელოცვების სათავე საკმაოდ შორეულ, წარმართულ, ხანაში უნდა ვეძებოთ. ქრისტიანული ელემენტები მასში, რა თქმა უნდა, შემდგომი მოვლენაა. თურქეთის ქართველთა მეხსიერებაში შემონახული შელოცვის ტექსტები, თავისი რიტუალებით მრავალმხრივ საინტერესოა. საანალიზო მასალა იმეორებს საქართველოს სხვადასხვა კუთხეებში დადასტურებულ შელოცვის ნიმუშებს; ადვილად ვრწმუნდებით, რომ საქმე გვაქვს ერთი და იმავე ტრადიციის, კულტურისა და ფსიქიკის ადამიანებთან.

მეტად ფასეულია ის ფაქტი, რომ სხვა ღირებულებებთან ერთად ფოლკლორში მისი მატარებელი ერის წინაპართა ენაცაა შემონახული. საკვლევი მასალა მრავალფეროვანი და მოცულობითაც გაცილებით მეტია.

ჩვენ მიერ ჩაწერილ შელოცვის ტექსტები მსგავსია სხვა ქართველურ დიალექტებში დადასტურებული შელოცვებისა; აქვე უნდა აღვნიშნოთ, მათში ქრისტიანული ელემენტებიც დასტურდება; შელოცვათა დასაწყისი, უმთავრესად,

გართმული სიტყვებით არის წარმოდგენილი; ერთ-ერთ შელოცვაში დადასტურდა ქრისტიანული დასაწყისიც (მიმართვა წმინდა სამებისდმი):

„სახელითა ღთითა, მამითა, სულითა წმინდითა,

თუალცემულისა, შინავრისა, გარევისა“ (თუალცემულის ლოცვა).

დასაწყისს მოსდევს ძირითადი ტექსტი, ჩამოთვლა, ბოლოს კი ქრისტიანული დასასრული - მიმართვა ღვთისადმი.

დუზჯეს რეგიონში ჩაწერილი შელოცვების ენაზე დაკვირვებამ ცხადყო, რომ დასახელებულ მასალაში დაცულია არქაული ქართულისათვის დამახასიათებელი მოვლენებიც, ქართული ენის დიალექტური თავისებურებებიც და, რიგ შემთხვევაში, შეიმჩნევა თურქულის გავლენაც.

მაგალითები:

ა) შელოცვებში დადასტურებული არქაული ქართულისათვის დამახასიათებელი მოვლენებიდან: ციხის კარი გიმილია, **გველვეშაპი** შიმიგდია, ყოველ სილაჰით დაგჭრიან, **დაგთიბვენ**; სირსვილი **ხნიდა** ყანასა ...

ბ) შელოცვებში დადასტურებული ქართული ენის დიალექტური თავისებურებებიდან:

უმარცვლო უ-ს გამოყენება: რა მივართუა სადილად? შუიდი თავვის ბარკალი...

იოტი: შენ ჰა მიხვალ კაცებიანთან, ხორცი საჭმელაჲ, ძვალის სახრელაჲ, სისხლის სასმელაჲ ...

ასიმილაცია: მოიარე, მეიარე, დასალაგდი ქვასავეთ; **შიგილოცავ შადამებულსა**, გიგიიარს დილასა; შავი ძალლი შავ ღელეში **გუშვი**; სირსვილსაც ძირი **გუუხმეს**; გიგიტან ერთ ქედზე ნიავს და ქარ მიქცემ...

დისიმილაცია: გამოი, გამიეხვიე მუხის ფაჭაზე ...

ბგერის დაკარგვა: დეცა, დეკონა ნამღვები შეკონა; ძვალში თუ ხარ ბილში გამოი, გეისხენი, გეისხენი კითხველი მე ვარ; სახელითა ღთითა, მამითა, სულითა წმინდითა; მუხლი წივს მიცემს, წივი კოჭ მიცემს; ზღვას მიცა, წყალ მიცა ...

სუბსტიტუცია: ხემ ნაპოტი გეიქნია; ბილში თუ ხარ გარში გამოი; მოვდა ქალი ქაზნიანი, მოალო კარი, ფხარი წელს მიცემს, ...

სრულხმოვანება: თვალეფ მუფახუნებენ, კიბილებ მუამადკანებენ ...

თემის ნიშნები: სირსვილი ყანას **ხნებდა**, ქვა ქვეშა; სირსვილი **ხნიდა** ყანასა, მიაპობდა ჭალასა; ყოველ სილაპით დაგჭრიან, **დაგთიბვენ**; **ჩაქვლი** ჩემ ვალისა ქოთანში; **გაგაქროლავ** ქარსავით ...

გ) თურქული ენის გავლენის კვალი ქართული შელოცვების ენაში:

შელოცვათა დასათაურებაზე ზემოთ ვისაუბრეთ და აქ მათზე აღარ შევჩერდებით.

იშვიათად, შელოცვის ტექსტებში ქართული ლექსემა ჩანაცვლებულია თურქული სიტყვით ან მთქმელი თავად ავრცობს ტექსტს თურქული ლექსემებით:

შეითანის ფეხი რავა მოტეხე; თუალი ვინ გამოგთხარა? შენმა **იანმა**; ეჯელიყო, მეჯელიყო, **სულიემანას** ბეჭედ იყო; **ჰემენ** გუუარს, **ჰემენ**; **შიფა** მიეცი იარაღანო, ღმერთო; მე ვარ **შიფა** მომცემი; **თსუ თსუ** წყალს მიგცემენ, მიგარუნ-მოგარუნიებენ; სელის **ჰაზრეთი**, იიელის კუკული; წითელი **ხოჯა** წითელი ხარებით ამუშავებდა ...

ასეთი მაგალითები ძალიან ცოტაა.

მოძიებულ ტექსტებში მრავლად არის დალოცვის ფორმულები, სადაც კეთილი და ღვთისმომშიში ქართველების ნათელი სული ირეკლება.

დალოცვის ფორმულათაგან ვხვდებით ასეთ ფრაზებსა თუ შესიტყვებებს:

გამჩენმა გაგახაროსნა, ღმერთმა აგაფრინოსნა, ღმერთმა დაგლოცოსნა, სუ კაიობა მოგცოს ღმერთმა, ღმერთმა გონჯი გაშოროსნა, დაგლოცოს გამჩენელმა, ღმერთმა კაიობა მოგცეს, სუმ ყველამფერი კაი ქონდოს (<- გქონდეს); გეყურბანე, დეგეწამლე ...

მასალაში ჩანს **წყევლის ფორმულებიც**: ღმერთმა ი ხეპერე გაგიხეთქოსნა, ქუაი ჭამე შენა, ფაშიე გაგისკნეს (<- გაგისკდეს), მოტყდეს ჭლიკები, არ გაგახაროს გამჩენმა, სულიდამ გაგარიგოს ღმერთმა ...

დუზჯეს ქართველთა შელოცვების ენაზე დაკვირვებისა და სხვა ქართველურ შელოცვათა ენასთან მისი შედარების შედეგად, ჩვენთვის გასაზიარებელია თვალსაზრისი, რომ საქართველოს ყველა რეგიონში შელოცვების ენას ერთი საფუძველი - ზოგადქართული ღვთისმსახურების ენა აქვს. დროთა განმავლობაში მათ დიალექტური შეფერილობა მიიღეს ქრისტიანობის შესუსტებისა და ლოკალური რწმენა-წარმოდგენების გააქტიურების შესაბამისად (დადიანი ... , 2001, 125-129).

3.2. ანდაზები

ანდაზა საინტერესოა ფოლკლორული, ლინგვისტური და ეთნოგრაფიული თვალსაზრისით. ანდაზები ნათლად წარმოაჩენენ ენობრივი საზოგადოების უმუალო

კავშირს მატერიალურ, სულიერ და სოციალურ გარემოსთან. ყველაზე მეტად სწორედ აქ ვლინდება ერის ნაციონალური თვითმყოფადობა; ანდაზებში საუკეთესოდაა ასახული მისი შემოქმედი ხალხის ისტორიისა და კულტურის მნიშვნელოვანი მომენტები, დახასიათებულია მრავალრიცხოვანი ცხოვრებისეული სიტუაციები, ისტორიული რეალიები, რწმენა-წარმოდგენები მატერიალურ კეთილდღეობასთან დაკავშირებით.

„განსხვავებულ ეთნოკულტურაში ასეთი შინაარსის ანდაზური ტექსტები განსხვავებულია ლექსიკურად და ზოგჯერ კონცეპტუალურადაც“ (ქამადაძე 2016, 41). ანდაზის ლინგვისტურ სტატუსთან დაკავშირებით თანამედროვე ენათმეცნიერებაში აზრთა სხვადასხვაობაა. მკვლევართა ნაწილი ანდაზას განიხილავს, როგორც ფრაზეოლოგიურ ერთეულს, ზოგი კი - არა. აფორიზმი და ანდაზა განსხვავდება წარმომავლობით, კერძოდ, ანდაზა ხალხურია, აფორიზმი კი - ლიტერატურული, რომელიც ეკუთვნის ერთ ავტორს (ერთელიშვილი 1957, 102-109; ჯაში 1984, 63-68).

ქართული ანდაზები მონოგრაფიულად აქვს შესწავლილი პროფ. მ. რუსიეშვილს (რუსიეშვილი 2005). ანდაზა არის ტექსტი ენის, მეტყველების ან ორივეს ერთად, ან ფოლკლორული ტექსტი - წერს ავტორი და იზიარებს იმ მკვლევრების აზრს, რომელთაც ანდაზა არ შეაქვთ ენის ფრაზეოლოგიურ სისტემაში (რუსიეშვილი 2005, 6).

ანდაზა ენობრივი ნიშანია - ენის იერარქიული სისტემის ერთ-ერთი დონის ერთეული (კარტოზია 1995); ამიტომაც ის ერთნაირადაა საინტერესო მეცნიერების სხვადასხვა დარგის (ფოლკლორისტიკა, ლინგვისტიკა, ფსიქოლოგია, ლიტერატურათმცოდნეობა, ფილოსოფია, ეთნოგრაფია) მკვლევართათვის. ანდაზა ტექსტუალურად მინი-ტექსტია, მას უწოდებენ აგრეთვე ლინგვოკულტურულ ტექსტს, ინტერტექსტის ერთ-ერთ სახეს. იგი თავისი შინაარსით წარმოადგენს მინი-ლიტერატურულ ნაწარმოებს. ყოველ ანდაზას ახასიათებს სტრუქტურა და სემანტიკა, რომლებიც ერთმანეთთან მჭიდროდაა დაკავშირებული, ერთმანეთის გარეშე არ არსებობს (ქამადაძე 2016).

საინტერესოა ანდაზები, რომლებიც ჩვენ მიერ მოძიებულ მასალაშია წარმოდგენილი. ინტერესს მატებს ის ფაქტიც, რომ აქ წარმოდგენილი ანდაზები

ცნობილია მკითხველისთვის და სიახლეს არ წარმოადგენს. მისი განსაკუთრებულობა ენობრივ თავისებურებებშია. თურქეთელი ქართველების ანდაზის ენაც ისეთივე ნაირგვარობითა და თავისებურებებით გამოირჩევა, როგორც მათი სასაუბრო ქართული; მოძიებული მასალა ასეთია:

- „გელი რომ დაბერებულა ცხვარს ბურჩქვა დუუწყია“;
- „შენ არ ქშია ზექერია, რომ მეგემშოს ჰელვა გიგიხთება ცივი ჭადი“;
- „გველი დატიალდება-მოტიალდება, კიდონ მის სახლში უკან მოვა“;
- „იყბალიან ქალი მუკტება, უიყბალიან ცხენი მუკტება“;
- „ტურას, „მე რომ მოვკტები, საქათმეს კუთხეს თავი დიმიდევთავო“ უთქმია“;
- „ჩაჩნო შავყორანი არ გათეთრთება“;
- „ძაღლმა არს მან შიჭამა, არს სხვას აჭამა“;
- „ძაღლს ძაღლის კიბილი არ აწყენს“
- „ყორანმა: გაღმაში გევდოდე - თეთრ კვერცხ დავდეფავო უთქმია“
- „ქემ გადმეიარა ნენეს ტრაკში ხებერი არ აქ“;
- „ამოსულ ბზეს დილაზედ ეტყობა“;
- „დათვ ბოკრები (ბარტყები) მოწრია - წტეწყალი ვერ უსმია“;
- „ღმერთ რაცხა ემეტება, იმას მოქცემს“;
- „ღორი რომ ყანაში შევა, მუცელის გაძლომამდი ჭამს“;
- „ჟდის ღოღობი, უმძრევს ქორი“;
- „ადე ზექერია, მეიხედე-მიმეიხედე (გეიხედე) გარში რ'ამბავია“;
- „შვიდი გელი მესხრიკებოდა, ტურას მე მიკიტიინებდა“;
- „დედაბერ საქმე დალევია, შალვარი უუნგრია-შუკერია“;
- „ტყეში ხიიები ბევრი თუ იქნება, იქ გელი ვერ გეიარს“;
- „გელი რომ დაბერდება, ძაღლის სათამაში გახთება“;
- „დუნია იქცევა, ეშმაკი (შეითანი) ფარხულობს“;
- „დელს ჭკვა არ ექნება, ბუცუც სასხარი“;
- „კაცი შინ ზის, მის თავ წისქვილში ლაპარიკობენ“;
- „ქვა ქვაზე მიგორდება“;
- „კატამ კუდზედ ასაქმა“;
- „შიერი ფუში (მუცელი) მალე გაძდება, თვალი - არა“;

„ატეხვას თავი გატეხვა აქ“;

„ბერი ხარის ქას ხნის“;

„წყალწაღებულ ხავს (ფხალს) ეკიდება“;

„ხორგი ხორგ მიედება“;

„შვიდი გელი ერთ ცხვარს ესხრიკებოდა. ტურას იმას უკიდენობდა (უკრიტინებდა, უჭიდინებდა)“;

„ძროხა გადავარდნილა, ვირ ყლოყინოფს: რატონ ყლოყინობვო უთქმიან, მე-და ამატანიონ-ნავო უთქმია“;

„ხარს ძროხისთუნ უთხრობია: იალი ჭამე! ძროხას რატონ-ვო უკითხია - ხარმა ძროხას გიგიბან-ნავო უთქმია - ძროხამას: ვინდა გუბანა იმას ეტყობავო“;

„ნამეტარი საქონელი თვალ არ მოგთხრის“;

„შენ სხვას უთითიებ, სხვა შენ თავ უთითიებს“;

„ენ კაია თიშვილი ერთ გონჯი (ბეთი) კაცი ერ ვერ დეიკავებს“;

„თაფლ დამკავებელი, თით გეილოკავს“;

„ყველა მის ბაღნისკენ დადგება“;

„მამალი მოკტება თვალი ჩოფლუხში დურჩება“;

„ქათამი რაცხას მეიჩხიკავს, იმა მოკეკავს“;

„გონჯი (ბეთი) ენა მიწაში გველ მოკლავს“;

„ტყიდან მოსული შინავ[რ]ს აძებს“;

„შიერი ქათამის თვალი ნალიაში იქნება“;

„დაჟდომილი ძერზე ლაპარიკი ფუმ არ გაძღებს“;

„დუსველებლაი თევზი არ დეიკავება“;

„ღმერთი ერთ კარ მიგიძრის, ერთ (სხვა) კარ გიგიღებს“;

„ტირილას საქონელიდან რამე არ იქნება“;

„ცხენიდან ჩამოვდა ვირზე შეჟდა“;

„პირ-აფჩენილ საქონელი თვალგახილებული შეჭამს“;

„ქვა ქვაზე რომ ვადებდი, კაი ვიყავ, რომ დავბერდი, ვინმეს არ უნდა ჩემი თავი“;

„ცხენის სიკტილი ჭვავიდან იყოს“;

„საღამოს საქმეს დილის საქმე ჯოფს“;

„ღვარი წევა, ლილა დარჩება“;

„სიტყვა დიდი საწყალი პაწაისა“;

„სხვის ხელით გველი დეიკავოს, ის ბრალია“;

„ჩაცმით-დაბურვით ქალობა არ იქნება“;

„კბენილი გველი, ენას არ დანახიებს“;

„ძღენერის შიან ბულკას (ხაპიგულსას) ეკიტრება“;

„ცივო გეიწურე (თბილი) თბილზე მიეწურე“;

„შეშლილი ორდეკი ტრაკით წყალში შევა“;

„ფთხმელას ღიორი (კვარჩხალი) გერს ზიარი ქნება“;

„ფთხმელას ღიორო, მალე დალენდება“;

„გველს რომ თავი ატკივდება, ჭლიკებზე შამოგიხვევა“;

„ვარდ ეკალი ექნება“;

„რაცხამდონი საბანი გაქ, იმდონი გაწვედე ფეხები“;

„მომკტარი ძალი, გელიდან არ შეშინება“;

„შავი მურგვი (კტომა) სუნყველას კუჩხეში მიგორდება“;

„დოდოფალი უშუსლელი სახლი იქნება, კტარის უგამუსლელი სახლი არ იქნება“;

„სხვის კტარი, სხვისთინ ძინარიია (სხვის კტარი, სხვას ძინარე ეგონება).

3.3. ზღაპრები

ზღაფრები - ასე დასტურდება მთქმელის მეტყველებაში. ჩვენ მიერ მოძიებული ერთ-ერთი ზღაპარი არის **შახველედა**:

„ერთ ღარიბი კაცს, მარტო ერთი ცალი ხარი ყავდა. ალთუნს ამცრევდა და ეყიდა ტოლი ხარი იმისთანა. არ ჭამდა, არ სვამდა ამისთვის, მარტო საქმობდა. დრო მუუვდა მიემცრა ალთუნი. მის ქალს უთხრა, რომ მე მივალ ბაზარზე და ვიყიდი ერთ ახალ ხარს ჩვენსასთანაჲ. გათენებამდე ადრელაჲ გევდა გარეთ. ბაზარი იყო ერთი დღის გზაში. მისი ქალსა და მისი გოგოს შახლში ძინავდენ. გამთენაჲჲ გოგომ ტირილით და კნესით გედღვიძა. დედამისმა შიშით მივდა და კითხა:

- „რა დეგემართა გოგოო?“

გოგომ: „გონჯი რაცხა ჩემესიზმა“ - უთხრა.

დედამისმა: „რა ჩეგესიზმა ისე გონჯიო?“ - უკითხა.

დედწყო გოგომ კიდვენ ტირილით და კნესა:

„მე გავთხოვდი შახთანო. გავხთი დედოფალი. მეყოლა ერთი შვილი. დავარქვეთ შახველედა (შახის შვილი). ღელესთან თამაშობდა. ჩავარდა და დედარჩოო“.

დედამისმას დედწყო ტირილი და კნესა:

- ვახ, ჩემი ბადიშოო, ვახ, შახველედა!

გოგო ტირის, დედამისი ტირის. გოგო კნესის, დედამისი კნესის. უნდებან რომ გადარჩინონ შახველედა და რაფერ? ტირილი-ყვირილით გევდენ გარეთ. მივდენ სოფლის მედდანზე. მეზობლებმას მეყარეს, რა ხდებაო, ეკითხეს გოგოს და დედამის:

- რა დეგემართათ გოო?

უთხრეს იმათაც მეზობლებს: გონჯი რაცხა ჩიესიზმა ჩემ გოგოსო, - იპასუხა დედამისმა.

- რა ჩიესიზმა ისე გონჯიო - უკითხეს.

- ჩემ გოგომ გიეთხვა შახთან. გახთა დედოფალი. ეყოლა ერთი შვილი. დავარქვეს შახველედა. ღელესთან თამაშობდა. ჩავარდა და დედარჩოო.

მეზობლებმაც დედწყეს ტირილი და კნესა:

- ვახ შახველედაო!

თელ სოფელმა მეყარა. კითხეს მეზობლებს:

- რა დეგემართათო?

- გონჯი რაცხა ჩიესიზმა მეზობელ გოგოსო, - იპასუხეს.

- რა ჩიესიზმა ისე გონჯიო, - კითხეს.

- მეზობელის გოგომ გიეთხვა შახთან. გახთა დედოფალი. ეყოლა ერთი შვილი. დავარქვეს შახველედა. ღელესთან თამაშობდა. ჩავარდა და დედარჩოო.

თელ სოფელმა დედწყო ტირილი და ყვირილი, რა ვქნათო? მედფიქრეს, სოფელის სულ ჭკვიანი ბერი მეყვანეს და უთხრეს ამ და ამ საქმეაო; ბერმა წვერზე ხელი მედსვა, დედფიშმანა, ხალხს შეხედა და ხმამაღლა უთხრა, რომ:

- შახველედას გადარჩენისთვის ერთი ხარი დაკლა გჭირდებიან. ის სისხლი იმ ბაღანას გადარჩენსო.

მეყვანეს ახორიდან ხარი. დააჭვინეს და დაკლეს სოფლის მედდანზე. ცეცხლი დაანთეს, ყარდალა შეკიდეს, მოხარშეს, დურიგეს სოფლელებს, სიცილით-ხარხალით ჭამა დედწყეს ღამითა. შუა ღამეში ამოდდა იმტონი გზანავალი

მოღალილი კაცმა ახალი ცალი ხარით დაკლულისთანა. სოფლის მედანზე დედანა ბარსანი ხალხი. მისი სოფლელები იყვენ სიცილით, ხარხალით. ცეცხლის გვერდზე ჭამით. დედფიშმანა, რომ „ვისი ქორწილი იყო დღეს და არ მახსოვდაო“. კითხა:

- რა ხდებაო?

შემოდლობეს კაცი მეზობლებმა და:

- გიხაროდეს, გადავარჩინეთ შენი ბადიში. იმისთვინ ვქეიფოფთო, - უთხრეს.

მისი ქალმა მივდა და დედლაპააკა:

- გონჯი რაცხა ჩიესიზმა ჩვემ გოგოს. ჩვემ გოგომ გიეთხვა შახთან. გახთა დედოფალი. ეყოლა ერთი შვილი. დაარქვეს შახველედა. ღელესთან თამაშობდა. ჩავარდა და დედრჩოო. მეზობლებმა მოდდენ, სოფლელებმა მოდდენ. სულ ჭკვიანი ბერი მედყვანეს. ბერმა წვერზე ხელი მედსვა, დედფიშმანა, ხალხს შეხედა და ხმამაღლა გვითხრა: შახველედას გადარჩენისთვინ ერთი ხარი დაკლა გჭირდებიან. ის სისხლი იმ ბაღანას გადარჩენსო. ჩვენც მოვყვანეთ ახორიდან ჩვენი ხარი და დავკალითო.

კაცმა დუუტა ახალი ხარიც და შებრუნდა:

- ესეც ჭამეთ, - უთხრა.

გზიდან ვერ დააბრუნეს და წევდა. ამ უჭყვო გოგოსთან, ამ უჭყვო ქალთან, ამ უჭყვო მეზობლებთან, ამ უჭყვო სოფლელებთან ვერ დადგებოდა. დილა სახამ უმოსვენობით მიდიოდა, ჰად მივდოდა მანაც არ იცოდა. ერთ დღეს ერთ ციხესთან მივდა. ბურჯებზე ერთი ბიჭი იდგა. ბიჭმა დუუძახა:

- გზავრო ჰადდან მოხვალ და ჰად მიხვალო?

- ჯოჯოხეთიდან მოვალ და სამოთხეში მივალო, უთხრა კაცმა.

ბიჭმა - მამაჩემმა შარშან მიმიკდა, ახლა ისიც სამოთხეში იქნება. იქ დაჭირდება ესთი ქესა ალთუნს თუ ჩამოგიგდეფ იმას მიცემ, თუ ბე ბევრი მაქო, - ეკითხა.

- მივცემ, - უთხრა კაცმა.

ჩამუგდო ალთუნები ბიჭმა და დედფიშმანა კაცმა: „მარტო ჩვენები არ ყოფილან ისეო, სუყულგან ყოფილან ასეთებიო და დაბრუნდა უკან მის სოფელში.

ახლობელი პირ დამწვარი, შორეული ჭოჭ დამწვარი მეთქი“.

3.4. ლექს-სიმღერები, შაირები

ნენემ კაბა შემიკერა,
ზედ კოპჭები დემიკერა,
ნენევ, ადრე გამათხოვებ,
ძალვან ვარ გაჭირვებული...

ძალა-ძალა მიფრინავ, ქორია თუ მერცხალი?
ჟუჟუნავ, ჩემი ხელი ჩემი თმის სავარცხალი.

ჰაიდე წევდა ტაშმაში, ჩამეიყვანეს ქიუთუბი,
ნენემ მე იმას მამლევს, არ მინდა ის სერთუბი.

გეიხადე შავი პალტო, მიგიხდება ელედი
შხვინტი ბანძი ხარ, ამა ჩემთან ური მელედი.

აიდა წავდა ტაშმაში ჩამევიყვანოთ მერდინი,
იქიდან აქ მოვედით, იარო შენი დერძინი.

გალმა თეთრი ქათამი, გალმა მამაკაკანეფს
იარი მომაგონდება, ირზე გამაკანკალეფს.

(ლაზური)

მუ ფეი ბოი გილუნ, გიული წიწილა რეი,
ირიზ ნა სოზი მეჩა, შა ოკიწილარეი?

დეშლი კამიონი, მოხთი მენდამიონი,
სი დონღუზუნ ბალასი, მოთ ულუ მანი მანი,
მითის მუთუ ვარ უწვა - სი ჩქიმეე მა სქანი.

გალმა-გალმა მიფრინავს
ქორია თუ მერცხალი?
სიზმარში შენთან ვიყავ
ცხადი ყოფილიყავი!

ო, აღმართზე მივდოდი,
ქალი არ მაქვა ქალი
გადევიშინაი ქალი
მე წამოვდე ახალი,
მე წამოვალ ახალი!

ღელე-ღელე ევიარე,
ღელე ბალახიანი
ერთი პაწაი დევნახე,
ბუგი ბალახიანი!

განალიზებულმა ტექსტებმა აჩვენა, რომ დუზჯეს ქართველთა მეტყველებაში დადასტურებული როგორც შელოცვების, ასევე სხვა სახის ფოლკლორული მასალების აბსოლუტური უმრავლესობა ქართულია.

მასში იკვეთება არა მხოლოდ სალიტერატურო ენის კუთვნილი ან საკუთრივ დიალექტური სიტყვაფორმები, არამედ არქაული ქართულისათვის დამახასიათებელი ენობრივი მოვლენებიც. მსგავსება შეიმჩნევა, როგორც სტრუქტურული, ასევე სემანტიკური თვალსაზრისითაც.

3.5. იდიომები

ხატოვან სიტყვა-თქმაში ჩანს ხალხის გონებრივი თუ სულიერი შესაძლებლობანი. ჩვენებურთა მეტყველების კვლევისას აღნიშნული ხასიათის მასალის შესწავლას დიდი მნიშვნელობა აქვს. მსჯელობას იდიომების განხილვით დავიწყებთ.

იდიომი ლექსიკური ერთეულია, რომელიც ამა თუ იმ ენობრივ სისტემაში მხატვრული აზროვნების შედეგადაა წარმოქმნილი და ისეთივე მყარ, უცვლელ ოდენობას წარმოადგენს, როგორც ნებისმიერი სიტყვა. იდიომის დანიშნულებაა ჩვეულებრივი, სრულმნიშვნელოვანი სიტყვის მსგავსად გამოხატოს ერთი კონკრეტული შინაარსი. ამასთან იდიომი, მარტივი ლექსემისგან განსხვავებით, ერთგვარად „შეფარვით“ ამბობს სათქმელს და არა - პირდაპირ. ამას ხელს უწყობს მისი სტრუქტურა - იდიომი წარმოადგენს გარკვეულ სიტყვათშეთანხმებას, ლექსემათა შეწყვილებას. ამავე დროს, იდიომში შემავალი სიტყვები არაიშვიათად კარგავენ თავიანთ ძირითად სემანტიკას (ონიანი 1966).

იდიომის ერთ-ერთი მთავარი ნიშანი მეტაფორულობაა. დროთა განმავლობაში ის ამ კონკრეტული, მეტაფორული მნიშვნელობით შედის ენობრივი ერთეულის ლექსიკურ ფონდში. მეტაფორა იდიომად იქცევა მას შემდეგ, რაც მყარი, უცვლელი ფორმით დამკვიდრდება ენასა თუ კილოში. სხვაგვარად რომ ვთქვათ, იდიომი „გაქვავებული“ მეტაფორაა და როგორც უკვე ითქვა, მისი კომპონენტები ძირითად სემანტიკას, არაიშვიათად, ვეღარ ინარჩუნებენ (შეროზია, ლაბაძე 2015). საანალიზო მასალა ასეთია:

გარეცხილი გურჯუ - „გავირეცხეთ, დედა ენა დაგვაბიწყდა, გარეცხილი გურჯები ვართ“ - დრომ და გარემომ „ჩამორეცხა“ ქართველობისთვის დამახასიათებელი ნიშნები (უპირველესად ენა).

დაწურული ქართველი, ესეც იმავეს გულისხმობს შინაარსობრივად - დეიწურა ქართველობა ...

ტალახიდან იყოს, ქართველი იყოს. ამავე რეგიონსი ჩაწერილ მასალაში ლაზი ამბობს: **ლაზი ორტას, ტალახიშე ორტას.**

მოა თავში ‘გამახსენდება’: რაც თავში მოა, სულ ვთქვა?

სულის შეწუხება: მარტვეი რასა იქ, სული შეგიწუხდება;

სულს ვიგდებ 'ვისვენებ';

სულ გამექცა 'სული გამექცა, ვერ მოვითმინე'. შდრ.: სული უსწრებს...

ბაღვი ილახს იქნება 'ბავშვიც მოიავადმყოფებს ხოლმეო';

ტყულში ტყუილს არ ურევს;

სიტყვას ქარ წაიღებს;

გონჯი კაის დაკარგავს;

გულ გამიტეხა;

სული დამიწვა;

გონება დავპანტე;

ენა წამართვა;

თავი ბრუნავს ...

დუზჯეს ქართველთა მეტყველებაში დადასტურებული იდიომატური გამოთქმების დიდი ნაწილი, ბუნებრივია, გვხვდება როგორც სალიტერატურო ქართულში, ასევე სხვა ქართველურ დიალექტებშიც.

თავი IV

ქართველურ-თურქულ სამეტყველო კოდთა შერევის საკითხები

4.1. ქართველურ-თურქულ სამეტყველო კოდთა შერევის სახეობები

თურქეთის ქართველთა შორის დასტურდება ქართველურ-თურქულ სამეტყველო კოდთა შერევის ორი სახეობა: 1) **ქართველური დომინირებით**, როდესაც ძირითადია ქართველური მეტყველება და ერთვება თურქული ლექსიკური ერთეულები ან ფრაზები; 2) **თურქული დომინირებით**, როცა შესაბამისად, ძირითადია თურქული მეტყველება და ერთვება ქართველური ლექსიკური ერთეულები/ფრაზები. როგორც წესი, სამეტყველო კოდთა შერევა ქართველური დომინირებით უფრო 50 წელზე მეტი ხნის პირებისთვისაა დამახასიათებელი, ხოლო უმცროსი თაობის მეტყველებაში კი უმეტესად დასტურდება სამეტყველო კოდთა შერევა თურქული დომინირებით.

ქართველურ-თურქულ სამეტყველო კოდთა შერევა თურქულენოვანთა მიერ მუდამ აღიქმება „ქართულ აქცენტად“, რამდენადაც, დომინირების მიუხედავად, ამ დროს მაინც აშკარად საგრძნობია ქართული ორთოეპიულ-ინტონაციური ნორმების დიდი გავლენა - მაგალითად, ხშირად თავს იჩენს მკვეთრი თანხმოვნები (ე.წ. კავკასიური ხშულები), ან ხმოვანთა ჰარმონიის მოშლა და მახვილის მოძრავი პოზიცია. ჩვენი დაკვირვებით, იმ ქართველებს, რომლებმაც მშობლიური ენა არ იციან (ან ძალიან სუსტად იციან), მაგრამ ქართულენოვანი მშობლები ჰყავთ, ყოველგვარ სიტუაციაში ახასიათებთ ეს „ქართული აქცენტი“. ამის გამო, სამწიგნობრო ქართულსაც უფრო იოლად სწავლობენ.

სპეციალურ ლიტერატურაში გამოყოფენ ენობრივ კოდთა შერევის ორ უმთავრეს ტიპს: **კოდ-მიქსინგსა** და **კოდ-სვიჩინგს** (ბოკამბა-ეიამბა 1989, ლი ვეი 1998, ქლანინი 2000; სამეცნიერო ლიტერატურისათვის იხ. მ. ლაბაძე, 2013); პირველი

ტიპი გულისხმობს დიაქრონიულ პროცესს - A და B ენობრივ კოდთა შერევის საფუძველზე C ენობრივი კოდის მიღებას, მეორე ტიპი კი გულისხმობს სინქრონიულ პროცესს - A და B ენობრივ კოდთა კონტაქტურ თანაარსებობას თანასწორ (როდესაც ორივე ენობრივი კოდი თანაბარუფლებიანია) ან უთანასწორო (როდესაც ერთ-ერთი ენობრივი კოდი მეორეზე პრესტიჟულია) პირობებში.

კოდ-სვიჩინგი (ინგლ. **switching** „გადართვა“) სპონტანური, გაუაზრებელი პროცესია და გვხვდება მხოლოდ იმგვარ საზოგადოებაში, რომელსაც სრული ბილინგვიზმი ან დიგლოსია ახასიათებს, ანუ მისი წევრები თანაბრად ფლობენ A და B ენებს (ან დიალექტებს).

გამოიყოფა კოდ-სვიჩინგის ხუთი ძირითადი ქვეტიპი:

- 1) **თეგ-სვიჩინგი (Tag-switching)** - A ენის/დიალექტის ფრაზის თავში ან ბოლოში B ენის/დიალექტის ლექსიკური ერთეულის (ე.წ. “თეგის” - **Tag**) დართვა;
- 2) **ინტრასენტენციალური (ფრაზის შიდა) გადართვა (Intra-sentential switching)** - A ენის/დიალექტის ფრაზაში B ენის/დიალექტის ლექსიკური ერთეულის ჩასმა;
- 3) **ექსტრასენტენციალური (ფრაზის გარე) გადართვა (Exstra-sentential switching)** - A ენის/დიალექტის ფრაზიდან B ენის/დიალექტის ფრაზაზე გადასვლა;
- 4) **ფონემურ-მორფემული გადართვა (Intra-word switching)** - A ენაში/დიალექტში B ენიდან/დიალექტიდან ფონემათა და მორფემათა სესხება; ასევე B ენაზე/დიალექტზე მეტყველებისას A ენისთვის/დიალექტისთვის უჩვეულო ფონემის ჩანაცვლება რომელიმე სხვა ფონემით.
- 5) **კალკური გადართვა (Calque switching)** - A ენაში/დიალექტში, B ენის/დიალექტის გავლენით, ლექსიკურ-გრამატიკული კალკების სპონტანურად წარმოქმნა.

შესაბამისად, როდესაც ჩვენ ვსაუბრობთ დუზჯელ ქართველთა მეტყველებაში ქართველურ-თურქულ სამეტყველო კოდთა შერევაზე, მხედველობაში გვაქვს როგორც **კოდ-მიქსინგი**, ისე **კოდ-სვიჩინგიც** - როგორც უკვე ითქვა, **ქართველური** ან **თურქული** დომინირებით. ამასთან, მეტწილად სწორედ ქართველურ-თურქულმა კოდ-მიქსინგმა განაპირობა დუზჯეს ქართულის - როგორც დამოუკიდებელი ქართული დიალექტის - ჩამოყალიბება (ცხადია, ქართველურ დიალექტურ კოდთა შერევასთან ერთად - ამის შესახებ დაწვრილებით იხ. ქვემოთ).

აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ქართველურ-თურქულ სამეტყველო კოდთა შერევაზე ჩვენამდე ბევრ სხვა მკვლევარსაც (ს. ჯიქია, ტ. ფუტკარაძე, მ. მიქაუტაძე, მ. ლაბაძე...) გაუმახვილებია ყურადღება, თუმცა ქართული ენის გავრცელების ისტორიული არეალის (თანამედროვე საქართველოს ან ისტორიული ქართული კუთხეების) გარეთ მოქცეული ქართული მეტყველება ამ მხრივ მხოლოდ ერთეულებს შეუსწავლიათ.

ერთ-ერთი თავისებურება რომელიც ქართველურ-თურქულ სამეტყველო კოდთა შერევისას ზოგადად დასტურდება, გახლავთ თურქული მჟღერებისა და ფშვინვიერების გამკვეთრებისკენ მიდრეკილება ქართულში. ეს შენიშნული აქვს ს. ჯიქიას (ჯიქია 1958, 203) ამ ტიპისაა: **Dudak** -> დუდაკ 'ბაგე', **Domates** -> დომატეს 'პომიდორი', **Day** -> ტაია 'ბიძა'...

თურქული F ფონემა ქართველთა მეტყველებაში გადმოიცემა ფ - ფონემით: **Findik** -> ფინდიკი 'თხილი' **Fatma** (საკ. სახ.) ფატმა ...

დუზჯეს ქართველთა მეტყველებაში, სამეტყველო კოდთა თურქული/ქართველური დომინირებით შერევისას, შეიძლება გამოვყოთ შემდეგი ზოგადი შემთხვევები:

ა) ძირეული სიტყვა ქართულია და მაწარმოებელი თურქული:

ჩემი ნენესიმ და ბაბასიმ სოიადი - შენ. ნენესიმ ფორმაში ნენე ქართულია, -im სუფიქსი კუთვნილებას გამოხატავს და იგივეა რაც 'ჩემი, დედაჩემი'; 'ჩემი ნენესიმ' - მთქმელი ქართულ სიტყვას თურქული მორფემებით აფორმებს.

ბ) ძირეული სიტყვა თურქულია და მაწარმოებელი ქართული:

ბაბალარი, ანელერი ჰად არდან, ჭო? 'მამები, დედები (= მშობლები) სად არიან, ბიჭო?' შდრ.: Baba-lar 'მამები'; Anne-ler 'დედები' - თურქულში -lar მრავლობითობის სუფიქსი გახლავთ. ქართველები კი თურქულ მრავლობითის ფორმას ქართული სახელობითის -ი ნიშანს ამატებენ, რითაც ქართულ ყალიბში აქცევენ:

დედაჩემი გურჯი იყო, დაილერი-მაილერი² გურჯია... „დედაჩემი ქართველი იყო, მისი ბიძა-მიძები ქართველები არიან...“ შდრ. თურქ.: Dayı 'ბიძა' (დედის ძმა); Dayı-ler 'ბიძები' - თურქულ მრ. რიცხვის ფორმაზე დამატებულია -ი ხმოვანი, ქართული სახ. ბრუნვის ნიშანი.

² მაილერი სიტყვა დაილერის ანალოგიით არის შექმნილი და არაფერს არ აღნიშნავს.

გ) არაქართული (თურქული, არაბული...) სიტყვა ქართული თანდებულობითაა გაფორმებული:

სულ თელვენ ქალ-კაც ერთად იყვნენ **დუგუნში** ... 'კაციც, ქალიც - ყველა ერთად იყო ქორწილში'; შდრ.: Duğun 'ქორწილი';

ბიჭის კუთხე რომ მივა გოგოს სახლში, მეიპარებენ ჭიქევს და ბიჭის სახლის კართან გატეხვენ, **ბერექეთისთვინ** 'ბიჭისიანები რომ მივლენ გოგოს სახლში, მოიპარავენ ჭიქებს და ბიჭის სახლის კართან გატეხავენ, ბარაქისათვის'; შდრ.: Bereket 'ბარაქა, ხვავი'.

დ) მთქმელი მისთვის უკვე დავიწყებული სიტყვის ადგილას ამბობს თურქულ სიტყვას: სხვანაირად იქნება **ამა**, მე იმდონი ვიცი; წინადადებაში **ამა** თურქული სიტყვაა და ნიშნავს 'მაგრამს'. შდრ.: Ama 'მაგრამ';

ფეხსაცმელი იყო, **ფანტოლანი** იყო... შდრ.: Pantolon 'შარვალი';

ბელელი და ნალია **აინეა**. შდრ.: Ayne 'იგივე'; თურქულ სიტყვა შედგენილი შემასმენლის სახითაა წარმოდგენილი: აინე-ა <- აინე-არის;

სამანლული არის ოხორის **ჰემენ**. შდრ.: Hemen 'უცებ';

ჰიჩ არ ვიცი... შდრ.: Hiç 'საერთოდ, არაფერი';

იხვი, ბატი, **ორდელი** იყო. შდრ.: Ördék 'ბატი';

სახლში ოთხი **ოდა** გვქონდა. შდრ.: Oda 'ოთახი'. ვფიქრობთ, ეს სიტყვა კავშირშია სახლის ნაირსახეობასთან - (მეგრული) **ოდა**;

ერთი **კათი** იყო და ქვეშ ერთი ოდა იყო. შდრ.: Kat 'სართული';

ნენეი იქანაი **ფექმეზის** გააკეთებდა. ყურზენის... შდრ.: Pekmez 'ყურძნის წვენი';

ჩვენ ქინძი ვიცით... **ენ** კაი საჭმელი ჩვენებმა იციან. შდრ.: En 'ყველაზე...'

ლაზლარი კაკალს იტყვიან; ჩვენებურებმა ნიგოზი იციან. **ლაზ-ლარ-ი** 'ლაზები' შდრ.: -lar თურქულში მრავლობითობის აღმნიშვნელი სუფიქსია.

ტყემალი ჟავე იქნება, კორკმელი **დაჰა თათლისი**, **დაჰა** გემრიელი იქნება. შდრ.: Daha 'უფრო', Tatlı 'ტკბილი';

იშთე, ნენემისი მივდოდა მამამისი მივდოდა... შდრ.: İşte 'აი. ასე...'

სადეჯე თურქული სამავდნენ, ჩვენებურა არ იცოდათ. შდრ.: Sadece 'მხოლოდ';

ორი **არაბა** მოვიდა აქანა... შდრ.: Araba 'მანქანა';

ჩვენი **ზამანის** დროს...

სამი გოგო და ორი მაქ, ენ დიდი გოგოა... შდრ.: büyük 'დიდი' an büyük 'ყველაზე დიდი';

ლაპარიკობ ამა ჩვენებური ლაპარიკობ;

ბაბასინ სეიდენ გელდენ ვიცოდენ;

გურჯისტანიდან გელდილერ;

ნალია და ბელელი აინე ...

ე) მთქმელი საუბრისას ერთსა და იმავე სიტყვას ზოგჯერ თურქულად იტყვის, ზოგჯერ - ქართულად:

შუადლის მემრე ბიჭის თარაფა მოვლიან გოგოსთან და ბიჭის კუთხე წეიყვანებენ კვირა დღეს.... შდრ.: Taraf 'მხარე, კუთხე'. ჩვენებურთა მეტყველებაში უფრო ხშირად გამოიყენება კუთხე სიტყვა, რომელიც გვაქვს კომპოზიტურ ფორმებშიც: დედაკუთხე, მამაკუთხე.

ვ) არის ასეთი შემთხვევებიც: როცა მთქმელი თავად ხვდება ლაპარაკისას უნებლიეთ მოსულ თურქულ სიტყვას და თვითონვე ასწორებს:

ლობიე, ფხალი, ფათათესი გვქონდა... ფათათესი არა - კარტოფაი...

ერთგან კითხვის დასმისას, თავზე რას იხურავდნენ? მთქმელი მპასუხობს - „ააააა“; ლეჩაქი არა?- ვეკითხები. „ახლა შენ თქვი და მე გამეხსენა“ - ამბობს მთქმელი.

ზ) თურქულ და ქართული ფორმები ერთდროულად არის გამოყენებული:

ჩვენი ზამანის დროს სხვანაირი დუგუნი იყო 'ჩვენს დროს სხვანაირი ქორწილი იყო'; შდრ. თურქ-არაბ.: Zaman 'დრო'.

თ) საყურადღებოა ქონა-ყოლის აღმნიშვნელი ზმნების გამოყენების შემთხვევები. ჩვენებურთა მეტყველებაში ხშირად არ ჩანს 'მყავს' ზმნა და მის ადგილას 'მაქვს' გამოიყენება:

ერთი ბალვი მაქ; კამეჩი ჩვენ არ გვქონდა...

ამ ტიპის შემთხვევები კალკია: თურქულში ქონა-ყოლის გამოსახატავად არის ერთადერთი ფორმა var 'მაქვს', რომელიც თანაბრად მიემართება სულიერსაც და უსულოსაც.

აქვეა კალკური გადართვის შემთხვევები:

ტელეფონი არ გახსნა. შდრ.: Telefon açmadı (თურქ.) 'არ დარეკა'.

საყურადღებოა შემდეგი ფორმებიც:

ჩემი ბიჭი აქ ჯდარს ('ცხოვრობს' ზმნის მნიშვნელობით); შდრ.: Oturiyor 'ზის' ზმნა გამოიყენება თურქულშიც ამ აზრის გადმოსაცემად. თუმცა წარმოდგენილი ფორმა ძველი ქართულისთვისაც არ უნდა ყოფილიყო უცხო.

ამრიგად, დუზჯეს ქართველთა ქართულ მეტყველებაში თურქულის გავლენა აშკარაა, რაც ადვილად აიხსნება.

ჩვენ მიერ ადრე ჩაწერილ მასალებში ბუნებრივია, უფრო ქართულის გავლენაა - ქართული სჭარბობს თურქულს, ბოლო პერიოდის მასალაში კი პირიქითაა: თურქული სჭარბობს ქართულს.

აქვე უნდა აღინიშნოს ერთი რამ: დუზჯეს რაიონში თურქული ენა, როგორც წესი, ფუნქციონირებს ორგვარი სახით: 1) ოფიციალური სალიტერატურო ფორმით და 2) სასაუბრო-დიალექტური ფორმით; პირველი მათგანი ოფიციალური კომუნიკაციების დროს და მასმედიის საშუალებებში, ასევე - სკოლებში გამოიყენება, მეორე - ყოველდღიურ ყოფა-ცხოვრებაში. სტანდარტულ და დიალექტურ თურქულს შორის საგრძნობი განსხვავებაა.

დუზჯელ ქართველთა 60 წელზე უფროს თაობაში, სასაუბრო-დიალექტური თურქულის გვერდით, უწინ გავრცელებული იყო იმავე სასაუბრო-დიალექტური თურქულისა და ქართველურის შერევით წარმოქმნილი პიჯინი, რომელსაც მკაცრად განსაზღვრული ნორმები არ გააჩნდა. მისთვის დამახასიათებელი იყო ქართველური (აჭარული, ლივანური, ლაზური...) და თურქული დიალექტური ლექსიკური ერთეულების უსისტემო აღრევა; ამასთან, ფონეტიკა, მორფოლოგია, მეტ-ნაკლებად - სინტაქსიც ქართველური ტიპისა იყო, თუმცადა შესამჩნევად გამარტივებული. საინტერესოა ისიც, რომ თურქულად ასეთ მეტყველებას ეწოდება „Çikirtılıce//Çikirtulice“. ეს ტერმინი ქართული „ჩიქორთული“³ ფორმისაგან მომდინარეობს.

პიჯინი (ინგლ. **Pidgin**) ინგლისური ტერმინია და აღნიშნავს სამეტყველო კოდთა შერევის შედეგად მიღებულ ერთგვარ ჟარგონულ მეტყველებას, რომელიც გამოიყენება განსაზღვრული მიზნით (მაგ., სავაჭრო ურთიერთობებისას), ახასიათებს მაქსიმალურად გამარტივებული და არანორმირებული გრამატიკული

³ ჩიქორთული - პროფ. რეზო შეროზიას ახსნით: ცუდი ქართული

წყობა. საინტერესოა, რომ თავად ხსენებული ტერმინი წარმოადგენს ერთგვარ ვარიაციას ინგლისური სიტყვისა „Business“; „პიჯინ ინგლიში“ ანუ „ბიზნეს-ინგლისური“ პირველად უწოდეს იმ ჟარგონს, რომელიც ჩინეთის ნავსადგურებში ბრიტანელი მეზღვაურები და ჩინელი ვაჭრები ერთმანეთთან ურთიერთობისთვის იყენებდნენ (ბელიკოვი 1998, 198).

როგორც წესი, პიჯინი ემყარება ერთ კონკრეტულ ენას (ჩვეულებრივ მას, რომელიც რეგიონში პრესტიჟულია): ცნობილია ინგლისური, პორტუგალიური, ესპანური და სხვა ენების საფუძველზე წარმოქმნილი პიჯინები. ამასთან, პიჯინის ფართოდ გავრცელების შემთხვევაში ხდება **კრეოლიზაცია** - მომდევნო თაობისათვის პიჯინი იქცევა მშობლიურ ენად და შესაბამისად, ის იძენს სრულფასოვანი ენობრივი ერთეულისათვის აუცილებელ ყველა ატრიბუტს. პიჯინთა საფუძველზე წარმოქმნილი კრეოლური ენებია, მაგალითად, კაბვერდინუ კაბო-ვერდეს კუნძულებზე, გულა - აშშ-ში (სამხრ. და ჩრდ. კაროლინის შტატების ზღვისპირეთში), ფანაგალო - სამხრეთ აფრიკაში, ლინგალა - კონგოს დემოკრ. რესპუბლიკაში, აისიენი - ჰაიტის რესპუბლიკაში, რასტა-პატუა - იამაიკაზე, სრანან-ტონგო და ნეხერჰოლანდსი - სურინამში, კრიო - სიერა-ლეონეში და ა.შ. ფაქტობრივად, კრეოლური მეტყველებაა ასევე, აფრიკაანსი - ბურების ენა (სამხრეთ აფრიკაში), სუაჰილი (აღმოსავლეთ აფრიკის რიგ ქვეყნებში) და მისთ.

ამდენად, პიჯინის წარმოქმნა გარკვეულწილად, პირველი საფეხურია დაპყრობილ თუ კოლონიზებულ რეგიონში დამპყრობელთა/კოლონიზატორთა ენის საყოველთაოდ და საბოლოოდ დამკვიდრების გზაზე. საინტერესოა, რომ კრეოლიზაცია მას მოსდევს იმ შემთხვევაში, თუ დამპყრობლები არ ესწრაფვიან ადგილობრივთა ენობრივ ასიმილაციას - მაგალითად, ფანაგალოს კრეოლური მეტყველება კაპის კოლონიაში (სამხრეთი აფრიკა) ჰოლანდიური ენის საფუძველზე (ისიზულუსა და ისინკოსას ენათა სუბსტრატითა და ადსტრატით) წარმოიშვა ბურების შავკანიან მონათა შორის იმ მიზეზით, რომ ბურები თავიანთ მონებს სასტიკად უკრძალავდნენ ჰოლანდიურის/აფრიკაანსის შესწავლას და შესაბამისად - ლაპარაკსაც, რამდენადაც ეს ენა თეთრკანიანებისა იყო (ვან გაალი, 2012).

ბრაზილიის ამაზონიაში კი, ჯერ პორტუგალიელი კოლონიზატორები და შემდეგ - ბრაზილიელი ახალმოსახლეები, ადგილობრივ ინდიელ ტომთა შორის

„ცივილიზაციის გავრცელებას“ უპირველეს ყოვლისა, პორტუგალიური ენის დანერგვით ცდილობდნენ და, დევნიდნენ არამარტო ინდიელთა ენებს, არამედ ასევე, ე.წ. „ლინგუა ჟერალსაც“ - პორტუგალიურის, გუარანის (ბრაზილიის ინდიელთა ყველაზე მრავალრიცხოვანი ტომის ენა) ესპანურისა და, ზოგიერთი სხვა ენის შერევით წარმოქმნილ კრეოლურ მეტყველებას. ამის შედეგად, ამჟამად „ლინგუა ჟერალი“ თითქმის აღარ არსებობს, თუმცაღა მისთვის დამახასიათებელი თავისებურებანი და ლექსიკური ერთეულები მრავლად შეითვისეს იმ პორტუგალიურმა დიალექტებმა, რომლებიც უკვე XIX საუკუნის ბოლოდან ჩამოყალიბდა ამაზონიაში (დი ფალკუ 2010).

ანალოგიურად, ამჟამად დუზუჯეშიაც ისევე, როგორც თურქეთის ჩრდილო-აღმოსავლეთ რ-ნებში, ქართველურ-თურქული პიჯინი თითქმის აღარ არსებობს, მაგრამ მისთვის დამახასიათებელი თავისებურებანი ზეპირმეტყველებაში კვლავაც დასტურდება: დღესაც, ქართველურ-თურქულ სამეტყველო კოდთა გადართვის სიხშირე დუზუჯელ ქართველთა უფროს თაობაში უფრო მაღალია, ვიდრე უმცროსებს შორის, რომლებიც თურქულს უკვე მშობლიურის დონეზე ფლობენ: ქართულად საუბრის თავისუფლად გაგება ამ უკანასკნელთ თითქმის აღარც შეუძლიათ. ბებია-ბაბუებიც, ცხადია, მათთან კომუნიკაციის დროს, ქართველურ-თურქულ სამეტყველო კოდთა გადართვას მიმართავენ. აქედან გამომდინარე, მხცოვან დუზუჯელ ქართველთა თურქული მეტყველება ერთგვარად კვლავაც პიჯინიზებულია. ამიტომაცაა, რომ ახალგაზრდა თაობის მიერ ის, როგორც წესი, „ცუდ თურქულად“ აღიქმება.

მეორე მხრივ, აღსანიშნავია ისიც, რომ დუზუჯელ ქართველთა უფროსი თაობა ასევე, ინარჩუნებს თურქული ენის ჩრდილო-აღმოსავლურ დიალექტსაც: ცნობილი საბჭოთა თურქოლოგის, პროფ. აფრასიაბ ვექილოვის კლასიფიკაციით, მდ. ჭოროხისა და მისი შენაკადების ხეობათა თურქული მეტყველება აშკარად სუპერსტრატული დიალექტია; ანუ მასზე მეტყველთა დიდი ნაწილი ეთნიკურად ქართველი ანდა ქურთია (იხ. ვექილოვი 1974, 14); ამ დიალექტს ვექილოვი „ჭოროხულს“ უწოდებს და აღნიშნავს, რომ მისმა ფონეტიკამ და ლექსიკამ ქართული ენის დიდი გავლენა განიცადა. ამავე აზრისაა მეორე ცნობილი რუსი თურქოლოგი ნიკოლაი ბასკაკოვიც: ის მიიჩნევს, რომ ჩრდილო-აღმოსავლეთ თურქეთში, ერთ-

ერთი უმნიშვნელოვანესი დიალექტია ართვინული, რომელიც ასევე უახლოვდება აზერბაიჯანულის თარაქამულ დიალექტს, ოღონდ ფონეტიკასა და ლექსიკაში ქართული და სომხური ენების შესამჩნევი გავლენა განუცდია (იხ. ბასკაკოვი, 1936, 63).

უფროსი თაობისაგან განსხვავებით, დუზჯელ ქართველთა ახალგაზრდა თაობა მეტყველებს თურქულის ადგილობრივ - ჩრდილო-დასავლურ დიალექტზე, რომელიც კარდინალურად განსხვავდება ჩრდილო-აღმოსავლურისაგან. აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ეს უკანასკნელი დუზჯელ ახალგაზრდა ქართველთა მიერ აღიქმება, როგორც „ქართველთა თურქული“ (Gürcülerin Türk şivesi). რამდენჯერმე დავაფიქსირეთ ასეთი საყურადღებო შემთხვევა: როცა ქართველებზე (აჭარლებზე ანდა ლაზებზე) ანეკდოტებს ჰყვებიან, სწორედ ამ, ე.წ. „ჭოროხული“ დიალექტით გადმოცემენ მთავარი გმირის მეტყველებას.

ჩვენთვის საინტერესო უმთავრესი მოვლენა, რასაც თითქმის ყველა თურქოლოგი აღნიშნავს, გახლავთ ე.წ. „კავკასიურ მკვეთრთა“ (კ, ტ, კ, წ, ჭ) არსებობა ჩრდილო-აღმოსავლურ თურქულ დიალექტებში. ცნობილი თურქოლოგი, როზალია შორი ჯერ კიდევ 1930 წელს აღნიშნავდა, რომ ართვინ-არტაანსა (თურქეთი) და აწყურში (საქართველო) მცხოვრებ თურქულენოვან მოსახლეთა ენაში დასტურდება მკვეთრი თანხმოვნებიც: „საინტერესოა, რომ ეს წმინდა ქართული ბგერები გვხვდება არა მხოლოდ ქართულ ან ლაზურ ნასესხობებში, არამედ ძირეულ თურქულ სიტყვებშიც კი“ (ხაზი ჩვენია - ფ. ჩ.)⁴ (შორი, 1930).

ამასთან, ქართულ-მოტლანდიური წარმომავლობის ცნობილი რუსი ენათმეცნიერი - ნიკოლაი (ნიკო) მარი და მისი შვილი - აღმოსავლეთმცოდნე იური მარი, ერთობლივ ნაშრომში „შენიშვნები აბასთუმნის მიდამოთა თურქული ენის თაობაზე“ (რუსულ ენაზე, მოსკოვი-ლენინგრადი, 1937) იმოწმებენ როზალია შორის ზემოთ მოყვანილ ცნობას და თურქულ დიალექტურ მეტყველებაში ქართულ მკვეთრ თანხმოვან ბგერათა არსებობის დამადასტურებელი, ათეულობით სხვა მაგალითიც მოჰყავთ.

⁴ ამ ცნობას იმოწმებს და განავრცობს აგრეთვე, სხვა ცნობილი საბჭოთა თურქოლოგი - აფრასიაბ ვექილოვიც (იხ. ვექილოვი 1973, გვ. 13)

მკვეთრ თანხმობანთა არსებობაზე მიუთითებენ ასევე, ისტორიული ლაზეთისა და რიზე-ოფ-ტრაპიზონის ტერიტორიაზე გავრცელებულ თურქულ დიალექტებშიც (ამის თაობაზე ვრცლად იხ. ბერტ ბრედმუნის, აფრასიაბ ვექილოვისა და განსაკუთრებით კი - მიიკა რიასიანენის მონოგრაფიები და სტატიები). იგივე ბგერები იანეთში დასახლებულ მაჰმადიან მესხთა თურქულ მეტყველებაშიც დასტურდება (ქამუშაძე 2006, 28); გარდა ამისა, ლაზეთსა თუ ტაო-კლარჯეთში ყოფნისას, ჩვენც არაერთხელ დაგვიდასტურებია იქაურთა თურქულ მეტყველებაში მკვეთრი თანხმობების არსებობის ფაქტი; ამასთან - არა მხოლოდ ქართულიდან ან სომხურიდან ნასესხებ, არამედ ასევე ძირეულ თურქულ სიტყვებშიც: მაგალითად, თითქმის მთელ ჭოროხის ხეობაში სიტყვა **Konuşmak** [ქონუშმ•ქ] „ლაპარაკი, საუბარი“ წარმოითქმის, როგორც **კონუშმ•ხ**, ტრაპიზონელები სიტყვას **Doğru** [დ•რ•] „მართალი“ წარმოთქვამენ, როგორც **ტოდრ•** და ა.შ.

ჩრდილო-აღმოსავლურ თურქულ დიალექტთა მეორე - არანაკლებ მნიშვნელოვანი თავისებურება ისაა, რომ სხვა თურქულენობრივ ერთეულთაგან განსხვავებით, მათთვის უცხოა პალატალიზებული ხმოვნები და ნეიტრალური გ ხმოვანი: ფინელი თურქოლოგი მიიკა რიასიანენი საგანგებოდ მიუთითებს, რომ რიზე-ტრაპიზონულ დიალექტს აქვს 5 სადა ხმოვანი - ა, ე, ი, ო, უ და მათი გრძელი ვარიანტები, ხოლო პალატალიზებული და ნეიტრალური ხმოვნები იქ უკვე გამქრალია - გადასულია სადა თუ გრძელ ხმოვნებში. აქ უნდა აღინიშნოს ისიც, რომ რიზე-ტრაპიზონული თურქულის ამ ხმოვანთა წარმოთქმა თითქმის იდენტურია მეზობელ ლაზური კილოთა ხმოვნების წარმოთქმისა (რიასიანენი 1932, 23).

ზემოთქმულიდან გამომდინარე, რიზე-ტრაპიზონულში, ისევე როგორც საერთოდ ყველა ჩრდილო-აღმოსავლურ თურქულ დიალექტში, ირღვევა ხმოვანთა ჰარმონიის წესი, რაც გულისხმობს იმას, რომ ერთ სიტყვაში მხოლოდ ერთი რიგის ხმოვნები უნდა იყოს და რაც საერთოა თურქულ ენათა თითქმის აბსოლუტური უმრავლესობისათვის (თუმცა, ამ მხრივ არსებობს გამონაკლისებიც: ხმოვანთა ჰარმონია მოშლილია სალიტერატურო უზბეკურში, რომელც ისტორიულად სპარსულ-ტაჯიკურის დიდ გავლენას განიცდიდა); შესაბამისად ბევრი სიტყვათწარმოებითი აფიქსი, რომელსაც სალიტერატურო თურქულ ენაში რამდენიმე ვარიანტი აქვს, ჩრდილო-აღმოსავლურ დიალექტებში დასტურდება

მხოლოდ ერთი ვარიანტით; მაგ., შდრ. სალიტ. თურქული ენის **Açlık** [აჩლჟ] „შიმშილი“, **Özgürlük** [•ზგ•რლ•ქ] „თავისუფლება“, **Gençlik** [გენჩლიქ] „ახალგაზრდობა“, **Mutluluk** [მუთლულუქ] „იღბლიანობა“ ფორმები და, მათი ჩრდილო-აღმოსავლური ვარიაციები: **აჯლუხ//აჯილუხ**, **ოზგურლუხ**, **გენჯლუხ**, **მუთლულუხ**... ანუ **-lık** სიტყვათმაწარმოებელ სუფიქსს სალიტერატურო ენაში, ხმოვანთა ჰარმონიის წესიდან გამომდინარე, აქვს ოთხი ვარიანტი, ხოლო ჩრდილო-აღმოსავლურ დიალექტებში მათგან განზოგადებულია ერთი - **უ** ხმოვნის ვარიანტი, რამდენადაც იქ ხმოვანთა ჰარმონია მოშლილია (რიასიანენი, 1934, 22).

ჩრდილო-აღმოსავლურ თურქულ დიალექტებში ხმოვანთა ჰარმონიის აბსოლუტურ მოშლას სავსებით სამართლიანად უკავშირებენ ქართველურ ენობრივ სუბსტრატს: მიიკა რიასიანენი წერს, რომ რიზე-ტრაპიზონული დიალექტის ეს თავისებურება ლაზურ და [სხვა] ქართულ მეტყველებებთან კონტაქტს უნდა გამოეწვია და ის პონტოურ-ბერძნული სუბსტრატი არაა: „ლაზური რეგიონში უპირველესი ენა იყო და, მისი გავლენა თავად პონტოურ-ბერძნულზეც, ისტორიულად, მეტად ძლიერი გახლდათ. ამიტომაც ხმოვანთა ჰარმონიის მოშლა სწორედაც ლაზურ სუბსტრატს უნდა მივაწეროთ და არა ბერძნულს“ (რიასიანენი, 1934, 23).

ჩვენი დაკვირვებით კი, ზოგ ჩრდილო-აღმოსავლურ თურქულ დიალექტში (რიზე-ტრაპიზონულში, ართვინულში...) **r** სონორი არავიბრანტია ისევე, როგორც ლაზურსა და რიგ მესხურ კილოებში. როგორც ცნობილია, არავიბრანტი **r** თურქულ ენობრივ სისტემას საერთოდ არ ახასიათებს.

ქართველური მეტყველების აშკარა გავლენა იგრძნობა ასევე, ჩრდილო-აღმოსავლურ დიალექტთა ინტონაციაში, რაზეც პირველად მიუთითა ნ. მარმა: მისი შენიშვნით, ოპიზის მკვიდრნი თურქულად ისე სწრაფად მეტყველებენ, რომ ერთი მარცვლის წარმოთქმის დრო ჰყოფნით სამ- და მეტმარცვლიანი თურქული სიტყვების წარმოსათქმელად (მარი, 1911, 12). ნიკო მარის ამ შენიშვნაზე მოგვიანებით პროფ. ვარლამ თოფურიამაც ასევე გაამახვილა ყურადღება: „უნებლიეთ მოგაგონდება კაცს გურული მეტყველების ტემპი, გადატანილი თურქულ ენაში“ (ქართული დიალექტოლოგია I, 45).

ჩრდილო-აღმოსავლურ თურქულ დიალექტთა აქცენტუაციაში ლაზური (ანუ იგივე ქართული) მეტყველებისათვის დამახასიათებელი რიგი თავისებურებები გამოავლინა ჰოლანდიელმა თურქოლოგმა ბერტ ბრედმუნმა. მისი დაკვირვებით, რიზე-ტრაპიზონის თურქულში მახვილი დინამიკურია და სუსტი; ამასთან მოძრავია და არა ფიქსირებული, როგორც სალიტერატურო თურქულ ენასა და ზოგადად - თურქულ ენობრივ სისტემაში: „საკმაოდ ბევრ სიტყვაში კი - არამართო ნასესხებ, არამედ ძირეულ ფორმებში - მახვილი პირველ მარცვალზე მოდის“ (ბრედმუნი, 2001).

ჩამოთვლილი მოვლენების გარდა, ჩრდილო-აღმოსავლურ თურქულ დიალექტებს ახასიათებს კიდევ ბევრი სხვა ისეთი თავისებურება, რომელიც ქართველური/კავკასიური ენობრივი სისტემის გავლენით აიხსნება.

ქართველური სუბსტრატი განსაკუთრებით ძლიერად თავს იჩენს ჩრდილო-აღმოსავლურ დიალექტთა ლექსიკაში, სადაც ათასობით მოიპოვება ქართველური სიტყვა-ფუძეები: მაგალითად, ართვინულ-ყარსული დიალექტის საკმაოდ ვრცელ ლექსიკონში, რომელიც გამოქვეყნებულია ინტერნეტში, ვებ-გვერდზე <http://www.artvinliyiz.net> და 30 ათასზე მეტ სიტყვას მოიცავს, ჩვენ დავადასტურეთ დაახლოებით 9 ათასამდე ქართველური ფუძე ან სიტყვა,⁵ როგორებიცაა მაგალითად: **დედაბერ**⁶ „დედაბერი“, **ზადარ** „ძალი, ქოფაკი“, **ჯოლა** „ბჟოლა, თუთა“, **კოლო** (წერია: **ქოლო**) „კოლო“, **ლობიო** „ლობიო“ და ა.შ., აგრეთვე, შორისდებულები: **გო** „გოგოვ!“ (**გო, ნერა გიდეაასუნ?** „გოგოვ, სად მიდიხარ?“) **ჭო** (წერია **ჩო**) „ბიჭო!“ (**ნე ხებერ, ჭო?** „რა ამბავია, ბიჭო?“) და მისთ.

რაც შეეხება ქართველურ-თურქულ სამეტყველო კოდთა შერევას ანთროპონიმიაში - აქ უნდა გავითვალისწინოთ ისიც, რომ დუზჯეში მოსახლე ყველა მორწმუნე ქართველი მუსლიმანი-სუნიტია. ასევე: მათი წინაპრებიც - ქართველი მუჰაჯირები, რომლებიც იქ ჩავიდნენ და დაესახლნენ, მუსლიმანები იყვნენ.

მუსლიმანური ტრადიციებიდან გამომდინარე, დუზჯელები ამჟამად მხოლოდ აღმოსავლური წარმომავლობის (არაბული, თურქული, სპარსული...) რქმევის

⁵ სამწუხაროდ, ლექსიკონის ნაკლია ის, რომ სიტყვებს არ ახლავთ არც შესაბამისი სამეცნიერო ტრანსკრიფცია და არც ხმოვანი ფაილები. შემდგენლების ვინაობაც უცნობია. მიუხედავად ამისა, ის ჯერჯერობით ერთადერთი ვრცელი ლექსიკონია ართვინულ-ყარსული დიალექტისა.

⁶ მეტი თვალსაჩინოებისათვის, სიტყვები მოგვყავს ქართული ტრანსკრიფციით.

სახელებს იყენებენ; ამასთან, ყველა სახელი ფონეტიკურად შეცვლილი სახით დასტურდება, მაგ.:

კაცის სახელები:

ხასან, მუხემმედ // მემეტ, აუსუფ // აუსუჟ // ისუფ // ისუჟ, ხაკკი, ჯე•დეთ, მუსტავა, რესან, ხუსედან, ოსმან, ბესიმ, ღალიფ, მემედ-ალი, შემსუდდინ, ნურეთთინ, ნურულლა, აბდულა, ალი, დურსუნ, დემურ, დემირ-ალი, ადდინ, ირფან // ირჟან, ნადიმ, ნასიმ // ნაზიმ, მე•ლუდ...

ქალის სახელები:

ზენაფ, ნურთენ, ფადიმე // ჭადიმე, ფატყუმე, ლუთვიე, საბრიე, სარიე, ზელიხე, ასიე, ზადდე, ზორადდე, ფერიდე // ჭერიდე, ნეზაქეთ, ნაზლიე, აიშე // აჩე, სელმა, მერიემ, ნურიე, ურიე // ხურიე, ნადიმე, ალიმე, გაულლუ, სე•გი, საფიე // საჟიე, ხატიჯე, ნაილე, სანიე, სარიე, მულქიე, მელიქე, მედინე...

გარდა იმისა, რომ აქ მოყვანილი სახელების ოფიციალური ფორმები, როგორც წესი, განსხვავდება მურღულელთა შორის დადასტურებული ფორმებისაგან, საინტერესოა ის, რომ არაიშვიათად, ეს სახელები გვხვდება შემოკლებული სახით ან ქართული კნინობითი სუფიქსებითაც. ამასთან, შემოკლებული ფორმა ამა თუ იმ სახელისა, ზოგჯერ ცალკეც კი გვხვდება, როგორც დამოუკიდებელი ანთროპონიმი. მაგალითად: მუხემმედ და მემეტ, ფადიმე და ფატყუმე და ა.შ.

სახელს შემოკლებისას, როგორც წესი, ჩამოსცილდება ბოლო მარცვალი ანდა ბგერა: მუსტავა - მუსტა, რესან - რესა, შემსუდდინ - შემსუ // შემსო, ნურეთთინ - ნურეთ, აბდულა - აბდუ, იბრეჰიმ - იბრე // იბრო, ზელიხე - ზელი, მერიემ - მერი, საბრიე - საბი, ასიე - ასი, ურიე // ხურიე - ური // ხური, დურსუნ - დური, ნურულლა - ნური და ა.შ. ამ შემოკლებულ ფორმებს, შესაძლოა, დაერთოს კნინობითი სუფიქსებიც და ვიღებთ: რესა - რესუკა, ხუსედან - ხუსიკა, შემსო - შემსიკა, ზელი - ზელიკო, ური - ურიკო...

დუზჯეში ქართველურ-თურქული სამეტყველო კოდთა შერევა მეტად საგრძნობია მეტსახელებშიაც - ჩვეულებისამებრ, მეტსახელად გამოიყენება თურქული ლექსემები და შესიტყვებები; მაგ.: ქესკინა < თურქ. Keskin 'სწრაფი,

მოხერხებული', **დელიკურტაჰ** < თურქ. Deli kurt 'შმაგი მგელი', **სერთა** < თურქ. Sert 'მკვეთრი, უხეში', **კურნაზა** < თურქ. Kurnaz 'ჯადოსანი, გრძნეული' და მისთ.

ამასთანავე, ინტერესს იწვევს ოსმალობისდროინდელი „ძეგლები“ ანუ მეტგვარები, რომლებიც ტრადიციულად, **-ოღლი** ფორმანტიით იწარმოებოდა. მათი ფუძეები ძირითადად ქართველური იყო - არაიშვიათად, მომდინარეობდა უწინდელი ქართული გვარისაგან: **წითელაშვილი** -> **წითელოღლი**, **თანთოშვილი** -> **თანთოღლი**... ხშირად, აგრეთვე, ამ „ძეგლის“ ფუძედ აღებული იყო პირველად გამუსლიმანებული წინაპრის სახელი/მეტსახელი: **უზუნ ხასანი** (< თურქ. 'გრძელი ჰასანი') -> **უზუნხასანოღლი**, **დელი მემიში** (< თურქ. 'შმაგი მემიში') -> **დელიმემიშოღლი**; „ძეგლების“ ფუძეებისაგან, როგორც წესი ტრადიციული ქართველური წესითაც იწარმოება ჩამომავლობის სახელები: **დელიმემიშიენი** „დელიმემიშიანნი, დელიმემიშოღლები“...

აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ დუზჯელ ქართველთა მნიშვნელოვან ნაწილს ახსოვს წინაპრის ქართული გვარი, თუმცა მასზე უფრო ხშირად ყოფითი კომუნიკაციების დროს ოსმალურ „ძეგლთა“ ფუძეებისგან ნაწარმოები ჩამომავლობის სახელები იხმარება:

- **ვისი ხარ, ჭოვ?**
- **ყარაალიეთი (= ყარაალიოღლი)** და ა.შ.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, დუზჯელ ქართველთა შორის გავრცელებულია უპირატესად არაქართული წარმოშობის სახელები და გვარები, რომლებიც მეტწილად, უკვე, ასე ვთქვათ, „გაქართულებულია“: თავად თურქების მიერ **ხუსიკა**, **სულიკა** ტიპის კნინობითი სახელები უცხოდ ჟღერს, მაშინ როდესაც ამათივე სრული ფორმები: **ხუსეან**, **სულეამან** არ ეუცხოებათ.⁷ ოსმალობის დროინდელი „ძეგლებიც“, ასევე, თურქთათვის უჩვეულოა - 1934 წლამდე, სანამ მუსტაფა ქემალ ათათურქმა გვართა შესახებ საგანგებო კანონი („Soyadı Kanunu“) არ გამოსცა, ეთნიკურ თურქებს გვარები საერთოდ არ ჰქონდათ. ოსმალეთის პერიოდშიც, ისინი მხოლოდ სახელებით და მეტსახელებით (არაბ. „ნისბა“) იყვნენ ცნობილი. მეტგვარები კი, რომლებიც განსაზღვრული ფორმით იწარმოებოდა,

⁷ ეს სახელები წარმოშობით არაბულია და მთელს ისლამურ სამყაროშია ცნობილი.

ჰქონდათ მხოლოდ ეთნიკურად არათურქ მუსლიმანებს: ქართველებს, ალბანელებსა და ბოსნიელებს.

4.2. ქართველურ სამეტყველო კოდთა შერევა

ქართველურ-თურქულ სამეტყველო კოდთა შერევის გარდა, მუჰაჯირ ქართველთა შთამომავლების მეტყველებაში დასტურდება ასევე უშუალოდ ქართველურ სამეტყველო კოდთა შერევაც - ახალ სოფლებში, სადაც თავის დროზე ერთმანეთის გვერდიგვერდ დაესახლნენ ქობულეთიდან, აჭარიდან, მაჭახლიდან, ტაოდან, ლაზეთიდან, კლარჯეთ-ლივანადან, იმერხევიდან წამოსული სხვადასხვა დიალექტზე მეტყველი მუჰაჯირები, მეორე და მესამე თაობაში საკმაოდ სწრაფად მოხდა დიალექტურ თავისებურებათა აღრევა, რამაც თავისთავად განაპირობა რიგი თავისებურებების გაჩენა ფონეტიკაში, მორფოლოგიაში, სინტაქსსა და განსაკუთრებით - ლექსიკაში. საბოლოოდ, ახალ ადგილას - ქართველური მეტყველების გავრცელების ტრადიციული არეალიდან მოშორებით დამკვიდრებული ქართველების მეტყველებამ სახე იცვალა იმისდა მიხედვით, თუ რომელი ლოკალური ჯგუფის წარმომადგენლები იყვნენ მეტნი ამა თუ იმ დასახლებულ პუნქტში: მაგალითად, იქ, სადაც აჭარლები მეტობდნენ, ლივანელთა შთამომავლობამაც აჭარული დიალექტი შეითვისა და პირიქით; ასევე: მაგალითად, თანამედროვე იზმითის რ-ნის სოფელ ჩუბუქლუ-ბალაში 1878 წელს ერთად დასახლებული ლაზებისა და იმერხეველების შთამომავალთაგან ამჟამად თითოეული თანაბრად კარგად მეტყველებს ლაზურადაც და იმერხეულადაც.

ცხადია, ასეთი ვითარება დიდად განაპირობებს იმას, რომ დღეისთვის მუჰაჯირთა შთამომავლების ქართველური მეტყველება გამოირჩევა როგორც არქაიზმების, ისე - იმგვარ ინოვაციათა სიჭარბით, რაც უშუალოდ სამშობლოდან გადასახლების შემდეგ, ახალ ადგილზე დამკვიდრების პერიოდში წარმოიქმნა. ამაზე მართებულად მიუთითა 1992 წელს შ. ფუტკარაძემ, რომელმაც ბურსა-ინეგოლისა თუ დასავლეთ თურქეთის სხვა ადგილებში დასახლებულ ქართველთა მეტყველება მონოგრაფიულად პირველად შეისწავლა. ასევე: ტ. ფუტკარაძემაც აღნიშნა, რომ ქართველ მუჰაჯირთა მეტყველება უნდა გაერთიანდეს საქართველოს ფარგლებს გარეთ გავრცელებულ კილოთა ჯგუფში - ფერეიდნულთან, პლასტუნკურთან და

ყოზლარ-მოზდოკურთან ერთად. ჩვენი აზრითაც მუჰაჯირ ქართველთა ნებისმიერი დღევანდელი მეტყველება დიალექტურ სამეტყველო კოდთა შერევის გზით წარმოქმნილი ახალი კილოებია: ბურსა-ინეგოლის მეტყველება უკვე არც აჭარულია, არც ლივანური, აღარც მაჭახლური - მასში შეიძლება ერთიმეორის გვერდით შეგვხვდეს ამ სამივე კილოსთვის დამახასიათებელი თავისებურებანი. სწორედ ამის გამო, უპრიანია მისი ცალკე, დამოუკიდებელ კილოდ განხილვა.

დუზჯეს ქართველთა მეტყველებას რაც შეეხება: ქართველი მუჰაჯირები ამ რაიონში ძირითადად, ზემო აჭარიდან, ლივანადან და ლაზეთის ჩხალის ხეობიდან არიან ჩასახლებულები. ამასთან, უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ზემოაჭარლები 1878 წელს წამოვიდნენ, ლივანელები და ჩხალელები კი - ძირითადად, 1914-1915 წლებში. დუზჯეს რაიონში ბევრია ისეთი სოფელი, სადაც ჯერ ზემოაჭარლები დაესახლნენ და მერე - ლივანელ-ჩხალელები. ეს უკანასკნელნი უფრო ცოტანი იყვნენ, ამიტომ მათმა შთამომავლობამაც შემდგომში აჭარული კილო შეითვისა. ხოფური კილოს ჩხალური კილოკავი შემორჩა მხოლოდ იმ სოფლებში, რომლებიც 1914-1915 წწ. შემდგომ პერიოდშია დაარსებული. დუზჯეში არის აფხაზთა სოფლებიც, თუმცა იქაურმა მოსახლეობამ, ცხადია, ქართული არ იცის.

ამდენად, დუზჯეს ქართველთა მეტყველება, ძირითადად, აჭარულ დიალექტს ეფუძნება: ფონეტიკურ-მორფოლოგიურ-სინტაქსურ თავისებურებათა მიხედვით, აქაურ ქართველ მუჰაჯირთა მეტყველება ძალიან ჰგავს თანამედროვე აჭარის მკვიდრთა დიალექტურ მეტყველებას, თუმცაღა რიგი არსებითი ნიშნით მაინც განსხვავდება მისგან. ეს ნიშნები, თურქულის გარდა, სხვა ქართველურ დიალექტებთან ურთიერთობის შედეგადაა გაჩენილი:

უპირველეს ყოვლისა, დავასახელებთ იმგვარ მნიშვნელოვან თავისებურებას, როგორცაა ერგატიული კონსტრუქციის გამოყენების არეალის გაფართოება ლივანურ-ლაზურისებურად; მაგ.: **კაცმა საჭმელი აკეთეფს 'კაცი საჭმელს აკეთებს', დუზჯეს ორ ძმამ ალიშვერიში იქამდა 'დუზჯეში ორი ძმა ვაჭრობდა (ვაჭრობას იქმდა)' ...** როგორც ცნობილია, თანამედროვე ზემოაჭარულს ასეთი რამ არ ახასიათებს, მაგრამ დუზჯეს ქართული მეტყველებაში კი ის შეიძლება შეგვხვდეს. ჩვენი აზრით, ეს ლაზურ ან ლივანურ კილოთა გავლენაა.

დავადასტურეთ ასეთი შემთხვევაც: მოთხრობითი ბრუნვა ზოგჯერ უთითებს სახელის განსაზღვრულობაზე; მაგ.: **კაცი გეარა** ნიშნავს: „ვიღაც კაცმა გაიარა“, ხოლო **კაცმა გეარა** კი იქნება: „[ნაცნობმა] კაცმა გაიარა“ - ბრუნვის ნიშანი, როგორც ითქვა, იმაზე მიუთითებს, რომ გამვლელი პირველ შემთხვევაში უცნობია, უწინ მასზე საუბარი არ ყოფილა, ხოლო მეორე შემთხვევაში - პირიქით: ცნობილია, ვინ არის, მასზე ადრეც იყო საუბარი. იხ. ასევე, მსგავსი მაგალითები გაბმული ტექსტებიდან:

- **ჩემ კაცმა სახლიდან გამოვდა იმთე, ძალი წააყურა...** 'ჩემი ქმარიც სახლიდან გამოვიდა რაღა, ძალი გააჩუმა'

- **სახლიდან ერთი კაცი თუ გამოვდავო, ნახოთო, აჯაფ მანას რამე გვითხრასო...** 'სახლიდან ვინმე კაცი თუ გამოვიდა, [აბა] ვნახოთო, იქნებ იმანაც რამე გვითხრასო'

აქვე აღსანიშნავია, რომ ასეთი რამ თანამედროვე აჭარულ დიალექტში არ დასტურდება, მაგრამ სამაგიეროდ, ჩვეულებრივია ლივანური კილოს აღმოსავლურ კილოკავებში. შესაბამისად, დუზჯეს ქართველთა მეტყველებაშიც ის ლივანადან წამოსული მუჰაჯირების მეშვეობით უნდა გაჩენილიყო.

საყოველთაოდ ცნობილია, რომ ენებისა და დიალექტების ურთიერთგავლენა, უპირველეს ყოვლისა, თავს ლექსიკაში იჩენს. სიტყვათა სესხება ძალზე ბუნებრივი და, ფაქტობრივად, შეუზღუდავი პროცესია, განსაკუთრებით კი დიგლოსიისა და ბილინგვიზმის შემთხვევაში.

ამასთან, როგორც მკვლევრები აღნიშნავენ, სამეტყველო კოდთა შერევა სწორედაც რომ სიტყვათა სესხებით იწყება; მხოლოდ მას შემდეგ, რაც ენაში/დიალექტში ნასესხები ლექსიკა გადაამეტებს 20%-ს, მოსალოდნელია ცვლილებები მორფოლოგიაში, აგრეთვე ფონეტიკასა და არაიშვიათად - სინტაქსშიც (მატრასი, ბაკერი 2003).

შესაბამისად, სამეტყველო კოდთა შერევას წინ უძღვის ე.წ. **„მეორეული წარმოშობის საერთო ლექსიკური ფონდის“** ჩამოყალიბება - სპეციალურ ლიტერატურაში ხსენებული ტერმინით აღინიშნება იდენტური ლექსიკა, რომელიც ისტორიული ურთიერთგავლენის შედეგად ყალიბდება სხვადასხვა ჯგუფის დიალექტებში ან ახლომონათესავე ენებში და მათი ძირითადი ლექსიკური ფონდის განუყოფელ ნაწილად იქცევა.

სამხრეთიტალიურ დიალექტთა ცნობილი მკვლევარი სალვატორე ჯარიცო თავის ფუნდამენტურ ნაშრომში „სიცილიური დიალექტის ეტიმოლოგიური ლექსიკონი“ (1989, რომი) აღნიშნავს, რომ სიცილიური და კალაბრიული დიალექტების ურთიერთგავლენის ერთგვარ შედეგს დღეს წარმოადგენს რეჯო-კალაბრიული (გავრცელებულია კალაბრიის უკიდურეს სამხრეთში) და მესინური (გავრცელებულია სიცილიის უკიდურეს ჩრდილო-აღმოსავლეთში) კილოკავები - პირველი კალაბრიული დიალექტის ნაწილია, მეორე კი სიცილიურისა: „თანაბრად შესაძლებელია, რომ მესინური „სიცილიზებულ“ კალაბრიულ კილოკავადაც ჩაითვალოს, ხოლო რეჯო-კალაბრიული - „კალაბრიზებულ“ სიცილიურ კილოკავად, მაგრამ საქმე ისაა, რომ მესინურ კილოკავზე მეტყველნი თავიანთ თავს სიცილიელებად თვლიან, რეჯო-კალაბრიულ კილოკავზე მეტყველნი კი, შესაბამისად - კალაბრიელებად; ამიტომაც ანგარიში სწორედ ამას უნდა გაეწიოს“ (ჯარიცო, 1989, 14-15).

რეჯო-კალაბრიულის და მესინურის ლექსიკური ფონდის 90% საერთოიტალიკური წარმომავლობისაა; ამ საერთოიტალიკურ ლექსიკაში კი ჯარიცო გამოჰყოფს „საკუთრივ სიცილიურ“ და „სიცილიზებულ კალაბრიულ“ ფორმებს (მესინური კილოკავისთვის) და პირიქით - „საკუთრივ კალაბრიულ“ და „კალაბრიზებულ სიცილიურ“ ფორმებს (რეჯო-კალაბრიული კილოკავისთვის). სწორედ ეს „სიცილიზებული კალაბრიული“ ფორმები, ერთი მხრივ, და „კალაბრიზებული სიცილიური“ ფორმები, მეორე მხრივ, წარმოადგენს მეორეული წარმომავლობის საერთო ლექსიკას რეჯო-კალაბრიულსა და მესინურში: მაგ., მესინურ კილოკავში ითქმის Ancari [Ankári] ‘სვლა’, ნაცვლად სიცილიურისთვის უფრო ბუნებრივი ფორმისა Annichjari [annikíari]; შდრ.: კალაბრიული დიალექტი: Ancara [ánkárä] “id.”. ასე რომ, მესინურში დადასტურებული Ancari [Ankári] მართლაც „სიცილიზებული კალაბრიული“ ფორმაა, რადგანაც ფუძე კალაბრიულია, ხოლო დეტერმინანტი სუფიქსი (და გამოთქმა) კი - სიცილიური. ასევე, რეჯო-კალაბრიულში ითქმის Casicedda [Kázičèdä] ‘ქობი’, ნაცვლად კალაბრიულისთვის უფრო ბუნებრივი ფორმისა Casedda [Kázèdä]; შდრ.: სიცილიური (resp. მესინური) Casicedda [Kazičèda] “id.”; რეჯო-კალაბრიულის Casicedda [Kázičèdä] „კალაბრიზებული სიცილიური“ ფორმაა. მესინურსა და რეჯო-კალაბრიულში

მეორეული წარმომავლობის საერთო ლექსიკის ხვედრითი წილი 20%-ზე მეტს შეადგენს (ჯარიცო, 1989, 21-22).

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, საინტერესოა ჯარიცოს დასკვნა: „უნდა ითქვას, რომ მესინურიც და რეჯო-კალაბრიულიც გარდამავალი კილოკავებია, რომელთა მეშვეობით, ერთი მხრივ მესინაში (სიცილია) და მეორე მხრივ - რეჯო-დი-კალაბრიაში (კალაბრია) სიცილიურ და კალაბრიულ დიალექტებს შორის საერთოდ იშლება საზღვარი და, შესაბამისად, გაგებინებაც არაა გაძნელებული, მაშინ როდესაც, ზოგადად სიცილიაზე საკმაოდ უჭირთ ხოლმე კალაბრიული დიალექტის გაგება, კალაბრიაში კი სიცილიური არ ესმით ... მეორეული წარმოშობის საერთო ლექსიკურ ფონდს რაც შეეხება, აქ შევნიშნე ერთი თავისებურება - ეს სიტყვები უმეტესწილად, დარგობლივ ლექსიკას განეკუთვნება და ადგილობრივი ყოფა-ცხოვრების ამსახველია (ხაზი ავტორისაა - ფ.ჩ.). ამიტომაც არაა გასაკვირი მათი ასე თავისუფლად გადასვლა კილოკავიდან კილოკავში, დიალექტიდან დიალექტში“ (ჯარიცო 1989, 23).

ამგვარი დასკვნა გამოსადეგია ჩვენს შემთხვევაშიც, როდესაც ვსაუბრობთ დუზჯეს ქართველთა მეტყველებაში ქართველურ დიალექტთა შერევაზე - საყოველთაოდ ცნობილია, რომ ქართული ენის აჭარული და ლივანური კილოები ერთმანეთისაგან საგრძნობლად განსხვავდება ფონეტიკურ-მორფოლოგიურადაც და ლექსიკითაც, მიუხედავად იმისა, რომ ორივე მესხური ჯგუფის დიალექტია. ლივანურის სპეციფიკური გრამატიკული მოვლენები თუ ლექსიკა აჭარელისთვის არ არის აჭარული და პირიქით; ასევე: თვით აჭარულ დიალექტშიც სხვაობს ზემოაჭარული, ქვემოაჭარული კილოკავები - მათზე მეტყველთ, ცხადია, საკმაოდ ზუსტადაც შეუძლიათ დაასახელონ, რომელი ფორმა რომელ კილოკავს ახასიათებს. ესაა დიალექტურ ვარიაციათა თვითშეფასებითი გამიჯვნა, რაც თავის მხრივ, დამახასიათებელია ე.წ. პირველადი ფორმაციის დიალექტთათვის ყველა ენობრივ სისტემაში.

თანამედროვე აჭარლებისა და ლივანელებისაგან განსხვავებით, დუზჯელი ქართველების დიდ ნაწილს (აქ, რასაკვირველია, ვგულისხმობთ იმათ, ვისთვისაც ქართული მშობლიურია, ანუ უპირატესად - უფროს თაობას) თანაბრად ეახლოება როგორც აჭარული, ისე ლივანური მეტყველება და ხშირად ასევე - ლაზურიც კი. ანუ,

სხვაგვარად რომ ვთქვათ, დუზჯელები ვერ ახდენენ დიალექტურ ვარიაციათა იმგვარ გამიჯვნას, როგორსაც აჭარლები და ლივანელები. ამის მიზეზი, რაღა თქმა უნდა ისაა, რომ დუზჯეს ქართული წარმოადგენს ქართველურ დიალექტურ სამეტყველო კოდთა (უპირატესად - აჭარულის და ლივანურის) შერევის შედეგად ქართველური ენობრივი სისტემის გავრცელების არეალის საზღვრებს გარეთ წარმოქმნილ მეტყველებას. ამიტომაცაა, რომ იქ მეორეული წარმოშობის საერთო ლექსიკა, როგორც წესი, უფრო მრავალრიცხოვანია, ვიდრე აჭარული ან ლივანური ლექსემები. მაგალითისათვის, აქვე წარმოვადგენთ ჩვენ მიერ დუზჯეში ჩაწერილ ქართულ ტექსტს:

- რაფა ხართ?

-ზოოლ კაი ვარ, ღმერთი შუქურით!

-ზოოლ კაი ხარ თუ ძალვან კაი ხარ?

-ძალვან კაი ვარ!

-ბათუმის რომელ სოფლიდან არიან თქვენები ის იცით?

-ნალვარი იცით? ნალვარი...სოფელ ნალვარიდან

-თქვენი გვარი რა არის?

-ხაფიზაშვილი!

-აქ რა გახდი?

-ილდირიმი!

-ჩემი გვარი ხოჯა ყოფილა... ხაფიზი ყოფილა... ჩვენი ჯინსი ისე ყოფილა..

-თქვენ როდის ჩამოდით აქ?

-დოქსან უჩდე ბინ სეიზ...

-იმ სოფელიდან მარტო დედემენი იყო თუ?

-დედე იქიდან გამოსულა... ემია ერთი წლის ნახვარი ყოფილა, ი.. ბაბუა აქ დაბადებულა!

-დედეს რას ეტყვიო?

- ჰაფიზი ალი!

- დედე მარტო მოვდა, თუ ძმები ყოლია თუ?

- ძმები ყოლია ამა, გემიდან წამოსული ხარ? დაურიგებიან იქა... რომელ კუთხეში წევდა არ იცის...

- ააა, სად არიან ერთმანები არ იცის...

- სამი ძმა გამოსულან, და, გემით... ისე დუფანტებიან...ზოგი ისე, ზოგი ასე... დაფანტულად... ვეღარ მოჭუჭკულან ახლა... ინტერნეტი არ იყო, არაფეი არ იყო

-თქვენ რა გქვიათ?

-მემედა!

-ბაბუა რა ქვიოდა?

-ბაბუა ისაი ქვიოდა, დედეს - ალიაი....

-იმის მამას?

-არ ვიცი!

-ახლა თქვენ რამდენი მოსახლე ხართ?

-აქა თუ?

-აქა... ბევრიც არ ვართ ჩვენა... ხუთი-ექსვი მოსახლე ვართ, ამა ქვევით არიან ... ჩვენები ნათესავები არიან ...

-სხვა გურჯელები სად არიან?

-აქ ხიდზე არიან, ჯივიჩი ხიდზე.

-ამ სოფელს რა ქვია?

-აქსუ, ფუნდუქლი აქსუ... თხილიანი აქსუ... თხილი აქვა და ამიტო თქვია ...

ამ ტექსტში გამუქებულია რეპლიკები, რომლებიც ეკუთვნის დუზჯეს რ-ნის სოფ. გოლიაქას მკვიდრს, ხოლო ჩვეულებრივი შრიფტით კი წარმოდგენილია სოფ. ფუნდუქლი აქსუს მცხოვრებთა რეპლიკები. გოლიაქაში ქართველთა უმეტესობა აჭარიდან წამოსულ მუჰაჯირთა შთამომავალია, ხოლო ფუნდუქლი აქსუში - ლივანელებისა. ამიტომაცაა, რომ გოლიაქას მკვიდრის მოკითხვაზე - **რაფა ხარ?** ფუნდუქლი აქსუს მკვიდრი პასუხობს ლივანურ ყაიდაზე: **ზოოლ კაი ვარ!**.. მერე, როცა გოლიაქელი აზუსტებს - **ზოოლ კაი ხარ თუ ძალვან კაი ხარ?** მოკითხვის მეორე ნაწილი - **ძალვან კაი ხარ?** - უკვე აჭარულ-ლივანური ნარევი ფორმაა.

საყურადღებოა, რომ ფუნდუქლი აქსუს მკვიდრი წინაპრების სოფლად აჭარის ა.რ. შუახევის რ-ნის წყალსაყარის თემის სოფ. **ნაღვარევს** ასახელებს, მაგრამ ტოპონიმს წარმოთქვამს ისევ ლივანურ ყაიდაზე - **ნაღვარი**. გარდა ამისა: ტექსტში „დიდი ბაბუის/წინაპრის“ მნიშვნელობით ორივე მთქმელი იყენებს თურქულიდან ნასესხებ ფორმას **დედე**, რომელიც ყველაზე ხშირად ზემოაჭარულ მეტყველებაში დასტურდება. იმავდროულად, მთქმელები იყენებენ ასევე **ბაბუა//ბაბუაჲ** ფორმასაც და, ზმნა **ქვია (ქვიოდა)** ამ სახელს შეიწყობს სახელობით ბრუნვაში - ეს ლივანური დიალექტისთვისაა დამახასიათებელი: იქ გვაქვს ფორმა **თქვია**, რომელიც სახელს სწორედ სახელობით ბრუნვაში შეიწყობს: **ი ქოვი გევილი თქვია** ‘იმ სოფელს გეული ჰქვია’ (სიტყვასიტყვით ‘ის სოფელი გეულ[ად] თქმულია’); **ესკი სოადი ჩენი - ლასტაკანიძე თქვია** ‘ჩენი ძველი გვარი ლასტაკანიძე[დ] თქმულია’ და ა.შ. **ქვია**, რასაკვირველია, ზოგადქართული **ჰქვია** ფორმაა, თუმცაღა დუზჯელ ქართველთა მეტყველებაში უფრო ლივანური დიალექტის **თქვია** ფორმასთან ასოცირდება.

4.3. დუზჯეს მკვიდრი ქართველების ქართული მეტყველების ადგილის საკითხი

წინა პარაგრაფებში აღწერილი ვითარება დიდად განაპირობებს იმას, რომ დღეისთვის მუჰაჯირთა შთამომავლების ქართველური მეტყველება გამოირჩევა როგორც არქაიზმების, ისე - იმგვარ ინოვაციათა სიჭარბით, რაც უშუალოდ სამშობლოდან გადასახლების შემდეგ, ახალ ადგილზე დამკვიდრების პერიოდში წარმოიქმნა. ამაზე მართებულად მიუთითა 1992 წელს შ. ფუტკარაძემ, რომელმაც ბურსა-ინეგოლისა თუ დასავლეთ თურქეთის სხვა ადგილებში დასახლებულ ქართველთა მეტყველება მონოგრაფიულად პირველად შეისწავლა. ასევე: ტ. ფუტკარაძემაც აღნიშნა, რომ ქართველ მუჰაჯირთა მეტყველება უნდა გაერთიანდეს საქართველოს ფარგლებს გარეთ გავრცელებულ კილოთა ჯგუფში - ფერეიდნულთან, პლასტუნკურთან და ყიზლარ-მოზდოკურთან ერთად. ჩვენი აზრითაც, არათუ დუზჯელ, არამედ მუჰაჯირ ქართველთა ნებისმიერი დღევანდელი მეტყველება დიალექტურ სამეტყველო კოდთა შერევის გზით წარმოქმნილი ახალი კილოებია: ბურსა-ინეგოლის მეტყველება უკვე არც აჭარულია, არც ლივანური, აღარც მაჭახლური - მასში შეიძლება ერთიმეორის გვერდით

შეგვხვდეს ამ სამივე კილოსთვის დამახასიათებელი თავისებურებანი. სწორედ ამის გამო, უპრიანია მისი ცალკე, დამოუკიდებელ კილოდ განხილვა.

მეორე და ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხი აქ ისიცაა, თუ როგორია დუზჯეში დამკვიდრებულ ქართველთა თვითაღქმა დღეს - მათ იციან, რომ 1878 წელს, მათი წინაპრები სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან ჩამოსახლებულან, მაგრამ საინტერესოა, რომ თავად უკვე არც ერთ ქართულ ლოკალურ ჯგუფს თავს აღარ აკუთვნებენ. ამის მიზეზი, რასაკვირველია, არის ის, რომ ახალ მიწებზე გადახვეწილებს აბსოლუტურად სხვა გარემო დახვდათ. ჯერ ოსმალეთის, შემდგომში თურქეთის სახელმწიფოებრივი და რელიგიური რეალიების გათვალისწინებით, მათ განიცადეს მცირე მსოფლმხედველობითი ცვლილება და ჩამოყალიბდნენ **ქართველთა დიასპორად**. ამიტომაც მათ შორის აღარ შემორჩა უწინდელი ლოკალური დაყოფა. ვფიქრობთ, რომ დუზჯეს ქართულის ცალკე დიალექტად მიჩნევისას, ეს ფაქტორიც უნდა იქნას გათვალისწინებული.

აქვე აღსანიშნავია ისიც, რომ ბოლო დროს, როდესაც საქართველოსა და თურქეთს შორის გამღიერდა კეთილმეზობლური ურთიერთობები და ქართველ მუჰაჯირთა ბევრ შთამომავალს წინაპართა მიწის მონახულების ანდა იქ დამკვიდრების საშუალება მიეცა, ასევე - მათთვის ხელმისაწვდომი გახდა ქართულენოვანი ტექნოლოგიებიც (ინტერნეტი, სატელიტური მაუწყებლობა...), შეიმჩნევა ქართული სამწიგნობრო ენის პოზიციების გამყარება: უწინ ქართულის არმცოდნე მუჰაჯირები სწავლობენ ქართულ სამწიგნობრო ენას და წერა-კითხვას, როგორც საქართველოს მოქალაქეებთან, ისე - ერთმანეთთან კომუნიკაციის მიზნით. ეს განაპირობებს იმას, რომ შესაძლოა, ქართული წარმოშობის პირი ვერ ფლობდეს წინაპრების დიალექტს, მაგრამ იცოდეს სამწიგნობრო ქართული და მეტყველებდეს თურქული ორთოეპიული ნორმით - სამეტყველო კოდთა შერევის ეს მეტად საინტერესო სახეობა ჯერჯერობით, სათანადოდ შესწავლილი არაა.

ძირითადი დასკვნები

დუზჯე შავიზღვისპირეთის რეგიონია თურქეთში, სადაც ცხოვრობენ მუჰაჯირ ქართველთა შთამომავლები. დუზჯეს რეგიონის ქართულ სოფლებში დღემდე შემორჩენილია ზოგი ქართული ტრადიცია; ახსოვთ ქართული ლექს-სიმღერები, შელოცვები, ცდილობენ, შეინარჩუნონ დედაენა და საუბრობენ ქართულად.

მშობლიური ფესვებიდან საუკუნეებით მოწყვეტით უცხო გარემოში თვითმყოფადობის შენარჩუნება არაა მარტივი. დრო-ჟამი თავის კვალს ტოვებს. ქართული ენაც მივიწყების პირასაა. ბავშვებმა და ახალგაზრდებმა ქართული არ იციან. ქართულად მხოლოდ მოხუცები საუბრობენ. მათგან ჩაწერილი მასალა მრავალმხრივაა საინტერესო - ისტორიული, ეთნოგრაფიული თუ ენობრივი თვალსაზრისით. ამდენად, ამ მასალის მოძიება და შესწავლა მეტად საშური საქმეა. დუზჯეს ქართველთა ქართულ მეტყველებაში უხვადაა არქაული ფორმები, რომლებიც თანამედროვე სალიტერატურო ქართულში მივიწყებულია.

დუზჯეს ქართული მეტყველებისთვის დამახასიათებელია თითქმის ყველა ის თავისებურება, რაც გვხვდება სალიტერატურო ქართულსა და მის დიალექტებში.

დუზჯეს ქართული მეტყველება ძირითადად აჭარული დიალექტია, სადაც უფრო ჭარბადაა შემონახული ძველი ქართული ენის ლექსიკა, თუმცა აქაურ ქართველთა მეტყველებაში იოლადაა შესამჩნევი თურქულ და სხვა ქართველურ სამეტყველო კოდთა შერევის კვალიც. ჩვენი აზრით, დღევანდელი ვითარებიდან გამომდინარე, ხსენებული მეტყველება დამოუკიდებელ ქართულ დიალექტად უნდა ჩაითვალოს

1878 წელს, ახალ მიწებზე გადახვეწილ ქართველებს აბსოლუტურად სხვა გარემო დახვდათ: ჯერ ოსმალეთის, შემდგომში თურქეთის სახელმწიფოებრივი და რელიგიური რეალიების გათვალისწინებით, მათ განიცადეს მცირე მსოფლმხედველობითი ცვლილება, თუმცა გაუძლიერდათ ერთიანობის შეგრძნება და ჩამოყალიბდნენ ზოგადად ქართველთა დიასპორად. ამიტომაც მათ შორის აღარ შემორჩა უწინდელი ლოკალური დაყოფა. დუზჯეს ქართულის ცალკე დიალექტად მიჩნევისას, ეს ფაქტორიც აუცილებლად ანგარიშგასაწევია.

დამოწმებული ლიტერატურა:

ა) ქართულ ენაზე:

1. ასათიანი ირინე, ჭანური (ლაზური) ტექსტები, თბილისი, 1974;
2. ასათიანი ირინე, ლაზური (ჭანური) ტექსტები II, თბილისი, 2012;
3. ასათიანი ირინე, ლაზური ლექსიკონი, თბილისი, 2012;
4. აფრიდონიძე შუქია, მაკალათია ფ., ქართული ოიკონიმები, ტოპონიმოლოგია II, თბილისი, 1980;
5. ახვლედიანი გიორგი, შენიშვნა „ვჟარები, ჟარე“-ს შესახებ, ჩვენი მეცნიერება, 6-7, თბილისი, 1923;
6. ახვლედიანი ხარიტონ, ნარკვევები აჭარის ისტორიიდან, ბათუმი 1944.
7. ახვლედიანი ხარიტონ, ნარკვევები საქართველოს ისტორიიდან, ბათუმი 1978
8. ბავრელი (ასლანიშვილი) სოლომონ, წერილები „ოსმალის საქართველოზე, ტექსტი გამოსაცემად მოამზადეს, შესავალი წერილი, შენიშვნები და საძიებლები დაურთეს ლელა ქურდაძემ და გოჩა საითიძემ, თბილისი, 2008;
9. ბარამიძე ირაკლი, „სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს საკითხი სან-სტეფანოს, ბერლინისა და კონსტანტინოპოლის ხელშეკრულებაში“, საისტორიო მაცნე, ბათუმი, N 9, 2000
10. ბატიაშვილი ზურაბ, ქართველები ოსმალური პერიოდის ტრაპიზონში, თბილისი, 2008;
11. *ბაქრაძე დიმიტრი*, არქეოლოგიური მოგზაურობა გურიასა და აჭარაში, ბათუმი, 1987;
12. ბერიძე ეთერ, ნიგალი, თბილისი, 2009;
13. გამყრელიძე თამაზ, მაჭავარიანი გივი, სონანტთა სისტემა და აბლაუტი ქართველურ ენებში, თბილისი, 1965;
14. გვანცელაძე გვანცა, გვანცელაძე თეიმურაზ, ქართველურ დიალექტთა ურთიერთმიმართება და დიალექტური ტექსტის აღქმა-გაგების ხარისხი (ექსპერიმენტული გამოკვლევა), ქართველოლოგიური კრებული, ტ. II, თბილისი, 2003;

15. გვანცელაძე თეიმურაზ, ენობრივი მონაცემები და მათი მნიშვნელობა აფხაზეთის ეთნიკური ისტორიის კვლევისათვის, აფხაზეთის ისტორიის პრობლემები, თბილისი, 1998;
16. გიგინეიშვილი ივანე, თოფურია ვარლამ, ქავთარაძე ივანე, ქართული დიალექტოლოგია I, თბილისი, 1961;
17. გრიშაშვილი იოსებ, ძველი თბილისის ლიტერატურული ბოჰემა, თხზულებათა კრებული ხუთ ტომად, ტ. III, თბილისი, 1963;
18. გრიშაშვილი იოსებ, ქალაქური ლექსიკონი, თბილისი, 1997;
19. გუჯეჯიანი როზეტა, თოფჩიშვილი როლანდ, ფუტკარაძე ტარიელ, შოშიტაშვილი ნოდარ, ჭეიშვილი გიორგი, ეთნოგრაფიული ზედა მაჭახელი, ქართველური მემკვიდრეობა XII, ქუთაისი, 2008;
20. გუჯეჯიანი როზეტა, ფუტკარაძე ტარიელ, იუსუფელის (ისტორიული ტაოს) ქართულენოვან სოფელთა ეთნო-ლინგვისტური მიმოხილვა, ქართველური მემკვიდრეობა, XIII, ქუთაისი, 2010;
21. დადიანი ეკა, კავშირებითის ფორმები მეგრულში (სხვა ქართველურ ქვესისტემებთან მიმართებით), საკანდიდატო დისერტაცია, თბილისი, 2001;
22. დადიანი ეკა, ნაკანი ნინო, ფუტკარაძე ტარიელ, ხაჭაპურიძე რამაზ, შელოცვების ენა ქართველური დიალექტების მონაცემთა მიხედვით, ქართველური მემკვიდრეობა, V , ქუთაისი, 2001;
23. დანელია კორნელი, მეგრულ-ჭანური ლექსიკა სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონში, თსუ შრომები, 245, თბილისი 1984;
24. დანელია კორნელი, სახელობითი ბრუნვის -ი ნიშნის ფუძესთან შეზრდის საკითხისთვის მეგრულში, თსუ შრომები, 267, თბილისი, 1986;
25. დანელია კორნელი, სარჯველაძე ზურაბ, აკაკი შანიძე - ცხოვრება და მოღვაწეობა, თბილისი, 1984;
26. დიუმეზილი ჟორჟ, ლაზური ზღაპრები და გადმოცემები, თბილისი, 2008;
27. ვანილიში მუჰამედ, თანდილავა ალი, ლაზეთი, თბილისი 1964;
28. ვარდმანიძე ჯუმბერ, მუჰაჯირობა სამცხე-ჯავახეთსა და აჭარაში, ავტორეფერატი, თბილისი 2002.

29. ვახუშტი ბატონიშვილი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, თ. ლომოურისა და ნ. ბერძენიშვილის რედაქციით, თბილისი, 1941;
30. ვეიდენბაუმი ედგარ, ბათუმიდან ართვინამდე, თბილისი, 2005;
31. თანდილავა ალი, ლაზური ლექსიკონი, თბილისი,
32. თანდილავა ზურაბ, ნარაკიძე ციალა, ზანური ლექსიკური სუბსტრატის კვალი აჭარულ დიალექტში, აჭარული დიალექტის დარგობლივი ლექსიკა V, თბილისი, 1988;
33. თაყაიშვილი ექვთიმე, სამუსულმანო საქართველო, დაბრუნება, ტ. I, თბილისი, 1991;
34. თოფურია ვარლამ, გრამატიკულ მოვლენათა ერთგვაროვანი პროცესი ქართველურ ენებში, იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება, VI, თბილისი, 1954;
35. თოფჩიშვილი როლანდ, მოსახლეობის შიდა მიგრაციული პროცესების მნიშვნელობისათვის საქართველოს ისტორიაში, მიემდგნა ალექსანდრე ორბელიანის ხსოვნას (მეორე სამეცნ. კონფერენცია), თბილისი, 1998;
36. თოფჩიშვილი როლანდ, -ფხე (-ხე) სუფიქსის უცნობი ფუნქციის შესახებ ქართულ ანთროპონიმიში, ქართული წყაროთმცოდნეობა XI, თბილისი, 2006;
37. თოფჩიშვილი როლანდ, ეთნიკური ურთიერთობები კავკასიაში (წოვათუშები), ქართველური მემკვიდრეობა, XII, ქუთაისი, 2008;
38. თოფჩიშვილი როლანდ, ზოგიერთი ეთნოგრაფიული რეალია შავშეთში, კლარჯეთსა და ტაოში, სამხრეთ-დასავლეთ საქართველო მეზობელ სახელმწიფოთა გეოპოლიტიკური ინტერესების კონტექსტში, ბათუმი, 2009;
39. თოფჩიშვილი როლანდ, როდის წარმოიქმნა ქართული გვარსახელები. თბილისი, 1997;
40. თოფჩიშვილი როლანდ, ისტორიულ-ეთნოგრაფიული საქართველო და ქართველები თურქეთში, თბილისი 2017;
41. თოფჩიშვილი როლანდ, ქართული გვარსახელების ისტორიიდან, წ. I. თბილისი, 2003;
42. ილდიზთაში მურად, საქართველო და ქართველები ოსმალურ საარქივო დოკუმენტებში. სტამბოლი, 2012 (თურქ. და ქართ. ენებზე);

43. იმნაიშვილი გრიგოლ, ქართული ენის ინგილოური დიალექტის თავისებურებანი, თბილისი, 1966;
44. იმნაიშვილი დავით, ქართული ენიდან ჩაჩნური ენის ქისტურ კილოში სიტყვათა სესხების კანონზომიერებისთვის, ენათმეცნიერების ინსტიტუტის XVI სამეცნ. სესიის მუშაობის გეგმა და მოხსენებათა თეზისები, თბილისი, 1958;
45. იმნაიშვილი ივანე, ქართული ენის ისტორიული ქრესტომათია, ტ. I, თბილისი, 1949;
46. ინგოროყვა პავლე, სვანეთის საისტორიო ძეგლები. 2. ტექსტები. თბილისი, 1941;
47. ინგოროყვა პავლე, გიორგი მერჩულე, 1956;
48. ინგოროყვა პავლე, ჭანეთ-ლაზეთის ისტორიის საკითხთა გამო, თბილისი, 2003;
49. კალანდია თეა, ლაზური ტექსტები, თბილისი, 2008;
50. კარალიძე ჯემალ, „აჭარის მუჰაჯირთა ისტორიის ზოგიერთი საკითხისთვის“, საისტორიო მაცნე N 15, ბათუმი 2005;
51. კარტოზია გურამ, ლაზური ტექსტები I, თბილისი, 1971;
52. კარტოზია გურამ, არაინვერსიული თურმეობითების წარმოებისთვის ლაზურში, „მაცნე“, ენისა და ლიტ-რის სერია, # 3, თბილისი, 1976;
53. კარტოზია გურამ, რამდენიმე საერთო-ქართველური ფუძისათვის ქართულსა და მეგრულ-ლაზურში II, „აჭარული დიალექტის დარგობლივი ლექსიკა“, V, თბილისი, 1984;
54. კარტოზია გურამ, ლაზური ტექსტები II, თბილისი, 1992;
55. კარტოზია გურამ, კითხვითნაწილაკიან ზმნურ ფორმათა წარმოების ერთგვარობისათვის ქართულის მთის კილოებსა და ლაზურში, ს.-ს. ორბელიანის სახ. თბილისის სახელმწიფო პედ. უნ-ტის ქართული ენის კათედრის შრომები 3, თბილისი, 1997;
56. კარტოზია გურამ, სვანურისა და ზანურის ურთიერთმიმართების ისტორიისათვის, ს.-ს. ორბელიანის სახ. თბილისის სახელმწიფო პედ. უნ-ტის ქართული ენის კათედრის შრომები 5, თბილისი, 2000;

57. კარტოზია გურამ, ლარინგალური ხშულის საკითხი ლაზურში, „ენათმეცნიერების საკითხები“ 4, თბილისი, 2002;
58. კარტოზია გურამ, ლაზური ენა და მისი ადგილი ქართველურ ენათა სისტემაში, თბილისი, 2005;
59. კახიძე ნოდარ, მაჭახლის ხეობა, ბათუმი 1974.
60. კვაჭაძე ლეო, ქართული ენა, თბილისი, 1993;
61. კეკუა სოფიო, ოდიშ-აფხაზეთის ონომასტიკა ისტორიული საეკლესიო საბუთების მიხედვით; სადოქტორო პროგრამა „ქართველური ენათმეცნიერება“ სადისერტაციო ნაშრომი ფილოლოგიის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად, თბილისი, 2017. <http://dl.sangu.edu.ge/pdf/sofiokekua.pdf>
62. კიზირია ანტონ, ზანური ენა, ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, ტ. IV თბილისი, 1973;
63. კითხვარი ქართული დიალექტოლოგიური ატლასის მასალისათვის, თბილისი, 1984;
64. კიკნაძე ზურაბ, ქართული ფოლკლორი, თბილისი, 2008;
65. ლაბაძე მიხეილ, ქართველთა ეროვნული ერთიანობის ანარეკლი თურქეთის ლაზთა ფოლკლორში, `ქართველური მემკვიდრეობა` IX, ქუთაისი, 2005;
66. ლაბაძე მიხეილ, ლაზური კილოების ხმოვანთა სისტემა, `ქართველური მემკვიდრეობა` XII, ქუთაისი, 2008;
67. ლაბაძე მიხეილ, მურღულის ხეობაში მცხოვრებ ავტოქტონ ქართველთა - ლაზთა და ლივანელთა - მეტყველების თავისებურებანი (სამეტყველო კოდთა შერევის საკითხები), სადოქტორო დისერტაცია, ქუთაისი 2013;
68. ლომაია შორენა, ადგილისა და დროის ზმნისართები მეგრულში; თბილისი, 2004;
69. ლომთაძე თამარ, ქალაქის ენის შესწავლის ისტორიიდან, ქართველური მემკვიდრეობა, IX, ქუთაისი, 2005;
70. მაკალათია სერგი, თუშეთი, თბილისი, 1933;
71. მალაყმაძე როინ, ლივანის ხეობა, თბილისი, 2008;
72. მარტიროსოვი არამ, ქართული ენის ჯავახური დიალექტი; თბილისი, 1984;

73. მაჭავარიანი გივი, ხმოვანთა შესატყვისობის ისტორიიდან ქართველურ ენებში, თსუ შრომები, ტ. 69, თბილისი, 1958;
74. მაყაშვილი ალექსანდრე, ბოტანიკური ლექსიკონი; თბილისი, 1980;
75. მეგრელიძე იოსებ, მცირე თეატრალური ლექსიკონი; თბილისი, 1980;
76. მეგრელიძე შამშუ, აჭარის განთავისუფლება თურქთა ბატონობისაგან, ბათუმი, 1956;
77. მეგრელიძე შამშუ, აჭარის წარსულიდან, თბილისი 1964.
78. მესხი სერგეი, წერილები აჭარაზე, 1875-1882. შეადგინა, კომენტარები, შენიშვნები და საძიებლები დაურთო რამაზ სურმანიძემ; ბათუმი, 2000.
79. მიქაუტაძე მაია, ფრაზეოლოგიზმები ლინგვოკულტუროლოგიური თვალსაზრისით (ტაოური და იმერხეული მასალის მიხედვით); საერთაშორისო კონფერენცია „თანამედროვე ინტერდისციპლინარიზმი და ჰუმანიტარული აზროვნება“; მასალები , 2013, გვ. 38-42.
80. მიქაუტაძე მაია, ადამიანის სულიერი მდგომარეობის ამსახველ იდიომატურ გამოთქმათა სემანტიკური თავისებურებანი ტაოურსა და იმერხეულში; ქუთაისის ილია ჭავჭავაძის სახელობის სამეცნიერო ბიბლიოთეკის ჟურნალი “წელიწდეული“, ტ. V, 2013, გვ. 282-289.
81. მიქაუტაძე მაია, სამეტყველო კოდთა შერევის საკითხისათვის ქართული ენის ტაოურ დიალექტში, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომები, სპეციალური გამოშვება “კლარჯეთისა დიდებულთა უდაბნოთა”, გამომცემლობა “მერიდიანი”, თბ., 2012; გვ. 42-50.
82. ნათაძე ნოდარ, მყოფადისათვის ქართველურ ენებში, „ქართველურ ენათა სტრუქტურის საკითხები“ II, თბილისი, 1961;
83. ნეიმანი ალექსანდრე, ქართულ სინონიმთა ლექსიკონი, თბილისი, 1978;
84. ნიკოლეიშვილი ავთანდილ, ქართულენოვანი ზეპირსიტყვიერება და მწერლობა თურქეთში; ქუთაისი 2015.
85. ნიკოლეიშვილი ავთანდილ, თურქეთის შავი ზღვისპირეთში - ქართველ მუჰაჯირთა შთამომავლებთან; ქუთაისი.

86. ნიჟარაძე შოთა, ზემოაჭარულის თავისებურებანი, ბათუმი, 1957;
87. ნიჟარაძე შოთა, ქართული ენის აჭარული დიალექტი, ლექსიკა, ბათუმი, 1971;
88. ნიჟარაძე შოთა, აჭარული დიალექტი, ბათუმი, 1975;
89. ნიჟარაძე შოთა, აჭარული დიალექტიზმები „ვეფხისტყაოსანში“, „ლიტერატურულ-ენათმეცნიერული ნარკვევები“ (სტატია დათარიღებულია 1966 წლით). ბათუმი, 1982;
90. ნოღაიდელი ჯემალ, ნარკვევები და ჩანაწერები II, დიალექტოლოგიის საკითხები, ბათუმი, 1972;
91. ონიანი ალექსანდრე, ქართველურ ენათა შედარებითი გრამატიკის საკითხები (სახელთა მორფოლოგია), თბილისი, 1989;
92. ოქროსცვარიძე ნინო, ოჯახი და საოჯახო ყოფა თურქეთელ ქართველებში (ინეგოლის რაიონის სოფელ ჰაირიეს მოსახლეობის მაგალითზე); სადისერტაციო ნაშრომი ისტორიის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად. თბილისი, 2014;
93. ჟღენტი სერგი, გურული კილო (გამოკვლევა, ტექსტები, ლექსიკონი), თბილისი, 1936;
94. ჟღენტი სერგი, ჭანური ტექსტები, არქაბული კილოკავი, თბილისი, 1938;
95. ჟღენტი სერგი, ზანიზმები გურულ ზმნებში, ენიმკი-ს მოამბე, ტ. V-VI, თბილისი, 1940;
96. ჟღენტი სერგი, მეგრულ-ჭანური ვოკალიზმი, იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება, ტ. IV, თბილისი, 1953;
97. ჟღენტი სერგი, ქართველურ ენათა დიალექტების შესწავლის ზოგიერთი საკითხი, თსუ შრომები, ტ. 49, 1953;
98. ჟღენტი სერგი, ჭანურ-მეგრულის ფონეტიკა, თბილისი, 1953;
99. ჟღენტი სერგი, ქართული დიალექტების წარმოთქმის თავისებურებათა შესწავლის ზოგიერთი საკითხი, თსუ შრომები, ტ. 69, თბილისი, 1958;
100. სულხან-საბა ორბელიანი, ლექსიკონი ქართული, I. ავტოგრაფული ნუსხების მიხედვით მოამზადა, გამოკვლევათა და განმარტებათა ლექსიკის საძიებელი დაურთო ილია აბულაძემ. თბილისი, 1991;

101. სულხან-საბა ორბელიანი, ლექსიკონი ქართული, II. ავტოგრაფული ნუსხების მიხედვით მოამზადა, გამოკვლევათა და განმარტებათა ლექსიკის საძიებელი დაურთო ილია აბულაძემ. თბილისი, 1993;
102. სალია მაკა, თურქეთის ქართველთა ზეპირსიტყვიერების ნიმუშები - შელოცვები; Düzce' De Tarih, Kültür ve Sanat. Düzce, 2016;
103. სალია მაკა, დუზჯეს რეგიონის (თურქეთის რესპუბლიკა) ქართველთა მეტყველების თავისებურებანი; ზაქარია ჭიჭინაძის 160 წლისადმი მიძღვნილი სამეცნიერო კონფერენციის მასალები; თბილისი, 2017.
104. სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ III, ბათუმი, 2008
105. სარჯველაძე ზურაბ, ქართული სალიტერატურო ენის ისტორიის საკითხები, თბილისი, 1975;
106. სარჯველაძე ზურაბ, ფენრიხი ჰაინც, ქართველურ ენათა ეტიმოლოგიური ლექსიკონი, მეორე შევსებული და გადამუშავებული გამოცემა თბილისი, 2000;
107. სვანიძე მიხეილ, ქართველები თურქეთში, თბილისი 1996.
108. სიჭინავა ვლადიმერ, ბათუმის ისტორიიდან, ბათუმი, 1958.
109. სიხარულიძე იური, ჭანეთი (ლაზეთი), საისტორიო გეოგრაფიის მასალები I, ბათუმი, 1977;
110. სიხარულიძე იური, ნიგალი (ლივანა), საისტორიო გეოგრაფიის მასალები, ბათუმი, 1988;
111. სურმავა ნარგიზა, სიტყვათწარმოების შესახებ აჭარულში, აჭარული დიალექტის დარგობლივი ლექსიკა IV, თბილისი, 1983;
112. სურმავა ნარგიზა, სიტყვათწარმოების ზოგიერთი თავისებურება აჭარულში, აჭარული დიალექტის დარგობლივი ლექსიკა V, თბილისი, 1986;
113. სურმავა ნარგიზა, კირნათ-მარადიდული მეტყველების სინტაქსური თავისებურებანი, დიალექტოლოგიური კრებული, თბილისი, 1991;
114. ტაბიძე მანანა, ენობრივი კონტაქტები და ენობრივი დაგეგმვა, არნ. ჩიქობავას დაბადების 100 წლისთავისადმი მიძღვნილი საერთაშორისო სიმპოზიუმის მასალები, თბილისი, 1998;
115. უთურგაიძე თედო, თუშური კილო, თბილისი, 1960;

116. ურიდია ოთარ, მეგრულის სინტაქსური თავისებურებანი ქართულთან მიმართებით, თსუ შრომები, ტ. 63, თბილისი, 1960;
117. ფალავა მამია, ცინცაძე მადონა, მაკარაძე ე., დიასამიძე რ., თანდილავა ლილე, ტაოური მეტყველების ნიმუშები, ბათუმის უნივერსიტეტის კრებული IV, ბათუმი, 2005;
118. ფალავა მამია, მუჰაჯირთა შთამომავლებთან; ბათუმი, 2016
119. ფუტკარაძე ნანი, ქართველი მუჰაჯირები თურქეთის შავიზღვისპირეთში (ეთნომენტალური მარკერები და პოლიტიკურ-კულტურული მეხსიერების საკითხები);“ სადისერტაციო ნაშრომი ისტორიის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად. ბათუმი, 2007.
120. ფუტკარაძე ტარიელ, სახელის ფორმაწარმოების თავისებურებანი ქართული ენის სამხრეთ-დასავლურ დიალექტებში, საკანდიდატო დისერტაცია, თბილისი, 1986;
121. ფუტკარაძე ტარიელ, მსაზღვრელ-საზღვრულის ბრუნებისათვის სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს დიალექტებში (აჭარულში, გურულში, მესხურ-ჯავახურში, იმერხეულში), აჭარული დიალექტის დარგობლივი ლექსიკა VI, თბილისი, 1987;
122. ფუტკარაძე ტარიელ, თანამედროვე ქართული ენის ხმოვანთა სისტემა, სადოქტორო დისერტაცია, თბილისი, 1998;
123. ფუტკარაძე ტარიელ, მონათესავე ენობრივ ერთეულთა კვალიფიკაციის პრობლემა და ქართველთა დიალექტების დაჯგუფების საკითხი; ენათმეცნიერების საკითხები, #1, თბილისი, 2003;
124. ფუტკარაძე ტარიელ, ქართველები I, თბილისი, 2005;
125. ფუტკარაძე ტარიელ, დადიანი ეკა, შეროზია რევაზ, „ევროპული ქარტია რეგიონული ან უმცირესობის ენის შესახებ“ და საქართველო, ქუთაისი, 2010;
126. ფუტკარაძე შუშანა, ჩვენებურების ქართული, წიგნი I, ბათუმი, 1993;
127. ფუტკარაძე შუშანა, ქართული ენის სამხრულ-დასავლური დიალექტების თავისებურებანი ისტორიული ტაო-კლარჯეთისა და მუჰაჯირი ქართველების მეტყველების მიხედვით, სადოქტორო დისერტაცია, თბილისი, 1995;

128. ფუტკარაძე შუმანა, ფონეტიკური პროცესები იმერხეულში, ქართველური მემკვიდრეობა, XII, ქუთაისი, 2008;
129. ქავთარაძე ივანე, ქართული ენის ისტორიისათვის I, თბილისი, 1964;
130. ქალდანი მაქსიმე, დიალექტთა შერევა კოდორის ხეობის სვანურში, იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება XVII, თბილისი, 1970;
131. ქართული ენის ისტორია, პროფ. ტარიელ ფუტკარაძის რედაქციით, ქუთაისი, 2006;
132. ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ტ. II, თბილისი. 1951
133. ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, IV, თბილისი. 1955.
134. ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, VIII, თბილისი 1965.
135. ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი. ერთტომეული. თბილისი, 1986.
136. ქამადაძე მალხაზ, ანთროპონიმული წარმომავლობის გეოგრაფიული სახელები ზემო აჭარაში, აჭარული დიალექტის დარგობლივი ლექსიკა VI, თბილისი, 1987;
137. ქამუშაძე გიგა, იანეთში მცხოვრები ქართველი რეპატრიანტების თურქული მეტყველების თავისებურებანი, სადოქტორო დისერტაცია, თბილისი, 2004;
138. ქაჯაია ოთარ, მეგრულ-ქართული ლექსიკონი I-III, თბილისი, 2001-2002;
139. ქესქინი მეჰმედ ალი, კულტურული მემკვიდრეობის საკითხები ჭოროხის აუზის ზეპირსიტყვიერებაში;“ ფილოლოგიის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად წარდგენილი სადისერტაციო ნაშრომი. ბათუმი, 2015.
140. ქობალია ალიო, მეგრული ლექსიკონი, თბილისი, 2010;
141. ქუთელია ნათელა, ჯიქია სერგი (რედ.) ლაზური პარამითეფე, თბილისი, 1982;
142. ქუთელია ნათელა, ლაზურის ფონემატური სტრუქტურა, თბილისი, 2005;
143. ღლონტი ალექსანდრე, ქართულ კილო-თქმათა სიტყვის კონა. თბილისი, 1984;
144. ღლონტი ალექსანდრე, ქართველური საკუთარი სახელები. ანთროპონიმთა ლექსიკონი. თბილისი, 1986.
145. ღლონტი ალექსანდრე, ქართული ლექსიკოლოგიის საფუძვლები, თბილისი, 1988.
146. ღუტიძე ინგა, ქართველები თურქეთში - ენობრივი ვითარება; თბილისი, 2016.

147. ყიფშიძე იოსებ, საანგარიშო მოხსენება ჭანეთში საენათმეცნიერო მივლინებისა 1917 წლის ზაფხულს, ენიმკი-ს მოამბე I, თბილისი, 1937;
148. ყიფშიძე იოსებ, ჭანური ტექსტები, თბილისი, 1939;
149. ყიფშიძე იოსებ, რჩეული თხზულებანი, თბილისი, 1993;
150. შაჰინი მ., მაჭახლური თქმანი, ჟურნ. ხერთვისი, 2005, #1;
151. ჩიქობავა არნოლდ, ჭანური ტექსტები, ნაკვეთი პირველი - ხოფური კილოკავი, თბილისი, 1929;
152. ჩიქობავა არნოლდ, ჭანურის გრამატიკული ანალიზი, თბილისი, 1936;
153. ჩიქობავა არნოლდ, ჭანურ-მეგრულ-ქართული შედარებითი ლექსიკონი, თბილისი, 1938;
154. ჩიქობავა არნოლდ, ჭანური მყოფადის წარმოებისათვის, საქ. მეცნ. აკადემიის მოამბე, ტ. V (1), თბილისი, 1944;
155. ჩიქობავა არნოლდ, ერგატიული კონსტრუქციის პრობლემა იბერიულ-კავკასიურ ენებში II, ერგატიული კონსტრუქციის რაობის თეორიები, თბილისი, 1961;
156. ჩიქობავა არნოლდ, იბერიულ-კავკასიურ ენათა შესწავლის ისტორია, თბილისი, 1964;
157. ჩუხუა მერაბ, ქართველურ ენა-კილოთა შედარებითი ლექსიკონი, თბილისი, 2000-2003
158. ჩხენკელი სტეფანე, ყიზლარ-მოზდოკური ქართული, თსუ შრომები V, თბილისი, 1936;
159. ჩხუბიანიშვილი დავით, ფერეიდნულის შესწავლის ზოგი ასპექტი, არნ. ჩიქობავასადმი მიძღვნილი საერთაშორისო სიმპოზიუმის მასალები, თბილისი, 1998;
160. ცეცხლაძე ნ., შავშეთ-იმერხევის ტოპონიმია, ბათუმი, 2000;
161. ცინცაძე მადონა, კირნათ-მარადიდის მეტყველების თავისებურებანი, ბათუმის პედ. ინსტიტუტის სტუდენტთა შრომები, I, ბათუმი, 1954;
162. ცინცაძე მადონა, ფაღავა მ., სამხრული დიალექტები და ქართული სამწერლობო ენა (V-XVIII სს.), ბათუმი, 1998;
163. ცინცაძე მადონა, ტაოური ქართულის ზოგი თავისებურება, XXI დიალექტოლოგიური სამეცნ. სესიის მასალები, თბილისი 2001;

164. ცოცანიძე გიორგი, თიანურის ძირითადი ფონოლოგიური და მორფოლოგიური თავისებურებანი, ახალგაზრდა მეცნიერ-მუშაკთა კრებული, თბილისი, 1970;
165. ძიძიგური შოთა, დიალექტოლოგიური ძიებანი, თბილისი, 1973;
166. ჭავჭავაძე ილია, თხზულებანი, ტ. V, თბილისი, 1955;
167. ჭინჭარაული ალექსი, ხევსურულის თავისებურებანი, თბილისი, 1960;
168. ჭინჭარაული ალექსი, ხევსურული ლექსიკონი, თბილისი, 2005;
169. ხახუტაიშვილი მზია, ქობულეთელი მუჰაჯირები თურქეთში, ქართველური მემკვიდრეობა XII, ქუთაისი, 2008;
170. ჯიქია სერგი, თურქული სინტაქსური კალკები ლაზურში, ორიონი – აკაკი შანიძეს, თბილისი, 1967;
171. ჯიქია სერგი, თურქულ-ლაზური ენობრივი ურთიერთობიდან, თსუ შრომები, აღმოსავლეთმცოდნეობის სერია, 4, თბილისი 1964;
172. ჯიქია სერგი, თურქულ-ლაზური ენობრივი ურთიერთობიდან II, თსუ შრომები, 164, თბილისი, 1975;
173. ჯიქია სერგი, თურქულ-ლაზური ენობრივი ურთიერთობიდან III, თსუ შრომები, 8-9, თბილისი, 1974;
174. ჯორბენაძე ბესარიონ, ქართული დიალექტოლოგია I, თბილისი, 1989;
175. ჯორბენაძე ბესარიონ, ქართველურ ენათა დიალექტები, თბილისი, 1995;
176. ჯორბენაძე ბესარიონ, ქართული დიალექტოლოგია II, თბილისი, 1998;
177. ხუნდაძე სილოვან, ცარიზმის საგანმანათლებლო პოლიტიკა საქართველოში (XIX ს. 80-იანი წლები), თბილისი, 1940;
178. ჰელიმიში ხასან, დობლურაში, ბირაფა დოსქიდასენ, ლაზური ლექსები, მიხეილ ლაბაძის რედაქციით; თბილისი, 2003;
179. ჰელიმიში ხასან, მუ პათ ე სქირი, ლექსები; ისმაილ ავჯი ბუჯაქლიშის რედაქციით, სტამბოლი, 2006;

ბ) თურქულ ენაზე:

180. Abaşişi Nurdoğan, Laz masalları, İstanbul, 2005;
181. Alkumru Nizamettin, Şimşir kokardı Azlağa, İstanbul, 2005;
182. Aksamaz Ali İhsan, Öğretim ve ana dil, İstanbul, 2003;

183. Avcı Munir Yılmaz, Lazuri nenaçkina, lazca dilbilgisi, İstanbul, 2002;
184. Avcı Munir Yılmaz, Şurimşine, şiirler, İstanbul, 1994;
185. Bucaklışı İsmail Avcı, Uzunhasanoğlu Hasan, Lazca-Türkçe sözlük, İstanbul, 1999;
186. Bucaklışı İsmail Avcı, Uzunhasanoğlu Hasan, Aleksiva İrfan, Büyük Lazca-Türkçe sözlük, İstanbul, 2007;
187. Erten Metin, Lazca-Türkçe, Türkçe-Lazca sözlük, İstanbul, 2000;
188. Kal Paluri Arzu, Paponi, Laz yemekleri ve laz yemek kültürü, İstanbul, 2006;
189. Kojima Goichi, Bucaklışı İsmail Avcı, Lazca gramer, İstanbul, 2003;
190. Özsoy Cemal, Murgul ve Murgulluları İstanbul, 2005;
191. Öztürk Özhan, Karadeniz Ansiklopedik Sözlüğü, İstanbul, 2005;

გ) სხვა უცხოურ ენებზე:

192. Acar Turgut, Influence of Georgian Language on Artvin Dialects, ბათუმისა და სამსუნის უნივერსიტეტების ერთობლივი კონფერენციის გეგმა და მასალები, ბათუმი, 1991;
193. Adjarian Hratchia, Étude sur la langue laze, Extrait des mémoires de la société de linguistic de Paris, Paris, 1897-1898;
194. Almeida Sabou Espirito Santo Vaz de, Crioulo Grammar Made Simple, Peace Corps edition, Bissau, 1991;
195. Bailey Beryl Loftman, Jamaican Creole Grammar Course, Peace Corps edition, Kingston, 1968;
196. Belazi, Heidi; Edward Rubin; Almeida Jacqueline Toribio; "Code switching and X-Bar theory: The functional head constraint". Linguistic Inquiry 25 (2), 1994: 221–37;
197. Blom, Jan-Petter; John J. Gumperz, "Social meaning in linguistic structures: Code switching in northern Norway". In J. J. Gumperz and D. Hymes. Directions in Sociolinguistics. New York, 1972;
198. Bokamba-Eyamba, George, „Are there syntactic constraints on code-mixing?“, World Englishes 8 (3), London - New York, 1989;
199. Bonner, J. K. "Kirk", Introduction to Sicilian Grammar. Legas, 2001;
200. Bopp, Franz, Über das Georgische in sprachverwandtschaftlicher Beziehung, Berlin, 1846;
201. Bredemoen Berndt, Laz Influence on Black Sea Turkish Dialects? ed. Altaica Osloensia. Proceedings from the 32nd Meeting of the Permanent International Altaistic Conference, Oslo, June 12–16, 1989, 49–64. Oslo: Universitetsforlaget.
202. Bredemoen Berndt, Case Merge in the Black Sea Dialects. A Kartvelian Substrate Feature? Árpád Berta, Bernt Brendemoen & Claus Schönig, eds. Symbolae Turcologicae. Studies in Honour of Lars Johanson on his Sixtieth Birthday 8 March 1996. Stockholm: Almqvist & Wiksell;

203. Brice, A. & Brice, R., (Ed.s). *Language development: Monolingual and bilingual acquisition*. Old Tappan, NJ: Merrill/Prentice Hall, 2009;
204. Centro di Studi Filologici e Linguistici Siciliani, *Vocabolario Siciliano*, 5 volumi a cura di Giorgio Piccitto, Catania-Palermo 1977-2013.
205. Clyne Michael, "Constraints on code-switching: how universal are they?" in *The Bilingualism Reader*: pp. 12-30, London, 2000;
206. DeBose Charles, "Codeswitching: Black English and Standard English in the African-American linguistic repertoire". In Eastman, Carol. *Codeswitching*. Clevedon: Multilingual Matters, 1992; pp. 157–167.
